ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფელი

4

1990

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მათ წსოვნას ქვეყანა
სანთლებად აინთებს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისკარი

საქართველოს
მწერალთა
კავშირის
ორგანო

4

აპრილი
1990
თბილისი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა. ფფ. გამოცემის ფფ-ე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

3. აპრილიდან აპრილამდე

პოეზია და პროზა

11. ჯარჯი ფხოველი. ლექსები
17. მამუკა დოლიძე. მოთხრობები
27. ირაკლი ბაზაძე. ლექსები
32. ბელა ფალავაშვილი. ლექსები
34. გიორგი კეფალიშვილი. ნადირობა ტბის გალმა, ტყეში. მოთხრობა
73. მედეა კაბიძე. ლექსები
75. ვაჟა ხორნაული. ლექსები
78. ლანდა მგალობლია. ლექსები
80. ნიკო სამადაშვილი. შეხვედრები და სინანული. გაგრძელება
103. ნოვადი გართაია. ლექსები
105. ჯანეულ ჯიქია. შემეცნების პრაქტიკაში. რომანი. გაგრძელება

ეროვნული თვალსაზრისი

113. გვესაუბრება გ. ფანტარია
117. ჯანეულ ღვინჯილია. ქართველი კაცის სინამდვილე. გაგრძელება

წერილები

134. თამაზ ჩხენკელი. ქართული პრესა და ებრაელთა საკითხი

დაბრუნებული სახელები

142. ალექსანდრე სულხანიშვილი. ეროვნებები შეფიცულთა რაზმზე. გაგრძელება

ისტორიის თეთრი ფურცლები

153. აბდურაჰმან ავტორხანოვი. სტალინის სიკვდილის საიდუმლო. გაგრძელება. თარგმნა ზურაბ ნარმანიამ

159. მაიოსველი. ქრონიკა. ფაქტი. კომენტარი

მთავარი რედაქტორი
ირაკლი ქემერტელიძე

სარედაქციო კოლეგია:
ბიბი ალსაზიშვილი
თეიმურ ბექიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ბიბი ბებეშაური
დათო ბაღრაძე
რევაზ მიშველაძე
ბიბი სულაკაური
ეროს ფოცხიშვილი
ჯარჯი ფხოველი
ჯანეულ ღვინჯილია
ნუგზარ შაბაშიძე
ვანანა ჩიტიშვილი
ვაჟა ჩორდელი
პაპანინ ხარჩილავა
მირონ ხერხეულიანი
ტარიელ ფანტარია
ფაკა ჯოხაძე

მორიგი რედაქტორი
ვაჟა ხორნაული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აპრილიდან აპრილამდე

ამ წერილა, რასაკვირველია, გასული წლის აპრილიდან წლევანდელ აპრილამდე საქართველოში მომხდარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების სრული და ობიექტური შეფასების პრეტენზია არა აქვს.

დროის ამ მცირე მონაკვეთში მომხდარი უაღრესად მრავალგანზომილებიანი მოვლენები სერიოზულ კვლევასა და ანალიზს მოითხოვს. დღეა მხოლოდ ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ განვლილი ერთი წელი საეტაპო პერიოდი იყო ჩვენი ეროვნული თვითგამორკვევისა და პოლიტიკური ცნობიერების განვითარებაში.

აიევე, ამ ერთი წლის მანძილზე მომხდარი მოვლენებია განხილვა არ შეიძლება მთელი საბჭოთა კავშირისა და, ოუ გნებავთ, ე. წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში მიმდინარე მოვლენების გვერდის ავლით. ამ მოძრაობათა სოციალ-პოლიტიკური წინამძღვრები ერთი საზოგადოებრივი ფორმაციის პირობებში აღმოცენდა და ერთ ისტორიულ კანონზომიერებაა ექვემდებარება.

საქმე გვაქვს გლობალური მნიშვნელობის მსოფლიო-ისტორიულ მოვლენასთან, რომლის განვითარების პროგნოზირება ჯერჯერობით ნაადრევია, რადგან ამ მოძრაობებში ერთმანეთს გადახლართვია ეროვნულ-განმანთავისუფლებელი და სოციალური ხასიათის წინააღმდეგობანი, რასაც კიდევ უფრო ამწვავებს ეკონომიკური კრიზისი სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნებში და ტოტალიტარული რეჟიმის ბიუროკრატიული ბარიერები, რომელთა დამსხვრევა ჯერაც არ დასრულებულა.

დღეს უკვე აღიარებულია, რომ მრავალი წლის განმავლობაში, მილიონობით ადამიანის ტანჯვისა და უბედურების მიზეზი იმ რეჟიმის ხასიათშია საძიებელი, რომელიც „კაცობრიობის ბედნიერი მომავლის“ მშენებლობის ლოზუნგით ხელისუფლების სათავეში მოქცეულმა ბოლშევიკურმა პარტიამ თავა მოახვია რუსეთის იმპერიის ხალხებსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, ცალკეულ რეგიონებს აზიასა და აფრიკაში.

ეს რეჟიმი დღეს ზოგადად სტალინიზმის სახელით არის ცნობილი, თუმცა მისი საფუძვლები ჯერ კიდევ სტალინის ერთპიროვნული დიქტატურის დამყარებამდე გაფორმდა და სტალინის გარდაცვალების შემდეგაც დიდხანს გასტანა.

ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი, უკანასკნელ წლებში რომ დაატყდა თავს საბჭოთა კავშირს, იმავე ის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორიული კანონზომიერების გამოხატულებაა, რომლის ძალითაც პიროვნებისა თუ პიროვნებათა ჯგუფის დიქტატურა, ეწინააღმდეგება რა საზოგადოების განვითარების დიალექტიკას და მხოლოდ ძალაზეა დაფუძნებული, — თავიდანვე განწირულია.

იგი გარკვეულ ეტაპზე სწრაფად იწყებს დაშლას, რღვევა პროცესი შეუქცევადია და განსაკუთრებით მტკივნეულად მიმდინარეობს მრავალეროვან იმპერიაში, რადგან დიქტატურის წიაღში წლების მანძილზე მწიფდება როგორც სოციალური, ასევე ეროვნული ხასიათის წინააღმდეგობები.

ამგვარი გარდუვალობის წინაშე მდგარმა ცენტრალურმა ხელისუფლებამ რღვევის პროცესის შესაჩერებლად დაიწყო „გარდაქმნად“ წოდებული რეფორმატორული საქმიანობა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტრუქტურაში ჯერჯერობით კოსმეტიკურ ღონისძიებებზე შორს ვერ წავიდა, საერთოდ გვერდი აუარა ეროვნულ ურთიერთობებს და სუსლოვ-ბრეჟნევეული „ახალი იატორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის“ დოქტრინის ერთგული დარჩა.

მიუხედავად ეროვნულ ურთიერთობათა უკიდურესი გამწვავებისა, ამ დოქტრინაზე ცენტრალურ ხელისუფლებას დღესაც არ უთქვამს უარი. ქვეყნის პოლიტიკური ლიდერები არაორაზროვნად აცხადებენ, რომ „საბჭოთა ხელმძღვანელობის დღევანდელი თაობა არ დაუშვებს საბჭოთა კავშირის დაშლას.“ სამაგიეროდ, ბრუნვაში შემოვიდა „საბჭოთა ფედერაციის ახალი შინაარსით შევსების“ აბსტრაქტული ცნება, რაც, ფაქტობრივად, დღემდე არსებული რეჟიმის ხელუხლებლობას ნიშნავს.

მმართველი აპარატის ეს პოზიცია გულისხმობს არა მხოლოდ პოლიტიკური მეთოდებით მოქმედებას ეროვნულ- განმათავისუფლებელ მოძრაობათა შესაჩერებლად, არამედ ძალის გამოყენებასაც. ცენტრის ამ პოზიციის გამოხატულება იყო 9 აპრილის მშვიდობიანი მიტინგის სასტიკი დარბევა, ყოველგვარი წინასწარი პოლიტიკური დიალოგის გარეშე. ხოლო 9 აპრილის შემდეგ კიდევ უფრო გამოიკვეთა, როგორც „ცხელი წერტილები“ საბჭოთა კავშირის რუკაზე, ასევე ცენტრალური ხელისუფლების მოქმედების ხასიათი (პოლიტიკური მეთოდები ბალტიისპირა ქვეყნებში, ძალისმიერი — ამიერკავკასიაში).

მაგრამ ეროვნულ მოძრაობათა ჩასახშობად რა მეთოდებსა და საშუალებებსაც უნდა მიმართონ, მოვლენები უკვე რღვევის კანონზომიერებას ემორჩილება, ტირანული რეჟიმი უფსკრულისკენ მიექანება და საქართველოში მიმდინარე ამბები ქვეყნებისა და ხალხების დიადი გამოღვიძების, მჩაგვრელი იმპერიული ძალების წინააღმდეგ ბრძოლის ნაწილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9 აპრილია დრამატული მოვლენებია შემდგომ გაპული ერთი წელი უმნიშვნელოვანეკა მოვლენების წელი იყო არა მარტო მსოფლიო და საკავშირო მაპშტაბით, მან უდიდესი კვალი დაჩნია ქართველი ხალხის პოლიტიკური აზროვნებიაა და ეროვნული ცნობიერების განვითარებას.

ეს სიტყვები ზოგად განცხადებად რომ არ დარჩეა, ვცადოთ საერთო პროცეკიიდან იმ ზოგიერთი ნიშანდობლივი ნომენტის გამოყოფა, რომელიც ამ მოკლე პერიოდში გაიარა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ.

9 აპრილის მოვლენებიის შემდგომ საყოველთაოდ ცხადი გახდა, რომ მიუხედავად გარდაქმნიაა და რეჟიმია გარკვეული ლიბერალიზაციისა, ცენტრალური ხელისუფლების პოზიცია სსრკ-ში შემავალი ხალხების ეროვნული მიზწრაფებებისადმი ოდნავადაც არ შეცვლილა. ეროვნული თვითგამორკვევის ყოველგვარი ცდა ისევ და იავე განიხილება როგორც მტრული მოქმედება, ნაციონალიზმი და ექსტრემიზმი. იმპერიული ძალები არავითარ დათმობაზე არ აპირებენ წასვლაპ და, სანამ ბრძოლის უნარი შესწევთ, ყველაზე უკიდურეს, საპტიკ ზომებპაც კი მიმართავენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების ჩაახშობად.

ამ დამოკიდებულების საქვეყნოდ დემონსტრირებამ ქართველი ხალხი და, შესაბამისად, სხვა ერები იმ ერთადერთ დასკვნამდე მიიყვანა, რომ სსრკ კონსტიტუციით აღიარებული ერთა თვითგამორკვევისა და თვითგამოყოფის უფლება დემოკრატიზმის ელფერით შენიღბული ფიქციაა და დღემდე არავითარი მექანიზმი არ არსებობს ამ აქტის რეალური განხორციელებისათვის.

აპრილის მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა დიდ უმრავლესობას, აყენებდა რა ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნას, სჯეროდა, რომ თავის კანონიერ უფლებას ახორციელებდა, მის უფლებებს კი სახელმწიფოს ძირითადი კანონი იცავდა. მაგრამ 9 აპრილს მოქნეულმა ხელკეტებმა და მესანგრის ნიჩბებმა სამუდამოდ დაამსხვრიეს ლიბერალური ილუზიები და აღმოვჩნდით მკაცრი სინამდვილის წინაშე.

გამოფხიზლების ეს პროცესი ტალღებივით გავრცელდა დედაქალაქიდან პროვინციებში, სოფლებსა და დაბა-ქალაქებში, ჯერ კიდევ გუშინ მიძინებული ეროვნული მოძრაობის ფესვებმა უეცრად გამოიღვიძა, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა სხვადასხვა საზოგადოებების, მოძრაობების, ასოციაციების, ფონდების შექმნაში. ადამიანთა ფართო მასებს გაუჩნდათ საკუთარი შეხედულებებისა და საკუთარი კონცეფციის შესაბამისად თავმოყრის მოთხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნილება, ეროვნულ მოძრაობაში თავისი ადგილია პოვნიაკენ მისწრაფება.

ფაქტობრივად, ლეგალურ მდგომარეობაზე გადავიდნენ პოლიტიკური პარტიები, დაჩქარდა მათი ორგანიზაციული გაფორმების პროცესი, გამოიკვეთა ის პოლიტიკური ძალები, რომელთაც გადამწყვეტი როლის შესრულება მოუწევთ მომავალ ბრძოლებში. ამდენად, ამ პარტიებმა უდიდესი ეროვნული პასუხისმგებლობაც იტვირთეს.

უკანასკნელ ხანს გამოიკვეთა პოლიტიკური პარტიებია უნიატური მისწრაფებები, ეროვნულ ძალთა გამთიშველი კონფლიქტებისა და უთანხმოებებია აღმოფხვრის ტენდენციები. დემოკრატიულ პრინციპებზე ჩამოყალიბდა ეროვნული ხანის კომიტეტი, რომელიც ფლობს რეალურ ძალას და სათავეში უდგას ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. გაიმართა პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციებია კონფერენცია, მიმდინარეობს მსჯელობა საქართველოს პოლიტიკური ძალებია ეროვნული ყრილობის მოწვევასა და ალტერნატიული მთავრობის შექმნაზეც კი... ეს იმაა ნიშნავს, რომ ისახება საქართველოა პოლიტიკური ძალებია გაერთიანების გზები, ემოციები ადგილს უთმობა გონებას, იწყება ეროვნული მოძრაობის მიერ დღემდე გამოვლილი გზის გააზრება, შეცდომების განსჯა და მომავალი აამოქმედო პროგრამის დაკაახვა.

მიმდინარე წლის იანვრის მოვლენებმა ცხადჰყო, რომ ეროვნული მოძრაობა აღარ არის მარტოდენ ემოციებზე დაფუძნებული, ატუდენტი ახალგაზრდობის გატაცება, მან მოიცვა საქართველოს ყოველი კუთხე, ყველა სოციალური ფენა და, თუ ზოგიერთი ფუნქციონერის განცხადებას დავუჯერებთ, პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ აპარატშიც კი შეაღწია.

მკითხველა, ალბათ, იაიც ახსოვს, რომ მიმდინარე წლის იანვრის აქციას შემოუერთდნენ და ქართველთა გვერდით დადგნენ საქართველოში მცხოვრებ სომეხთა, აზერბაიჯანელთა, ბერძენთა დელეგაციები. თუ ამ დელეგაციების წარმომადგენელთა მიტინგებზე გამოავლით ვიმსჯელებთ, შარშანდელი 9 აპრილამდელი მოვლენებისაგან განსხვავებით, ამ ხალხებისათვის დღეა უკვე ცხადია ჩვენი ეროვნული ბრძოლის საბოლოო მიზანი, სრულიად იზიარებენ მას და თანადგომას გვიცხადებენ თავისუფლებიათვის ბრძოლაში. 9 აპრილის შემდგომ გაჩნდა „კავკაციური ბლოკის“ კონცეფცია, გამოიკვეთა კავკასიის ხალხთა ინტერესების ერთიანობა, რაც კიდევ უფრო დაჩქარა აზერბაიჯანის მოვლენებმა.

ეს არის ახალი და მეტად საგულისხმო ფაქტი როგორც საქართველოს, ასევე მთელი კავკასიის განმათავისუფლებელი მოძრაობის მაასშტაბით.

9 აპრილის შემდეგ მმართველობის აპარატში სწრაფად დაიმსხვრა აზროვნების ძველი სტერეოტიპები, ხელმძღვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელობაში მოვიდნენ ახალი ადამიანები, რომელნიც [illegible]ბით ეკიდებიან ეროვნულ მოძრაობას და, თავისი სატელიტური მდგომარეობის პირობებში, ერთობ გაბედულ, დამოუკიდებელ ნაბიჯსაც კი დგამენ ეროვნული თანხმობისა და კონსოლიდაციის გზაზე, თუმცა ჩვენთან ჯერ კიდევ მიუღწეველია ეროვნული მოძრაობისა და ოფიციოზის ის ერთიანობა, რაც თუნდაც ბალტიისპირეთის ქვეყნებში შეინიშნება.

ერთი ცხადია, რეაპუბლიკის მთავრობა კონფრონტაციიდან ეროვნულ ძალებთან დიალოგზე გადავიდა. ხორციელდება ღონისძიებები ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის გაფართოებისთვის, დემოგრაფიული წონასწორობის აღდგენისა და ეკოლოგიური პროცესების მოწესრიგებისათვის.

9 აპრილის შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ჩამოყალიბდა პოლიტიკურ მოღვაწეთა მთელი თაობა, რომელიც საერთო ეროვნულ მოძრაობაში აერთიანებს სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ ძალებს. თუ 1988 წლის ნოემბრისა და გასული წლის აპრილის აქციებს მხოლოდ ძველი თაობის რამდენიმე გამოცდილი ლიდერი წარმართავდა, განვლილ ერთ წელიწადში ეროვნულმა მოძრაობამ წარმოშვა უაღრესად განათლებული, ორატორული ხელოვნებითა და პოლიტიკური შორსმჭვრეტელობით დაჯილდოებული ლიდერები, რომელთაც საწყის ეტაპზე ერთობ სტიქიურად მიმდინარე სახალხო მოძრაობა მართვაცა და გონიერებას დაუმორჩილეს. ეს ცხადად გამოჩნდა მიმდინარე წლის იანვრის აქციის დროს.

დღეისათვის, შეიძლება ითქვას, ჩამოყალიბდა ზოგადი კონცეფცია, რომლის თანახმად, პოლიტიკური წინდახედულებითა და გონიერებით, უმნიშვნელო მსხვერპლის ფასად მივაღწევთ სანატრელ თავისუფლებას, ჩვენი ბრძოლის ძირითად მიზანს, მაგრამ ამისათვის საჭიროა მოთმენება, წინ არ უნდა გავუსწროთ ეპოქის მთავარ მოვლენას — იმპერიის დაშლის პროცესს, რაც სწრაფად და შეუქცევადად მიმდინარეობს. ამავე დროს, უნდა შევიმუშავოთ თავისუფალი საქართველოს თეორიული მოდელი და შეკვქმნათ პირობები ხელსაყრელ შემთხვევაში მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის, რათა გამოირიცხოს კოლონიური უღლისაგან თავდახსნილ ქვეყანაში უმართაობა, ნგრევა და ქაოსი, სწრაფად ჩამოვაყალიბოთ ეკონომიკური და პოლიტიკური მართვის დემოკრატიული ინსტიტუტები.

განვლილი ერთი წლის მანძილზე არსებითად შეიცვალა რელიგიისადმი დამოკიდებულება, ამაღლდა სულიერებისა და ეკლესიის წიაღისაკენ სწრაფვა, გაიღვიძა სარწმუნოებრივმა შეგნებამ, რაც ზნეობრივი განწმენდის პირობად იქცევა.

ეს პროცესი, რასაკვირველია, არ არის ფანატიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელიგიურობის გამოხატულება, რაც საერთოდ არ ახასიათებს ქართულ ბუნებას. რელიგიური გრძნობები ქართულ ხასიათში მუდამ ეროვნულ გრძნობებს ერწყმოდა. ასეა დღეაც, რადგან ქართული ეკლესიის, მისი მწყემსმთავრის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მოღვაწეობა უპირველესად ქართველთა ზნეობრივ აღორძინებასა და ეროვნული ცნობიერებისა გაღვიძებას ესწრაფვის.

9 აპრილის დრამატული მოვლენების მნიშვნელობა მარტო საქართველოა მასშტაბით არ განიზომება. როგორც ერთ თავის გამოსვლაში აღნიშნა აწ განავენებულმა აკადემიკოსმა ა. სახაროვმა, თბილისიც ამბებმა და მათმა მსოფლიო რეზონანსმა შეაჩერა რეაქციის შემოტევა და სამხედრო ძალის გამოყენება სხვა ხალხების (შეუაძლია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების) განმათავისუფლებელ მოძრაობათა ჩასახშობად. იმპერიულმა ძალებმა, ხალხთა საყოველთაო მღელვარების მიუხედავად, თითქმის ერთი წლის განმავლობაში ვეღარ გაბედეს არმიის გამოყენება, სანამ უკიდურესად არ გამწვავდა ვითარება აზერბაიჯანში. ძალის გამოყენება აქაც ერთაშორისი კონფლიქტის საბაბით განხორციელდა, რამაც ერთგვარად შეცდომაში შეიყვანა მსოფლიო საზოგადოებრიობა.

რახან სიტყვა მსოფლიო საზოგადოებრიობაზე ჩამოვარდა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გასულ ერთ წელიწადში აშკარად გამოიკვეთა საზღვარგარეთის ქვეყნების ხელისუფალთა პოზიცია საბჭოთა კავშირში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებისადმი. მათ არ სურთ რაიმე არსებითი ნაბიჯის გადადგმა ამ მოძრაობათა მხარდასაჭერად, არ აპირებენ კონფრონტაციის გზას დაადგნენ საბჭოთა მთავრობასთან, სჯერათ, რომ გარდაქმნა შეასუსტებს საბჭოთა სამხედრო აგრესიის საფრთხეს, აქედან გამომდინარე, კოლონიური რეჟიმის დასამხობად ხალხთა მოძრაობას განიხილავენ როგორც გარდაქმნის საწინააღმდეგო მოქმედებას და საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეს. აშშ-ს ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირმა ამას წინათ სომხეთ-აზერბაიჯანის ბრძოლას თემთაშორის კონფლიქტიც კი უწოდა. აქედან გამომდინარეობა ღასკვნა, რომ ეროვნულმა მოძრაობებმა საზღვარგარეთის მთავრობების მხრიდან რაიმე სერიოზული მხარდაჭერის იმედი არ უნდა იქონიონ.

დღეს დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გასული წლის აპრილის მოვლენებმა სათავე დაუდო ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალ ეტაპს. ეროვნული ცნობიერების თვალსაზრისით გაკეთდა უზარმაზარი ნახტომი, რომელსაც სხვა შემთხვევაში, ალბათ, მრავალი წელი დასჭირდებოდა. ქართველთა უმეტესობამ ირწმუნა, რომ ხსნის გზა მხოლოდ ეროვნულ დამოუკიდებლობაშია და მოსახლეობის დიდი ნაწილი აქტიურად ჩაება განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9 აპრილს არ გამოუწვევია დაბნეულობა და დასტაბაბ-ება განცდა, ინდეფერენტიზმი და უიმედობა. პირიქით, როგორც ზემოთ ითქვა, ამ დრამატულმა ამბებმა, თავდამსხმელთა ბისასტიკეს და ეროვნული შეურაცხყოფის გრძნობამ ერთ მუშტად შეკრა და გამოაღვიძა მთელი საქართველო, სათავე დაუდო ეროვნული ბრძოლის თვისობრივ განვითარებას.

იქნებ იდეოლოგიის ხსენება უსიამოვნო ასოციაციას იწვევდეს, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას თავისი იდეოლოგია აქვს. არ შეიძლება პესიმიზმს ვთესავდეთ მაშინ, როცა უფრო დიდი პოლიტიკური და მორალური ზიანი თვით იმპერიულ ძალებს მიაყენა თავისივე უგუნურმა და სასტიკმა მოქმედებამ. რეალურ ვითარებას არ შეესაბამება იაეთი ტერმინების დამკვიდრება, როგორიც არის „9 აპრილის ტრაგედია", "9 აპრილის დამარცხება" და სხვა. თავისუფლებისათვის ბრძოლა მსხვერპლის გარეშე არ არსებობს, მაგრამ არ შეიძლება „ტრაგედიას" და „დამარცხებას" ვარქმევდეთ მოვლენას, რომელსაც შედეგად ერის არნახული გამოფხიზლება, კონსოლიდაცია და საბრძოლო სულისკვეთების აღმავლობა მოჰყვა.

აქ განგებ არ ვამახვილებთ ყურადღებას იმ მრავალ ნაკლოვანებაზე, რაც დღემდე ახასიათებს ჩვენს ეროვნულ მოძრაობას, რადგან განვლილი ერთი წელი — ფაქტობრივად, ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური აღმავლობის პერიოდი — ძალზე მოკლე დროა, რათა მთელი მასშტაბურობით, იდეური და ზნეობრივი დონით წარმოჩნდეს ეს მოძრაობა. მაგრამ მისი დღევანდელი სახე იმედს გვაძლევს, რომ დროთა განმავლობაში ყველაფერი თავის ადგილზე დადგება, ამაღლდება პოლიტიკური ბრძოლის კულტურა, საზოგადოების სხვადასხვა ფენაში დაძლეული იქნება ობივატელური და კონსერვატიული დამოკიდებულებები, კიდევ უფრო იმძლავრებს გონიერება და შორსმჭვრეტელობა, განსჯასა და ანალიზს დაექვემდებარება ყოველი აქცია, პოლიტიკური ხასიათის ყოველი ნაბიჯი.

...ცხრა აპრილიდან განვლილი ერთი წელიწადი ქართველი ხალხის სულიერი და ფიზიკური სიმტკიცის გამოცდის პერიოდი იყო. მართალია, ზოგადპოლიტიკური თვალსაზრისით, სასიკეთო და საგულისხმო ტენდენციები გამოიკვეთა, მაგრამ ამ ერთმა წელმა, როგორც პოეტი იტყოდა „უხვად მოიტანა სისხლი და ცრემლები".

...უაზრო ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა ეროვნული მოძრაობის ერთი უპირველესი წინამძღოლი მერაბ კოსტავა — ადამიანი, რომელმაც რაინდული შემართებით ატარა მამულისათვის წამებულთა მძიმე ხვედრი და ვისი სიცოცხლეც ასე სჭირდებოდა დღეს ჩვენს ეროვნულ მოძრაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრმა შემთხვევამ იმახვერპლა ზურაბ ჭავჭავაძე, სოსო ადამია, აფხაზეთში მოკლეს ვოვა ვეკუა, ოსეთის ამბები შეეწირნენ ეროვნული ბრძოლის აქტივისტები შმაგი სამნიაშვილი, ვეფხია თუთარაშვილი...

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთწლიანმა პერიოდმა ცხადჰყო, რომ ამ მოძრაობას მარტო გარედან, იმპერიული ძალებისაგან არ მოელის საფრთხე, საქართველოს ეროვნული თავისუფლების იდეას მტრობენ საქართველოში მოსახლე სხვა ტომის ხალხებიც. სისხლიანი ტრაგედია დატრიალდა აფხაზეთში, სამაჩაბლოში, ქვემო ქართლში.

ეს მოძრაობები ზოგჯერ დეტალურად იმეორებს 1918-1921 წლებში, საქართველოს დემოკრატიული რეპუბლიკის წინააღმდეგ მიმართულ სეპარატისტულ მოქმედებას, რაც ახლანდელი ეროვნული მოძრაობის საწყის ეტაპზე გასათვალისწინებელი მოვლენა იყო და მარტო გარედან ინსპირირებულ აქციად ვერ ჩაითვლება.

როგორც ჩანს, საჭიროა პროპაგანდისტული მუშაობა, რათა ჩვენს მიწაზე მოსახლე სხვა ხალხებმაც ირწმუნონ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა არავითარ საფრთხეს არ უქადის მათ არსებობას და ეროვნულ ინტერესებს, ხოლო რუსეთთან შეერთება, რასაც ასე ბრმად და თავგამოდებით ესწრაფვიან, სულ რაღაც ორიოდე თაობის შემდეგ ასიმილაციითა და სამუდამო გაქრობით ემუქრება.

ერთგვარი პოლიტიკური სპექტაკლის სახე მიიღო 9 აპრილის მოვლენებმა გამოკვლევამ. ახლა უკვე ცხადია, რომ მთელი ეს სპექტაკლი მიზნად ისახავდა არა კონკრეტულ დამნაშავეთა დასჯაა, არამედ „გარდაქმნის“ ტერმინოლოგიას ამოფარებულ იმპერიის ხელისუფალთათვის სისხლიანი ლაქების ჩამორეცხვა.

სხვა მხრივ, ამაო გამოდგა ობივატელთა წრეებში მოარული მითი „დიდი გამარჯვებისა“ და „სამართლიანობის ზეიმის“ შესახებ. 9 აპრილის ხოცვა-ულეტის ორგანიზატორები დღესაც იისე მყუდრო კაბინეტებში ბინადრობენ და სამხედრო უწყებაც ისევ მუშტებს უღერებს ქართველ ხალხს.

სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი და ყოველივე ეს ტრაგედიად არ უნდა ვაქციოთ. მთავარია, რომ ამ ერთი წლის მანძილზე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ უზარმაზარი ნახტომი გააკეთა. სრულიად საქართველო, ქართველი ხალხი, მისი ყოველი სოციალური ფენა თავისუფლების სულისკვეთებამ მოიცვა. თავისუფლების იდეა დღეს ქართველი ხალხისათვის საყოველთაო ნიშანსვეტია და თავისუფლების ჟამიც, თუ განგებამ ინება და ეროვნული ერთიანობა იქნა, მალე უნდა დადგეს.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

ჯარჯი ფხოველი

●

ბნელს ებრძოდაო უფარშუბოდ, იტყვიან შენზე.
შენ ღამეში ხარ: ხელს აცეცებ და მაბეილს ეძებ...
რა ქამი განვლე, შე საბრალოვ, რა გზა გალიე —
ეწამე, წარწყმდი, ქვესკნელს ჩადი, ეშმაზეც შეჯე!...
დაგთხარეს თვალნი: სამშობლო რომ არ დაინახო!
დაგრჩა გული და: საბოლოოდ გულს ამოგგლეჯენ!

ერთიანობა

ფანჯარაზე კამკაშებს
მზის პირველი სტრიქონი
ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ჩამოვლიან ავდრები ყეფით,
მთები სამოსელს ჩამოიფლეთენ.
აქ დაგვიტირებს არაგვის შხეფი.
აქ შემოგვყმუვლებს მწუხარე ლეთე.

ჩვენი წყურვილი, განაწამები,
ვენებს დაიჭრის და იღვიძავებს.
მოვლენ, უჩვენოდ მოვლენ წვიმები,
ჩვენს გამოვლილ გზებს
გადამტკაცვავენ.

ხარს დაჰკრავს ეამი გადაწურული:
მოგვწვდება ეს ხმა ცაში აფრენილთ —
რომ ქვიშად იქცა დიდი წყურვილი,
რომ ალარ დარჩა ალარაფერი.

და ეს ხმა სულში გადაიწივლებს...
დაშრება ცრემლი, ბევრის მნახავი.
დაეცემიან ლურჯი წვიმები
ჩვენს ნატერფალებს და დამარხავენ.

●

საპყრობილეში ცხოვრობდიო,
მეუბნება იგი, ვისაც საპყრობილის
გასაღები ხელში უპყრია.
არც კარს მიღებს და არც არაფერს
არა მპირდება
მზეაობარი და გულუძრავი...
საპყრობილეში ცხოვრობდიო,
შემომძახის ტუსაღს გარედან:
მიტოვებს სიტყვას
და მშორდება თავაწეული...

ელეგია — ٧

ადამიანები ქვითინებენ.
ადამიანების გარშემო კედლები
ქვითინებენ.
კედლები სავსეა შიშით.
შიშია დედამიწაზე უფრო დიდი
შიშია ადამიანის გულზე უფრო დიდი...
დაღვრილი სისხლი ცას შეჰკივის და
შველას ითხოვს!

თვალებდათხრილი ადამიანები
ქვითინებენ.
თვალებდახრილი ხეები ქვითინებენ.
ადამიანები და ხეები ვარსკვლავებს
ვეღარ ხედავენ.

თავსზემოთ დაჰკარგეს ვარსკვლავები.
ფეხქვეშ გამოეცალათ მიწა...
დაღვრილი სისხლი ცას შეჰკივის და
შველას ითხოვს!

ადამიანები ქვითინებენ.
ადამიანების გარშემო კედლები
ქვითინებენ.
ადამიანების და კედლების გარშემო
ხეები ქვითინებენ.
სამყაროს ამღერევს ეს ხმა ამაზრზენი:
წაქცეულთა და გაქცეულთა ქვითინი...
დაღვრილი სისხლი ცას შეჰკივის და
შველას ითხოვს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღაპარო, ნეტავ, შენი მჯეროდეს:
მჯეროდეს, რაკი დამსიზმრებია.
ეს ღამე გულში შავად შემოდის
და ვარსკვლავები უცებ ქრებიან...

იწივლებს წეროო, მაგრამ წერომდე
გაუკვალავი ღამის გზებია...
ცა ვერ იქნება ჩვენი ვეროდეს —
ცა იმისია, ვისაც ფრთები აქვს...

ᲨᲘᲨᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ

ღმერთო ჩემო, რა შხამია ეს ქალაქი,
რა ყორანი დაჰყრანტალებს იმის
უფსკრულებს?

ყოველდღე ამ ქალაქის მდგმურები
გამორბიან გარეთ, გამორბიან ჩქარა,
გამორბიან უხუგეშოდ...

არ არის მზე. არ არის სიმწვანე...
და ყველას ეშინია აქეთ-იქით გახედვის:
ვინ იცის, ვის დაინახავ —
ეგებ მოვალეს, ან მათხოვარს, ანდა
საპყარს.

პირქვედამხობილს...
ეგება სისხლიც დაინახო, უცოდველთა
დაღვრილი სისხლი.

და ყველას ეშინია... და ყველას
ეშინია...
და ყველას ეშინია...
ო, ღმერთო ჩემო, რა შხამია ეს ქალაქი,
რა ყორანი დაჰყრანტალებს იმის
უფსკრულებს?

და ყოველ დილით: უკან მოუხედავად,
წინ!
მეტროს მოჭრიალე ყბებში...
წინ!
კომპიუტერის რომელიღაც ტვინოსან
წარმომადგენელს
რომ შეეუღლო: ჩუმად, უპრეტენზიოდ,
თავდაუზოგავად...
და მთელი დღე... ღმერთო ჩემო... და
მთელი დღე...
ხოლო საღამოს იგივე გზა:
უკანგასავლელი...
გულის ფანცქალით...
(ციხესიმაგრის № სართულისაკენ...)

არ არის მზე. არ არის ფოთოლი... არ
არის სიმწვანე...

შედი.
ქვის თაღი.
ლიფტის მოჭრიალე ყბა...
გასაღების გაჩხაკუნება...
როგორც იქნა, სამშვიდობოს
გამოაღწიე...
და ჯადოსნური ყუთის ჩხაკუნი.
მსოფლიოს სარკელი: ტ...
არხხხხი...
დავზოგოთ ენერგია: გაუფრთხილდით
ყურებს და
თვალისგუგებს...
წკრიალი, წკარუნი... და აქაც, ამ
ოთხ კედელშიც.
ამ ოთხკუთხედშიც. ეს გნიასი...
და გუგუნი
და გუგუნი
და გუგუნი განუწყვეტელი...
და წასასვლელი არსაითა... და
წასასვლელი არსაითაა...

ო, ღმერთო ჩემო, რა შხამია ეს ქალაქი,
რა ყორანი დაჰყრანტალებს იმის
უფსკრულებს?

არ არის მზე. არ არის სიმშვიდე. არ
არის გამარჯვება.
მუხლმოყრილი ჩვენი გულები.
უფრო ამძაფრებს აქ სიყვარულს მზე
დამავალი.
და შიშის ღრუბლები... და ელვის
ფესვები...
და სისხლი, სისხლი, უცოდველთა
დაღვრილი სისხლი...
და წასასვლელი არსაითა, და
წასასვლელი არსაითაა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ქალაქში მუხლმოყრილი ჩვენი
გულები
ცის წინაშე.
უცოდველთა სისხლის წინაშე...
მუხლმოყრილი ჩვენი გულები
და წასასვლელი არსაითაა... და
წასასვლელი არსაითაა...

ციხესიმაგრის
სართული
შორეულ
სადღაც ღრუბლები თავისთავს
ხატავენ.
სადაც ელვა იფხრიწება, ყბაახეული...

ეს ქალაქი
ისე უპოვარი და ისე ღარიბი —
თითქოს ჰოეტის სახლი იყოს
პატრონისგან გაწირული,
სამუდამოდ მიტოვებული...

ათასნაირია აქ სიმღერა.
და ყოველი დღე შეიძლება გახდეს
სიმღერის სამშობლო.

ათასნაირია აქ სიყვარული.
და ყოველდღე შეიძლება გიყვარდეს...
გიყვარდეს ცრემლით,
გიყვარდეს ტირილით.
გიყვარდეს უნუგეშოდ
და ყოველდღე შეიძლება უცოდველთა
სისხლი დაიქცეს.

და წასასვლელი არსაითაა... და
წასასვლელი არსაითაა...
ღმერთო ჩემო, რა შხამია ეს ქალაქი.
რა ყორანი დაჰყრანტალებს მის
უფსკრულებს?

სინათლის ფესვი ამ ღამეში ვერ
გაიხარებს.
სიყვარული ამ ღამეში ვერ გაიხარებს...
ღამეში.
სადაც იფოთლება უცოდველთა
დაღვრილი სისხლი...

ვინ გადათიბა ეს გორაკები.
ან ვინ მოჭრა ის ხე, ეული.
წინაპრის სისხლმა რომ ახარა ამ
მთაგორებზე?...
ვინ გადატკეპნა აქ საფლავები,
მუხლუხებით ვინ წაშალა აქ უკვდავი
წარწერები,
ვინ გაგთელა, წმინდა ბალახო?

არ არის მზე. არ არის ფოთოლი. არ
არის გამარჯვება.
და მთელი დღე... და მთელი დღე... და
მთელი ღამე...
და წასასვლელი არსაითაა...
და წასასვლელი არსაითაა...
ღმერთო ჩემო... წასასვლელი
არსაითაა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამუკა დოლიძე

ფიქრები

ვარიაციები შახელო თემაზე

გადავწყვიტე აღვწერო რობაქიძის ცხოვრების ერთ-ერთი დღე, 19... წლის აპრილსა ან ნოემბერში, დროს მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ვერ გაარჩევ ერთმანეთისგან გაზაფხულსა და შემოდგომას; ერთნაირად მოღუშულ ცას, ღრუბლებში თეთრ ლაქად დაჩნეულ მზეს, წვრილ, გაცრილ წვიმას, თითქმის შეუმჩნეველს და ამის გამო შელწევად ყველგან — დაბურულ ბაღში, უნივერსიტეტის თაღქვეშ, ტანსაცმელში, სხეულში...

რობაქიძე, უნივერსიტეტის პროფესორი, დღის ბოლოს სხვენზე, პატარა მაგიდასთან ვიპოვეთ.

იგრძნო თუ არა, რომ ვხედავდით, რობაქიძემ ხელი დააფარა ფურცლებს, რამაც იქვე აღგვიძრა ექვი, რომ იმ ცალხაზიან ქაღალდებზე ხარჯთაღრიცხვის გარდა, სხვა რამ იყო აღნუსხული, მაგრამ მაშინვე ვერ გავერკვიეთ საქმის არსში, ვერ ჩაწყვდით ფარულ სტრიქონთა აზრს; პირველ რიგში იმიტომ, რომ წაწერის ამოკითხვა საათავეშივე დაეკარგა ყოფილებდა ჩვენს ინტერესს და ამრიგად გამოჩნდებოდა ის შეფარული, იდუმალი რამ, რომელსაც ჯადო და მიმზიდველობა უნდა მიეცა მოვლენათა მსვლელობისათვის.

ამიტომ ხელიდან აღარ გამოვგლიჯეთ რობაქიძეს ის საიდუმლო ნაწერი, რომლის გამო მან დატოვა თავისი ვრცელი კაბინეტი და გამოძებნა ეს ბნელი საკანი; პირიქით, ვითომ ვერ შეენიშნეთ ფურცლები, ნაჩქარევად რომ ჩაიტენა უბეში და ისიც კი ვაცალეთ, დაბრუნებოდა თავის ადგილს.

მდივანმა ვერ შენიშნა აფორიაქების კვალი მის სახეზე, ვინმე ლომძის ავტორეფერატი მიართვა ხელმოსაწერად. რობაქიძემ სინათლეზე გახედა ფურცლებს, სტრიქონებს შორის აკრძალული აზრები ხომ არ ჩააქსოვესო. შემდეგ ყდის კიდე მოკვნიტა და გაღეჭა. ჩვეულებრივი ცარცის ქაღალდის გემო ჰქონდა, ყოველგვარი მინარევების გარეშე. ავტორი სანდო პირი ჩანდა, ყოველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით. რობაქიძემ თემის აქტუალობას გადაავედა, ნაშრომის სიახლეს და დასკვნებს გაადევნა თვალი, ვერაფერი რომ ვერ გაიგო, ერთი ამოიხვნეშა და სატიტულო გვერდს ჯვარი დაუსვა.

— შემოვიდეს? — ყოველ შემთხვევისათვის ჰკითხა მდივანმა.

— რა ჯანდაბად მინდა! — პროფესორმა ფურცლების დასტა მაგიდას დაათხლიშა. — ეგ ერთი იმათგანია, ვისაც არაფერი შეეშლება.

— მადლობთ! — მდივანი უკან-უკან წავიდა, კაბინეტის კარი გამოიხურა, მისაღებიდან გავიდა ჭუჩაში, ძლივს მიაღწია შინამდე, დაიწყო სადილის კეთება, გაავრძელა სარეცხის ჩარშვა, არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქთგამოცლილი მიეგდო ლოგინზე, დილამდე ვერ მოხუმა თვალი. დილით ისევ გავარდა სამსახურში და ასე შემდეგ... ამით დავასრულოთ ამ არაფრის-მომცემი პერსონაჟის ხატვა და მივუბრუნდეთ მთავარ მოქმედ პირს.

ამრიგად, რობაქიძემ ფურცლების დასტა მაგიდას დაათხლიშა. შემდეგ უბე მოიჩხრიკა, მაგრამ ჩვენი თანდასწრებით ვერ გაბედა ნაწერის ამოღება და ვარაზის ხევს გახედა.

ჩვენ რომ ფაქტების მშრალი აღნუსხვა არ გვქონდეს გადაწყვეტილი, ვიტყოდით, რომ ავტომობილებით სავსე ვარაზის ხევი პრორექტორის ოცნებამ დაასახლა თეთრი მხედრებით, მწყობრად რომ მიემართებოდნენ გმირთა მოედნისაკენ, მაგრამ ეს მხოლოდ ამბის გადმოცემაა ყოველგვარი ლირიკული გადახვევების, წიაღსვლებისა და წარმოსახვების გარეშე, გარდა ამისა, ამოდენა ორგანიზაციის მმართველ ჩინოვნიკს, წესით, არც უნდა ჰქონოდა ოცნების თავი, ამიტომ დავკმაყოფილდეთ იმით, რომ რობაქიძემ უბრალოდ გახედა ვარაზის ხევს და შეიძლება დაამთქნარა კიდევაც.

მისი სიმშვიდე დაარღვია ვინმე ბურჭულაძემ. მის შესახებ უცებ ვერ მოგცემთ სრულ ინფორმაციას, რადგან, მდივნისგან განსხვავებით, გარკვეული როლი უნდა ითამაშოს ამ ჩახლართულ საქმეში, რომელიც სხვენზე შემყუდროებული პრორექტორით იწყება, და, ალბათ, მალე მთელ ქალაქს ააფორიაქებს... ამ პიროვნების სახე თანდათან გამოიკვეთება მოვლენათა მსვლელობის მიხედვით, ამიტომ ჯერჯერობით ის არაფერს წარმოადგენს ცარიელი კიტელის, ფართო შარვლისა და შავი ჩექმების გარდა. რობაქიძეს არ უკვირს ეს, ნურც თქვენ გაგიკვირდებათ, რომ გარკვეული პერსონაჟის ნაცვლად, ცარიელი შარვალ-პერანგი შემოგვყავს.

— ისევ დამიბარეს სასახლეში? — ჩაიცინა პრორექტორმა.

ბურჭულაძეს თავი რომ ჰქონოდა, უსათუოდ დაუქნევდა. ამჯერად [illegible] ბული შეიქნა, ხმა ამოიღო.

— იუბილეს როდის გადაიხდისო?

— იუბილეს როდის გადაიხდისო? — ღიმილი არ გამქრალა რობაქიძის სახეზე.

— ასე თქვეს კია და... — სახელოები გაშალა ბურჭულაძემ.

— არ დამანებებთ თავს! — ცარიელ საყელოს სტაცა ხელი პრორექტორმა.

ბურჭულაძის ბედზე კარი გაიღო და ორმა მუშამ კაბინეტში როიალი შემოაგორა. როიალს მოჰყვა გრძელი, ტყავგადაკრული სავარძელი, მრგვალი მაგიდა და ქვის ჩარჩოში ჩამჯდარი სარკე. მუშებმა შეფუთული სკამებიც შემოიტანეს, იქვე შემოაცალეს ქაღალდი და ნაგლეჯები ფანჯრიდან გადაყარეს.

ოქროს ტახტით შემოაბრძანეს რობაქიძის სიმამრი — მიხრწნილი მოხუცი ქარვის კრიალოსნით ხელში. მოხუცი ფეხმორთხმით როიალზე შემოსვეს, ქალიშვილი მიუახლოდდა და ნიკაპი აუწია, მოხუცმა ფაიფურის ჩინელივით თავის ქნევა დაიწყო, თან უკბილო პირს აცმაცუნებდა, რაღაცის გამოთქმას ლამობდა.

რატომ დავხატეთ ეს სურათი?

სავსებით შეგნებულად. გაგვეღვიძა გვიან, ნაბახუსევზე. ყურში ჯერ კიდევ ჩაგვესმოდა რობაქიძის ჩახლეჩილი ხმა. წუხელ ერთად დავთვერით „არაგვში“, ხსენებულის 50 წლისთავი ვიზეიმეთ, მაგრამ იმდენად უაზრო იყო ჩვენი შეხვედრა, რომ გადავწყვიტე ხელმეორედ, უფრო შინაარსიანად აღმენიშნა ეს მნიშვნელოვანი თარიღი.

იუბილე მხატვრული ნაწილით დაიწყო.

ბურჭულაძემ მომდერლის გვარი გამოაცხადა. ფარდიდან შემსრულებელი გამოხტა — თხელი, ჯამბაზის ნიფხავ-პერანგში გამოჭიმული კაცუნა. წელქვემოთ ფერადი რომბები და კვადრატები ეხატა. მაშინვე როიალს მიუჯდა და თითებით კლავიატურას გადაურბინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი ლამის ჩამოიღო და იატაკი შეაზანზარა ზონზრობა მომღერალმა. ორ კაცს მისი მაქმანიანი კაბის შლეიფი ეჭირა, მკერდი ლამის გადმოყრილი ჰქონდა, თვითზე ვარდი დაებნია...

მომღერალმა საზოგადოებას თავი დაუკრა, თვალები დახუჭა, ტუჩები მოპრუწა და ორთქლმავალივით დაიკივლა. ჯამბაზის თითებმა ისევ გადაუბერნია კლავიშებს. რობაქიძემ ყურებზე იტაცა ხელი. მომღერალი გველეშაპივით დაიგრიხა. მისი კუდი ზედ ჩაბღაუჭებული კაცუნებით, აქეთ-იქით მიაწყდა კედლებს; მსმენელი შიგადაშიგ იძირებდა შლეიფის ტალღებში. ჯამბაზი სკამიდან კლავიშებზე გადახტა; ჯერ ყირა ჯამიმა, ფეხის თითებით აკორი აილო, ცალი ხელით თემა მოხაზა. შემდეგ ბორბალივით გადაბრუნდა და მთელი სიმძიმით ერთ ბგერას დაეწვა. ისევ გადმოტრიალდა, ოტბავაზე დადგა, დაიხარა და ფეხებს შორის მოქცეული კლავიშებით ახალი თემა აიწყო. რობაქიძემ თვალები დახუჭა. სიჩუმე და სიბნელე შეერთდა, ჯარე სინათლემ მაინც გაეთნა წაბწამთა შორის.

სიჩუმეც არ იყო სრული. ეტყობა, სიმღერა დამთავრდა და შორს, ყრუდ ტაშის ცემა ისმოდა. რობაქიძემ თვალი გაახილა. შესვენება გამოაცხადეს. შემოაგორეს ბუფეტი შოკოლადებით, გამგრილებელი სასმელებითა და მუყაოს ჯიქებით. დახლთან ბურჭულაძე იდგა. მარაოსავით გაშლილი ქუდით იყო შემოწერილი მისი ცარიელი სახე.

დაეიღალე. ვეღარ გავუძელი სიტყვების თამაშს, მოვკურცხი და ნამდვილ იატაკზე, ნამდვილ ადამიანებს შორის დავეცი. რის ვაი-ვაგლახით წამომაყენეს. ჩემი უპირატესობა მათ მიმართ გაქრა. ისიც კი ვერ შევძელი, ურიგოდ ამელო ყურძნის წვენი. მოკლედ, ჩამეთრია ამბავმა. ძალა აღარ მეყო გადამელახა მისი სიმძიმე, მისი გარდუვალობა და გარეგან დამენახა ყველაფერი როგორც თამაში. ამიტომ წესს დავემორჩილე და რიგში ჩავდექი. ბურჭულაძემ მაინც მიცნო.

— ერთი წუთით, მეგობარო! — მართა ცარიელი მზერა. — ჩვენს შორის იუბილარის მეგობარი უნდა იმყოფებოდეს.

ხალხი შემობრუნდა და გაიხსნა ჩემს წინ. ბურჭულაძემ ყურძნის წვენი ჩამომისხა.

— ჯერ ჩემი რიგი არ არის, — თავი გავაქნიე.

— რიგი რა თქვენი საკადრისია, — გამიღიმა. — რომ იცოდნენ, ვინ დგას მათ შორის...

— სსუ, — ტუჩებზე თითი ავიფარე და დერეფანში გავედი. რობაქიძე ასაკეც სკამზე იჯდა და ღრმად ჩაფიქრებული, ნაფაზს ნაფაზზე ურტყამდა.

— ხომ კმაყოფილი ბრძანდებით? — დავკარი მხარზე ხელი. რობაქიძე წამოხტა და მეცა.

— არ დამანებებ თავს! — შემაჯანჯღარა. — დასასვენებლად ჩამოსულხარ, დალიე რა ბიჭებთან, მე ნუ მტანჯავ!

— ეგ ჩემზე აღარაა დამოკიდებული, — ხელი ავუკარი.

შესვენება ძალიან გაგრძელდა, მოქმედება შეფერხდა. მკვდარი წერტილიდან ვერ დავძარი დრო. ფარდის უკან, სცენაზე, ახალი დეკორაციები შემოჰკონდათ: მაუდგადაკრული კათედრა გრაფინითა და მიკროფონით, ფანერის ტრიბუნა, მუყაოსგან გამოჭრილი პოლიტბიუროს წევრებით. ბუტაფორიების გატან-შემოტანას ბურჭულაძე ხელმძღვანელობდა. სადღაც გააცუნცულეს იუბილარის სიმამრი, ასო-ასო დაშალეს და საწყობში შეინახეს. ზონზრობა მომღერალი გალიაში ჩასვეს, სატვირთო მანქანაზე გადაიტანეს და წაიღეს. მისი კაცუნა მუშამ როიალიდან ამოაძვრინა, დაფერთხა და იქვე, ლურსმანზე ჩამოჰკიდა.

თავს აღარ შეგაწყენთ შეხვედრის ოფიციალური ნაწილის გადმოცემით, რომელიც ძირითადად, სადღეგრძელებისგან შესდგებოდა, მით უფრო, რომ თვით იუბილარმაც ვეღარ გაუძლო ამდენ ქებას და გაიპარა.

იქნებ მართლა დავანებოთ იმ საცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავს თავი? ახალი თემები და მოტივები მომეძალა, მაგრამ ამჯერად გადავწყვიტე, ბოლომდე მიმეყვანა დაწყებული საქმე, ქუჩისკენ გავქანდი და გაქცეულ რობაქიძეს სახელოში ვწვდი.

— საით ყმაწვილო! იუბილე ჯერ არ გადაგიხდია!

რობაქიძე პიჯაკის სახელოებიდან ამოძვრა და პერანგისამარა ავტობუსში ავარდა. ისღა მოვასწარი, მანქანა დამეჭირა და კვალში ჩავდგომოდი.

არც ერთ გაჩერებაზე არ გადმოსულა. მარშრუტის ბოლოს გადმოვხტი და ავტობუსს ვეცი.

— შიგ არავინაა, — შემომიღრინა მძღოლმა. — არ გესმის?

არ მესმის. ვერც დავიჯერებ, ვიდრე საკუთარი თვალით არ ვნახავ. არადა, მგონი მართალია. გაძვალტყაევებული სალონი. დაძონძილი სავარძლები. თაროდან ლამის გადმოვარდნილი ტომარა. მღვრიე, გაჟუჭყიანებული ფანჯრები შიდა მხარეს უფრო ირეკლავენ, ვიდრე გარეთას აჩენენ; არსად არავინ არის! სიზმარია თუ ცხადი? ვერ დავინახე როგორ გადმოვიდა? გამორიცხულია! ავტობუსთან ერთად ვჩერდებოდი. სად გამეპარა? სტრიქონებს გადავხედე:

„არც ერთ გაჩერებაზე არ გადმოსულა". მთელი დევნა ამ ერთ ფრაზაში იყო მოქცეული. რატომ არ აღგწერე უფრო ვრცლად? ყოველ გაჩერებაზე დგომა და ჩამოსულთა თვლა მოსაწყენია. აბა რა დასაწერია, როგორ გავჩერდით ბაზალეთის ქუჩასთან, როგორ გადმოვდა ორი და ავიდა ერთი, შემდეგ როგორ მივადექით ჰუშკინის ინსტიტუტს, მეცხრე საავადმყოფოს, როგორ გადმოვიდა წინიდან ორი, შემდეგ ავიდა ბავშვიანი ქალი და კიდევ ერთი ნაჩქარევად ჩამოხტა (ეტყობა, ამსვლელმა ქალმა შეაფერხა.) ავტობუსი დაიძრა. ოღონდ, ერთი წუთით... აქ, მგონი, დავკარგე ავტობუსის მიმართ ინტერესი; ის ისე აღარ გამოირჩევა უწყვეტად მიმდინარე ტრანსპორტის ფონზე. რატომ? იმიტომ, რომ დააკლდა ვიღაცა., ვინც ამ ავტობუსს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. დაგბარებდეთ ისევ უკან. ორი გადმოვიდა, ქალი ავიდა და მერე მესამე ნაჩქარევად ჩამოხტა. გვიან გადმოხტა არა იმიტომ, რომ ხალხმა შეუშალა ხელი (ავტობუსი ნახევრად ცარიელი იყო), არამედ იმიტომ, რომ უცებ გადაწყვიტა გადმოსვლა. რადგან სწორედ ამ დროს მანქანისკენ შეებრუნდი და იფიქრა, ზურგს უკან გავსწრებო; მაგრამ მე ბოლომდე არ შეებრუნებულვარ და თვალი მოვკარი მას; სირბილით სახეწაშლილ ბუნდოვან სილუეტს. რა თქმა უნდა, ამ ბუნდოვან სახეში ვისაც გინდა, იმას იგულისხმებდი, მაგრამ მე სწორედ ის დავინახე, ვისაც ვეძებდი, რადგან ეს იყო კაცის გაუჩინარების ერთადერთი რაციონალური ახსნა, სასწაულის ერთგვარი მოტივირება, რასაც აუცილებლად მომთხოვდნენ რედაქციაში.

ამრიგად, დავუშვათ, რომ, როცა მანქანისკენ შეებრუნდი, ავტობუსიდან სწორედ რობაქიძე გადმოხტა, ჯერ ხეებს შორის გასხლტა, შემდეგ მეცხრე საავადმყოფოს ეზოში შევარდა. რაღა აზრი ჰქონდა ავტობუსის გაყოლას? მანქანა შემოვაბრუნე და სტუდქალაქში შეეუხვიე, რომ საავადმყოფოს უკანა მხრიდან მივდგომოდით.

გზა ნელ-ნელა გაფუჭდა, ბოლოს მიწაყრილზე ავიდა. მეტს აღარ წამოვალო, სახე მომარიდა მძღოლმა. გადმოვედი, მიწაყრილზე გავეხიზნი და სტუდქალაქის ჰიშკართან ჩავჯექი. მალე რობაქიძეც გამოჩნდა. პირდაპირ ჩემკენ მორბოდა. სახემდერეული, თვალებდაყვლეფილი. მოახლოვდა თუ არა, გადავხტი და შარვლის ტოტში ვწვდი, მაგრამ ფეხი ამომარტყა და ვიდრე წამოდგომას მოვასწრებდი, ვერეს ხეობიდან ამოზრდილ ტყეს შევრეა.

ჩემი რწმენის თანახმად, სინამდვილე იქმნება და ფერს იცვლის ადამიანის მიხედვით. ამიტომ ტყე, რომელმაც რობაქიძე შთანთქა, უნდა განსხვავდებოდეს უკაცრიელი ტყისაგან. ის შეიძლება გახდეს უფრო საშიში, მოულოდნელობით სავსე. ნაპირზე წაქცეული ხე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკითხება როგორც საფარი, საიდანაც თოფი შეიძლება გავარდეს. ჩანჩქერით შექმნილი მორევი, მართალია, ლურჯია, მაგრამ ეს სილურჯე სისხლისფერს შეიცავს, რადგან დევნილმა შეიძლება დამჭრას და მდინარეში ჩავვარდე. ფანქარი ამოვიღე და დავიწყე ტყის შესაძლებლობათა ხატვა. ერთ ნახატზე შეიქმნა შაშით ჩამოკიდებული სივრცე. მეორე სურათზე სიბნელე ფერებად დაიმსხვრა და საბოლოოდ გაჩნდა სიმწვანის შთაბეჭდილება. მესამეზე ხეთა კონტურებს შორის გამოიკვეთა ადამიანის ლანდი, ოღონდ ეს ლანდი მძძრავი აღმოჩნდა, რამდენჯერაც შეხედავდი სურათს, მოჩვენება სხვადასხვა ხესთან იდგა.

ამრიგად, დაირღვა ტყის ერთფეროვნება. ფერთა ცვალებადობამ ხევში იმატა, ტოტებით გადაწყნული გვირაბი წამდაუწუმ სახეს იცვლიდა. ვერ გავბედე შიგ შესვლა. ერთი გაუფრთხილებელი მოძრაობა, უცაბედად გადამტვრეული ტოტი, ჩრდილის სხვაგვარი გადაკურება და სამუდამოდ გაქრებოდა ის, რაც ადამიანის ლანდად შეიძლებოდა მიმეღო.

თვალი მოვხუჭე. დავინახე ორი მწვანე ხე და მათ შორის ლურჯი ფონი. შეეცადოთ აქცენტი. ხეთა სიმწვანე მიეჩნიოთ ფონად, მათ შორის სივრცე კი გამოსახულებად. რაწამს გადავეწყვე ახალ ხედვაზე, თითებმა ხის ტანში, როგორც სიცარიელეში ისე გაატანა... ლურჯმა გამოსახულებამ უკან დაიხია... ცალადად გავარჩიე კაცის სილუეტი, ბუჩქებს შორის რომ გაკრთა და ქვემოთ, მდინარისკენ დაეშვა.

დავძაბე მზერა. ისევ გადავჯგუფე მნიშვნელობები. ხეებმა კვლავ სიმკვეთრე შეიძინა. კაცი არარაობად იქცა, მაგრამ ეს არარაობა ვერცხლისწყალივით მოუსვენარი აღმოჩნდა. ჯერ ბალახს დაუკარგა ფერი, შემდეგ მდინარეს შეერწყა და მისი მუქი ზვირთები ოდნავ გაბაცა. ისევ მოვადუნე თვალი. რობაქიძემ ხორცი შეისხა და, გაღმა გასულმა, ბუჩქებს შორის დაყვინთა. სად გამექცევა? როგორც კი ვიგულისხმე, რომ ეს ფიქრით დაბურული ტყე ვიღაცას მალავდა, მაშინვე მისი მდგომარეობა შეირყა, ფარდასავით ჩამოირღვა, ჩამოიშალა და დავინახე მის უკან მდგარი უზარმაზარი სცენა. სცენაზე რობაქიძე იდგა. მისი ოჯახის წევრებიც აქ იყვნენ. ისევ შემოაბრძანეს ფაიფურის სიმამრი თავისი საქანელა ტახტით. ისევ გაჩნდა რობაქიძის ცოლიც, თავს მამასავით რომ აცანცარებდა. ისევ მოზღვავდნენ მეზობლები. მეგობრები, მტრები. ბურჯულაძეც, როგორც იქნა, იპოვა თავისი როლი, შეიძინა გარკვეული სახე (ასეთი სახე ფრიად გავრცელებული გახლდათ ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში) გრაგნილი დააძრო და დამარცლით წაიკითხა.

...სამთა სამსჯავროს ნებით... შეთქმულებაში მონაწილე.... ხალხის მტერი...

აღარ დაამთავრა და ტყავის ბუდიდან ნაჯახი ამოიღო.

კუნძის ირგვლივ ნახერხი დაყარეს. ალბათ, სისხლის შესაშრობად, რომ სხეულიდან ამოხეთქილ შადრევანს არ დაეტბორა სცენა, არ დაეთხვარა მაყურებელი, ამ ძვირადღირებულ სანახაობაზე რომ არ იშურებდა ფულს, რომელიც, წესით, თავმოკვეთილის ოჯახს ეკუთვნოდა, მაგრამ სინამდვილეში ამ სანახაობის რეჟისორი და ჯალათი იყოფდნენ, რადგან მარტო ხელფასით ვერ აიძულებდი მათ ამის ჩადენას, მკვლელობიდან სანახაობის შექმნას, ბრალდებულის მსახიობად ქცევას... ბრალდებული სიკვდილის წინაშე იხსნიდა ნიღაბს, ამბობდა იმას, რასაც ფიქრობდა, ან შაშით დათრგუნული აღარ ამბობდა არაფერს, მუხლებმოკვეთილი, ნაჭრის თოკინასავით იკეცებოდა და შემოჯარულ სახეთა ნაცვლად, ხედავდა მხოლოდ ლაქებს, ფერებს, ჩრდილებს, ანუ ხედავდა იმას, რასაც სინამდვილეში წარმოადგენდა წუთისოფელი, ჩრდილთა გაელვებას და წუთიერ თამაშს, ოღონდ შიშისგან ვერ აცნობიერებდა ნანახს. შიში ჭეშმარიტების მნიშვნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობას უკარგავდა საგანთა არსს, რომელიც მის წინაშე იხსნებოდა.

— ნუ გეშინია, ვერაფერს იგრძნობ, — ჩასჩურჩულებდა პარტორგანიზაციის მდივანი. — ხელი გაწაფული აქვს, არ გაგაწვალებს.

აქ, კუნძთან, მარილაც მთავრდებოდა შიში. შიში, რომელმაც დედამიწის ერთ მეექვსედზე შექმნა სახელმწიფო. უაზრო, უტოპიური და უმიზნო. შიში, რომლის დასაძლევად გადადგა ნაბიჯი და ამ ნაბიჯის გამო მიუსაჯეს სიკვდილი და ვერ განსაზღვრეს, რომ სწორედ სასჯელი იქნებოდა შვება, რომ თავმოკვეთილი სხეულიდან ამოვიდოდა ის, რაც სხედახატულ თოჯინებს არარსებულად მიიჩნდათ, სინამდვილეში კი იყო ნამდვილზე ნამდვილი, ცხადზე უცხადესი, ნათელი, თავისთავადი და ყველაფრის ამხსნელი.

— აი ასე უნდა გაწვე, — ბურჭულაძემ ჩაიჩოქა და ხელის მოძრაობით ალაგი მოუხაზა. — თავი მარჯვნივ, ყელი გამოაჩინე... — აცალეთ, თვითონ იზამს, — შეაჩერა კომკავშირელები. ისევ მოუბრუნდა ღიმილით.

— აბა, დროზე, რაც მალე იქნება, უკეთესია.

ნამდვილად აღარ გრძნობდა შიშს... გაჩნდა სურვილი და ცნობისმოყვარეობა გადაეხედა სცენის მიღმა, რა იყო იქ და როგორი იყო იქიდან აკაურობა. მაგრამ ისევ ჩამობნელდა სივრცე, ისევ ვიღაცა გადაეღობა სინათლისაკენ მიმავალ გზაზე...

— შეთქმულებას თუ გასცემ, — ჩასმა ხმა, — პატიებას მიიღებ.

რობაქიძემ თავი გაიქნია. ჯალათის ხელმა ნაჯახი აიღართა... ქალმა დაიკივლა და თვალები დახუჭა...

თავგანწირვამ გადაარჩინა. დამენანა ასეთი უტეხი, გაუბზარავი გმირის მოსპობა, შევცვალე დრო და მოქმედება წარსულიდან აწმყოში გადმოვიტანე, როცა შიშის დაძლევისათვის აღარ სჭიან სიკვდილით.

ამრიგად, დრო შეიცვალა, სცენა შეზანზარდა. ნაჯახი გაფრინდა ბურჭულაძის ხელიდან. გასაკვირი და მაკვირვებელი ბელი მიწამ ჩაყლაპა. ოჯახის წევრები ქარმა წაიღო. რობაქიძემ კუნძიდან წამოსწია დამძიმებული სხეული.

დავაკვირდი და საკუთარი თავი შეეცალნი მასში. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. უბე მოვიჩხრიკე და ფურცლები ამოვიღე. ახლა უკვე ცხადად ვარჩევდი რა ეწერა ზედ — ჩვენი თავგადასავალი თავიდან ბოლომდე, დღემდე და დღეის იქითაც.

ეწერა თუ როგორ გაეცხლდა ტყე, როგორ გამოვიდა შეთქმული ხალხი, როგორ შემოხვია მას, — გადარჩენილი აზრის სათავეს, ძლივს რომ ბეუტავდა ჩაფერფლილ სულში და ნელ-ნელა იბრუნებდა სიმხურვალეს, სიცხადეს, და მე არაფერი ვიყავი ამ სიცხადის, ამ ფიქრის, ამ სურვილის გარდა, სადღაც კულისებში რომ დავტოვე სხვისი ნიღაბი და გადავლახე შუქ-ჩრდილთა არე, სადაც არ ვეკუთვნოდი საკუთარ თავს, რადგან ვიყავი ძალად შექმნილი ისტორიის ნაწილი და გაქცეული ამ ისტორიიდან, ათასი სახით, ურიცხვი ფეხით მივბიჯებდი სასახლისაკენ, ვუახლოვდებოდი მის კიბეს, მის პლანტაციებს, ქერქმთიანი რობოტები რომ იცავდნენ. მივაბიჯებდი და ვფიქრობდი იმაზე, რომ ესეც გადარჩენის ერთ-ერთი გზა იყო, წინააპართაგან გაკვალული, რათა შემეცნო და მეთქვა ის, რაც სათავეშივე მაწუხებდა, რომ გადამელახა ფაქტების სიმშრალე და მეპოვნა სიცოცხლით სავსე სიტყვის ნაკადი. იგი კი არ დახატავდა, აამოძრავებდა, გააცოცხლებდა ქალაქს, რომელსაც უცვნ, რატომღაც შევხედე როგორც ჩემი სტრიქონებიდან ამოზრდილ სიმწვანეს. სახურავები იალქნებივით ირწევა ფოთოლთა ტალღებში, ოღონდ ეს იალქნები სიბრაზეშ მოდრიკა, სიმშვიდის ფსკერზე მთვლემარემ, აღელვებული ქალაქი, ამბოხებული სული ჩემი, წარსულიდან გადმოსული აკაციები, დათოვლილი ფურცლებით მიწა — ყოველი ფიფქი სავსეა სტრიქონებით; უამრავ ფერთა დაფლეთილი სითეთრე, ათას ბგერათა მომცვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველი სიჩუმე... ამბავი, რომელმაც დაკარგა სახელი, იქნებ აზრიც. იქნებ შინაარსიც, მაგრამ არ დაკარგა ის, რაც თან მოიტანა — დღესავით ნათელი ღამე, ჩირაღდნებით ანთებული ქუჩა და მოლოდინი უფრო უკეთესი ცხოვრების.

წვრილ-წვრილ ამბებად აღარ მინდა დავქსაქსო ეს მთლიანი, გაუბზარავი ქალაქი, რომელსაც ძველებურად უკვე ველარ შევიგრძნობ, მაგრამ საბედნიეროდ (თუ სამწუხაროდ), მწერალი გახლავართ და გარდაცვლილი განცდა სიტყვებით ისე შემიძლია შევალამაზო, ნამდვილისგან ვერც გაარჩევ. მართალია, ის მე აღარაფერს მაძლევს, მაგრამ სხვებზე ნამდვილივით მოქმედებს. ვიცი — როგორ მოვაწონო მათ თავი, როგორ შევქმნა რიტმი, განწყობილება, თითქოს ვწერ სულმოუთქმელად, აღმაფრენით, მაშინ როცა აღარაფერი მაღელვებს.

მინდა გავცოცხლდე, მინდა დავივიწყო მწერლობა და სიტყვა საკუთარი დარდისა და სიხარულის ხარჯზე შევქმნა; ამიტომ არ მომწონს არც რობაქიძის სახე, არც სცენაზე გამოფენილი მისი ოჯახი, არც ეს უზარმაზარი დაწესებულება თავისი დამბეზღებლებით, წმინდანებით, უსახო ჩინოვნიკებით. არც ის მომწონს, რომ ვცდილობ სურათი დავაჩარული, რათა ხარკი მოვუხადო დაწესებულ ლიტერატურულ ფორმას. რატომ არ შეიძლება ესკიზურად მოვნიშნო და ღიად დავტოვო ხალხით შემორტყმული სასახლე, კიბეზე დადომდგარი გმირი, შიშსგან სახედაკარგული ჯალათი და, რაც მთავარია, უამრავ ადამიანებად ქცეული მე. სტრიქონებივით ჩამწკრივებული ქალაქის რუხ-მოძმწვანო სურათზე. გაურკვევლობის, დუღილისა და მღელვარების სურათზე, სადაც სიტყვა თავისუფლებას პოულობს, ხოლო ამ სიტყვის მძებნელი ხედავს ის საბოლოო მიზანს, რომელიც მთელი ამ ჭრელი, ძალადშექმნილი ისტორიის მანძილზე ამოძრავებდა მას.

სასახლე

ყვითელი მარმარილოთი ნაგები კედლები, სვეტებიანი ფასადი, სიღრმეში შადრევანი.... მარილაც რომ ქალაქის მშვენება გახლდათ სასახლე! მახსოვს, ბავშვობაში ღამის წამლეკავ მისკენ მიმდინარე ხალხმა! მაშინ სასახლე ადგილად მისაწვდომი მეგონა. ჯიშკარი ფართოდ იყო გაღებული და ყველა სასურველი სტუმარი გახლდათ იქ. მეც მინდოდა სასახლეში მოხვედრა, მაგრამ ვერ გავბედე. მომერიდა ასე უბოდიშოდ, ასე ნაადრევად იმ საოცარ შენობაში შესვლა. არ ავუეცი ხალხის ფეხის ხმას და მომავლისთვის გადავდე ეს საქმე. იმ დროისთვის გადავდე, როცა ნაფიტივით კი არ შემაგდებდა ხალხის ტალღა, არამედ მომძლავრებული და თავდაჯერებული, სრული უფლებით შევაბიჯებდი შიგ და დარბაზი იგრძნობდა ჩემს ნაბიჯს. ასე, ოცნებებსა და მოლოდინში გაირბინა მრავალმა ზამთარ-ზაფხულმა. სასახლის კარი დაკეტეს, რადგან გაჩნდა აზრი, რომ უძრაობის ხანაში მრავალი ეღირსი შეიპარა შიგ, დაიკავა სხვისი ადგილი და ამიერიდან მსურველთა ნაკადი ექვისა და უნდობლობის ბადეში უნდა გაეცხრილათ. რომ ქვიშა ქარს გაპყოლოდა და მხოლოდ ნამდვილი მარგალიტი დარჩენილიყო ზედ; მე ეს სიძნელე არ მაშინებდა, უფალია მოწმე, რომ სასახლეში მოხვედრა არ იყო თვითმიზანი ჩემთვის; ბევრი „ეკეთილმსურნეც“ მყავდა, რომლებიც მირჩევდნენ რაიმე სარფიანი საქმისათვის მომეკიდა ხელი. ისინი ივიწყებდნენ, რომ ჩვენი ცხოვრება წუთია და მოგეგებელია ის, ვინც არ ფიქრობს მოგებაზე, ვინც არსად გარბის, ვინც აჩერებს წუთს და საკუთარ გულისძგერას ისმენს. მე გადამარჩინა იმან, რომ არ ვფალატობდი საკუთარ თავს. არ ვეძებდი ჩემს გარეთ მდებარე მიზანს და, როცა მომწოფდა სურვილი, როცა აღარ შემეძლო მარტოობა, სრულიად ბუნებრივად ჩავთვალე სახლ-კარის მიტოვება და სასახლისკენ სვლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მიხდა სიტყვა გავაგრძელო და აღვწერო ჩემი ფათერაკებით სავსე მოგზაურობა. გამოგიტყდებით მხოლოდ, რომ ძალიან დავიღალე. გზა სასახლემდე საოცრად გაგრძელდა. როგორ ვიფიქრებდი, რომ სასახლე, სადამდეც ბავშვობაში სულ თამაშ-თამაშით ვაღწევდი, ახლა, ამდენი მომზადების შემდეგ, ასე შორს აღმოჩნდებოდა ჩემგან. როგორც ჩანს, ქალაქი მეტად გაიზარდა და ძველი უბანი ახალშენებით გაივსო, თუ ადრე პირდაპირ ავდიოდი პროსპექტზე, საიდანაც უკვე იხსნებოდა იმ საოცარი შენობის ხედი, დღეს კიბე მიწასთან იყო გასწორებული, გადათხრილი ქუჩა აქეთ-იქით უხვევდა და გარს უვლიდა თავის მიზანს. — იმ სასახლეს... არა! ვერც კი გადმოგცემთ, რა ტანჯვა გადავიტანე! „კეთილისმსურველები“ ყველგან ხფანგებს მიგებდნენ. ერთხელ, მახსოვს, ორმოში ჩავვარდი და სამი წელიწადი რომელიღაც გამოვლილი ცენტრში ვმუშაობდი ლაბორანტის თანამდებობაზე. ცეცხლი განელდა, სული ფერფლით აივსო... ძლივს დავაღწიე თავი იმ სამარცხვინო ტყვეობას და მოვეწყვე სამსახურში, რომელიც გზის გაგრძელების საშუალებას მომცემდა.

ასე მძიმედ, მაგრამ შეუპოვრად ვუახლოვდებოდი სასახლეს, მის მოჩუქურთმებულ ჭიშკარს, რომლის მიღმა ჩემი წარმოსახვა ჯადოსნურ სამყაროს ხატავდა.

ვეფხვის წელიწადის ადრე გაზაფხულზე მივაღწიე მას. მერცხლებით სავსე ხეივანი ათასფერად ელვარებდა. ჰაერში ტრიალებდა ის უნაზესი სურნელი, რომელიც მხოლოდ ახალგამოღვიძებულ ბუნებას ახლავს თან...

მზე გადახრილი იყო ჭიშკარს რომ მივუახლოვდი, სახელურს ხელი ჩავავლე და ის იყო კარი ჩემკენ უნდა გამომექაჩა, რომ ვიღაცამ მძლავრად დამკრა მხარზე ტორი. მოვიხედე და უზარმაზარი, სახებანჯგლეანი არსება დავინახე.

— თუ არ ვცდები, ყმაწვილს სასახლეში შესვლა სურს! — მითხრა ... არ გამიკვირა, ისე დავუკარი თავი.

— მერე, ჩვენ ვერ გვხედავ?! — იღრიალა და გაშლილი ტორი გამომიქანა. განზე გავხტი და ხელმა კედელს ჩუქურთმა ჩამოათალა.

— მოვკლავთ! — მომესმა და მოპირდაპირე სადარაბაზოდან ბანჯგვლიანების მთელი ხროვა გამოცვივდა. — მაგან უნდა მოგვასწროს სასახლეში შესვლა?

სახებანჯგლეანმა ხელი აღმართა. ეტყობა, მას ძალა და გავლენა ჰქონდა ამ ბნელ ხროვაში, რადგან ბევრის აღტკინება უმალვე დაცხრა და საყოველთაო ისტერიკის მიუხედავად, ვეღარავინ გაბედა ჩემზე თავდასხმა.

— ჯერ გავარკვიოთ ვინ ბრძანდება და მერე გამოვუტანოთ განაჩენი. ექსტრემისტებმა ხომ არ გამოგგზავნეს?

— ვიინ? — გავიოცე.

— გავუშვათ, არიფია!

— სად უნდა გამიშვათ? — ახლა მე აღრიალდი. — სასახლეში მინდა შესვლა!

— ჯერ მოსამზადებელ კურსებზე უნდა ჩაიბარო! — სახებანჯგლეანმა ქეჩოში ჩამავლო ხელი და ღობეს ისე მიმანარცხა, მესერში გავძვერი და შიგ ეკლებში ჩავვარდი.

— ყვავილებს ნუ აფუჭებთ! — მიყვირა თმახუჭუჭა მებაღემ და წყალი მომასხა. სველმა და დაკაწრულმა ძლივს გამოვაღწიე ბაღის ბილიკზე. ფარდულისკენ გავიქეცი, სადაც უზარმაზარი მაგიდა იდგა. მაგიდასთან თავმოტვლეპილი კაცი დავინახე, ქაღალდებს ქექავდა.

— სახელი, გვარი, მამის სახელი, — თავაუღებლივ გადმომიგდო ანკეტა.

უხმოდ შევავსე სათანადო გრაფა.

— რეკომენდაცია გაქვთ?

პასუხის ნაცვლად გავიოცე და მხრები ავიჩეჩე.

— რისი რეკომენდაცია?

— ისე ვერ გენდობით, — თითი ასწია. — საბუთები უნდა წარმოადგინოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკირო ნორმატივების ჩაბარების შესახებ. მალხაზ, გაიცანი ინსტრუქცია!

ბუჩქებიდან გამოხტა თმახუჭუჭა მალხაზი... თავაზიანად მკლავზე ხელი წამატანა და განზე გამიყვანა.

— სასახლის წევრი რომ გახდეთ, — წკრიალა ხმით ამღერდა ის, — უნდა შეასრულოთ შემდეგი ნორმატივები...

უკანა ჯიბიდან გრაგნილი დააძარო და ნელა, დამარცვლით წამიკითხა:

ა) მესამე თანრიგი კრიცსა და კარატეში.

ბ) ოსტატობის კანდიდატი ინტრიგების ქსოვაში.

გ) პროფესიული დონე ზურგში დანის ჩარტყმისა და ორმოების თხრის ხელოვნებაში.

გამოგიტყდებით, ვერც ერთ ამ საქმეში ვერ ვივარგე! არა, იმის თქმა სულაც არ მინდა, რომ მე სხვებზე უმწიკლო და უცოდველი ვარ, უბრალოდ, ამ მხრივ არ აღმომაჩნდა საკმაო ნიჭი და სიმარჯვე.

— რა თავს იკლავ ვერ გამიგია? — ერთ-ერთი ვარჯიშის დროს გამომეცხადა თავმოტვლეპილი კაცი. — ჩამოდი, რაღაცას გეტყვი.

ხელთათმანები მოვიგლიჯე, მეტოქეს თავი დავუკარი და რინგიდან ჩამოვხტი.

— იმ გვრიალს ხომ ხედავ? — თითი გაიშვირა გაბზარული კედლისკენ. — იქიდან საიდუმლო გზა პირდაპირ სასახლეში შედის. შენ გასამრჯელო თქვი, თორემ მეგზურს წუთში გავაჩენ.

— ფული მოსამზადებელ კურსებზე დავხარჯე, — გამოვუტყდი.

— ჩვენ ესეც გვეყოფა! — თითიდან ბეჭედი წამაძრო. — არა უშავს, ცოლს ისედაც ეყვარები მალხაზ! — დასჭექა.

ბუჩქებიდან გამოხტა თმახუჭუჭა მალხაზი. ანკესზე აცმული თევზივით ცეკვავდა, ფართხალებდა.

— ეს ჩვენი ბიჭია, გზა ასწავლე!

— აქეთ, ჩემო ბატონო, აქეთ! — ხელი მტაცა და გვირაბისკენ გამაქანა.

სიბნელეში კარგა ხანს ვიბოდიალეთ. თავიდან მალხაზის სუნთქვა მესმოდა. მერე და მერე ეს სუნთქვაც შეწყდა.

— მალხაზ! — ჯერ დავიჩურჩულე. მერე დავიყვირე...

მარტო ვიყავი. გამძარცვეს და მიმატოვეს... წინ უამრავი გვირაბი გაიხსნა, რომელთაგან მხოლოდ ერთი აღწევდა მიზანს, თუკი საერთოდ არსებობდა ეს მიზანი. ჯერ ერთი გზა მოვსინჯე, მერე მეორე, მესამე, ვიდრე არ დავრწმუნდი, რომ ყველა გვირაბი ისევ გარეთ, ქუჩაში გადიოდა.

— გაგაბრიყვეს? — გასასვლელთან სახეგანჯგლეანი არსება დამხვდა. — ეგრე ადვილი რომ იყოს სასახლეში მოხვედრა, ვინ ოხერი დაიშურებდა ფულს? ზედმეტად ამაყები ვართ. მტერს ცალ-ცალკე ვაკვდებით. ერთად უნდა ვიბრძოლოთ!

ხელი გადამხვია და ქუჩის მეორე მხარეს, გაშლილი კარვისკენ წამათრია. საიდანაც უცხო სახეები იჭყიტებოდნენ.

— აბა სასწრაფოდ სტუმარს არაყი!

ქუთაზე შემომდგარი ხალით სავსე ქვაბიდან ჭიქაში წვეთ-წვეთად მოჟონავდა ცხელი, სურნელოვანი არაყი.

— ჩვენ აქ მთელი მეურნეობა გვაქვს, — ღიმილით დაიღრიჯა ჩემი მსპინძელი. — აბა რა ვქნათ? წელიწადზე მეტია, სასახლის გაღებას ველოდებით და კიდევ ღმერთმა უწყის, რამდენახანს ვვაჟურჟუტებენ. აქ რომ მოვედი არე-მარე ჩონჩხებით იყო მოფენილი...

არაყი სასულეში გადამცდა და ხველება ამიტყდა.

— ალალი, ალალი, — ზურგზე მუშტი დამკა სახეგანჯგლეანმა, — ჩემი სხვილია ვანო. თავიდან მეც შენსავით სუფთა და გაპარსული ვიყავი. წვერი პროტესტის ნიშნად მოვუშვი.

— რაიმეს იმედი თუ გაქვთ? — კითხე.

— მხოლოდ სასწაულის, — თავი გაიქნია. — წელიწადში ერთხელ, გაზაფხულზე სასახლეში უხუცესები იკრიბებიან და გარეთ დარჩენილთა ბედ-იღბალს წყვეტენ. იშვიათი გამონაკლისების გარდა. მათი საკრებულო, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესი, უშედეგოდ მთავრდება ხოლმე...

ეს საბედისწერო დღეც შეუმჩნეველად მოგვადგა. მანამდე მე უკვე შევეგუე მოლოდინითა და სასწაულის იმედით გასხივოსნებულ ცხოვრებას. სხვებთან ერთად დავდიოდი სანადიროდ, უკან არ ვიხედი არანაირი სამუშაოს წინაშე, რომ არჩევნებამდე თავი გამეტანა; მომყავდა კარტფილი, ვაცხობდი პურს, ამომყავდა ყველი, ვწურავდი ღვინოს, ღამღამობით კი ვშლიდი რვეულს და დაქანცული, უკანასკნელი ძალებით სულს ვუბერავდი ჩასაქობად განწირულ ნაპერწკალს. და აი, მოსლოვდა არჩევნები! ეს არ გახლდათ ჩვეულებრივი, კალენდარული დღე! ამ დღეს სასახლის უხუცესები ანგარიშობდნენ ვარსკვლავთა განლაგებისა და მთვარის მოქცევა-უკუქცევის მიხედვით...

— ხვალ არჩევნები იქნება, წინა საღამოს ცას ახედა ვანომ. მთავარია, ორგანიზებულად ვიმოქმედოთ, არ დავიქსაქსოთ.

რისი ორგანიზაცია! რა წესრიგი! მართალია, განთიადს ყველანი ერთსულოვანი გადაწყვეტილებით შეეხვედით — ძმობა და თავდადება შევფიცეთ ერთმანეთს, მაგრამ ამოვიდა თუ არა მზე, ზედა ქუჩებიდან იმოდენა ხალხი მოგვაწყდა, რომ ერთმანეთი დავკარგეთ და ჩვენი პატარა ჯგუფი გაიფანტა, ეკათითოკაცდა. ვის არ წაეწყედებოდი ამ ხალხში! სასახლის კარ-მიდამო გუჯუნითა და ხმაურით აივსო. დადგა არჩევნების ჟამი! მე შიშნარევი სიხარულით, აღტაცებისა და სასოწარკვეთის რაღაც უჩვეულო, დღემდე განუცდელი ნაზავით მოჯადოვებული ვიდექი ჭიშკართან. ტო ისე გარბოდა — ვერ ვგრძნობდი მის სვლას, ხალხი ისე მარწევდა, თითქოს მე კი არა, თვით სასახლე თამაშობდა უხილავ სასწორზე.

— ყურადღებით იყავი! — მუჯლუგუნი წამკრა ვანომ. — შესვენება იწყება და შეიძლება, რომელიმე წევრი აივანზე გამობრძანდეს.

სიტყვაც არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ფარდა აიკეცა და მრგვალთაღოვან აივანზე სასახლის წევრი გამოჩნდა! ო! ეს იყო სულ სხვა თიხისგან გამოძერწილი არსება! მისი დატკეპნილი თმა სარკესავით ელავდა მზეზე. მის თეთრ, სუფთა სახეზე, მის ქუთუთოთა ვარდისფერ ნიეარებში თვალ-მარგალიტები ბრწყინავდა. მისი სიგარეტის არომატი მთელ ქუჩას ასურნელებდა. მისი თითებიდან გადმოყრილი უნაზესი ფერფლი პეპლებად იფანტებოდა და ტრიალებდა სასახლის ბაღში...

— ბატონო ჩემო! — გასძახა ვანომ. — ჩემი განცხადება თუ განიხილეთ?

ვერ გავიგეთ, თანხმობის ნიშნად დახარა თავი თუ უბრალოდ პეპლები ჩამოიბერტყა კალთიდან. შემდეგ სიგარეტის ნამწვი მოაჯირზე ჩააქრო და წკიპურტით მოისროლა.

არიქა, ფილტრში შეიძლება ბარათი იყოს ჩაეცალიო! — ვიღაცამ მოისაზრა და იმ ჩანახშირებული ნამწვის ძებნაში მთელი ქვაფენილი გადაკვეთეთ.

— ტყუილად ირჯებით, ეგენი ინფორმაციას მტრედებით გადასცემენ, — აზრი გამოთქვა სახანძრო მანქანისფრად თმაშეღებილმა ქალმა.

— არც მაგის უფლება აქვთ, — თქვა ვანომ. — თავი რომ დაგვიქნია, ამაზეც მადლობელი უნდა ვიყოთ!

— ნამდვილად მე მომესალმა, — ჩაგვერია ლოყაწითელი ბიჭი. — ჩვენ ერთი სოფლიდან ვართ.

— მოგესალმა არა! — ხელი აუქნია თმაჭაღარა ბებიაჭამ. — უბრალოდ, ფერფლი ჩამოიბერტყა და ამით გვაგრძნობინა: საღამომდე მაცალეთო.

— საღამოს სასახლეში კონცერტი გაიმართება, — შემოგვაპარა ვანომ.

— კონცერტის შემდეგ ქეიფს აპირებენ, — ჩაურთო ვიღაცამ. — წუხელ თურმე სახურავზე შეეულმფრენი დამჯდარა და სულ ტომრებით ჩაუზიდიათ სასმელ-საჭმელი!

— ეგენი ყოველ ღამე ქეიფობენ! — ამოიოხრა ბებიაჭამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამბობენ, თურმე ნამდვილი სამოთხეა შიგ! ჩემი ბიძაშვილის ცოლი ქვედა სართულზე დამლაგებლად მუშაობდა და ის ყვებოდა...

— ششش, — გაიჩუმა თხრობის ეშზში შესული ქალი ვანომ.

შორიდან ბუნდოვნად მოგვესმა მოტორის გუგუნი...

— წელსაც თუ იგივე განმეორდა, ავაფეთქებ ამ სასახლეს! — ვანომ ცას მუშტი მოუღერა.

— რა! რა ხდება? — დაფაცურდა ხალხი.

გუგუნი გაძლიერდა. შორიდან მოციმციმე შუქი მოახლოვდა და ვერცხლისფერი შვეულმფრენი კალიასავით დაასკუპდა სასახლის ანძას.

— უჰ! თქვენი! — საზარელი ხმით იყვირა ვანომ.

შვეულმფრენიდან კიბე ჩამოუშვეს. კიბეს პატარა ბიჭი დაეკიდა და პირდაპირ სასახლეში ჩახტა.

— რიგი წაგვართვეს! — ამოიგმინა ხალხმა.

— რას ერჩით იმ ბავშვს, დედ-მამა სასახლეში ჰყავს და თვითონ გარეთ ხომ არ დარჩება? — აღშფოთდა თმაშეღებილი ქალი.

— შენც იმათ მხარეზე ხარ? — იღრიალა ვანომ და ქალი თმით დაიირია.

ძლივს გავაშველეთ. ქალი სახანძრო მანქანის სირენასავით კიოდა. კივილზე ქვედა სართულის ფანჯარა გაიღო და იქიდან თმახუჭუჭა მალხაზმა გამოყო თავი.

— რა გაღრიალებთ, რა ხდება!

— ვინ გავიდა წევრად? — იყვირა ვანომ.

— ერთი ადგილი იყო და ისიც ღირსეულმა დაიკავა!

უნდა გენახათ, რა ამბავი დატრიალდა სასახლის ირგვლივ! ხალხის აღრიალებულმა ტალღამ ღობე გაანგრია, ეზო გადათელა და თავისი გააფთრება, ამდენი მოღოდინით დაგროვილი სიბრაზე გადარაზულ ჭიშკარს შეაფრქვია. ერთი დარტყმით რომ ვერაფერს გახდა, უკუიქცა. მომძღავრდა და ისევ წამოვიდა!.. მე და ვანო წინა რიგებში ვიდექით. ძლიერდი, ამიტომ, როცა ურდული გატყდა, როდესაც კარი ანჯამებიდან ამოვარდა და გვერდებზე ჩამოცურებულმა საცოდავად დაალო ყბები, ჩვენ ერთერთმა პირველებმა გადავლახეთ აკრძალული ზღვრბლი და პირველებმა დავტოვეთ კვალი მარმარილოს კიბეზე. ზემოდან ოდნავ დაბერა სიომ, ოღონდ ან ქროლვამ ტყვიისავით მძიმე, წამლის სუნით გაჟღენთილი ჰაერი მოიტანა, მტვერდადებული, ჩახუთული და ფისივით ბლანტი. მაინც წინ მივიწევდით, ოცნებით შექმნილი დარბაზებისკენ, რომელთა სიჩუმემ შთანთქა გარედან შემოპრალი ტალღების ათასგვარი ხმა. უამრავი დაჯუფებისაგან შემდგარი და აწ ერთმანეთში განურჩევლად ადღეებული ბრბო ცერებზე შედგა და ფეხაკრეფით, თითქოს მძინარეს ეპარებაო, სხდომათა დარბაზისკენ დაიძრა. სპილოს ძვლის კარს ხელი ვკარი და უხმაუროდ, რბილი ზამბარების ოდნავი წამღერებით შევაღე ათასნაირი მითქმა-მოთქმით მოპირკეთებული დარბაზი. რისი მოზაიკა და რა შადრევნები, სად იყო თუნდაც ის განთქმული მაგიდა, რომლის ირგვლივ სასახლის უხუცესები იკრიბებოდნენ და უბრალო მოკვდავთა ბედ-იღბალს წყვეტდნენ! დიახ, ჩემო ძვირფასებო! ეს ყველაფერი სიცრუე აღმოჩნდა! სიცრუე! დარბაზი კი არა, ერთი ვიწრო, მოთხუპნილი ოთახი იყო, გაძვალტყავებული მაგიდით. მაგიდასთან თავწკარული სასახლის წევრი იჯდა და ბოთლიდან ჭიქაში ვალერიანის წვეთებს ითვლიდა.

— დანარჩენები სად არიან! — დაიქუხა ვანომ და თითები საყელოში წაატანა.

წევრმა ხელი აუქნია, — თვლას ნუ მიშლიო, შემდეგ წყალში განზავებული წვეთები არაყივით გადაჭარა, რის ეიკვაგლახით წამოდგა, თვალი მოგვავლო და ომახიანად დასჭექა:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძ... — მობრძანებაო, უნდოდა ეთქვა, მაგრამ ძალა აღარ ეყო. წაბარბაცდა. მაგიდას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოებღაუჭა, ისიც წამოიღო, გადმოაგორა და საშინელი, გამაყრუებელი ლეწვა-მტვრევით ჩაიფშვნა მის ამოყირავებულ ფეხებში.

— დანარჩენები სად არიან! — ვანომ ახლა მუშტები კედლს დასცხო, მაგრამ ესეც აღარ დასცალდა, ჭერი დასკდა, თაბაშირი ჩამოიფშვნა და სახურავის ქანდარაზე ქათმებივით შემოფრენილი სასახლის უხუცესები გამოჩდნენ.

მობრძანდით, დაბრძანდითო, — ქანდარაზე მიგვითითა თმახუჭუჭა მალხაზმა და პატარა ბიჭს ანიშნა, ყვავილები მოამზადეო...

აქ გაჩერება უკვე აღარ შემეძლო. სიბნელესა და სივიწროვეზე უფრო ეს მძიმე, დაჭაობებული და ჩახუთული პაერი მახრჩობდა. ოფლი ღვარად ჩამომდიოდა, თავბრუ მეხვეოდა; ძლივსღა ბეუტავდა ნაპერწკალი სულში, ცოტაც და, სამუდამოდ ჩაქრებოდა ის, რის გადარჩენას და გაღვივებასაც მთელი ცხოვრება შევწირე. არ მახსოვს, ვის გადავახტი, ვინ ჩამოვიცილე გზიდან, რა გავანგრიე, გონება მხოლოდ მაშინ დამიბრუნდა, როცა ხალიჩაზე მოვცურდი და მთელი სიმძიმით, იმედგაცრუებული კაცის მთელი გაფთრებით შევენარცხე ანჯამებიდან ამოვარდნილ კარს. დაჯახებისგან კედელი გაირღვა, სასახლის გუმბათი გასკდა და ის იყო, გარეთ გამოვარდნა მოვასწარი, რომ ეს უზარმაზარი შენობა თავისი სვეტებით, ფერადვიტრაჟებიანი ფანჯრებით, ჩუქურთმებითა და აივანზე გადმომხობილი დიდებული ბანით, ძირს ჩამოიქცა. ქალაქი წამით შეჩერდა, გაოგნებული მიაშტერდა მტვერში გახვეულ, ნანგრევებისგან დახვავებულ უზარმაზარ მთას, შემდეგ სიჩუმარივით ჩამოიფერთხა ეს გაქვავებული მზერა, ისევ ახმაურდა, ამოძრავდა და მზის სხივებზე მოელვარე ლითონის ზვირთებით, სასახლის ნანგრევებისაკენ დაიძრა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი ბაზაძე

●

მარტო ხარ ცის ქვეშ, ნახე, მარტო ხარ,
თებერვლის თოვლის კალთებს
ჩამოჰყვა,
მარტი ჩამოჰყვა, მარტი.

უკვე რამდენი წელიწადია,
მე ჯვარცმულს ასე არ მიდარდნია,
ჯვარცმულს — ამდენი დარდით.

ვერ შემარიგა ხელმა იარაღს,
გავუხსნა წარსულს ყველა იარა,
წარსულს, შურიევით ნამდვილს.

ფიქრმაც ვერაფრით ვერ შეითვისა,
არ მიტოვრია რითაც, რისთვისაც...
თვალში ზამთრები ბარდნის.

ვინ შეიწყნაროს ჩემი მწიერული
ყოფა, აქ როა დღეს განწირული
მარადიული წვისთვის.

და ცივი ქარიც მოაწყდა კედლებს,
ჩემი სახლისას მოაწყდა კედლებს...
ვხედავ, მარტოა ისიც.

მარტო ხარ, მარტო, ცის ქვეშ მარტო
ხარ,
თებერვლის თოვლის კალთებს
ჩამოჰყვა,
მარტი ჩამოჰყვა ცივი.

პირზე ღიმილის ნიღბებს ვუკეთებ,
რომ ვერ ინატრებს ვერვინ უკეთესს —
ჩემს საამსოფლო ტკივილს... —

მარტო ხარ რადგან, ცის ქვეშ მარტო
ხარ.

●

მსურს, გელათის ცის ქვეშ ვიწვე,
ლურჯი რო მიბრმავებს სივრცე
მზერას... ლამის მზერად ვიქცე,
ლამის მზერად ვიქცე, ლამის.

ტანს ჭრელ ყვავილებს რო იცმევ —
შენი გაზაფხული ვიგრძენ...
ლამის გაზაფხულად ვიქცე,
ლამის გაზაფხულად, ლამის.

როცა შენ გტკივა და ვისმენ,
მტკივა მეც თუ სტკივა ვისმე,
ლამის ერთ სხეულად ვიქცეთ,
ლამის ერთ სხეულად, ლამის.

რადგან მენატრები ისე,
რადგან გენატრები ისე,
ლამის მონატრებად ვიქცე,
ლამის მონატრებად, ლამის.

●

მეგის, — დობილის ხსოვნას

ახლაც მესმის, ვისმენ
ჩურჩულს შენსას, მეგი,
დარჩი ცრემლი ფიქრზე
თეთრად დანალექი.

ღამეებმა უძილომ,
უფსკერომ და უძირომ,
გამახსენა ლიბანი...
დაო, შენი ჭლექი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინავლული ხველება,
თვალის გზით გაშტერება,
ტყისკენ ლურჯი სარკმელი
ტილოს სქელი ფარდით.

„არაფერი მომხდარა
რამე გასაკვირველი“, —
თქვა ექიმმა — პირველი
იდგა სველი მარტის.

წლებმა გადაათოვა
გულს ეს დარდიც — დასტოვა
ხსოვნამ განუკურნელი
გულზე განაკაწრი.

ვხედავ, ვიცი, მარტო ვარ...
ვიცი, ვხედავ, ვიცი
კვართს დამახევს ჯვარცმისთვის
ბედისწერა მკაცრი...

უთეთრესი ლედი —
ყელწაჭრილი გედი,
წევხარ ოღსკურაზე
მოხუც დედის გვერდით.

დღეებს ნაშემოდგომარს,
დღეებს ნაშემოდგომარს
ჰგავდით ტყუპისცალივით
შენ და შენი ბედი.

●

მისველებს სახეს შხეფები ლეთის,
ხან მდინარე ვარ,
ხან ლურჯი ზღვა ვარ,
ხან სინათლე ვარ

წყვდიადთან მდგარი...
(ყველას თავისი დაჭყვება ბედი)
საცაა ზურგის დაჰბერავს ქარი,
დაჰბერავს ქარი და სადღაც წავა.

ქალისადმი, რომელსაც მარი დავარქვი

როდესაც ვნების იღმუვლებს ქარი,
როცა შენ იგრძნობ ჩემს სხეულს მარი,
მძიმედ დაგმანე კარები, მძიმედ.

როცა სარკმელთან იქნება თოვა
და ემსგავსება თოვა ცის გლოვას,
მეტყვი: „აქ ახლა არავინ მოვა,
აქ ჩვენ ვართ მარტო და ვიზეიმებთ“.

ისე სჭირდები სიცოცხლეს ჩემსას,
ლამის სურვილმა იფეთქოს ლექსად...
ისე სჭირდები, ისე.

აღარ თავდება ეს უსასრულო
გზა. რისიც ასე მსურს დასასრული...
მე უცნაური მქონდა წარსული —
მქონდა სიზმრების სივრცე.

ვერ შემაჩვია გლოვას დღეისმა,
ყველა სასმისი თუმცა შეისვა,
შხამის სასმისი ყველა.

ფერადოვანი სივრცეც არა ჩანს,
უფსკრულებია სივრცის დარაჯად
და, აქ ვერავინ გადაალაჯა
საშიშ გრიგალთა ხველას.

ნუ დაგვიძახებს ნურვინ გარედან,
აქ მინდა ახლა შენს სიწყნარესთან,
ახლო შენს მკერდთან მინდა.

მომეკარ ძლიერ... იქნებ დამთავრდა
ზღვები ოცნების, ზღვები ნატვრათა,
ანდა იქნება შენც შეგაშფოთა
თვალში ჩამდგარმა ბინდმა?!

აღარ თავდება ეს უსასრულო
გზა. რისიც ასე მსურს დასასრული —
ვითმენ სიცოცხლეს. ვითმენ.

ვითმენ ტკივილსაც შიგ რო მოგროვდა
ჯოჯოხეთური და საგოლგოთე,
დამშვიდდე იქნებ შენით როგორმე,
იქნებ როგორმე. რითმე.

ლიტერატურული ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲕᲘᲓᲘ ᲡᲝᲜᲔᲢᲘ ᲜᲐᲢᲐᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ

I

მადლობელი ვარ! წამით შენი სახელი წამცდა
მწუხრზე, როდესაც ღვთის წინაშე მუხლზე დავეცი,
ცა არის ჩემი მარადისი ლურჯი ტრავერსი
და გზად მიმავალს რას მისაგზლავ შენს მაშვრალ ვასალს.

მიწას ვუტოვებ ჩემს სატკივარს, გადუხდელ ვალსაც,
ვუტოვებ ტანჯვას — შენს სახსოვარს, საჩუქარს შენსას,
ვუტოვებ ვნებას, ლექსად ქცეულს — ვუტოვებ კვნესას —
მართალ სიმღერას, ვერ ვთქვი რაიც — ვუტოვებ მასაც.

ვუტოვებ ღიმილს ბედისწერად რო მდევდა საპყარს.
შენს ზღაპრულ იერს — სხვის განძს, მაინც საესავს ჩემსას,
ვუტოვებ ფიერსაც. აქ მიწაზე მავანს და მავანს.

...აპრილი მოვა, გადაიცვამს ტანზე ჭრელ კაბას.
მოვა ვიღაცა, ვერ წაუვა აქ ისიც ვერსად
ჩემდაგვარ ტკივილს... მოვა ვიღაც. მოვა და... წავა.

II

გზას შევაბერდი — ხეტიალში დავმთავრდე მგონი.
გულზე შემადგნენ უმძიმეს და უტლანქეს თათით
წელიწადები გადავლილი ნელი ტაატით,
ღელვით, სიმშვიდით, უნაპირო ფრენით და ქროლვით.

აქ მერგო ცივი ყვავილები თოვლის და თოვლის,
მერგო საშიში კოშმარეთი და მერგო სრული
გმობაც, რომელმაც შემატოვა ჩემს ბავშვურ სურვილს,
სურვილს მხოლოდღა უფსკრულად რო დგას დღეს ჩვენს
შორის.

როდი ვეკუთვნი ჩემს ცხოვრებას! — სივრცეთა გარე
სხვა ფერადები მინათებენ გზასა და მანძილს,
უკან მოქცევას არ ვინატრი... ხიდები დავწვი...

უკან აზმორებს დავიწყების ფერადი ნისლი,
უკან მხარეა უარყოფის და ჯვარცმის მხარე
და შენ ხარ, ვისაც დაცემული დღეს ხელებს გიწვდი.

III

რა დააწყნარებს ზღვას, გულში რო ავდრებმა შესძრეს,
რა დააწყნარებს ფიქრს წამოშლილ ქაოსით დასჯილს,
მინდა გულჩვილი ატირება ჭირვეულ ბავშვის,
მინდა და დღემდე საამისო მიზეზსაც ვეძებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ გამოჩნდა ზღვის ნაპირთან... მზის ქვეშ — მზეზე
ანათებს შენი თეთრი ტანი — ღრუბელი თეთრი
და ზაფხულის მზეც ალბათ მისთვის არი დღეს მკვეთრი,
რომ ცხოველ სხივებს შენი ტანის ხნულებში თესდეს.

ეიდექი ზღვასთან, უეცარი ზმანების ნაღველს
ვერარა შველის... ჩრდილი ჩამწვდა მზერაში მუქი,
უცებ დამთავრდა ყველაფერი და შენი შუქიც

ჩემი ჩვენების შემორკალურ სამანებს გასცდა...
რაკი ბავშვური ატირების მიზეზი ვნახე,
ავტირდი ჩუმად მეც შემთხვევით მისული ზღვასთან.

IV

გინდოდა ერთხელ გეთქვა ჩემთვის ნუგეშის მსგავსი
რამე ისეთი გსურდა გეთქვა, რატომღაც გსურდა
და, ჭარმა — ასე უმოწყალოდ მზაკვარმა ქურდმა,
გადააცალა აჯამეთის ვრცელ ტყეებს ფლასი

მხრებზე სიმწვანის!.. მიმოღვარა ვეება ვარცლით
ირგვლივ ყვითელი ფერის სილბო და ოქტომბერიც
იქცა ფიქრისთვის შენებრ შორი და ახლობელი
და უცნაურად მშობლიური და სათნოდ მკაცრი.

ოცნება დღემდე გადაფრენილ დღეებსაც ერთვის,
ვრცელია მისი არეალი და უფრო ვრცელი
აქ საამსოფლო წამებაა, რომელიც ელის

მაღალ დასასრულს უმარტივეს, რთულსა და ციერს...
..რაღაცა გსურდა გეთქვა მაშინ, გსურდა და ვერ სთქვი,
ან იქნებ სთქვი და წასულს სიტყვა ვერ დამაწიე?

V

ჩვეულებრივად ვარ მარტივი და უშურველი,
ეიკეთებ ნიღბებს შესაფერისს ულმობელ დროსთან,
ხან არლეკინი ვაფრიალებ სიცილის დროშას,
ხან მანეკენიდან ბანჭოს ქაღალდს ვაძვრენ შულერი

ჩასაფრებული ვიღაცის ბედს მგლური სურვილით...
ეს წესი არი დღევანდელი და გასართობი,
ჩვენ ერთმანეთით ვცხოვრობთ, თუმცა ზოგჯერ მარტონი
სხვა სინამდვილეს ვეწაფებით ხარბი წყურვილით.

რადგან უდაბნო არის ნდომა და არ ვიღლებით
ამ გამუდმებულ ხეტიალში ყოფით ძლეული
და ერთმანეთის ვაფათურებთ ხელს განძეულში —

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულში, რომელშიც სატანასაც ერგო ადგილი...
ინებეთ, პირზე აიფარეთ თქვენაც ნიღბები,
ეს საუკუნის თამაშია ერთობ ადვილი.

VI

მიაყურადე გულს, რომელშიც ქნარები რეკენ,
დამწყვდეულები სამუდამოდ მკერდში ქნარები,
ზამთრის ღამეებს მიეუკეტე სახლის კარები
და გასწმუტუნებს ახლა ქარი შორეთს ლეკვივით.

კედლებზე ცეცხლის მკრთალი შუქი ჩანს არეკლილი.
ბუხართან ვცხოვრობ, ზმანებაა თეთრი სულეთის...
უცებ შემოვა გაზაფხულის თვალში სურათი
ლურჯი მინდვრებით... მთებზე ნისლი რძედ დანალექი.

მოგონებებმა შემომაჯდეს მხრებზე ბრჭყალები...
გარეთ წუხს ცივი დეკემბერი, ვით მაცხოვარი.
არ გენანება მკაცრ სიცხადით ტანდალეწილი

ჩემი სიზმარი?.. შემომცქერის ხარბი თვალებით
დაღლილ მგზავრს ავად მოდარაჯე ბედი — მსტოვარი,
ვისთანაც დღემდე შერიგება ვეღარ შევძელი.

VII

სიმშვიდეს ვეძებ! არასოდეს არ ჩამითვლია
ფუფუნებათგან უკეთესი სხვა ფუფუნება.
მე ბუნება ვარ ბუნებაში! და ჩემს ბუნებას
წარუვალობის დამღა აზის... მძიმე ტვირთია

ჩემი სიმღერაც ამოზრდილი ვნების ზვირთიდან
ქრისტეს ჯვარივით გოლგოთისკენ რო მითრევია,
აგერა, ტანჯვა ყვავილივით მომირთმევია,
ტანჯვა, რომელიც მე ეკლიან გზისთვის ვიტვირთე

და კისრად ვიღე ყველა გვემა მართალმა ცასთან!..
რომ დაცხრეს წუთით ქარიშხლების ჩემში ხველება,
კარზე მოვადექ შენს სიმშვიდეს დასასვენებლად,

რომ მომერიოს თვალზე რული დაღლილს მალიად...
რომ ვსთქვა: რა ხელი უნდა ჰქონდეს უკვდავებასთან
სიკვდილს... სიკვდილი, რა ხანია, ჩვენთვის მკვდარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელა შალვაშვილი

ცხოვრებას კვლავაც მე თქვენდამი ძმობით ვაპირებ

საქართველოდან წახულ ებრაელებს

ყოველთვის მჭონდა სიყვარული
მე თქვენი, ძმებო,
თქვენს სიდიადეს მე ყოველთვის
ვსცნობდი და ვგრძნობდი;
მომიდის სიტყვა თქვენდა ტრფობად
და თქვენდა ქებად,
თქვენ გვიპასუხეთ მარტოოდენ
ძმობაზე ძმობით.
გაითავისეთ ჩვენი ენა,
ჩვენი ადათი, —
დიადს, ცხადია, მარტოოდენ
დიადი იცნობს...
ო, ძენო ისრაელისანო,
ძენო ადამის;
გჯეროდეთ, ქვეყნად ჩვენნაირად
ვერავინ გიძმობთ.
დიადს, ცხადია, მარტოოდენ
დიადი ხედავს,
ერთიმეორეს ამიტომაც
შევეთვისენით...
უფალო! დიდო მბრძანებელო
სამყაროს ზედა,
ბოროტისაგან ორთავენი
ერთად გვიხსენი!
გისამშობლოვათ ჩვენმა მიწამ,
მაგრამ უწყოდით
დიდი ბიბლიის შემოქმედმა
დიდმა შვილებმა,
აღთქმულ ქვეყანას მარტოოდენ
შენსას უწოდებ
და მისკენ სწრაფვად
აღაჩინეთ გულმოდგინება.

წახვედით, წაგყვათ გული ჩვენი
ესეც იცოდეთ,
არცა ის გვიკვირს, თქვენმა ნებამ
წასვლა ინება...
თანაც, ოცდაექვს საუკუნეს
ისე იცხოვრეთ,
არც გიფიქრიათ ჩვენი მიწის
წაპოტრნება.
ამას ის ფიქრობს, ვისაც არ აქვს
სამშობლოს გრძნობა,
ვისაც დიადი სამშობლო აქვს,
რად უნდა სხვისი...
რაც უნდა მცირე მიწა გქონდეს,
გეყოფა ტკბობად,
ღირსეულ შვილებს ფრთების გაშლად
ეყოფათ ისიც;
თქვენი ტკივილი ჩვენნაირად
არვის ასტკივა,
ჩვენი წუხილი შეაწუხებს
თქვენებრ არავის;
ჩვენ ერთმანეთი ერთმანეთის
გვიჩანს ნაწილად,
ჩვენ ერთმანეთთან არცარა გვაქვს
დასაფარავი.
მიიღეთ ჩემი სიყვარული —
ზღვა უნაპირო,
ჰა, ჩემი გული, ვით იტყვიან
გულს გული იცნობს...
ცხოვრებას კვლავაც მე თქვენდამი
ძმობით ვაპირებ,
ამქვეყნად რადგან თქვენნაირად
ვერავინ გვიძმობს.

ეს კრუალა

შუაღამე გადავიდა რა ჩანია,
შუაღამე — დაბზარული კრუალით...
ეს კრუალაც გულისგულზე ნახალია,
ეს კრუალა — სიმშვიდეზე უარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გინდა და რას დაეძებ ამ ღამეში,
უხილავო, სით მეხმიანები...
შენს გვამშიაც დაუწყია დარდს თარეში
და ჭრიჭინებ ამა დარდის ბრძანებით;
რა გინდა და რას ხმიანებ, შენ ხომ
მაინც.
შენ ხომ მაინც ჩანხარ თავის უფალი...
რა სათქმელით მიმაგებო უნდა აისს,
რა მიდამო აიკელი მუდარით;
შუალამე მიილია რა ხანია, —
გადაბმული ძახილით და კრუალით...
ჩანს, რაღაცას მიმანიშნებს სახვალიოდ
ეს კრუალა — სიმშვიდეზე უარი.

ღალატის სუნი მოგვეხალა

შემომეფეთა მოყვავილე შინდი ბილიკზე, —
ავად მენიშნა დილადანვე ყვითელი ფერი...
ღალატის სუნი მომეხალა — გადავვლე სერი, —
გამომიკეთა ხასიათი ვეღარც პირიმზემ.

დარდმოძალებულ გულისათვის საამო კვერი —
ალმასასხმული გადიჭიმა სხივი ირიბზე...
დღეს სხივიც, ჰანგიც, ჩქამიც გულში ისარს მიმიზნებს,
თავი მიზეზი უნდა იყოს ყვითელი ფერი.

ვნუგეშობ: ყვითელს გავამქრალებ ზეცისკენ მზერით,
ზეცა საჩემოდ გადმოაფენს ცისფერ კრიბებს;
ისევ და ისევ ამ ყვითელზე ფიქრებს ვირიდებ;
არადა, მზერას კვლავ ესობა ყვითელი ფერი,
ჩვენს დაშორებას მანიშნებდა რომელიც ოდეს,
ისე წავშლილვარ, რომლის მერე... ვეღარც კი ვგოდებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი კეჭაღმაძე

ნადირობა ტბის გაღმა, ტყეში

მოთხრობა

მენავემ ბოღიში მოგვიხადა, აქვე, მახლობელ ქუჩაზე სახლი მიდგას, უნდა შევიარო, გინდათ, დამელოდეთ, გინდათ, სხვა ვინმეს გაჰყევითო; ცერად გადახედა ჩვენს გატიკნილ ზურგჩანთებსა და მათ შორის ჩაცუცქულ დინკოს — მირონის შავ, გრძელბეწვიან სეტერს; კეპიანი ქუდი ჩამოიმხო თავზე და ფარდულის უკან გაუჩინარდა. ვის გავყვებოდით, ეს კაცი ერთადერთი აღმოჩნდა მთელ სანაპიროზე, დღეს ტბის გადაცურვას და გაღმა, ტყეში წასვლას რომ აპირებდა. იქვე, ძელსკამზე ჩამოსხედით და დაველოდეთ.

დინკო თვალებში შემოგვიციცინებდა, ცმუკავდა, ლამაზად ჩამოქნილ წინა ფეხებს წამდაუწუმ ინაცვლებდა, თითქოს ეს-ესაა ადგილს უნდა მოსწყდესო, მოუსვენრად წკმუტუნებდა. ერთი ორჯერ შემოგვიყეფა კიდეც, გვიჯავრდებოდა, რას დამსხდარხართ მანდ, ადექით, გზას ვეწოოთო. მირონმა დაუყვავა, თავზე ხელი გადაუსვა, დაწყნარდიო, უთხრა, სულსწრაფი ნუ ხარო. ამ ალერსმა დინკო უფრო აიღელვა, ათრთოლდა, აცეკვდა, წკმუტუნს უმატა.

უხალისოდ, ზანტად თოვდა. ცა სავსე იყო წვრილი, თითქმის უჩინარი ფანტელებით. დროდადრო ქარი წამოუბერავდა და ფანტელებს სახეში მოგვაყრიდა.

— ამ ყიამეთში აღუღუნებულ ბუხართან ჯდომას სჯობია რამე? — მითხრა მირონმა, — ჩვენ კი ტყეში, ჯობში, ჭონჭყოსა და ლაფში მივძვრებით. როდის ვისწავლით ჭკუას? ვინ იცის, იქნება ის ჩვენი ქოხი თოვლმა უკვე დაანგრია და თავიც ვერსად შევაფაროთ.

ტბის გაღმა, ტყეში მირონის სოფლის ფერმას ბოსელი ჰქონდა. ბოსლის გვერდით ერთი ორთვალა სახლიც იდგა მწყემსებისათვის. ზამთრობით ბოსლიც და სახლიც თავისუფალი იყო. ფერმის საქონელი სოფელში იზამთრებდა.

ათოოდე წუთის შემდეგ მენავეც გამოჩნდა. მირონი წამოდგა, ჩანთას წაეტანა. ნავი აკვანივით ირწეოდა წყალზე. მირონმა ნავი გულდასმით მოათვალიერა და თავი გადააქნია. მენავემ თვალი შეასწრო, მშვიდად გაიღიმა და თქვა, გაღმა, ტყეში, თხმელის შეშა მაქვს დაგროვილი და, ქარი თუ არ ამოვარდა, იქნება დაღამებამდე ორჯერ მაინც მოვასწრო გასვლა-გამოსვლაო. მირონს თვალებში შეეხედე და შეეტყვე, ამ სიტყვებმა მასზე კეთილად იმოქმედა, დაამშვიდა. თუ ეს მენავე ყოველდღე ორ-ორჯერ გადი-გამოდის ტბაში, საშიში არაფერი ყოფილაო. გიფიქრა, ალბათ.

მენავემ ბამბუკის გრძელი ჯოხი მოიმარჯვა და კარგა ხანს აჩოჩიალა თავისი ძველისძველი, დაფხავებული ვარცლი ჩამხმარ-ჩაყვითლებულ ლაქაშებში. იქაურობას რომ გავცდით და თვალწინ მუქარით ატორტმანებული, ჩამუქებულ-ჩაშავებული ტბა გადაგვეშალა, მენავემ ჯოკი თავის ადგილას დაამაგრა და ძრავა ჩართო. ნავი ამაგრამაგდა, თუხთუხითა და ჭოთქოთით შეება აკუფრულ ტალღებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენავე მერჩზე იჯდა და მშვიდად იცქერებოდა წინ. აშკარა იყო, ჩვენისთანა მონადირეები ძრავალი ჰყავდა გადაყვანილ-გადმოყვანილი ამ ტბაზე. არაფერი აინტერესებდა, არაფერს გვეკითხებოდა. მე და მირონიც მდუმარედ ვისხედით და ერთმანეთს ცოდვიანებივით ვარიდებდით მზერას. ორივენი ერთ საფიქრალს ვფიქრობდით: სად მივდივართ, რა დაგვკარგვია იმ ჯობინან ტყეში? ერთიც ვნახოთ და, ჩაქრეს ეს ადამისეულმინდელი ძრავა, ჩაქრეს და აღარ ამუშავდეს, ამასობაში ქარაშხალი ამოვარდეს, წყალში გადაგვყაროს? ვინ მოგვეშველება, ვინ გადაგვარჩენს? ძრავა ხანდახან მისუსტდებოდა, მისვენდებოდა, მერე უცნაურად ახრიალდებოდა, ხანაც მომეტებულად აგრუხუნდებოდა და აკივლდებოდა.

როგორც იქნა, გავაღწიეთ ტბას და შევუყევით მდინარეს, ტყეში მდორედ, ზანტად რომ მოიზლაზნებოდა. ნაპირებიდან თოფების ბათქაბუთქი მოგვესმა. დინკომ ყურები სკკვიტა, თვალები მოუსვენრად აციცა. ტანი დაეძაბა. სადღაც, ზემოდან, ჩამობურული, მძიმედ ჩამოწოლილი, ფანტელებით დაჭოფლილი ციდან იხვების ჭუკჭუკი მოისმა. ნავის გვერდზე გათამამებული კოკორანა ასარიალდა და მდინარის ლაჟაშებიან ნაპირზე ჩამოწოლილი თელის ტოტებში გაუჩინარდა. დინკო აწრიალდა, სადღაც სულ ახლოს დუბლეტი გავარდა. ძაღლმა დაიყეფა, ღონიერი ძაღლი ჩანსო, როგორც იქნა, ხმა ამოიღო მენავემ. კი, ბატონო, ჯანი და ღონე არ აკლიაო, უხალისოდ დაუდასტურა მირონმა. აქ ახლოსაა ჩვენი ბოსლებიო, დაუმატა. ვიცი, სადაცაო, უთხრა მენავემ, ამ ადგილებს საკუთარ ეზოსავით ვიცნობო, ძრავა ჩააქრო. ნავმა მიმართულება იცვალა, ნაპირთან მისრიალდა.

მთელი საათი ვიარეთ მუხლებამდე ლაფსა და ტალახში, თოვლში, ჯობში. მირონი წინ მიმიძღოდა, დროდადრო მოიხედავდა, მხრებს აიჩეჩავდა. ნეტა გზა ხომ არ აგვერიაო, დინკო ბედნიერ იყო, იჯერა გული სირბილით. ძლივს მივაღწიეთ ბოსლს. სახურავი თოვლს ჩაევმტკრია, კედლებიც დაფერფლებულიყო. ცოტაღა უყლდა, მალე მთლად ჩამოიქცეოდა. ტყის პირას მიკუნჭული ხის პატარა სახლი კი ყოჩაღად იდგა. ისლის სახურავს კვამლი დასვეოდა.

— იწვის! — შეეყვირე შეშინებულმა.

— კი არ იწვის, — გაეცინა მირონს. — ჩვენისთანა მონადირეები შეხიზნულან, ცეცხლი დაუნთიათ... ჩვენებურები იქნებიან, აქ უცხო არავინ მოვიდოდა.

მართლაც ნაცნობები აღმოჩნდნენ, მირონის თანასოფლელები, ორნი იყვნენ — ბეითალი ბესო გოლიაძე და ჩაის ფაბრიკის ერთ-ერთი საამქროს უფროსი ლერი ჩოჩელი. ბესო ქერა იყო, ტანმორჩილი, ორმოცს გადაცილებული, ერთი შეხედვით გაგიჭირდებოდათ მისი ასაკის დადგენა. ჩოჩელი ათიოდე წლით უმცროსი იქნებოდა, მაღალი იყო, გამხდარი. შავგვრემანი.

ნაშუადღევს თოვა შეწყდა; ქარმა წამოუბერა და ცა მოისარკა. მაშინვე გარეთ გამოვცვივდით ოთხივენი, ტყეს შევეჩიეთ, შეშის შეგროვებას შევუდექით. ბლომად გამოვზიდეთ თხმელის ხმელი ტოტები, სახლის წინ დავაწყეთ. ამასობაში საღამოც მოაწოლვდა, შევეიარაღდით და სანადიროდ გავწიეთ. ერთხანს ტყე-ტყე ვიარეთ. მწყემსებს საკონლის სასიარულოდ ჯობში ხის ნაპობებით, მორებითა და ფიცრებით ბილიკები გაეყვანათ, ჩვენ ერთ-ერთ ასეთ ბილიკს დავადექით და მალე ველზე გავედით. აქ გავიფანტეთ, ჩასასაფრებელი ადგილები მოვძებნეთ, რომ შებინდდა, ოავზე კარეული იხვების რამდენიმე გუნდმა გადაგვფრინა ჭუკჭუკითა და ყატყატით. ამით დამთავრდა ყველაფერი. მალე ჩამობნელდა. თოფი გადავხსენი, ვაზნები ამოკერიფე, მერე თოფი ისევ მხარზე გადავკიდე და იმ ადგილისკენ გავსწიე, სადაც მირონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგულებოდა. დავუსტვინე და მაშინვე გამომეხმაურა, აქა ვარო. იგი ტყის პირას მორზე იჯდა და სიგარეტს აბოლებდა. თოფი იქვე, ისლის მოზრდილ ბუჩქზე მიეწვინა.

— რა ამინდია! — წამოიძახა ხაზგასმულად ყალბი აღტაცებით, — ვერც ინატრებს კაცი უკეთესს... ასეთ დარში რა უნდა ინადირო. ჩვენ ვინ ვართ, მგონი, ლერისაც არ უსვრია თოფი.

ორიოდე წუთის შემდეგ ლერიც შემოგვიერთდა. ასეთი გაწბილებული საღამო მეტი არ მქონიაო, თქვა. მირონს სიგარეტი გამოართვა, მოუკიდა და გაბოლა.

— ბესო სად დაგვეკარგა? — ჰკითხა მირონმა.

— ზევით დგას... აბა თუ მიხვდეს და წამოვიდეს, სულ ტყუილად იყინება იქ.

— ესაა ავდაა, გული აწუხებსო? — იკითხა მირონმა, — ავადმყოფმა კაცმა ამ სიშორეზე სანადიროდ წამოსვლა როგორ გაბედა?

— გული აწუხებს თურმე, — გაჯავრებით ჩაილაპარაკა ინჟინერმა, — ვინ თქვა ეგ? ერთი მე ვარ ავად და მეორე ბესო გოლიაძე... უჭკუობა აწუხებს მაგას, მეტი არაფერი. მე წუხელ გადმოვედი წყალზე... აქ დამხვდა. ცეცხლი დაენთო, მისხდომოდა და თვლემდა. მოჩვენება მეგონა. გაფირალებულა-მეთქი, ვიფიქრე.

ჩოჩელს სიგარეტი ჩაუქრა, წკიპურტი ჰკრა და გუბეში ჩააგდო, მერე დაუმატა:

— კაცმა რომ თქვას, კი აქვს საქმე ტყეში გამოსაქცევად და დასამალავად.

წამით დუმილი ჩამოვარდა.

— რატომ? — ეკითხე.

— საქვეყნოდ მოსჩრა ბიქმა თავი, — მიპასუხა ინჟინერმა. — ვერ ჩნდება ხალხში მას შემდეგ... არცა აქვს გამოსაჩენი პირი.

სტვენა და ძახილი მოისმა.

— გვეძებს, — თქვა მირონმა, გაეპასუხა.

— ვაი მაგის პატრონს, — მიუგო ჩოჩელმა, — რა ენადირება, ნეტა ვინ-ცოდე. კიდეც რომ მოხდეს სასწაული და მოკლას რამე, ამ ჯაბში რა უნდა იპოვოს უძაღლოდ?

— ნადირობაში არ უნდა იყოს საქმე, — გამოეკეთმაგა ბეითალს მირონი, — ბესოს ხშირად უხდებოდა აქ ჩამოსვლა, როცა ჩვენს ფერმაში მუშაობდა. ეტყობა, მოენატრა რა აქაურობა, ჩამოვიდა, გაივლ-გამოივლის, ნაცნობ ადგილებს მოინახულებს. საერთოდ, ბუნების მოყვარული კაცია ბესო...

— ბუნების მოყვარული! — შესძახა ჩოჩელმა, — ის ერჩია, ოჯახი, ცოლ-შვილი ჰყვარებოდა. ჩემი ნება რომ იყოს, იმ ჩერჩეტ ბიქთან ერთად მამამისსაც ციხეში ვუკრავდი თავს.

გამაგებინეთ ერთი, ასეთი რა დაუშავა იმ ბიქმა-მეთქი, ვთხოვე მათ. ბესოს ბიქმა ჩვენი უბნის რწმუნებული ტარიელ უროტაძე დაჭრაო, ამიხსნა მირონმა. სასიკვდილოდ ჰყავდა თურმე გამეტებული, ამას არც მალავს. ახლაც ემუქრება, რამდენიც უნდა მომისაჯოთ, ხომ გამოვალ როდისმე. უეჭველად მოვკლავ, ურჩევნია ცოცხალი არ დამხვდესო.

ასე რომ გამწარებულა, ალბათ, იმანაც დაუშავა რაღაც-მეთქი, ვთქვი მე.

— რას დაუშავებდა. რა ესაქმებოდა მილიციის თანამშრომელს ცხვირმოუხოცელ ღლაპთან. — თქვა ინჟინერმა, — წასასწრო დანაშაულზე, დაიჭირა. აბა რა უნდა ექნა, ქალს შევარდნოდა ოთახში, სცემდა, გაუპატიურებას უპირებდა. რატომ დამიჭირეო, იუკადრისა... კაცი კინაღამ საიქიოს გაისტუმრა და მამამისი ახლა იქით უჩივის, შესულა პროკურორთან ეს ჩვენი ბესო, შეუტანია თოკის ნაგლეჯი, აქაო და, ხეზე ჩამოკიდნენო, ამ თოკით აპირებდა ბიჭი თავის ჩამოხრჩობასო. ტარიელ უროტაძემ აიძულაო, დაჩაგრა, დაბეჭვა, ბავშვს თვითმკვლელობა აფიერებინაო. წერილიც უჩვენებია ბიჭის დაწერილი, ცამდე მართალი ვარო, წერდა თურმე, ქალის გაუპატიურების საქმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროტაძემ შემითითხნა, ათი ათასი მასეთი უნდა გამომძალოსო. ამდენი ფული სად უნდა ვიშოვო, ვინ მომცემს, თავს ამიტომ ვიკლავო. დაუწერია ეს აბდაუბდა და თოკიც გამოუბამს ხის ტოტზე. მერე დამჯდარა იქვე, მიწაზე, ერთი კოლოფი „პრიმა“ მოუწევია, უფიქრია, უფიქრია და შეუცვლია გადწყვეტილება, მაინც იქით მივდივარ და ბარემ ჩემს მტერსაც გავიყოლებო. წასული რწმუნებულის მოსაკლავად. მოკვლა ვერ მოუხერხებია, მაგრამ დაუჭრია... ახლა მითხარით, ამის მსგავსი რამე გაგიგონიათ? შეიძლება ამის დაჯერება?

არ გამიგონია-მეთქი, ვუთხარი ლერის, მაგრამ დაუჯერებელი არ მეჩვენება, კაცმა რომ თქვას, თუკი თვითმკვლელობა გადავწყვიტე და მტერი თუ მყავს, რატომ არ უნდა ამოვიყარო მასზე ჯავრი?

— არა, ბატონო, — თქვა ჩოჩელმა, — ტყუილია ეს, ოინბაზობაა... შეუძლებელია თვითმკვლელმა ჯავრის ამოყრაზე იფიქროს... მას ამ დროს ისეთი ძმიმე დეპრესია აქვს, რომ ყოველგვარი აგრესიულობა გამორიცხულია.

— არ ვიცით ჩვენ ეგ, — ვუთხარი მე. — იქნება არცაა გამორიცხული, იქნება სწორედ პირიქითაა. რისი უნდა ეშინოდეს კაცს, რომელმაც თავის მოკვლა იფიქრა? ვფიქრობ, არ უნდა გაუპირდეს თავზე ხელის აღება. ნებისმიერი დანაშაულის ჩადენა.

— არა, — თქვა ჩოჩელმა, — ვერ დავიჯერებ ვერაფრით... კაი მამაძაღლია მაგ ბიჭი და გაითამაშა ყველაფერი. წერილიც დაწერა, თოკიც ჩამობა ხის ტოტზე. კარგად იცოდა, მკვლელობას არ შეარჩენდნენ, დაიპერდნენ. სასტიკად დასჯიდნენ. შეიძლება დაეხვრიტეთ კიდეც..

ამასობაში გოლიაძეც შემოგვიერთდა და სადგომისაკენ გავწიეთ. წინ ჩოჩელი მიდიოდა, მას ბესო მისდევდა. მე და მირონი კარგა მახძიერზე ჩამოვრჩით წინ წასულებს. დინკო ტყეში დაშლიგინებდა, აქეთ-იქით აბოდიშობდა, რაღაცას ყნოსავდა, ეუიეფდა, მიადგებოდა ისლის ბუჩქს, ჩარგავდა შიგ ცხვირს, აფრუტუნებდაოდა, აქშუტუნებებოდა, შეუღრეწდა, შეუყეფდა, არ ერიდებოდა არც ტალახს, არც გუბეებს, დასველდა, ამოიგანგლა. ხან გაუჩინარდებოდა, დაიკარგებოდა, ჩამიჩუმიც არ ისმოდა მისი. მერე ისევ გამოჩნდებოდა. შურდულივით გამოვარდებოდა საიდანღაც. მოგვინახულებდა, ირგვლივ შემოგვირბენდა და ისევ ტყეში შევარდებოდა აკოშინებული, ენაგადმოგდებული.

— ამას ქვია მონადირე ძაღლი? — ბრაზობდა მირონი, — ასე შტერივით დარბის მუდამ. შინაც ასეთია, თავი მოგვაბეზრა ყველას, დამიწიოკა ფრინველები, საყოლი, ვიბამ ამ ბოლო დროს, ვეღარ ამიშვია. ვიბამ, მაგრამ აიწყვეტს ხოლმე და მაშინ იკითხე გაგიჭეს. სულ დამიგლიჯა, რაც ჯაჭვები მქონდა. რა ძალა აქვს მაინც... სტერიაო, მითხრა, ვინც მომცა, და ჰგავს კიდეც გარეგნულად. მაგრამ ეშვი მეპარება რაღაც...

არა-მეთქი, ვუთხარი, უჯიში არ იქნება, მაგრამ კარგად ვერ გამოგიზრდია, ვერ გაგიწვრთნია...

— კაცმა რომ თქვას, რაში მჭირდება? სადაური მონადირე ვარ მე? ვაჩუქებ ვინმეს, მაგრამ ვის უნდა ასეთი შატაბუტა? ან ამ თოფს რა თავში ვიხლი? სულ ტყეილად ვიხდი საწევროს. ხანდახან კი ავიღებ ხელში, წავეხეტები ხან იქით, ხან აქეთ... დავდივარ ამ ქარ-ყინვაში, თოვლში, ტალახში... სადაა ჩემი მოსაკლავი გარეული ოხვი ან ტყის ქათამი? შენ რომ არ აგიხარებინა, წელს ნამდვილად აღარ ვაპირებდი წამოსვლას. თუ მისდევ ამ საქმეს, ქე უნდა იყო ისეთი, ე. ის რომაა, ჩოჩელი. არ გაიწმიენებს თავს არასდროს...

წუწუნს რომ მორჩა, მირონს ბეიფალზე ჩამოვუგდე სიტყვა, ვინაა, რა კაცია-მეთქი, ვკითხე. აბა, რა გითხრაო, აიჩეჩა მხრები მირონმა. უწყინარი კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცია, უენო, დგას მუდამ ჩრდილში, არაფერს ითხოვს, არაფერზე შეგაწუხებს, არც არაფერს დაგიშავებს, არც წყალია, არც ღვინო... ზესიძედაა ჩვენს სოფელში მოსული. მალე აიკოცა გული ოჯახზე. ერთი სიტყვით, ვერ გამოდგა კარგი მეოჯახე. დალი (ცოლია მისი, ქართულს ასწავლის ჩვენთან, სკოლაში) ერთბანს ეჩხუბებოდა, სცენებს უწყობდა, მერე ხელი ჩაიქნია. იქით დაუწყო გამართლება, ავადმყოფი კაცია, გულგატეხილი, ხელჩაქნეული, ცოცხალი იყოს და არაფერს ვთხოვ. შვილი გვყავს. იქნება შვილს მაინც გამოადგეს რამეშიო.

ბინაზე რომ მივედით, უკვე ისე ბნელოდა, თვალში თითს ვერ მიიტანდით. ჩექმებზე ტალახი ჩამოვიფხიკეთ და სახლში შევედით. ცეცხლი, რომელიც სოხანეზე ენთო, მინავლულიყო, ძლიან ბუუბავდა. ხმელი შეშა მივაყარეთ და ავადგუზგუზეთ. ლერიმ ჭრაქს მოუკიდა და მაღალ თაროზე შემოდგა. ბესომ შუაცეცხლზე წყლიანი თუნგი ჩამოჭკიდა ჩაისთვის, ჩოჩელმა თავისი პოინტერი ქოხში შემოუშვა, ერთი კუთხე მიუჩინა, უბრძანა, აქ იწექი, არ შეგვაწუხოო. ეკამ (ძაღლს ერქვა) უყოყმანოდ დაიკავა თავისი ადგილი და გაისუსა, თვალებიც კი მილულა, ნიშნად იმისა, რომ ჩვენგან არაფერს ითხოვდა, არაფერს სჭირდებოდა და იმაზეც მადლობელი იყო, სითბოში რომ შემოვუშვით. დინკო გარეთ დარჩა, სანამ ეკა ვგერდით ჰყავდა, ქოხში შემოშვება არ მოუთხოვია, ახლა კი გაშმაგდა, კარს მოეტოტა, ღრღნიდა, კბენდა, იღრინებოდა, ყეფდა, წკმუტუნებდა. შემომიშვითო, ვეეხვეწებოდა. ცოდვაო, თქვა ლერიმ, ნუ დავჩაგრავთ, შემოვუშვათო. ლერის მეც დავუჭირე მხარი, ბესომაც. ეკამაც წამოსწია თავი და მოკრძალებულად გაპარტყუნა ყურები, თითქოს ამბობდა, თვისტომის გარეთ ყოფნა, მაშინ, როცა მე ცეცხლს ვეფიცხები, უსამართლობად მიმაჩნიაო. მირონი უარზე დადგა, მაცალეთ ჯერ, ვახშამი შემარგეთო. ხმის უპირატესობით ვაჯობეთ პატრონს, დინკოს კარი გავუღეთ, ბარეგბული შემოვარდა, ლერის ხელები აულოკა (მან გაუღო). ზურგზე შეახტა, ტალახიანი თათები შეაწმინდა. თავისი გრძელი, ლაფში მოსვრილი ბეწვები ღონივრად გაიბერტყა და მთელ ოთახს მოჰფინა ტალახისა და წყლის ზხეფები, ბოლოს კუთხეში მოკალთებული ეკა მოძღებნა და ახლა იქ ატყდა ღრენა, ბრაილი, ბღლარძღენი.

— უყურე ამ უზრდელს! — გაჯავრდა ლერი. — ეს, მგონი, ესიყვარულება ჩემს ეკას... ნახა დრო! მართლა არ ყოფილა სახლში შემოსაშვები.

ლერიმ ჩაი დალია, ივახშმა, ჩანთა და თოფი მხარზე მოიგდო, ახლა იწყება ჩემი ნადირობაო, დაგვემშვიდობა, ძილი ნებისა გვისურვა, ეკა მიიხმო და სიბნელეს შეეია.

გვერდით ოთახში ორი დაბრეცილი, მირუეულ-მორყეული. ჟანგიანი რკინის საწოლი იდგა, ერთზეც და მეორეზეც ისლით გატენილი, აქა-იქ ვირთხებისაგან გამობდღვნილი, ჯუჯყისგან ერთიანად გაშვებული ლეიბი ეგდო. ეს იყო და ეს ჩვენი საძილე ოთახის მოწყობილობა. ლერი დილამდე აღარ დაბრუნდება, თქვა მირონმა, ეს ორივე საწოლი ჩვენს განკარგულებაშია, ალბათ, სამივე მოვთავსდებითო. მე არ გეზიარებითო, თქვა ბესომ. აქ ცეცხლის პირას მირჩევნია ღამის გათევაო.

მირონი დასაძინებლად გაემართა. ერთხანს კი ისმოდა საწოლის ეღრიალი. ჭრაკუნი, მერე სიჩუმე ჩამოდგა. ბოლოს და ბოლოს, დინკოსაც მოერია ძილი. ცეცხლთან მე და ბესო დავრჩით.

ბესომ საიდანღაც ორი ცალი ფიცარი მოიტანა, მიწაზე დააწყო და ზედ წამოწვა. თავი ჩანთაზე მიდო, თვალები მილულა. აგურგაურებული ცეცხლი საკმაოდ კარგად ანათებდა იქაურობას. რამდენჯერმე მალულად გავაპარე ბესოსკენ მზერა. კინკრიხოზე თავი მოტიტვლებული ჰქონდა. ქერა. თხელი თმა ჩამოშლოდა და თითქმის მხრებამდე სწვდებოდა. სახე სუფთად ჰქონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გაპარსული. ლამაზი კაცი იყო გოლიადე, უშფოთველი, თავდაჯერებული, ბედით კმაყოფილი კაცის გამომეტყველება ჰქონდა. სულაც არ ჰგავდა ავადმყოფ. გულგატეხილ, ცხოვრებაზე ხელჩაქნეულ ადამიანს. იწვა, არ ინძრეოდა. არ მინდოდა, რომ დასძინებოდა, ავდექი, კართან მივედი, გავაღე, შეშა შემოვიტანე, რაც კი შემეძლო ვხმაურობდი. შევნიშნე, ბესო შეირხა, თვალები გაახილა. თაროზე არყიან ბოთლს შევეწვდი, ჩამოვიღე, გემო ხომ არ გავუსინჯოთ-მეთქი, ვკითხე. თავი გადააქნია, აკრძალული მაქვსო.

რატომ?

— ექიმები არ მანებებენ... დიდად არც ავადმყოფობამდე მიზიდავდა... ახლა, მით უმეტეს.

ბოთლი ისევ თაროზე შემოვდგი, ცეცხლს მივუჯექი.

ერთი პატარა სიკეთე ჩემს სენსაც აქვსო, განაგრძო ბესომ, ალბათ, უცებ მოვკვდები, მოულოდნელად, სადმე წყლის პირას ანკესის ჯოხით ხელში. შეიძლება, სულაც ძილში გავიპარო, ისე რომ ვერაფერიც გავიგო. მამაჩემი ძალიან დაიტანჯა სიკვდილის წინ. ცუდი, ძნელი სიკვდილით მოკვდა. მე უცებ წასვლა მირჩევნიაო.

ერთი რამ მიკვირს, ვუთხარი, რატომ უჩნდებათ ამგვარი შიში სწორედ ჯანმრთელ, საღ-სალამათ ადამიანებს? ავადმყოფებისთვის ზოგჯერ გაცილებით მეტი ოპტიმიზმი შემიმჩნევია-მეთქი.

ბესოს გაეცინა:

— თქვენ გინდათ მანუგეშოთ... მადლობელი ვარ. მაგრამ მე ნამდვილად არა ვარ ჯანმრთელი, საღ-სალამათი. კარგა ხანია. სიკვდილი ჩამისაფრდა და მიდარაჯებს, ხელსაყრელ შემთხვევას ელოდება. ყველაფერი მოშლილი და გადაგვარებული მაქვს: გული, სისხლძარღვები, სისხლის მიმოქცევა, ღვიძლი... თუმცა ჩემს ოჯახში ეს არ სჯერთ, ჭკონიათ, თავს ვიკატუნებ. ცოლი, მგონი, დარწმუნდა, ბოლოს და ბოლოს, ჩემი წამლები რომ ვიჩვენე, ნამარის აზრით კი, ბატონუსწორებელი, ჩამოყალიბებული თალითით და სიმუნლატი ვარ. მე ზესიძედ ვარ იმ ოჯახში მისული და, მოგეხსენებთ, ასეთ შემთხვევაში სიმამრი ფრიად ანგარიშგასაწევი პიროვნებაა. ერთხელ ექიმის ცნობაც კი მომთხოვა. თავს ისე როგორ დავიმცირებდი, ცნობა მომეტანა... ასეთ ოჯახში გაძლება შეიძლება? ვერც გავძელი, მივატოვე... იმ სოფელში დღესაც ბევრი ფიქრობს, რომ თავს ვისაწყლებ, ცოლ-შვილზე, ოჯახზე ზრუნვას გავუბრივარ. არა და, რომ არ გავქცეულიყავი, დღემდე ნამდვილად ვერ მოვაწევდი.

თუ ასეა, ვინ გაგამტყუნებთ-მეთქი, ვუთხარი, სიცოცხლეს უნდა გავუფრთხილდეთ, მასზე ძვირფასი ვის რა გაგვაჩნია?

ჩემს სიტყვებში დაცინვა დალანდა თუ რა იყო, არ ვიცი, ცოტა არ იყოს, გაცხარდა:

— ასეა, კი... ნამდვილად ასეა, ჩემო ბატონო. სხვისი არ ვიცი.

—სხვებზე ვერაფერს გეტყვით, მე ძვირად ვაფასებ ჩემს სიცოცხლეს. ერთხელ მოვსულვარ ამ ქვეყანაზე.

— და, ალბათ, ძალიან გიკვირთ, როცა ადამიანები თვითონ...

შემომხედა, სახეზე დამაკვირდა. მივხვდი, შემატყო, მის ოჯახზე ზოგი რამ უკვე ვიცოდი, ისიც, გულახდილ საუბარში რომ მინდოდა მისი ჩათრევა.

— მიკვირს, კი... ყველაზე მეტად ჩემი ბიჭის საქციელი მიკვირს. გატყობთ, გცოდნიათ, რაც ჩაიდინა.

ცოტა რამ ვიცი, მაგრამ, თუ უფრო დაწვრილებით მიამბობთ, ძალიან მადლობელი დაგრჩებით-მეთქი, ვუთხარი.

— რატომაც არა? — თქვა გოლიადემ, — გიამბობთ... იქნება ამით მაინც შევამოკლოთ ცოტათი ამსიგრძე ღამე... როგორც გითხარით, ზესიძედ ვარ. ჩემი მეუღლე მასწავლებელია. ოთხიხუთი წლით უფროსია ჩემზე. თუმცა არ ეტყობოდა ეს სხვაობა. ახლაც კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემზე ბევრად უმცროსი გეგონებათ. მდგმურად დამაყენეს იმ ოჯახში. ფერმასთან ახლოს ედგა კარგა დიდი, ორსართულიანი სახლი. ჩვენი ვეტაფფთაქიც იქ იყო, პირველ სართულზე. ჩემს წინამორბედსაც იქ ჰქონდა თურმე ბინა. ფერმის გამგე სარდინ შავიშვილი იყო. მალე დაწინაურეს, ჩაის ფაბრიკის დირექტორად გადაიყვანეს. არ იყო მაშინ ცუდი კაცი, დირექტორობამ კი გვარიანად შეცვალა, მაგრამ ამაზე შემდეგ.. იცხოვრე ამ კეთილ, პატიოსან ხალხთან ცოტა ხანსო, მითხრა სარდინომ, მერე კი, თუ შეგვეწყობი, თუ აქაურობა ჭკუაში დაგიჯდება, საკარმიდამოს გამოგიყოფენ, სახლსაც აგაშენებინებენო. ისე კი, თუ ყოჩაღად დახვდები საქმეს, — დაუმატა ღიმილით, — არც საკარმიდამოს ძებნა დაგჭირდება, სახლის შენების დავიდარაბასაც თავიდან აიცილებ, მაგ სახლში ერთი ლამაზი, ჭკვიანი, განათლებული, დედისერთა გოგო ცხოვრობსო... დავფიქრდი და დამიჯდა შავიშვილის რჩევა ჭკუაში. ღარიბი ვიყავი, მამის სახლიდან გადმოსული, ცარიელ-ტარიელი დავდექი ცხოვრების გზას. უკეთესი რა უნდა მენატრა? ჩემგან არც გოგოს დაედებოდა წუნი, არც სიდედრ-სიმამრს, მხნე, გამრჯე, შრომისმოყვარე ხალხს, არც სახლ-კარს. თუ ისინი არ დამიწუნებდნენ, რა თქმა უნდა. გავიდა რამდენიმე თვე. შევეჩვიე, გავუშინაურდი ოჯახს. ფერმის გამგე მალიმალ მეკითხებოდა, რას შვრები, ქორწილს როდის გვაპმეევო. ვის რაში სჭირდება ჩემისთანა ცარიელ-ტარიელი სიძე-მეთქი, მოვისაწყლე თავი. ერმილე ცინცაძის ოჯახს სწორედ შენისთანა სიძე სჭირდებაო, მითხრა სარდინომ. იქნებ სოფელს არ უნდა, რომ დავუმოყვრდე-მეთქი, დავიწყე მიკიბ-მოკიბვა. რატომაც არაო, ცინცაძეებზე ვერაფერს გეტყვი, მაგრამ სოფელი ნამდვილად არ გწუნობსო. კაი ბიჭი ხარ, შენი საქმის მცოდნე, ნამუსიანი და დაუზარელიო. რატომ ის ჩემი წინამორბედი არ ჩაისიძეთ-მეთქი, ან არ იყო შენსავით კაი ბიჭო, გაიცინა სარდინომ. „რა დაუწუნეთ?“ იმ გოგოს არ მოეწონა და მთავარიც ეს იყოო. „მე რომ არ მოვეწონო?“ ქვეყანა არც მაგით დაიკარგებო, მითხრა სარდინომ, სხვაგან გამოგიძებნით ბინასო, მანუგეშა.

სცადეო, მირჩია, შემაგულიანა. შენ დაიწყე და, თუ საჭირო გახდა, მერე ჩვენც მოგეშველებითო. ვცადე. ბევრი ყოყმანის შემდეგ, შევურჩიე დრო ცინცაძეების ქალიშვილს, მარტო რომ იყო შინ. ფოტოალპარტი გამოვიტანე, რამდენჯერმე გადავუღე ეზოში, მერე ჩემი კოლექციის დათვალიერება შევთავაზე. გაოცდა, გაუხარდა. რამდენიმე გაზეთი და ჟურნალი ვიჩვენე, სადაც ჩემი ფოტოტიუდები იყო გამოქვეყნებული. (ძალიან მეამაყებოდა ის ფოტოები და, ამის გარდა, თავი რითიმე ხომ უნდა მომეწონებინა. მარტო ჩემი ბეითლებით რა ფონს უნდა გავსულიყავი). დალის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, ვინ მეგონე და ვინ ყოფილხარო.

— თუ გამეღვენება არ გეუხერხულებათ, მითხარით, ვინ გეგონეთ? — ვკითხე.

— უბრალო ვეტექიმი... შენ კი ნამდვილი ხელოვანი ყოფილხარ.

— რა ხელოვნებაა, — მოვიკატუნე თავი. — თავისუფალი დრო როგორმე ხომ უნდა მოკლა კაცმა.

— რას ამბობ! დროის მოკლა როგორ შეიძლება. დროზე ძვირფასი რა გვაქვს!.. ასეთ საქმეზე კი დრო ნამდვილად არ უნდა დაინანო.

ალღომ მიკარნახა, ჩემი სათქმელი-სათვის უკეთეს დროს ვერ შევარჩევდი. ახლავე უნდა დამეწყო იერიში. სანამ მოულოდნელი სანახაობით გამოწვეული აღტაცება არ განელებოდა.

— ბოდიში, პატივცემულო მასწავლებელო, — ვუთხარი ღიმილით, — ერთი შეკითხვა მაქვს... თუ არ გამიჯავრდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ გაგიჯავრდები, — მითხრა დალიმ. — ბრძანე, ბატონო ექიმო და ხელოვანო.

„ვეტ“ გამოტოვა! ამან რწმენა და იმედი შემმატა.

— სულ სხვა თემაა.

— იყოს სხვა თემა.

— თქვენ, მასწავლებლები, ანუ პედაგოგები რატომ...

გავყუჩდი.

— თქვი, თქვი... განაგრძე.

— აჰ, სხვა დროს იყოს, — ვყოყმანობდი ვითომ.

— რატომ სხვა დროს? — მითხრა დალიმ, — როდის მოვა ის სხვა დრო? იქნება შეფფრრდეს, აღარ მოვიდეს? გახსოვდეს, გადადებული საქმე სანახევროდ ჩაშლილი საქმეა...

მგონი, უკვე ხვდებოდა, რის თქმასაც ვაპირებდი.

— კარგი... ახლავე გეტყვი. სხვის შვილებს რომ დასტრიალეს თავს, ზრდი, ანათლებ, ელოლიავები, რატომ თვითონ არ თხოვდები? რატომ გაურბიხარ საკუთარი ოჯახის შექმნას?

ხედავთ, რა ეშმაკი ვყოფილვარ? მიკანიშნე, არც ისე პატარა გოგო ხარ, როგორიც შეიძლება უცხოს ეგონო, ცოტა არ იყოს, დაგიგვიანდა გათხოვება-მეთქი...

— ვინ მოგახსენა, რომ გავურბივარ? მაგრამ რა უნდა ვქნა მე, ქალმა... ბუნებამ ასე დამიწესა, უნდა დაველოდო. როგორღა უნდა გავთხოვდე, თუ არ მითხოვე ან შენ, ან სხვამ?

— ხომ გითხოვა იმან... ძველმა...

— ის არ მომიწონა.

— არც მე... მეც რომ არ მოგეწონო?..

— დიდი ამბავი! თქვენ, მამაკაცებმა, ხელი უნდა გვთხოვოთ. გამოგყვებით თუ არ გამოგყვებით, ეს უკვე ჩვენი კანონიერი უფლებაა. იქნება უარის გეშინია? მერე სირცხვილით თავი სად გამოვყოო, არა? უარი როგორ გამიბედესო, დამცირებულად იგრძნობთ თავს. ხედავ, რა გამოდის? თურმე ტყუილად ვლაყბობთ თახსირ წორობაზე, არ ყოფილა არავითარი ემანსიპაცია. თქვენ კვლავ ბატონებად დარჩით, ჩვენ — მონებად... ისე კი გააფენთ ენას, სადღეგრძელოებში, კრებებზე, ვითომ გვალმერთებთ, გვეთაყვანებით...

ავდექი და ვითხოვე. არ უთქვამს უარი. ბიჭი შეგვეძინა. ამირანი დავარქვით. მალე მივხედი, რომ ავჩქარდი. გამიჭირდა ძალიან იმ ოჯახთან შეგუება. რატომღაც ოჯახში ყველამ, დიდიანპატარიანად, ხელმეორედ აღზრდა დამიპირა. ცოლი მასწავლებელი იყო, შედარებით მალე მიხვდა, ძნელად აღსაზრდელი რომ ვიყავი, ხელი ჩაიქნია, თავისებური, ჯიუტი კაცი ხარო, მითხრა, მაინდამაინც შენს ჭკუაზე გინდა ყველაფერი გააკეთო და აკეთე, არ გიშლიო. ახლაც არ ვიცი, რა თავისებურება, რა სიჯიუტე შემატყო ასეთი, ვიყავი ჩემთვის, არავის არაფერს ვუშავებდი, არ ვსვამდი, არ ვჩხუბობდი, არ ვხმაურობდი... რაც შეეხება სიმამრს, ერმილე ცინცაძეს, მტრისსს! აუტანელი, საშინელი კაცი გამოდგა...

ბესო გაჩუმდა, ჩაფიქრდა, თითქოს არ იცოდა, ამბავი როგორ განეგრძო, რა ეთქვა და რა გამოეტოვებინა. რამდენჯერმე დაამთქნარა. ეძინება-მეთქი, ვიფიქრე, აღარ შემიხსენებია, გისმენ, მერე რა მოხდა, რამ მიიყვანა ამირანი მძიმე დანაშაულამდე-მეთქი. მეც მივდე თავი ჩანთაზე. არ ვიცი, რომელს წაგვართვა პირველად ძილმა თავი. ძილ-ღვიძილში მესმოდა ბესოს ხმადაბალი ხვრინვა, ვგრძნობდი, როგორ წრიალებდა. რამდენჯერმე ადგა, შეშა შემოიტანა. ცეცხლს შეუკეთა. გვეძინა, არც გვეძინა, საუბარი მაინც არ გაგვგრძელებია. ბოლოს და ბოლოს, ვერც მირონმა გაუძლო იმ ცივ ოთახში რკინის შიშველ საწოლზე ტანსაცმლიანად გორაობას. ადგა ამაგრაგებული, ცეცხლს მოუჯდა. თან ყვნინავდა. ერთი ორჯერ თავი კინადამ ჩარგო ღადარში. ბუნებრივია, არც ის იყო ლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარაკის გუნებაზე. გათენებისას დინკოს ყეფამ ყველანი საბოლოოდ გამოგვაფხიზლა. კარს ეპოტინებოდა, გაიღეთო. გვეხვეწებოდა. გასეირნება მოუნდა-მეთქი, ვიფიქრე, ავდექი, გავაღე. კართან ეკა იდგა, ტალახიანი იყო, სველი. ოთახში შემოვუშვი, თავზე ხელი გადავუსვი. „პატრონი სად გაკავს?“ კკითხე. ძაღლმა კუდი გააქიცინა, ცეცხლთან ახლოს მივიდა, ფერი მიუშვირა. დინკო მიესიყვარულა, ალერსი, ღლაბუცი დაუწყო. ამასობაში ლერიც შემოვიდა კარში. დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი, ნასიამოვნები იყო. ოთხი ფრინველი მოენადირებინა: სამი გარეული იხვი და ერთიც იხვიჭა — კოკროჭინა. ახლა კი უნდა გამოვიძინოო, თქვა, მეორე ოთახში გავიდა და საწოლი ააჭრიალა.

დილით ბესო ხეტიალის გუნებაზე დადგა, თოფი აიღო, მხარზე ვაზნებიანი ჩანთა გადაიკიდა და მდინარისაკენ გასწია. ჩვენც გავიაროთ, შემომთავაზა მირონმა. სახლიდან გავედით და წუხანდელ ხის ბილიკს გავუყევით. ცა მოკრიალებულიყო. გუბეები ყინულის თხელ აპკს დაეფარა. დინკომ წინ გაგვისწრო, ტყეში შევარდა და გაუჩინარდა. რამდენიმე წუთის შემდეგ შხუილით გადაგვფრინა თავზე ტყის ქათამმა, თოფის შემართვაც ვერ მოვასწარით. მინდორზე რომ გავაღწიეთ, ერთი ტყის ქათამი კიდევ აგვიფრინა დინკომ.

— დღეს ისე დააკუნებს, — თქვა მირონმა, — თოვლის ნასახიც არ დარჩება მიწაზე.

უკან რომ ვბრუნდებოდით, მირონს ვკითხე:

— რატომ გაიქცა ბესო სახლიდან? რა ჰქონდა სიმამრთან გასაყოფი, რატომ ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს?

— რას გიგებ... რომელ მხარესაც მოუსმენ, მუდამ ის გეჩვენება მართალი.

— მაინც?

— ცუდს ვერც ერმილეზე ვიტყვი. ძველი ყაიდის კაცია. ენამახვილი, როხროხა, ხალისიანი, მტერ-მოყვრის პასუხის გამცემი, უყვარს მისვლა-მოსვლა, სტუმარ-მასპინძლობა (თუმცა ახლა რაღა უყვარს, დაბერდა, დაავადმყოფდა, ახლა რაღა შეუძლია). ესტუმრებოდი და ზედ გადაგყვებოდა, დაუთროებელს არ გამოგიშვებდა. ნამდვილი ზეიმი ჰქონდა, როცა ვინმე ეწვეოდა... გეჩქარებოდა, არ გეჩქარებოდა, ვერ შეასმენდი, იმ დღეს მისი იყავი... ვერ დაუძვრებოდი ვერაფრით ხელიდან. სიძე სულ სხვა ბუნების შეხვდა. ერმილე სტუმარს რომ ეჯდა და ენაწყლიანობდა, ღვინოს აძალებდა, ახალ-ახალ სადღეგრძელოებს იგონებდა, ბესო თავის ფოტოლაბორატორიაში იჯდა. სურათებს ბეჭდავდა, მთელი დღე იჯდებოდა იქ. შეიძლება ცხვირიც არ გამოეყო გარეთ. სად გაყავს, ერმილე ბატონო, სიძე? ეკითხებოდნენ მასპინძელს სტუმრები. ნათესავები, მეზობლები. ხომ არ გვემდურის, ხომ არ გვემალება? რა ეთქვა ერმილეს, თავმოყვარე კაცსე ე, იმ სოროშია შემძვრალი და გარეთ არ გამოდისო? ფეხებზე ჰკიდია სიმამრის მტერ-მოყვრებიო?

— სულ ეს იყო?

— არა, სხვა მიზეზებიც იქნებოდა, ცხადია. ერთ დღეს მოთმინებამ უღალატა თურმე ერმილეს. ის იყო, სტუმარს გაუმასპინძლდა, გაიცილა. ნაღვინევმა, მერე, შეზარხოშებულმა, სიძე მოიკითხა. სადაა ის შენი თხუნელაო, ჰკითხა ქალიშვილს. დალიმ მხრები აიჩეჩა, ალბათ, იქ ზისო, გაუშვერია ხელი ლაბორატორიისკენ. მე მაგას ვაჩვენებო, უყვირია ოჯახის უფროსს, მივარდნილა, დაუმსხვრევია, დაულეწავს იქაურობა, ამბობენ, სიძეც კარგა ღონივრად შეაჯღრიაო. თხუნელა ხომ არა ხარ მართლა, თაგვი, ვირთხა, სულ ბნელ სოროში რომ ზიხარ, გარეთ გამოდი, მზეს დაენახვეო... მგონი, იმ დღიდან ბესომ ოჯახზეც აიყარა გული და თავის საყვარელ ფოტოგრაფიაზეც.

— გაეყარა ცოლ-შვილს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აქამდე საქმე არ მისულა. სამუშაო ადგილი გამოიცვალა, სოფელს მოსცილდა, რომ შორს ყოფილიყო, თავისთვის. მოიმიზეზა, ფერმის გამგეს ვეჩხუბე და იქ ვეღარ გავჩერდებიო. ეჩხუბა, მართლაც, რაკი წასვლა უნდოდა, ტყუილუბრალოდ აუწარდა. თვეში ერთი-ორჯერ შემოივლის შინ, ცოლ-შვილს მოინახულებს... ეს არის და ეს. მირონს ვთხოვე, ბესოს მეუღლეზეც ეამბნა რამე.

პატარაობიდან ვიცნობდი დალის, თითქმის ერთად გავიზარდეთ, თქვა მირონმა, ერთ კლასში ვსწავლობდით. მეხუთედან ერთ მერხზე ვისხედით. გაკვეთილზე ლაპარაკი მიყვარდა, მუდამ რაღაც ონებს ვიგონებდი, რომ ამხანაგები გამემხიარულებინა, გამეცინებინა. რომ ვეღარაფერს გახდა ჩემთან კლასის ხელმძღვანელი, ადგა და დალი მომისვა გვერდით. იფიქრა, გოგოსთან ისე თამამად ვერ იქნებაო. დალი ბეჯითი იყო, კარგად სწავლობდა, დავალებებს ასრულებდა. ზოგი ჭირი მარგებელია, გავივე გულში, დავალებებს გადამაწერინებს, გაკვეთილის მოყოლის დროს წამომშველებს, ერთ-ორ სიტყვას მიკარნახებს-მეთქი. მალე გამიცრუდა იმედი. ახლაც მშვენივრად მახსოვს, დირექტორის გაკვეთილი გვქონდა. ჩემი სახელმძღვანელოს ფურცელზე დავუწერე, მათემატიკის რვეული მათხოვე-მეთქი. გადაშლილი წიგნი მივუჭიოე. წაიკითხა და მეკითხება: „რად გინდა?“ „უნდა გადავწერო“, დავუწერე ავლავ. უცებ წამოხტა და დირექტორს ეკითხება: „შეიძლება, პატივცემულო დირექტორო?“ რა გინდაო, ჰკითხა დირექტორმა. აიღო ჩემი სახელმძღვანელო, დირექტორს მიუტანა, მაგიდაზე დაუდო. „რაშია საქმე?“ ჰკითხა დირექტორმა. „წაიკითხეთ, პატივცემულო“, დირექტორმა წაიკითხა, ძლივს შეიკავა ღიმილი. „ეს მირონმა დაჯღაბნა, ხომ ცუდად მოქცეულა?“ „რა თქმა უნდა“. „რატომ უნდა გადაიწეროს ჩემგან, თვითონ არ უნდა შეასრულოს დავალება?“ თალი ხარ, უეჭველად თვითონ უნდა შეასრულოს. არ გადაწერინო“. „ახლა ხომ დასჯიან მირონს?“ „ცხადია, დავსჯი“. დირექტორმა ფეხზე დამაყენა და მამყოფა ასე ათიოდე წუთს. მოსწავლე კი არა, მოსწავლეთა ქცევის წესები იყო ხორცშესხმული. გაკვეთილს რომ მკითხავდნენ, კარნახს ვინ ჩივის, ცხრა თვალსა და ყურს გამოიბამდა, გაფაციცდებოდა, დაძაბული მითვალთვალებდა, რომ რვეულში ან წიგნში არ ჩამეხედა. ჩემს წინ ან უკან მსხდომ თანაკლასელებს თვალებს უბრიალებდა, არაფერი უკარნახთთო. თუ მაინც წამომაშველებდნენ ორიოდე სიტყვას, მაშინვე წამოხტებოდა, კარნახობენ, მასწავლებელო, განაცხადებდა დიდის ამბით. არადა, მასწავლებელი, ვატყობდი, განგებ მარიდებდა თვალს, იქნება როგორმე მოახრჩოს გაკვეთილი, სამიანი მიიღოსო. ზოგჯერ თვითონაც კი მკარნახობდა. დალი ვერც ამას ითმენდა, არასდროს დამალავდა თავის უკმაყოფილებას, ასე როგორ შეიძლებაო. ეტყოდა მასწავლებელს, ასე ხომ ყველა გიპასუხებთო; მართალი გითხრა, ამხანაგებს არ გვიყვარდა. სულ უფროსობდა, ჭკუას გვარიგებდა, კრებებზე გვაკრიტიკებდა. მე მგონი, მაინცდამაინც არც მასწავლებლებს ეხატებოდათ გულზე, რადგან იმათაც თამამად ეუსწორებდა „შეცდომებს“. ეკამათებოდა, ეჩხუბებოდა კიდეც. მუდამ უმაღლეს ნიშანს ითხოვდა. ვაი, იმ მასწავლებლის ბრალი, ვინც მასთან ნიშანზე იძუნწებდა. მაშინვე დირექტორთან შევარდებოდა, ნიშანი დამაკლესო. თუ საჭირო დაინახავდა, უფრო ზევითაც წავიდოდა. ბოლოს ისე დააშინა ყველა, უყოყმანოდ უწერდნენ ხუთიანებს. რაც ჩემი აზრით, არ ეკუთვნოდა, თუმცა სიბეჯითე არ აკლდა. სკოლა წარჩინებით დაამთავრა, როგორც მახსოვს, უმაღლესშიც იმ წელსვე მოეწყო. ყოჩაღე გოგო იყო, მარტო წავიდა სახლიდან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტომ გაიკვლია გზა. სოფელში და მეზობლობაში ერმილე ტოლს ვის დაუდებდა, მაგრამ გამოუსვლელი, უსწავლელი კაცი იყო მაინც. არაფრად მჭირდება თბილისში შენი წამოყოლაო, უთხრა ქალიშვილმა, სადგურამდე მიმაცილე, დანარჩენი მე ვიცი«. წავიდა დალი მარტო, თანაკლასელ გოგოს შეუამხანაგდა. გახდა სტუდენტი, დაამთავრა უმაღლესი წითელი დიპლომით და ჩვენსავე სკოლაში დაბრუნდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. მე საშოფორო კურსებზე შევედი, მძღოლი გავხდი. კარგა ხანს კოლმეურნეობაში ვმუშაობდი, ახლა კი მეც მასწავლებელი მქვია, ჩვენს სკოლაშიც შემოიღეს ავტოსაქმე და მოსწავლეებს მანქანის მართვას ვასწავლი.

დაქალდა ჩვენი დალი, დამშვენდა, გარეგნულად გვარიანად გამოიცვალა. მაგრამ ხასიათი იგივე დარჩა. იყო მუდამ ჩახმახივით შემართული. პრინციპული, წესრიგისა და სამართლიანობისათვის შეუპოვარი მებრძოლი. ეს თვისებები ადამიანს როგორ უნდა დაუფუნო, მაგრამ, ვფიქრობ, მეტისმეტი მოსდიოდა. მოგიყვები ერთ ამბავს და თვითონ განსაჯე. სტუმარი გვეწვია ერთხელ ცენტრიდან, საშუალო სკოლებში კაბინეტებს ამოწმებდა. მაშინ ძველ შენობაში იყო ჩვენი სკოლა. ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტი კიდევ ჰგავდა რაღაცას, დანარჩენებს კი მარტო კარზე მიკრული აბრით თუ გამოარჩევდი. რის კაბინეტები, ეერი თავზე გვექცეოდა. ნახა იმ კაცმა ყველაფერი. წავიდა და ორიოდე კვირის შემდეგ წერილი გამოქვეყნდა ცენტრალურ გაზეთში. დალის კაბინეტიც იყო ნახსენები. შენობაზეც იყო ლაპარაკი, ავარიულ მდგომარეობაშიაო და სხვა... შეუძლებელს ვერავის მოვთხოვთო. ეწერა, მაგრამ ის ხომ მაინც შეეძლოთ მასწავლებლებს, კედლებზე ჩვენი მწერლების, კლასიკოსების პორტრეტები გაეკრათო. უსამართლო კრიტიკა იყო. ერთადერთი, რასაც იმ კაბინეტში ნახავდა კაცი, სწორედ პორტრეტები იყო. წერილის ავტორს, ეტყობა, რაღაც აერია გააფთრებული შევარდა დალი დირექტორის კაბინეტში. „დღესვე უნდა წახვიდეთ, ბატონო, სამინისტროში!“ დირექტორი ახალი კაცი იყო, ჯერ კარგად არ იცნობდა დალის. „საად? სამინისტროში რა მინდა?“ დალიმ გაზეთი აუფრიალა ცხვირწინ. „ამის მოთმენა როგორ შეიძლება! ამისთვის პასუხი უნდა ვაგებინოთ!“ დირექტორმა წაიკითხა წერილი. ახლავე წამობრძანდითო, უთხრა დალიმ, ნახეთ, ჩემს კაბინეტს რომელიმე კლასიკოსის სურათი თუ აკლიაო. „არც მაშინ აკლდა, როცა შეგვამოწმეს?“ ჰკითხა დირექტორმა. დალიმ ყურებს არ დაუჯერა. ეს რა გაუბედეს! მის კეთილნდისიერებაში ეჭვი შეიტანეს! „თქვენ ვინ გგონიხართ! — შესძახა, — ეს რა მაკადრეთ!“ დირექტორი მაშინვე მიხვდა, ეს ქალი ტყუილს რომ არ იტყოდა. ბოდიში მოუხადა. ამ წვრილმანისთვის თბილისში მაინც ვერ წავალო, უთხრა. ჯერ აქ მაქვს უამრავი საშური საქმეო. „მაშინ მე წავალ! მე თვითონ მიგხედავ მაგ საქმეს!“ „ვერც თქვენ გაგიშვებთ, გაკვეთილებს ვერ გაგაცდენინებთ“. მაინც წავიდა. მთელი კვირა დაადგიანდა. მისულა რედაქციაში და მოუთხოვია, წერილის ავტორმა ამავე გაზეთის საშუალებით აღიაროს, რომ შეცდა და ბოდიში მოიხადოსო. უარი უთხრეს. ამ წერილში საბოდიშოს ბევრს ვერაფერს ვხედავთო. თქვენ ვერ ხედავთ. აღშფოთდა დალი, მაგრამ მე საქვეყნოდ მომეკრა თავიო. რა თავის მოკვლაა, უთხრეს, აქ პიროვნება საერთოდ არაა ნახსენებიო. ამ პასუხით გამოისტუმრეს. დატრიალდა დალი, სად არ მივიდა, ვინ არ შეაწუხა. არავის მოერიდა, არაფერზე უკან არ დაიხია. ასე ხელცარიელი სკოლაში როგორ დავბრუნდე, იმის საბუთი მაინც გამატანეთ, რომ მე მართალი ვარ, თქვენ კი შეცდომა მოგვიდათო. დაუწერეს და მისცეს. ჩამოიტანა, ყველას წააკითხა. დიდსა და პატარას (მათ შორის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც). მერე თავის კაბინეტში კედელზე მიაკრა. დირექტორმა მაინც გამოუცხადა საყვედური, გაკვეთილების მიტოვებისთვის, ერთი კვირის ხელფასიც გამოუქვითა. ახლა ამაზე გაჩაღდა სასტიკი დაკადაკი. მე სკოლის ღირსებას ვიცავდიო, ამტკიცებდა დალი, უსამართლობას ვებრძოდიო, ხელფასი კი არა, გზის ხარჯებიც უნდა ამინაზღაუროთო. დირექტორის აზრით კი, მთელი კვირის მანძილზე გაცდენილი გაკვეთილები ქართულ ენასა და ლიტერატურაში ძალიან დიდი, ყოველად გაუმართლებელი მსჯვრპლი იყო ამ რაღაც „ღირსებისათვის“. კაბიკია ასეთი ღირსებისა და სამართლიანობის ფასიო, ამბობდა. დალი მაინც თავისაზე იდგა, ეს რა მესმის, რა ხალხში ჩავვარდნილვარ, ნუთუ შეიძლება სამართლიანობის ფასი კაბიკი იყოსო. სხვათა შორის მიაღწია იმას, რომ ხელფასისე უკლებლივ აიღო და, მგონი, გზის ხარჯებიც აინაზღაურა. რატომღაც ეჭვი არ მეპარება, რომ ამგვარ უსაშველო პრინციპულობას გადააყოლა დალიმ თავისი ოჯახური ბედნიერება — ვერ აიტანა ბესომ მეუღლის მერომრული სულისკვეთება. მას ხომ ჭირივით სძულდა ყოველგვარი აყალმაყალი, ჩხუბი, ჩივილი, ხმაური, ნერვების წეწვა. დამთმობი, მშვიდი ხასიათის კაცია. დალის კი სწორედ ასეთი ხალხი მიაჩნია ყოველგვარი უსამართლობის, მანკიერების, ბოროტების მიზეზად. ჯერ დოყლაპია იბადებაო, იცის თქმა, მერე კი მისი მომტყუებელიო. ყველამ რომ ხელი გამოიღოს, არავის არაფერი აპატიოს, არაფერი დაუთმოს. წესრიგიც იქნება და სამართლიანობაცო. რას იტყვი, თავის ?ხრივ ხომ ისიც მართალია? ვერც ერთ მაღაზიაში, სადაც კი თუნდაც ერთხელ შევიდოდა დალი, მისთვის კაბიკის დაკლებასაც კი ვერავინ გაბედავდა. ჩვენ კი, ამ „მშვიდობიან და დამთმობ“ ხალხს, რასაც გვაშრებიან, როგორ უმოწყალოდ გვძარცვავენ ყოველ ნაბიჯზე, კარგად ხედავ...

ლერის საღამომდე ეძინა, საღამოს კი კვლავ სანადირად მოემზადა. მეორენიც აედევნა. მე და ბესო კვლავ მარტონი დავრჩით ეზოში.

ვივაზმეთ, ცეცხლის პირას მოვიკალათეთ და ბესომ განაგრძო თავისი ამბავი:

— ფერმა, სადაც სამუშაოდ გადავედი, საბჭოთა მეურნეობას ეკუთვნოდა. ბინაც მომცეს, ერთოთახიანი, სამზარეულოთი, აივნით. მარტოხელა კაცს მეტი არც არაფერი მჭირდებოდა. არავინ არაფერს მაყვედრიდა. რაც მქონდა, ჩემი მქონდა. როგორც იქნა, მეღირსა ადამიანური, წყნარი ცხოვრება. გავიდა ხანი, სიდედრმა და სიმამრმა მომინახულეს, თან ამირანიც წამოეყვანათ, ჩემი ბიჭი.

მოფერებით დამიწყეს ლაპარაკი. სიდედრი ისედაც ტკბილი, ენამოქარგული ქალია, მაგრამ თუ ჩემს სიმამრს, ერმილე ცინცაძეს, ასეთი პირმოთნეობა შეეძლო, ვერ წარმოვიდგენდი ვერაფრით (მაგრად დაემშვენებინა ქალიშვილს, აშკარად იგრძნობოდა მისი ხელი). შვილოო, სიძე ბატონოო, დაბრუნდი ოჯახში, ცოლ-შვილს მიხედეო. ჩვენ მოხუცები ვარ, დღეს თუ ხვალ გუდანაბადს ავიკრავთ, იქით გავემგზავრებით, შენი იმედითაა იმოდენა ოჯახი, შენ ხარ იქაურობის ბატონ-პატრონიო. ეს ბიჭიც ნამეტანი თავაწყვეტილი გამოდგა, არაფერს გვიჯერებს, არავისი ეყურება. უმამისხელოდ არ გაიზრდებაო. ოჯახი მე არ მიმიტოვებია-მეთქი, ვუთხარი მათ, რა ვუყოთ, ცოტა მოშორებით თუ მაქვს სამსახური. აქამდე ძალიან დატვირთული ვიყავი, ახლა ცოტათი ავიშვი და ყოველ კვირას შინ ვიქნები-მეთქი. ყოველდღე იქ იყავი და ჩხირს არ აბრუნებდი, კვირაოდეობით რისი გამკეთებელი ხარო, მითხრა სიმამრმა, უფრო სწორად, წამოსცდა. იცოდა, ცხადია, ენაკვიმატობით საქმეს უფრო რომ წაახდენდა, მაგრამ ეკვსო მოთმინების ფიალა. ადგა, თვალები მრისხანედ დააკვესა, წამთ, ბაბუ, გავისეირნოთო, უთხრა ბიჭს და გავიდა. საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის დაბოლოება სიდედრს მიანდო. მართალი გითხრათ, იმ ოჯახში ყველაზე მეტად მისი მეხათრებოდა, მაგრამ ვერ დამიყოლია მაინც. შემოიხედა ერძილემ და, რომ შემატყო, ისევ იმ ჭკუაზე ვიყავი, აიწყვიტა, ამოიფერფლა, რაც გულში ბოღმა ჰქონდა, მაგინა დედ-მამის სული, გვარი და ჯილაგი, ერთი წამოწევა საჩხუბრადაც წამოიწია. წიწილასავით გაგბდღვნი, თაგვივით გაგსრესო, მეშოკრებოდა. შენი ფეხი არ ვნახო ჩემს სახლშიო. ფიცხი კაცია ძალიან, როცა გაბრაზდება, ლიბრი ეფარება თვალებზე, ვითომ არწივად გადაიქცევა, სხვები — თაგვებად და წიწილებად.

სიმამრმა ჩვენი განქორწინება მოიწადინა, დალი ვერ დაითანხმა.

ერთ დღეს დალიც მესტუმრა. ოთახში ისე შინაურულად, ისე თავისუფლად შემოვიდა, თითქოს ჩვენს შორის ყველაფერი რიგზე ყოფილიყო. ბინა მიათვალ-მოათვალიერა. ყოჩაღ, კარგი მარიფათი გამოგიჩენია, ამას შენგან არ ველოდი, მშვენიერად მოწყობილხარო, მითხრა. შენ აქ იქნებ კიდეც დაოჯახდეო.

არა, ერთი ოჯახიც მეყოფა-მეთქი. ვუთხარი.

— რომელი ოჯახი? აკი მიგვატოვე...

— მე სულაც არ მიმიტოვებიხარო.

— ჰოო? მაშინ რაფას ელოდები, შინ რატომ არ მოდიხარ?

— სიმამრმა ამიკრძალა... აქ არ დაგინახო, თორემ წიწილასავით გაგბდღვნიო. ერთი სიტყვით, ნებართვას ველოდები.

დალის გაეცინა.

— გეშინია, არა?

— რას იზამ... კაცნი ვართ.

— არ მეგონა, თუ ასეთი მხდალი იყავი.

— სიმხდალეზე არაა საქმე... ჩემი გაბდღვნა შეიძლება ცოტა გაუჭირდეს, მაგრამ, შენც იცი, როგორ მძულს აყალმაყალი, მიწევ-მოწევა... თანაც მისი სახლ-კარია, მისი ეზო-მიდამო, ბოლოს მოსული კაცი ვარ.

— არაა მარტო მისი. ჩვენიცაა. ჩემი, შენი, დედაჩემის, ამირანის... მოდი, ხმასაც ვერ გაგაცემს. გატყობ, მე აღარ... გჭირდები... შვილმა რაღა დაგიშავა? მოდი, ბიჭს მიხედე. კვირაში ერთ დღეს მაინც ხომ შეგიძლია მოსვლა? ესეც საქმეა.

დავდიოდი. გავიდა რამდენიმე თვე და ისევ ამიხირდა სიმამრი, არც ერთი არ მინდიხართო, არც შენ, არც შენი ცოლ-შვილი, წაიყვანე, თვალით არ დამენახოო. არ შეეძლო იმ კაცს ჩემი ატანა. არ შეეძლო და რა ექნა? ვატყობდი, ავად ხდებოდა, როცა მხედავდა. ავდექი და წამოვედი. როგორც გინდა, ისე მოიქეცი-მეთქი, დავუბარე დალის. მე რომ აქ არ გამეძლება, აშკარაა. ჩემი გულისათვის შენ რატომ უნდა გამოგაგდოს? საკუთარმა მამამ სახლიდან-მეთქი?

შევეგუეთ ნელ-ნელა ასეთ ცხოვრებას. ისინი შეეგუენ, თორემ მე რა მქონდა შესაგუებელი, მე ხომ ასე მერჩივნა. წამოიზარდა ამირანიც, მერვე კლასს ამთავრებდა უკვე. სასწავლო წლის ბოლო ახლოვდებოდა. მისი კლასის ხელმძღვანელმა წერილი მომწერა, აუცილებლად მნახეო. ჩავედი, ვნახე. სამსონი ერქვა, ბიოლოგიას ასწავლიდა. თავის კაბინეტში შემიძღვა, ხელში ჟურნალი ეპირა. დამსვა, გვერდით მომიჯდა, ჟურნალი გადაფურცლა, ამირანის ნიშნები მაჩვენა. ორიანები, თითქმის ყველა საგანში. მერე და მერე სამიანებიც გამოჩნდა კანტი-კუნტად. ეს ნამდვილი სამიანები არ გეგონოსო. გამაფრთხილა სამსონმა. ამას ისე ვწერთ, ჩუმად. გამოვურევთ ხანდახან, ისე რომ მოსწავლემ არც კი იცის, წლის ბოლოს სამიანის გამოყვანის შესაძლებლობა რომ არ დავკარგოთო. ხომ არ დავტოვებთ მერე კლასში? ვინ დაგვატოვებინებს... ახლა მოსწავლე რომ იმავე კლასში დავტოვოთ, საჯაროდ ჩამოგვახრჩობენ. ჰოდა, ვათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევთ ასე კლასიდან კლასში. თვითონაც არ იციან მოსწავლეებმა, რატომ გადაგვყავს, რაში ვუწერთ ამ სამიანებს. კაცმა რომ თქვას, ვის რაში არგებს მათი დატოვება? ხუთ წელიწადს რომ დასვა ზოგი ერთსა და იმავე კლასში, გგონია, რამეს ისწავლის? კიდევ უფრო გამოშტერდება. დედამისის საგანს, ქართულს რომ არ სწავლობს ეს შენი ამირანი, სხვა რა უნდა მოვთხოვოო?

დავაშტერდი იმ ორიანებსა და საცოდავ, ნაწყალობევ სამიანებს. განა არ ვიცოდი, სწავლა რომ არ უყვარდა, მაგრამ ასე წყალწაღებული თუ იყო, არ მეგონა. მერვე კლასს ამთავრებს უკვე, შეხედავ, ეაქაცია, სად უნდა წავიდეს, ვის მიადგეს ასეთი ცარიელი თავით?

სამსონმა ჟურნალი დახურა, ამხედდამხედა.

— რა ვქნათ? — მკითხა.

მხრები ავიჩეჩე.

— რას ამბობ? რას უშვრები ბიჭს?

— წავიყვან, ბატონო სამსონ. ვეცდები, რაიმე საქმეში ჩავაბა. დაამთავრებინეთ მაგ რვა კლასი. გატყობთ, არც გჯერდებათ მაგაზე ჩემი თხოვნა... ჰოდა, მოგაცილებთ.

სამსონმა თვალი თვალში გამიყარა და მითხრა:

— საქმეც ისაა, რომ არ მომაცილებთ...

— რად მინდა, აბა, აქ რომ დაგისვათ? რა უნდა აკეთოს მთელი ორი წელი?

— მეც მაგას არ ვამბობ? მაგრამ მანც არ მომაცილებთ, არსად არ წაიყვანთ... აბა, ერთი დალისაც ეკითხოთ, რა აქვს გუნებაში? ჩემმა ბიჭმა საშუალო სკოლა უეჭველად უნდა დაამთავროსო. შენ წარმოიდგინე, უფრო შორსაც უმიზნებს. არც უნიჭოა ჩემი ბიჭი, არც უჭკუო. გავა ეს ორი წელიც, გაიზრდება, ჩამოყალიბდება, დაჭკვიანდება, მერე მოვამზადებ ერთ-ორ საუმაღლესო საგანში და სტუდენტი გახდებაო. კი ჩამოყალიბდება თქვენი ამირანი ამ ორ წელიწადში, ისეთ უსაქმურად ჩამოყალიბდება, მერე რომ ადარაფერი უშველის... თუ უკვე ჩამოყალიბებული არაა.. სწავლა ერთი საქმეა, ჩემო ძმაო, რომ არ სწავლობს, ამას გავუძლებ როგორმე, მეორეა დისციპლინა... კარგად მომისმენე, მითქვამს და შევასრულებ, მეცხრეშიაც თუ ამირანს აქ დამისვამთ, მე წავალ... მე ამ სკოლაში გამჩერებელი არა ვარ.

არაფერი მითქვამს. დალის ვინ იცნობდა ჩემზე უკეთესად? ზედმეტი იყო იმაზე ოცნებაც კი, რომ დალის გადაწყვეტილებას შეეცვლევინებედი.

— ჰო, რაო? — გამომაფხიზლა სიმონმა.

— ცოტა ჯიუტი კია... დალიზე მოგახსენებთ, მაგრამ ვეცდები...

— კაი, ვთქვათ. მე გავუძელი. უარესი მინახავს და ვარ ცოცხალი. რომ არ გეცოდებით, ქე ვხედავ, გამწირეთ, გამიმეტეთ, მაგრამ ბიჭი რატომ არ გებრალებათ? მოდი ერთი, მოსინჯე, დაესვამ გაკვეთილზე ორმოცდახუთ წუთს, დღეში ექვს-ექვსჯერ... ორი წლის მანძილზე. უსაქმოდ. მასწავლებელს არ უსმენ, ვერც მოუსმენ, რადგან მისი აღარაფერი გეყურება. არც გინდა გაიგონო, მოუსმინო. გაიგო... თანაც წუნარად უნდა იჯდე, ხელი არ შემიშალო; შენ არ გინდა, მაგრამ სხვა ხომ მყავს სწავლის მსურველი? რას იზამ, გაძლებ? გაძლო შენ იქნება, მაგრამ კაცად აღარ გამოდგები მერე... აი, რა მოხდება. ვერ გაძლებ და აღმადაღმა დაიწყებ სირბილს, როგორც შენი ბიჭი აკეთებს. ეს რა სიკეთეს მოიტანს? რას ისწავლი, რას აითვისებ კარგს მაგ სირბილში და ხეტიალში? წამოსვლა რომ დავაპირე, სიმონი წინ გადამიდგა:

— ისე კი ნუ გამიგებ, თითქოს ცუდი ბიჭი იყოს... ბიჭი ისეთია, ბარე ათს აჯობებს ცხოვრებაში... მაგრამ არ სწავლობს და ისეთი საქმე უნდა გამოუძებნოთ, გული რომ მიუვა, ხალისით რომ გააკეთებს. აი, ესაა ახლა მთავარი. თუ ამას შეძლებთ, არ გაფუჭდება.

არა, ნამდვილად არ იყო ცუდი ბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭი. ვუყვარი. საკმაოდ ხშირად დადიოდა ჩემთან. ხანდახან ღამითაც რჩებოდა. განა არ ვიცოდი, უსაქმურობა რომ გააფუჭებდა, ეცდილობდი, დამესაქმებინა, თავისუფალი. ზედმეტი დრო რომ არ ჰქონოდა. მისი გულისათვის ისევ მივუბრუნდი ფოტოგრაფიას, აპარატი ვუყიდე, სხვა მოწყობილობაც... მალე ისწავლა, მოეწონა. თავისი ხელით გაიკეთა ლაბორატორია, ისე კოხტად მოაწყო, ყველას გვიხაროდა. უსაქმოდ ხეტიალს თავი დაანება, ჩაერთო, ჩაიკეტა... ყველას გვიხაროდა, ბაბუას გარდა... ბაბუას კი ელდა ეცა, ერთ მშვენიერ დღეს შვილიშვილის მიერ მოწყობილ ფოტოლაბორატორიაში ცხვირი რომ შეჰყო. წნეევამ აუწია, მუხლები მოეკვეთა თურმე. „ამირან, ეუბნება შვილიშვილს, ჩემი სიკვდილი გინდა, ბაბუ?“ არაო, არ მინდაო, მიუგო დამფრთხალმა ბიჭმა. „მაგ ოთახში არ შეხვიდე, ბაბუ... ნუ დაჯდები მაგ სიბნელეში... დაბრმავდები, დაყრუდები მანდ“. მეორე დღესვე მომიტანა ფოტოაპარატი და გამადიდებელი. შინ არ დავხვდი. იცოდა, გასაღებს სად ვინახავდი, გაეღო, მაგიდაზე დაედო ერთიც და მეორეც, წერილიც დაეტოვებინა, აღარ მინდაო... ერთხელ მდინარეზე წავიყვანე ამირანი. ხელში ანკესი მივეცი. მალე მოსწყენოდა. ჯოხი მიაგდო, მოვიდა ჩემთან, გვერდით დამიჯდა. არ გამიმართლა იმ დღეს, რამდენიმე ჭიჭყინა ძლივს დავიჭირე. თევზები კაკვზე აიცვა, უმზერდა, იცინოდა.

— დედა ამბობს, უცნაური კაცია მამაშენიო, მართალი ყოფილა.

— უცნაური, თუ შერეკილი?

— მაგას ბაბუა ამბობს.

— რატომ გგონივარ უცნაური. ასეთს რას ვაკეთებ?

კაკვი ასწია.

—ამისთვის ვიჯექით აქ მთელი დღე?

— მარტო მაგისთვის არა.

— აბა, რისთვის?

— როგორ... აქ სხვა არაფერია?

— სხვა რაა?

— მდინარე ხომაა? ჭალებიანი... ტყეა, სიმინდის ყანები... აქა-იქ მაღალი კბოდეები... მზე... ჰო, კიდევ რა? — წამით ჩავფიქრდი.

— ბაყაყების ყიყინი, — მომეშველა ამირანი.

— არა, ბაყაყების ყიყინს აქ ვერ გავიგონებთ. აქ ცოტანი არიან... ამ დღეებში წაგიყვან ერთ ადგილას... ისეთ ყიყინს მოგასმენინებ!..

— კარგი რა, მამა! — ამირანი გამხიარულდა, სიცილი აუტყდა, — ბაყაყების ყიყინი რა მოსასმენია?

— რომ იცოდე, რა დიდებული ორკესტრი აქვთ ბაყაყებს!

— ვიცი, ბატონო, ვიცი...

ორი წლის შემდეგ, ამირანმა საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, ისევ შემიპატიჟა სიმონმა თავის კაბინეტში. ამჯერად ჟურნალის ფურცლა აღარ დაუწყია. გილოცავო, მითხრა, ბიჭმა სკოლა დამთავრა, ამიერიდან საზოგადოების სრულუფლებიანი წევრიაო.

მეც გილოცავთ, ისევ ისე ჯანმრთელი, საღ-სალამათი რომ ბრძანდებითმეთქი.

საპენსიო ასაკს მიახლოებული იყო სამსონი, მაღალი, მსუქანი კაცი გახლდათ. ბოლო დროს ავადმყოფობდა, საგრძნობლად მოტყდა, დაიღალა, წუწუნს უმატა. ვერ გაიგებდა კაცი, მოსწონდა თუ არა თავისი პროფესია. ხან აქებდა, ყველა სხვა საქმეზე წინ აყენებდა, ხან უკმაყოფილებას გამოთქვამდა, არჩევანში მოვტყუვდი, ხელფასს სულ ტყუილად მაძლევენ, არავინ არაფერს არ სწავლობსო.

— რას აპირებ? სად მიგყავს? — მკითხა.

ეგ საკითხი დალიმ უნდა გადაწყვიტოს-მეთქი, ვუთხარი.

— დალი რასაც აპირებს, კარგა ხანია, ვიცი...

ერთხანს იყუჩა და მერე მითხრა:

— იცი, შენ, ჩემო ბესო, რა მჭირს? არ ვიცი-მეთქი.

— ცუდი საქმე მჭირს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახეზე გაოცება გამომესახა:

— თქვენ? ცუდი საქმე? შეუძლებელია!

— გაიგებდი. არაა მთლად ახალი ამბავი.

არაფერი გამიგია-მეთქი, დავარწმუნე.

— ჩემს შვილებს იცნობ? სამი გოგო მყავს, ერთი ბიჭი — ყველაზე უმცროსი. გოგოები ჭკვიანები გამოდგნენ, ისწავლეს, დათხოვდნენ, შვილებს ზრდიან. კარგი ოჯახები აქვთ. ბიჭმა თავიდანვე გამაწვალა. როგორც იქნა, დაამთავრა სკოლა. უმაღლესშიც მოვაწყე, საინჟინროზე. გადავყევით — მომზადება და ათასი ჯაბრი... წელს გამომიგდეს, მესამე კურსიდან. არაფერს არ აკეთებდა თურმე, ლექციებს აცდენდა, საგნებს ვერ ამარებდა. ახლა მეუბნება, შენი ბრალიაო, რა მაინცდამაინც ისეთ ფაკულტეტზე შემიყვანე, ჩემი ტვინი რომ ვერ გასწვდებოდა. მომკლა ამ ნახაზებმაო. სასოფლოზე, ფიზკულტურულზე, იურიდიულზეც კი, ჩემზე სულელები სწავლობენ და თავს მშვენივრად გრძნობენო... ხვდები, ჩემო ბესო, გული რატომ გადაგიშალე?

— ვხვდები, კი...

— ჰოდა, ძალიანაც კარგი...

იმ დღესვე დალის მივუტანე ეს ამბავი. გაანჩხლდა. ყველა თავის ტყავში დაეტიოსო, მითხრა. ვიცი, რაც უნდა გავაკეთო, არ მჭირდება დარიგებებიო. სხვას რომ ჭკუას ასწავლიან. რატომ თვითონ არ დადიან იმ ჭკუით? მაგ შენმა სამსონმა თავისი გამოგდებული ბიჭი ისევ მიაბარა თბილისში ლექტორებს, ისევ ამზადებს. თავისთვის უნდა ყველაფერი. სხვას ჭკუას არიგებენ, ტექნიკუმებში შედით, ტრაქტორისტები, ზეინკლები, დურგლები გახდითო, ჩაი კრიფეთ, ყანა თოხნეთო. რასაც ამბობ კაცი, იგივე უნდა აკეთო, დაგიჯერებ მაშინ...

დალის ბიძაშვილის შვილს შევუამხანაგეთ ჩვენი ამირანი, თბილისში დავადინანეთ, მასწავლებლები გამოვუძებნეთ, ჩავაკითხე რამდენიმე ოჯახი შემდეგ. შინ იყო, კარი გამიღო, წიგნებითა და რვეულებით სავსე მაგიდასთან დამსვა. ზლაზვნით დადიოდა, მოთენთილი, დაღლილი მეჩვენა, ამთქნარებდა, თვალები ებლეტებოდა.

— უძინარი ხარ? — ვკითხე.

— აჰ, არა?!. რას ვაკეთებ აქ ძილის მეტს...

— შეგდის რამე თავში, თუ სულ ტყუილად წვალობ?

— სულ ტყუილად...

— დედაშენმა იცის?

— არ სჯერა... კიო, კი სწავლობო... მასწავლებელმა მითხრაო. მე ვიცი უფრო, თუ მაგათ?

— ამხანაგი სად გყავს?

— ჯინდოო? მუშაობს...

— სად მუშაობს?

— ქარხანაში. რვაზე იქ უნდა იყოს. შვიდზე დგება და თავქუდმოგლეჯილი გარბის.

— როდისღა მეცადინეობს?

— საღამოობით.

— როგორღა ასწრებს?

მხრები აიჩეჩა:

— რა ვიცი... ასწრებს და... მე ვის დავემსგავსე, თუ იცი, ასეთი უნიჭო?

— უნიჭო კი არა, ზარმაცი ხარ.

— კი, როგორ არა, მანუგეშე... მართლა, ჩემი მუშაობის საქმე როგორ მიდის? ცნობას რომ მომთხოვენ, ხომ იცი?

შენც მუშაობ-მეთქი, ვუთხარი.

— მართლა? — გაუხარდა, — სად? როგორ?

— ჩვენთან მეურნეობაში. იქვე, ჩვენი ფერმის გვერდით სანერგეა. ჰოდა, იქ მუშაობ... მყნობელი ხარ... ახალი ნერგები გამოგაყავს.

— მყნობელი, ხომ? ახალი ნერგები? — საგრძნობლად გამოცოცხლდა, გახალისდა, მთქნარებას თავი ანება, — აი, ყოჩაღ, ამირან! როდის ჩამოვიდე? ჩამოვალ ერთს. გამოვჩნდები, უფროსებს დავენახვები. მყნობასაც მოვსინჯავ, იქნება მეორე მიჩურინი გავხდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ ხუმრობ და სამსონმა მართლა გვასწავლა მაგ საქმე.

— შენს საქმეს მიხედე, — მაგიდას თვალი მოვავლე. — იქაურობა ჩემზე იყოს.

— ერთხელ მაინც არ უნდა გამოვჩნდე იმ სანერგეში?

— არაა საჭირო. მე ვმუშაობ იქ შენს მაგივრად.

— შენ? ფერმაშიც, იქაც? ყველაფერს ასწრებ?

— ვასწრებ. იქ გამომუშავებაზეა. ორ საათში ვასწრებ მთელი დღის ნორმას.

— შენ ახლა მებაღეც ხარ და ბეითალიც?

— რას იზამ...

ამასობაში შეშა ჩაიწვა და ცეცხლი მიინავლა. ბესო ადგა, შეშა შემოიტანა. ცეცხლს შეუკეთა. იქაურობა კვამლით გაივსო, ხველება და ცრემლების დენა აგვიტყდა. როგორც იქნა, აბრიალდა ცეცხლი. სული მოვითქვით.

— არ იყო ცუდი ბიჭი, — განაგრძო ბესომ, — ერთი ამბავი გამომრჩა... ეს ცოტა ადრე მოხდა. მაშინ მეათეში სწავლობდა. ერთი ჩემი ძველი ნაცნობი ქალი მყავდა სტუმრად. სტუდენტობისას ძალიან დაახლოებული ვიყავით. მომწონდა, მეც მოვწონდი. ცოლად შერთვას ვუპირებდი. მერე ისე მოხდა, რომ ერთმანეთს დავცილდით. ამაში არც ის იყო მართალი, არც — მე. გათხოვდა, ქმარს მალე გაეყარა. მეორედ გათხოვდა, იმასაც გასცილდა. პირველი ავადმყოფი შეხვდა, ცვევანი. რაღას ირთავდა ცოლს ის უბედური, რომ არ ვიცი? ემკურნალა ჯერ, მოესინჯა. არც მეორემ გაუმართლა, ღოთი გამოდგა. ოხერი. შვილი კი შეეძინათ, მაგრამ უდღეური იყო და მოუკვდათ მალე, მამაკაცი კი თვალის დასანახავად შესძულდა. ვიღაც საერთო ნაცნობი შეხვედრია და უთქვამს, ბესოც გაეყარა ცოლ-შვილს, მარტო ცხოვრობსო. მოძებნა, მესტუმრა ერთ შაბათ დილით. მიამბო ყველაფერი, რაც ამ ხნის მანძილზე გადახდენოდა. თავს არ გაცოდებო, მითხრა, მესამედ აღარ გავთხოვდებიო, მაგრამ არც უშვილ-ძირად მინდა გადავეგო. როგორ ფიქრობ, ბებერი ვარ, შვილი აღარ მეყოლებაო? ბებერი არ იყო, მაგრამ წლებს, ნერვიულობას, გამწარებულ ცხოვრებას თავისი დაღი დაესვა. რა მეთქვა? ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მიმზიდველი ქალი ხარ-მეთქი, ეუთხარი, შვილი თუ ასე ძალიან გინდა, მოსინჯე-მეთქი, ვურჩიე. რაღა შორს წავიდეო, მითხრა. ჩვენ ხომ გვიყვარდა ერთ დროს ერთმანეთი? შენც მარტოხელა ხარ, მეცო... დარჩა იმ დღეს ცირა (ასე დავარქვათ), საზეიმო ვახშამი მოვაწყეთ, ღვინოც მოვიტანე, ცოტა წავიქეიფოთ-მეთქი. არ დამანება დასხმა. ახლა არა, ხვალ დილით, თუ ძალიან გინდა, დავლიოთო. მაგ ღვინომ დამლუპა და დამაქციაო. ამ დროს ვიღაცამ კარზე მომიკაკუნა. ავდექი, გავუღე. ამირანი შემრჩა ხელში. სტუმარი რომ დაინახა, გაბრუნება დაიპარა. სად გავუშვებდი, გვიანი იყო უკვე. მოდიოდა ზოგჯერ შაბათობით. ღამეს გაათევდა, კვირასაც დარჩებოდა, გაიელ-გამოიელიდა, სათევზაოდაც წამომყვებოდა. თვითონ გულს ვერ უდებდა თევზაობას, ბანაობდა, მზეზე იხუჭებოდა. მოსინჯე-მეთქი, რომ მივაძალებდი, თევზები მეცოდებიანო. მეტყოდა, ვინ იცის, როგორ ტკივიო, პირში ანკეტი რომ გამოედებათო. ვერ ვიტყვი, ტყუოდა, ან ხუმრობდა-მეთქი. შეიძლება ეცოდებოდა კიდეც. პატარა რომ იყო, ჩემ დაჭერილ თევზებს სათითაოდ გადაარჩენდა ხოლმე, წყალში ჩაყრიდა, აკვირდებოდა, სული შერჩათ, თუ არაო. თუ მათ შორის ცოცხალს აღმოაჩენდა, ხელსაც არ დამაკარებინებდა. ტაშტში ჩასვამდა, წყალს მალ-მალე უცვლიდა, პურის ნაფხვენებს უყრიდა შიგ. ერთი სიტყვით, ჩემთან თავს კარგად გრძნობდა. დედაჩემმა გული გამიწყალა თავისი დარიგებებით, ისწავლე, ისწავლეს ძახილითო, მეუბნებოდა.

ჩემი ვაჟია-მეთქი, გავაცანი ცირას, მოდის ხოლმე შაბათობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატომ არ მითხარი.. თუ ამოდენა ბიჭი გაყავდა? — გამიჯავრდა სტუმარი.

ალბათ, იმის თქმა უნდოდა, რატომ არ მითხარი, ბიჭს თუ ელოდონ.

ახლა თვითონვე ჩამომასხა ღვინო, ეს რა კარგი ბიჭი გყოლია, აუცილებლად უნდა დავლოცოო. წავიქეიფეთ იმ საღამოს. ცირას მართლა ძალიან მოეწონა ამირანი, თვალებში შესცინებდა, ეფერებოდა, რა ბედნიერი ვიქნებოდი, მეც რომ ასეთი ბიჭი მყოლოდაო. გული აუჩუყდა, წამოიტირა კიდეც. რა სულელი, რა დაბნეული ვიყავი, ჩემი ბრალია ყველაფერი, რაც სიმწარე ვნახეო. ამირანი დაბღვერილი იჯდა, ცირა რომ ქოჩორს აუჩეჩავდა, ამრეზილი იცილებდა მის ხელს. დილით, სტუმარი რომ გავაცილეთ. მკითხა:

— ვინაა? შენთან რა უნდოდა?

— ცირა? ხომ გაგაცანა... სტუდენტობის ამხანაგია.

— მეტი არაფერი?

— არაფერი.

— შენთან ხშირად დადის?

— პირველად იყო.

თვალებზე შეეცინა, არ დაიჯერა. იწრიალა, იწრიალა, იყოყმანა და ბოლოს მითხრა:

— შენ ცუდი კაცი ყოფილხარ...

— რატომ. შვილო?

— მე მეგონა, შენ ავად იყავი.

— მერე? ცოტა ვინმეა ავად? ავად ვარ, მკვდარი კი არა, — გამეცინა.

იდგა, წრიალებდა, ყოყმანობდა. ბოლოს ძლივს მოუყარა თავი მთავარ სათქმელს, მეგონა, სახლიდან იმიტომ გამოიქეცი, შენი ავადმყოფობის გრცხვენოდაო. როგორი საქმეა, კაცი ზესიძე ხარ და უცაბ ასეთი უბედურება დაგატყდება თავს... დედა სულ იმას მეუბნება, ხშირად მიდი, ნუ მოიძულებ, თავისი უბედურება ეყოფაო. გულჩათხრობილი კაცია, თანაც მეტის-მეტად თავმოყვარე. ვინ იცის, თავის მდგომარეობას როგორ განიცდის, როგორ იტანჯებაო, შენ თუმრე აქ ვიღაც ქალები დაგიდის.

მე ვუთხარი, ასეთი საქმეებისა [illegible] ვა შენთვის ჯერ ადრეა, ასაკი არა გაქვს ჯერ სამგზისო-მეთქი.

— ძალიანაც კარგად ვერკვევი ყველაფერში, — მითხრა მან, — ძალიანაც კარგად! ეს ქალი... ეს ამჯობინე დედაჩემს? რასა ჰგავს... ან ტან-ფეხი უვარგოდეს, ან სახე! ნამდვილი ალქაჯია!

მე სიცილი წამესკდა. ეს კი ცეცხლს აფრქვევდა თვალებიდან. გააფთრებული ჯერ არ მენახა. ასეთი იყო. ცუდი ბიჭი ყოფილა?

მოვიდა აგვისტო და პირველივე გამოცდაზე ჩაიჭრა ჩვენი აბიტურიენტი. თითქოს „კაცივ“ გვუყავდა (დალმა გამოჩხრიკა), თითქოს ცოდნაც ჰქონდა (ამირანის რეპეტიტორმა გვითხრა, სამიანის მიღება არ უნდა გაუპირდესო), მაინც გაწბილებული გამოვბრუნდით შინისაკენ. მართალი გითხრათ, ასეთ შედეგს ველოდი და წინასწარ ვიყავი შეგუებული, ამირანმაც მითხრა, ტყუილად ვჯახრობთ, არაფერი გამოგვივაო. დალი დარდობდა ძალიან. ამას ისიც დაერთო, რომ ბიჭს ორიოდე კვირის შემდეგ მარცხი მოუვიდა, მარცხენა ხელში კაფსულა აუფეთქდა და ცერი წაგლიჯა. მდინარეზე წაჰყოლოდა ამხანაგებს, ლაღუმის სროლას ამირებდნენ თურმე. აქეთ ეს მარცხი, იქით პასუხისგება ბრაკონერობისათვის. დავტრიალდით ყველა: სიდედრ-სიმამრი, დალი, მე. მისი ამხანაგების მშობლებმა და ახლობლებმაც გამოიღეს ხელი, მიდგნენ მოდგნენ. მიფუჩეჩდა ეს საქმე, როგორც იქნა. ხელი რომ მოურჩა, ვკითხე, გამაგებინე ერთი, როგორაა, ანკესით დაჭერილი თევზი რომ გებრალება, ლაღუმით ამოჭეტილი არამეთქი. თვითონაც არ ვიცი, როგორ გამასულელესო, მითხრა. ჯერ ბადით ვაპირებდით თევზობას. ვერ დავიჭირეთ ვერაფერი. ერთმა თქვა, ასე გაწბილებული როგორ წავიდეთ, მასხრად აგვიღებენო. ლაღუმიც მას აღმოაჩნდა, მოესინჯოთ ეს ერთი ცალი, ჭვეყანას ხომ არ დაეჭეეფსო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუაღამე გადასული იყო, მირონი რომ დაბრუნდა ნაღირობიდან. ხელში მოკლული იხვინჯა ეჭირა. ნანადირევი თაროზე შემოდო, ფრთები გაუსწორა, სინანულითა და ალერსით გადაუსვა ხელი, თითქოს გაეცოცხლებას უპირებსო, მერე ჭრაქი აიღო, მიანათა.

— შეხედეთ ერთი, რა ლამაზია. რა სალი და ჯანმრთელი ყოფილა, რამდენი უნდა ეცოცხლა კიდევ, მე რომ არ გადამყოროდა... დასანანი სწორედ ისაა, ჩემი ხელით რომ დაიღუპა... სხვათაშორის, პირველია. ოცი წელი იქნება, მონადირეთა კავშირის საწევროს ვიხდი, მონადირე მქვია და არც იხვი მომიკლავს ჯერ, არც ტყისკათამი. ამოდენა გაიზარდა, ასეთი მშვენიერი და მაინცდამაინც მე რატომ უნდა მომეკლა?

—იქნება არცაა შენი მოკლული? — ვკითხე მე. — იქნება სხვამ მოინადირა? თუნდაც ლერომ...

— რას ამბობ, კაცო! — შესძახა მირონმა, ცოტა ხანს იყუჩა და განაგრძო; — თუმცა, შეიძლება ასეც იყო... ნამდვილად ასე იქნებოდა! მეც გავისროლე (ალაბეგზე, დაუშიზებლად), იმანაც. თითქმის ერთდროულად. რაკი დინკომ იპოვა და მომიბრძანინა, რატომღაც ეჭვი არ შემპარვია, რომ ჩემი მოკლული იყო. მერე ერთხანს კიდევ ვიხეტიალეთ და ლერის ვუთხარი, მეყოფა, ნადირობა მომბეზრდა, დაბრუნება გადავწყვიტე-მეთქი. შორს ვართ წამოსულნო, მითხრა ლერომ, ამ სიბნელეში გზა აგებნევა, ბინას ვერ მიაგნებო. არ დავუჯერე. წამოვედი და მართლა ამერია გზა. ორ საათზე მეტია, ჭაობებში დავეხეტები. დამაწყდა ფეხები. ვიფიქრე, ჩამოვჯდები სადმე, გათენებამდე გავძლებ როგორმე-მეთქი. სწორედ ჩამისაჯდომ, დასასვენებელ ადგილს ვეძებდი და ხის ბილიკს არ გადავაწყდი? ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამეხარდა. ეს ნამდვილი ბედნიერება იყო. ახლა საწოლზე დავეგდები და ესეც მეორე ბედნიერება...

— ალბათ, თავი მოგაბეზრე უკვე, მითხრა ბესომ, როცა მეორე ოთახში საწოლის ჭრიალი მიწყდა და მირონის ჩამტკბარი ხვრინვა მოისმა, — მოგაბეზრე თავი ჩემი უხეირო, უიღბლო ოჯახის წვრილმანი ამბებით... აქამდე რომ მისმენდი, მადლობელი ვარ და და ბარემ ჩავალ ბოლომდე...

როგორ გეკადრება, ვუთხარი, სულაც არ მომბეზრებია, პირიქით, მეტად ჭკუისსასწავლებელი ამბავია-მეთქი.

— ჭკუისსასწავლი კია... უეჭველად. მაგრამ რომ არ ვსწავლობთ ჭკუას? შემოდგომაზე ისევ ჩასჯიდა ხელი დედამისმა და დედაქალაქისაკენ გასწია. ისევ თავიდან დაიწყო ყველაფერი. დაუჭირავა ბინა, მასწავლებლები. „ახლა ხომ ისწავლი? — უთხრა ამირანს. — ახლა რაღა გზა გაქვს მეტი? ხეიბარი ხარ... ისწავლო უნდა, არადა, შიმშილით მოკვდები“.

„ხეიბარს“ გუნებაში ეცინებოდა. მშვენივრად იცოდა, შიმშილით რომ არ მოკვდებოდა.

კვლავ ჩავაკითხე ორიოდე თვის შემდეგ. ღარ დამხვდა შინ. მიკეტილი იყო კარი. სახლის პატრონი მოვინახულე. ვკითხე, რას შვრება ჩემი ბიჭი, ხომ არაფერს აშავებს, ცუდ ხალხში ხომ არ დადის, თუ მეცადინეობს-მეთქი. რას უნდა აშავებდესო, მაგრამ გოგოები ჰყვარებია და, მგონი, სწორედ ის დროა, შინ რომ მიგყავდეს და საობლოს ეძებდეო, მიპასუხა. რა მოხდა მერე? მითხრა დალიმ, როცა ეს ამბავი ჩავუტანე, უყვარდეს, ბატონო, გოგოები. აი, მოეწყობა უმაღლესში და დავაქორწინოთ. მოვიდა ზაფხულიც, გავამზადეთ საბუთები და ჩავედით თბილისში. სადაა შენი ამირანი. წერილი მოგვაჩეჩა სახლის პატრონმა. ეს დატოვა მაგიდაზე და გაქრაო. ათიოდე დღის წინ მომხდარიყო ეს ამბავი. წაიკითხეთ წერილი. ამხანაგები გამოეძებნა და სადღაც მშენებლობაზე წასულიყო. წელს მაინც არა ვარ გამოცდებისთვის მზად. მომავალი წლისთვის გადავდოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგ საქმეო. საით აეღო გეზი, არ იკითხავ? ციმბირში, ტაიგაში. აქ კარგი გამომუშავება ყოფილა, მანქანის ფულს მოვაგროვებ და ჩამოვალო. სხვათა შორის, მანქანისაკენ სხვა ბიჭებივით გული არასდროს არ მიუწევდა... ბაბუამისიც ხომ ჰპირდებოდა, თუ უმაღლესში მოეწყობი, მანქანას გიყიდიო. არა, ფულის გასაკეთებლად ნამდვილად არ იყო წასული, ქვეყნის ნახვა მოუნდა, თავისუფალი ნავარდი. დაძმარებულები დავბრუნდით შინ. ზამთრის პირზე ამირანიც ჩამოვიდა. სახლში მისვლა ვერ გავბედეო, პირდაპირ ჩემთან გამოცხადდა ფერმაში. რის ფული, რა მანქანა, ცარიელ-ტარიელი იყო, მაშინვე ხურდა მთხოვა, სიგარეტი უნდა ვიყიდოო (ეწეოდა უკვე).

— რა ჭქენი, — ვკითხე, — ნახე ცხოვრება?

— ვნახე.

— მოგეწონა?

—ისე, რა...

მშენებლობაზეც ემუშავნათ, კარტოფილისა და პურის აღებაზეც. რაც ვიშოვე, იქვე შევჭამეო.

ერთი მხრივ, კარგია, ცხოვრების ავკარგი რომ ნახა, გავიარე გულში. იქნებ უფრო ბეჯითად ჩაუჯდეს წიგნებს.

— მიხვდი, სწავლა რომ სჯობია?

— მაგას რა მიხვედრა უნდა?

— კიდევ კარგი.

— როგორაა ის ჩემი სანერგე. ხომ არ გამომაგდეს?

— ჯერ არა.

— დედაჩემს შენ მოელაპარაკე. შეაგნებინე რამე. არ დამიწყოს ისტერიკები. ბოლოს და ბოლოს მე სრულწლოვანი ვარ და ვიცი, რას ვაკეთებ.

— საქმეც ისაა, რომ არ იცი, რას აკეთებ.

— თუ არ ვიცი. გავიგებ. მიეხვდები... ჩემით... ზომბეზრდა ამდენი ჩიჩინი და ჭკუის სწავლება.

არ მოეწონა ამირანს სანერგე. ხელფასი დაეწუნა. „რა ხელფასს ითხოვ? — ვუთხარი, — შენ ხომ თითქმის არაფერს აკეთებ“. „სხვები რას აკეთებენ? ჩემზე მეტად არც ისინი მუშაობენ, რატომ ეწერებათ ჩემზე მეტი?“ სწორი ვითხრა, არც კი ვიცი, ვის რა ეწერება იქ. ალბათ, შეაგულიანეს ვიღაც-ვიღაცებმა. წავედი, მიბოლავ სანერგე. არც დალის მოსწონდა მაინცდამაინც, ბიჭი ასე შორს რომ იყო სახლიდან. წაიყვანა, ჩაის ფაბრიკაში გამოუძებნა ადგილი. დალი კიდევ არ კარგავდა იმედს, რომ შვილს უმაღლესში მოაწყობდა. ერჩივნა შინ, თავისთან ჰყოლოდა, იქნება როგორმე ვაიძულო, ხანდახან წიგნში ჩიხეიდოსო. ფაბრიკა ხომ სოფელში გვაქვს, ორ ნაბიჯზე სახლიდან.

— მართლა აქვს ბაბუას მანქანის ფული, თუ მატყუებს? — მკითხა ერთხელ ამირანმა.

არ ვიცი-მეთქი, ვუთხარი. ცოტა ხომ არ დაეხარჯათ, ეს ორი წელია — ბინა, რეპეტიტორები. იანგარაშე, ბაბუაშენი მილიონერი ხომ არ გგონია? ყოველ შემაბვევაში, პირობას თუ შეუსრულებ, არა მგონია, სიტყვა გაგიტეხოს. ისესხებს და გიყიდის.

— პირობას ვერ შევუსრულებ, მანქანა კი აუცილებლად მჭირდება... ახალს არ ვჩივი, იყოს ნახმარი.

— რისთვის გჭირდება?

— ქალი უნდა მოვიტაცო...

არაფერს მიმალავდა. მუდამ გულახდილი იყო ჩემთან. ნათქვამი მაინც ხუმრობად ჩავუთვალე. გამეცინა.

— ნუ იცინი, ბესო... ქალი მყავს მოსატაცებელი.

— რომელი ქალი?

— მაყვალა შავიშვილი... სარდიონის გოგო.

ეს ის სარდიონია, ფერმის გამგედ რომ მუშაობდა და შემდეგ ჩაის ფაბრიკის დირექტორად გადაიყვანეს. მისმა ქალიშვილმა ამირანთან ერთად დამთავრა საშუალო სკოლა. პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა დაუსწრებლად. თან სკოლაში მუშაობდა პიონერხელმძღვანელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მანქანა ძვირია, — ვუთხარი ამირანს, — მოდი, ცხენი ვიყიდოთ.

— ცხენი რად მინდა?

— ცხენით მოიტაცე...

მოდი და ნუ დადგები ხუმრობის გუნებაზე ასეთი სულელის შემხედვარე.

— კარგი რა, ნუ ხუმრობ...

მაყვალა შეუხედავი გოგო არ ყოფილა, მაგრამ ტანად იყო ძალიან პატარა, გამხდარი, წრიპა, ბოლოჭანჭარას ჰგავდა.

— მაყვალას მოტაცებას მანქანა რად უნდა? — ვუთხარი ამირანს, — ამოდენა ვაქაცი ხარ, სტაცე ხელი და ჩაიჩურთე ჯიბეში, არ ჩაგეტევა თუ რა გგონია?

ამირანმა გვერდზე გაიხედა, წარბი შეიკრა, ხმა არ გამცა.

— გიყვარს? უყვარხარ?

მხრები აიჩეჩა.

— არ იცი, გიყვარს თუ არა?

— გვჭონდა ლაპარაკი.

— როდის?

— მეცხრეში... მეათეში...

— მერე თუ ელაპარაკე? ამ დღეებში?

— მაგ საკითხზე არა.

— აბა, რა საკითხზე?

— აქეთურზე, იქეთურზე... თხოულობს ვიღაცა...

— თვითონ გითხრა, მთხოულობენო?

— თვითონაც წამოსცდა და სხვისგანაც გავიგონე.

— შენც ადექი და შეახსენე ძველი სიყვარული. იქნება შენ ურჩევნიხარ.

— ახლა სიყვარულზე ლაპარაკის დრო აღარაა, უნდა მოვიტაცო.

— რას აიჩირე ეს მოტაცება. რაღა დროს მაგეებია? მაგისთანა ოინები, კარგა ხანია, ჩაბარდა ისტორიას.

— არაფერიც არ ჩაბარებულა. აბა, გაიხსენე, რამდენი ქალია ჩვენს სოფელში მოტაცებული.

— რამდენი ვინმე გაიპარა და შეუყვარებულს გაჰყვა, შენ მაგას მოტაცებად თვლი?

— მოტაცებაც იყო...

იყო რამდენიმე შემთხვევა. ქალი უყარზე იდგა, ქალის მშობლებიც. ბიჭმა მოახერხა, ქალი მოტყუებით ჩაისვა მანქანაში. გაატარ-გამოატარა, შორეულ ნათესავებთან დამალა. ბოლოს მორიგდნენ. მაგრამ იყო გართულებებიც — გოგო არ დათანხმდა მომტაცებელს ცოლობაზე, უჩივლა და ციხეში უკრა თავი.

ნახე გოგო, გაესაუბრე-მეთქი, ვურჩიე, ადრეც ხომ გჭონიათ რაღაც „ლაპარაკი“. მე მამამისს ვნახავ, მის აზრს გავიგებ. შარსა და დავიდარაბას ეს არ გირჩევნია? ეჭვი არ მეპარება, ყველაფერი კეთილად დასრულდება. ერთი რამ მაინც ვერ წარმომიდგენია, ქუჩაში როგორ უნდა გაიარო, ან ხალხში სად გამოჩნდები იმ ყურცქვიტასთან. წელამდე არც კი მოგწვდება.

— მამა გიცხონდა, სარდიონ შავიშვილი ქალს გამოგატანს... ვერ ხედავ, როგორ იბღინძება? გამდიდრდა ქურდობით და მამაძაღლობით და თავი ღმერთი ჰგონია, გამარჯობის თქმაც ეზარება.

— თუ ასეა, მის ქალიშვილს რაღას აჭკიდებიხარ.

— სწორედ მაგიტომ... ვნახავ ერთი, სიძედ რომ გავუხდები. სალამს არც მაშინ გაიმეტებს?

●

მირონმა დილით მოგვიანებით გაიღვიძა. მე და ბესო ახალდაბრუნებული ვიყავით დილის „სეირნობიდან“. ღვრის მკვდარივით ეძინა. მთელი ღამე ნადირობაში გაატარა, სამი იხვი და ერთი ტყის ქათამი შემატა თავის ნადავლს. მირონს აერეოლებდა, თავი სტკიოდა. წუხელ იმ უთავბოლო ხეტიალში გავოფლიანდი და, ეტყობა, გაციებულვარო, დაასკვნა. ამასობაში მზე შემაღლდა, დათბა. გავივლი, იქნება ცოტათი გამოკეთდეო, თქვა მირონმა, ჩანთაში პურის ნატეხი ჩაიდო. დინკოს უხმო და ტყეში შევიდა.

მე და ბესო გარეთ, მოზრდილ კუნძზე ვისხედით და მზეს ვეფიცხებოდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გასულა ნახევარი საათიც, ჯერ დინკომ მოირბინა, ლაფიანი ბეწვი შემოგვაბერტყა და ეკასთან საღლაბუცოდ გაქანდა, მერე მირონიც გამოძვრა ტყიდან. ჩვენთან მოვიდა და მტკიცედ თქვა:

— ახლავე უნდა ავიბარგოთ. დამთავრდა ჩვენი ნადირობა.

— რა მოხდა? — ვკითხე გაკვირვებულმა, — რატომ აჩქარდი?

— გახედე, გაზაფხული დადგა, რაღა დროს ნადირობაა.

ხვალამდე დავრჩეთ-მეთქი, ვთხოვე.

— არა, ჯერ დავრჩები...

— მე ხელცარიელი რომ ვარ? — ვკითხე და ბესოს თვალი ჩავუკარი. — შენ რა გენაღვლება, ნანადირევით დატვირთული ბრუნდები ოჯახში.

— შენთვის მიჩუქნია ის ჩემი უბედური იხვინჯა.

— ორიოდე საათი მაინც მადროვე, — ვთხოვე მირონს, — გახედე მზეს, ჯერ დილაა.

მირონი წამით ჩაფიქრდა.

— კარგი... დაველოდები, — ტალახიანი ჩექმები გაიწმინდა და ჯოხში შევიდა. მე და ბესო ღელეს შევყევით. მდინარემდე მივდიეთ და კბოდეზე, მზის გულზე დავსხდებით.

— რა ქნა ამირანმა, — ვკითხე ბესოს, — მოიტაცა თუ ვერა დირექტორის ქალიშვილი?

— მოიტაცა... აბა, რა ამირანი იქნებოდა, განზრახვა გადაეფიქრებინა. ადრიანი დილა იყო. ფერმაში მივედი, ჩემი კაბინეტის კარი შევაღე და ამ დროს ღმუილით შემოვარდა ეზოში ჩაის ფაბრიკის დირექტორის, სარდიონ შავიშვილის ვოლგა. მანქანა ზედ ჩემს ცხვირწინ დაერჯო, ორივე მხრიდან გაიღო კარი და ისე სწრაფად გადმოკვივდნენ იქიდან სარდიონი და უბნის რწმუნებული ტარიელ უროტაძე, თითქოს კაი დიდი ხნის ნაძებნი საშიში დამნაშავე დაინახეს და ეშინიათ, ხელიდან არ წაუვიდეთო. სარდიონს სახე აჭარხლებოდა, თვალები გადმოკეკვნაზე ჰქონდა. გამუდმებული ჯდომისაგან ავადმყოფურად ჩამრგვალებულიყო. ადრე ლამაზი, სანდომიანი მამაკაცი იყო, მაგრამ ასაკმა, უმოძრაობამ, ეზომო სმა-ჭამამ და, ალბათ, ყოყოჩობამაც ფორმა და ლაზათი დაუკარგა.

— სადაა შენი ყაჩაღი შვილი, სად იმალებაო?!

ტარიელი ისე ახლოს მოვიდა, ისე დაძაბული და შემართული იყო, კინაღამ გამეცინა. დროზე შევიკავე თავი. რა მჭონდა სამხიარულო? რა სიკეთეს ეწეოდა ჩემი სულელი, გზაბნეული ამირანი სარდიონ შავიშვილის ოჯახში? არ მომეწონა ეს საქმე. უკვე ვნახობდი, ბიჭი ნებაზე რომ მივუშვი. ხელი რომ არ შევუშალე მისი ქარაფშუტული განზრახვის განხორციელებაში. ხომ შემეძლო გამეფრთხილებინა დალი, თვით მაყვალა?, ან თუნდაც მამაშისი?

— სად დამალე ის მამაძაღლი?! ციხეში ჩავალპობ, ციხეში!

მაშ, მე ძაღლი ვარ? სახეზე წამოვეწითე. შემობრძანდით, თუ ჩემთან რამე საქმე გაქვთ-მეთქი, გამოვძახე იქიდან მოტაცებული ქალის მამასა და მილიციელს.

ჩემმა საქციელმა მთლად გააცოფა სარდიონი. შემოვარდა. მე დამჯდარი დავხედი. არ ავმდგარვარ, არც სკამი შემითავაზებია. გააფთრებულს ლაპარაკის უნარიც კი წაერთვა, გაუგებრად ბურტყუნებდა რაღაცას.

— ნუ ეხუმრებით თქვენ ამ საქმეს, — მითხრა ტარიელმა.

— ვინ გითხრათ, რომ ვეხუმრები? ხომ არ გგონიათ, მესიამოვნა ეს ამბავი?

— არ ესიამოვნა! — შესძახა შავიშვილმა, — იწუნებ იქნება სარძლოს!

— ჩემი საქმე არც დაწუნებია და არც მოწონება. მე ჩემთვის ვარ აქ და, კეთილი ინებეთ, ყველამ თავი დამანებეთ.

— თავი დამანებეთო, — სარდიონმა მუშტი დაჰკრა მაგიდას, — ციხეში ჩაგალპობთ ყველას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულგრილად გავიხედე გვერდზე —. არაფერი მითქვამს.

— ახლავე უნდა წახვიდეთ, — მითხრა ტარიელმა, — უნდა მოძებნოთ. თქვენ უფრო მიხვდებით, სად წაიყვანდა, ვისთან შეიფარებდა თავს. თქვენს ნათესავებში იქნება სადმე, — მერე ფრთხილად შეახო მკლავზე ხელი სარდიონს, — წამობრძანდით, პატივცემულო. ეტყობა, მამამისმა მართლა არაფერი იცის. ის თავხედი ბიჭი მშობლებს რომ არაფერს გააგებინებდა, ცხადია.

დირექტორი მორჩილად, უსიტყვოდ მიჰყვა რწმუნებულს. ტარიელი კართან შეჩერდა და მომიბრუნდა, — თუ დროზე არ მიხვდავთ, ცუდად დამთავრდება ეს საქმე...

მთელი დღე ვიხეტიალე და მივაგენი როგორც იქნა, ერთ მიყრუებულ სოფელში, ჩემი ბთხოვილი ბიძაშვილის ოჯახში. ერთხელ მეტად არც ვიყავი იქ ნამყოფი. ქორწილებზე და პანაშვიდებზე თუ შევხვდებოდი ჩემს ბიძაშვილსა და მის ქმარს, ეს იყო და ეს მთელი ჩვენი ურთიერთობა. ახლაც არ ვიცი, საიდან, როგორ მოაფიქრდა ამირანს მაინცდამაინც იქ მისვლა. ჩემს ბიძაშვილს სამი შვილი ჰყავს — ტყუში ბიჭი და ერთიც გოგო. ბიჭები ჯარში იყვნენ, გოგო მეცხრე კლასში სწავლობდა. ბიძაშვილი (ნათელა ჰქვია) დაზაფრული დამხვდა.

— ვიღუპებით, ბესო! — მომახალა ჩიფქარში შესვლისთანავე. — კაი ქენი, რომ გამოჩნდი.

მთელი დღე ღამა-დღმა ნარბენი ისე ვიყავი დაღლილი, ხმის ამოღების თავიც არ მქონდა.

— გოგო უარზეა, — განაგრძო ნათელამ, — მოვკვდები და ცოლად არ გავყვებიო... სახლში წამიყვანეთო.

მართალი გითხრათ, გამეხარდა ეს ამბავი. მეცოდებოდა დალი, ქმარმა და შვილმა არ გაუმართლეს, ეს გოგო საბოლოოდ მოუთავებდა ხელს. ავდგები და ჩავუყვავ ბატონ სარდიონს თავის ქერქეტა გოგოს, გააყოლოს არჩეულ სასიძოს.

— ამ სიშორეზე რით მოიყვანა? — ვკითხე ნათელას.

— ე, მანქანა, ვერ ხედავ? — თხილებისაკენ გაიშვირა ხელი. იქ რაღაც საფრთხობელას მოვკარი თვალი. მანქანის გარდა, ყველაფერს ჰგავდა. ვერც კი გაარჩევდი, რომელი მარკისა იყო.

— სად იშოვა? ვისია?

— რა ვიცი... მეზობლისააო... უთხოვებია.

ახლოს მივედი, დავკვირდი. ეს ჯართი, ერთ დროს „ეიგული“ რომ უნდა ყოფილიყო, მთელი წელი ეგდო ჩვენი მეზობლის, მამუკა მიქაბაძის ეზოში. კაცი არ იყო მისი პატრონი და შემხედავი — ათოვდა, აწვიმდა, მზეში იხრუკებოდა. ნეტა რა სასწაულმა ჩაუდგა სული-მეთქი, გავიფიქრე. მამუკას იშვიათად ვხედავდი შინ, მგონი თევზმჭერ გემზე მუშაობდა და თვეობით ზღვაზე უხდებოდა ყოფნა. შინ მამუკას დედა, ცოლი და პატარა ბავშვები ჰყავდა.

მანქანას რომ ვათვალიერებდი, ჩემი სიძე და ამირანიც გამოჩნდნენ. ამირანი გვერდზე გადგა, ახლოს მოსვლა ვეღარ გაბედა. სიძე გადამეხვია, შევატყვე, გვარიანად იყო შეკიკჭიკებული. ბორდოს ხსნარით ტანსაცმელი აპრეულები ჰქონდნა. ალბათ, ვენახში მუშაობდა. მისი ეზოს უმეტესი ნაწილი ვენახს ეჭირა. სიძე ზურგზე ხელს მიტყაპუნებდა, რძალს მილოცავდა.

— კაი გოგოა, კაი... ღმერთმა შეაბეროთ ერთმანეთს მზე და მთვარესავით.

— ელაპარაკე ახლა ამას! — გაჯავრდა ნათელა, — რას ულოცავ, რას... ვერ ხედავ, გოგო უარზე რომაა?

— უარი არ ვიცი მე... უარი კი არა, ის არ გინდა? ამისთანა ბიჭს გოგო უარს ეტყვის? მოდი, ბიძიკო, ახლოს, მოდი, ნუ გეშინია... აგერ არ გკადავარ მე? ვინ გაგიბედავს რამეს. — ამირანი მოჩჩდა, — რას ქვია, უარზეა... გაიჯრანჭა ცოტა, თავი დაიფასა, გოგოა მაინც, არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაემტყუნება. აბა, რა გგონია; მოიცა ჯერ, აქეთ დაუწყებს ხვეწნას.

ნათელა ჩემკენ გადმოიხარა, ყურში მიჩურჩულა:

— რამ დააბრმავა ნეტა ასე, რამ მოაწონა? ჯადო ხომ არ გაუკეთეს, თუ იცი? გავალ ოფელში და მაგისთანებით გავავსებ ეზოს ერთ საათში.

ამირანი თვალს ვერ მისწორებდა. ტანზე სიძის ძველი შარვალ-ხალათი ეცვა, ეხმარებოდა, ალბათ, მასპინძელს.

— ამას რას ვხედავ! — შესძახა ნათელამ, — ეს რა ჩაგიცვამს, მამიდა! მაგ ძონძებში რომელი გოგო შემოგხედავს!

ამირანმა გულგრილად აიქნია ხელი, არ შემოძახედავს და იყოს თავისთვის, არავინ ეხვეწებაო.

— ა, გესმის? გესმის, ბესო? ახლა არც ეხვეწება... ასე როგორ შეიძლება, მამიდა... დედა, რა ეშველება ამ საქმეს. დაგიჭერენ, შე საცოდაო, ციხეში ჩაგსვამენ და უყარე მერე კაკალი.

— ჩამსვან... დიდი ამბავი.

— გოგო სადაა? — კვითხე ამირანს.

— ზემოთ, — ნათელა სახლისკენ შებრუნდა, — ოდაში... ჩაკეტილია იქ, ზის და წიგნს კითხულობს.

— სულელი არაა ახლა მაგ საწყალი? — გაეცინა სიძეს. — ნახა წიგნისათვის დრო. არ ურჩევნია, ამ ანგელოზივით ბიჭს ეხუტებოდეს? ოოვარჩე ერთი ამ ვენახს, მოვუვლი მე მაგ საქმეს.

— ჰო, ჰო, წადი, შენს საქმეს მიხედე, — უთხრა ცოლმა, — მოუვლის ბიჭი...

— დიახაც წავალ,—მიუგო სიძემ რიხიანად, შებრუნდა და წავიდა.

ამირანმაც დაიპირა მოყოლოდა, მაგრამ შეეჯიერე, ეკითხე:

— მამუკა შინ იყო?

— მამუკას შინ ნახავ? შინ რა უნდა. გემშვიდ...

— ეს მანქანა მისი ხომაა?

— მისია, კი...

—ვინ ააწყო? თუ ამას აწყობა ჰქვია?

— ვინ ააწყობდა? მე...

— შენ? შენ რა იცი, ბიჭო, მანქანის?

— რა ცოდნა უნდა.

— ცოდნა ამას უნდა სწორედ... თავი და ბოლო სადა აქვს, ვერ გაუგებ.

ამირანმა მოკლედ ჩაიცინა:

— მე ავაწყევ. ტუიელი რაში მჭირდება?

— სათადარიგო ნაწილები? საბურავები?

— ზოგი ვიყიდე... ზოგიც ბიჭებმა მათხოვეს.

ჩამოსულა მამუკა მიქატაძე რამდენიმე დღით სახლში და, სანამ კვლავ წავიდოდა, ხვეწნით თავი გადასჭამა თურმე ამირანმა, ნება მომეცი, ეგ შენი მოძულებული მანქანა გაგირემონტოო. სადა მაქვს მაგის შესაკეთებელი ფულიო, უთქვამს მამუკას, არც კი ღირს საწყალებლადო. ძლივს დაითანხმა ამირანმა და შეუდგა კიდეც მაშინვე საქმეს. სასწრაფოდ გამოძებნა, თუ სადმე ავტოპროფილაქტიკაში ნაცნობი ან ამხანაგი ეგულებოდა. დღისით ითხოვა მისჩერებოდა ხელებში, იმახსოვრებდა, რას როგორ აძრობდნენ, როგორ ცვლიდნენ, ღამ-ღამობით კი, სინათლის შუქზე, მამუკას დატოვებულ ჯაბანანას უტრიალებდა და უკირკიტებდა. მთელი თვე იჯახირა. ათუხთუზდა მანქანა, წამოფორრთხდა. ამაყად, გამარჯვებული სახით მიუჯდა საჭეს ამირანი, გაატარგამოატარა მანქანა სოფლის ორღობეებში. ხომ ხედავთ, რა ნიჭიერი ყოფილაო, გაიძახოდა დალი, ახლა ხომ დარწმუნდით, რა შესძლებიაო, ერთი-ორი წიგნიც რომ წაიკითხოს, ინჟინერია, რაღა უკლიაო. ზეიმობდა ბებუაც (რა იცოდა, რა ნიფფი, რა დავიდარაბა მოსდგომოდა კარზე), — მარტო ბებია უყურებდა ყოველივე ამას დამფრთხალი და დაეჭვებული, ფუი ეშმაკსო, ამბობდა, ცუდი სიზრმები მაქვს ამ ბოლო დროს, ნავსიანია მაი მაშინა, ვინ იცის, ვინ დაითვლის, რამდენჯერაა ნაავარიები, დაავსო მიქატაძეების ოჯახი, ტუიელად კი არ მოიძულა მისმა პატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რონმაო. ამირანი დროს უქმად არ კარგავდა, სარდიონ შავიშვილის ქალის მოტაცების გეგმებს აწყობდა, ამუშავებდა, ჩარხავდა, ცდილობდა. წვრილმანებიც კი გაეთვალისწინებინა. მალ-მალე აუვლიდა და ჩამოუვლიდა სკოლას, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგომ თმას ხელები უშვა, კარს დაეტაკა, ეჯაჯგურა, ეჯაჯგურა, მაგრამ ძვრაც ვერ უყო. ამირანი ზანტად გადაიხარა, ჭკრა ხელი და კარი მაშინვე მოფრიალდა. მოტაცებულმა ერთიორჯერ კიდევ უთავაზა გვერდებში თავისი პატარა, წამახული მუშტები მოძალადეს და მანქანიდან გადახტა. ცოტა ხანს ირბინა, მერე შეჩერდა, იქაურობა მიათვალ-მოათვალიერა, შემობრუნდა, ნელა წავიდა მანქანისაკენ, ჩაჯდა.

— რას გვიბრძანებთ? — ჰკითხა ამირანმა.

— მოაბრუნე.

— წადი, შენს გზას ეწიე.

— მაძა გიცხონდა, ფეხით ვივლი სოფელ-სოფელ... მოაბრუნე მანქანა და იქ ჩამომსვი, საიდანაც წამომიყვანე.

ამირანმა კარი მოხურა და მანქანა დასძრა.

— მოაბრუნე-მეთქი! — შესძახა მაყვალამ.

— ეს მანქანა უკან არ ბრუნდება. სულ წინ-წინ დადის, ჩემს ჭკუაზე.

— შორს ვერ წახვალ შენ მაგ ჭკუით.

ამირანს არაფერი უთქვამს.

— ინანებ, ამირან... ოო, რა მწარედ ინანებ.

ამის მეტი სიტყვაც არ დასცდენია. პირგამეხებული, მუშტებშეკრული იჯდა საკარიერში. მანქანა სადღაც ეზოში შევიდა და გაჩერდა. გოგო ძირს აღარ გადმოდიოდა. ძლივს დაიყოლია დიდი ხვეწნითა და მუდარით შუახნის ქერა ქალმა (ამირანის მამიდად გაეცნო, ნათელა მქვიალ, უთხრა). ოდაში აიყვანა, ვახშამი მიართვა, ნუ გეშინიაო, დაამშვიდა, თუ მართლა მოტაცებული ხარ, თუ შენი სურვილი არ ყოფილა, ამ ოთახში ადამიანისშვილი ფეხს ვერ შეშოდგამსო. ძველებური ოდა იყო, ხის ბოძებზე შედგული. კარს ურდული ჰქონდა. ჩაიკეტა კარი მაყვალამ, ივაზშმა, მერე თაროდან წიგნები გადმოაწყო, წამოწვა არხეინად და კითხვას შეუდგა. ერთხელ კი მოადგა კარს ამირანმა: შემომიშვი, უნდა მოგელაპარაკოო, სთხოვა, მე კარგა ხანია, შენთან ლაპარაკი დავამთავრეო, მიუგო გოგომ მშვიდად და კითხვა განაგრძო. შემომიშვი, თორემ შემოვამტვრევო. დაემუქრა ამირანი. ცხვირ-პირსაც დაგიმტვრევო, დაჰპირდა მაყვალა. რა შემტვრევა უნდოდა, ერთი რომ მისწოლოდა ამირანი, მაშინვე ჩამოვარდებოდა ურდული. გამოდი, შინ წავიდეთო, უთხრა ამირანმა, თქვენებს შეეშინდებიან, მერე მე მომდებენ შარს, თითქოს ძალად გიკერდეო, მაგაზე იდრე უნდა გეფიქრა, უთხრა მაყვალამ, მაგ შენი ჯაგლაგი დღისით ძლივს დაბობღავს, ან კისერს მომატეხინებ, ან დადგება სადმე და არავითარი სურვილი არა მაქვს შენს გვერდით სადღაც გზაზე, ღამე მაგ საფრთხობელაში გავათოოო. ჯერჯერობით აქ მშვენივრად ვგრძნობ თავს, შენ კი ხვალვე მიიღებ იმას, რაც დაიმსახურეო. კარგა ხანს იდგა ამირანი იმ კართან და ხვნეშოდა, არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა. ყველაფერი წინასწარ მოიფიქრა, შეისწავლა ყველა მოსალოდნელი წვრილმანი, აი, ეს გამორჩა მარტო. რატომ ეგონა, რომ გოგო ასეთ სასტიკ უარზე არ დადგებოდა? მაინც რისი იმედი ჰქონდა? იფიქრა, იფიქრა და ჩაიქნია ხელი, ბრახუნით დაეშვა ხის კიბეზე. ქვემოთ, პირველ სართულზე კვლავ ატყდა ჯიკავ-ჯიკავი და ხმამაღალი ჩურჩულით ნათქვამი შეგონებებიც მოისმა: მიდიო, იქნება როგორმე გული მოუტბოო, უნდა როგორმე დაითანხმოო, თორემ ხვალ, როცა შინიდან მოაკითხავენ, გოგომ რომ დაგზოგოს და გაპატიოს, მშობლები არ დაგითმობენ, ციხეში ჩაგსვამენო. აღარ მინდაო, თქვა ამირანმა, აქეთ რომ შემომეხვეწოს, მაგ გოგოს ცოლად აღარ შევირთავო. მე მეგონა, ვუყვარღი, მეგონა, თვითონ მაგულიანებდა, მომიტაცეო (აბა რას მეუბნებოდა, ვთხოვდებიო, სადაური მესაიდუმლე მნახა?), თორემ სახვეწარი რა მაქვს? დილით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგოს ასძახა, წადი შინ, რას წამოწოლილხარ მანდ, შენი თავი აგარაკზე ხომ არ გგონიაო. კეთილი ინებე, მანქანა აამუშავე, როგორც მომიყვანე, ისე წამიყვანეო. გაფუქნდა მანქანაო, ასძახა ამირანმა. წადი, სხვა მანქანა იშოვეო. ასე დაღამდა ის დღეც.

— მაინც რას აპირებ ახლა? — კკითხე ამირანს. — უნდა წაიყვანო, მართალია მაგ გოგო...

— არ წავიყვან. ეგდა მაკლია, გვერდით მოგისვა და შინ ჩასვლამდე თავი ვამასხარავებინო. წავიდეს, ავტობუსების მეტი რა დადის ამ გზაზე.

— ციხეში რომ ჩაგსვამენ, შვილო, ის თუ იცი?

ამირანი გაყუჩდა. ეზოში, თხილების ჩრდილში, ძელსკამზე ვისხედით. სიძეც შინ იყო, შორიახლოდან გვითვალთვალებდა, გვიტრიალებდა. ერთი სული ჰქონდა გაეგო, რას ვაპირებდით, რა გადაწყვეტილება მივიღეთ. ბოლოს ვეღარ მოითმინა, ახლოს მოვიდა.

— ადი, ბიჭო, — უთხრა ამირანს, — ადი, შე გლახა, იქნება გადაიფიქრა, ქალი მაინც ქალია, დღეს სხვას ფიქრობს, ხვალე სხვას...

— აღარ მინდა, — მიუგო ამირანმა.

— რა არ გინდა, — გავუკვირდი მე.— ეს რა სიტყვაა. გუშინ გინდოდა და დღეს აღარ გინდა? მაშინ რაღას იტაცებდი? ასე, შენს ბრიყვულ ხუშტურებზე კი არაა ეს ცხოვრება აწყობილი. არ იცი, რა კაცია შენი დირექტორი? მაგას როგორ გაპატიებს, ჩაუსვამს მილიციელები მანქანაში და დარბის, ვეძებს. ქალი მოიტაცე, მანქანა მოიტაცე... დანაშაული დანაშაულზე...

— მანქანა როდის მოვიტაცე?

— ვინ გათხოვა? მითხარი ერთი. ვინ მოგცა უფლება, რომ წამოიყვანე? მამუკას რემონტის უფლება მოუცია, მანქანა კი არ უნუქებია შენთვის. მართვის უფლებაც არა გაქვს. დაუჯერე ბიძაშვს, ხალი, ერთხელ კიდევ გაესაუბრე, თავაზიანად და მორიდებულად. ბოდიში მოუხადე უხეშობისათვის, ითხოვ ხელმბისათვის. არა და, გადმოაგორე მაგ მანქანა, მივგვაროთ სარდიონს.

— აპა, აპა! ეგ არ ქნათ! — ორივე ხელი ასწია სიძემ. — ეგ არა! შინ ნუ წაიყვანთ. იჯდეს იქ, იკითხოს წიგნები. მობრუნდეს იქნება ჩვენკენ, მოვიდეს ეკუთაზე.

— მოგვივარდება მამამისი და შენც გაეხვევი ზარში...

— არ მეშინია მე ზარის... აი, ნახავ, თვითონ თუ არ ურჩიოს გოგოს, დარჩიო. იყო აქ მსგავსი შემთხვევა. გოგო უარზე იყო, მაგრამ საკუთარმა მშობლებმა დაიყოლიეს მომტაცებლის ოჯახში დარჩენაზე. აღარ ღირს შენი დაბრუნება, ვინ იცის, ხალხი რას იტყვისო. რაც მოხდა, მოხდა, არაა მაგ ბიჭი შენი დასაწუნინო. ამირანს რაღას დაუწუნებენ? თვალტანადობას თუ ოჯახს?

— ვიცნობ მე სარდიონ შავიშვილს, — ვუთხარი სიძეს.

როგორც მოგახსენეთ, პირველად გამეხარდა მაყვალას უარზე ყოფნა, მაგრამ ახლა, როცა ყველა წვრილმანი გავიგე, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ამირანს საკიზოდ ჰქონდა საქმე. ამას ისევ სარდიონ შავიშვილის მძახლობა მერჩია. თვითონ ავედი მაყვალასთან. ბესო გოლიაძე ვარ-მეთქი, დავუძახე, ამირანის მამა, კარი გამიღო. ვთხოვე, ბიჭს ნუ დამიღუპავ, სიყვარულმა გადაადგმევინა ეს ნაბიჯი, გაპყეევი ცოლად, ხელის გულზე დაგისვამთ, არაფერს გაგიჭირვებთ-მეთქი. არაა ამირანი ცუდი ბიჭი, ავი და ბოროტი, ჩემგან გაცნობა რაში გჭირდება, შენი თანაკლასელია. არ იქნება ცუდი ქმარი და ოჯახის მამა-მეთქი. გოგომ ქვა აიგდო და თავი შეუშვირა. თუ კარგია, გყავდეთ მაგ დეგენერატი, კრეტინი და იდიოტი ამირანი. მასეთი შტერი ქმარი რაში მჭირდებაო. შემოვიდა ამ დროს ამირანიც, გარედან უსმენდა თურმე ჩვენს საუბარს. უთხრა, შენ თვითონ კრეტინო, თუ არ მოგწონდი, მანქანაში რას მიჯდებოდი, ვინ შეგეხვეწაო. მე რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის ჩაგიჯვენო, იკივლა მაყვალამ. კი, შენ თვითონ, შენი სურვილით ჩამიჯვენ, მოწმეების მოძებნა არ გამიჭირდებაო, უთხრა ამირანმა, მერე კი გზაში, მანქანა რომ გავაჩერე, რატომ არ გადმოხვედი? არ მომცილდი და რა ჩემი ბრალია? არ მოგცილდიო! გაგიჟდა გოგო, დასტაცა წიგნებს ხელი, იქვე გვერდით რომ ედო, ესროლა და შიგ თავში ხეთქა „საქმროს“. გავარდა გარეთ ამირანი, ამუშავა მანქანა, გარბოდა მისი ჭკუით გაჯავრებული, შეურაცხყოფილი და მოგვადგა ამ დროს ჭიშკარზე სარდიონიც თავისი ამალით (ტარიელ უროტაძე და კიდევ ორი მილიციელი ახლდა), შეუკრეს ხელები ამირანს, შეაგდეს მანქანაში, იქვე ჩასვეს მაყვალაც. ტარიელი „მოტაცებული“ ქოგულის საპეს მიუჯდა, თქვენც მოგივლითო, დაემუქრა ჩემს სიძესა და ბიძაშვილს და წინ წასული სარდიონის ვოლგას გამოუდგა, არც კი გახსენებია, მეც იქით რომ მქონდა გზა. ან გაახსენდა კიდეც, მაგრამ, რატომღაც არ ისურვა ჩემი დამგზავრება...

ჩასვეს ჩვენი ამირანი. ისევ დავტრიალდით, ვისთან არ მივედით, ვის არ ვეხვეწეთ და ვემუდარეთ. სარდიონმა ახლოსაც არ გაგვიკარა, არც მოგვისმენა. მხოლოდ უროტაძე გვპირდებოდა რაღაცას ორეკოფულად, ვიღაც უნდა გავაჩუმოთო, ვიღაცას უნდა დავთმობინოთო, ბევრი ვინმეა ახლა ამ საქმეში გარეულიო, ვაითუ ერთმა დათმოს და მეორემ არაო. მილიციის უფროსიც შევაწუხეთ, პროკურორიც. მოგვისმინეს, თავი გადააქნიეს. ქალის მოტაცება საკმაოდ მკაცრად ისჯება, მაშინაც კი, როცა მიზანი დაკორწინებააო. არც ავტომობილის გატაცებაა სახუმარო საქმე. ამისთვისაც გაიზარდა ბოლო დროს პასუხისმგებლობაო. დავიბენით, თითქმის იმედი გადაწურული გვქონდა და უცებ გამოუშვეს პატიმარი. როგორ? რანაირად? ვეკითხებოდით. მხრები აიჩეჩა. გამიღეს კარი და გამომიშვესო. გამაფრთხილეს კი, მეტი ჩვენთან ფეხი არ მოგიცდეს, თორემ შავად ეკიდებაო საქმე, მეტს აღარაფერს გაპატიებთო. ერთი კი იყო, უროტაძემ რაღაც მოუხშირა ჩემს სიმამრთან მისვლა-მოსვლას და საიდუმლო მოლაპარაკებს. მივხვდი, ქრთამის სუნი უდიოდა ამ საქმეს. როგორც ჩანს, მან ერმილე ამ საქმეში ყველაზე სანდო პირად მიიჩნია. ფულის მშოვნელიც ის იყო ოჯახში; თუ არ ექნებოდა ხელზე, სოფელში ყველა ენდობოდა, ასესხებდა. ერმილე დიდად მადლობელი დარჩა, ხარჯს არ ვჩივი, ბიჭი გარეთ რომ მყავს-სო. არ ვიცი, რა როგორ გაჩარხა ტარიელმა, ვის რა მისცა და თვითონ რა ჩაიდო ჯიბეში. ბინძური საქმე რომ იყო, აშკარაა, მაგრამ მაინც ასე ვვეჩრიალ.

მალე ყველაფერი გაირკვა. თურმე თვითონ მაყვალა მისულა პროკურატურაში, უთქვამს იქ, არავითარი მოტაცება არ ყოფილა, ჩემი ნებით გავყევიო. ყველაფერი გაუგებრობის ბრალია, ამირან გოლიაძეს ეგონა, რომ მიყვარდა და ცოლობაზე თანახმა ვიყავი. როცა მიხვდა, რომ შეცდა, უკანვე მოვყავდი, სწორედ ამ დროს მომისწრო მამაჩემმაო. სარდიონსაც შეუტია თურმე ქალიშვილმა, ამირანს თუ არ გაათავისუფლებენ, ავდგები და მართლა გავყვებიო. მამას უთქვამს, მაგ შენ ამირანს მანქანის მოტაცებაშიც ედება ბრალიო. რაშიც უნდა ედებოდეს ბრალი, ამირან გოლიაძე უნდა გათავისუფლდესო, ბრძანა მაყვალამ და დირექტორს მეტი არაფერი დარჩენოდა, მთელი თავისი გავლენა და ავტორიტეტი უნდა გამოეყენებინა ამ ბრძანების შესასრულებლად. რამ ჩაადენინა მაყვალას ეს სიკეთე? რამ გადაადგმევინა ეს მოულოდნელი ნაბიჯი? შეებრალა თანაკლასელი? იქნება სხვა ამხანაგები ჩაერიენენ საქმეში და იმათ მოახდინეს მასზე გავლენა? ამხანაგებს ამირანი უყვარდათ და არ მიკვირს, მაყვალას მისი გაწირვა რომ არ დაანებებს.

შემოდგომა იწურებოდა. ძალიან მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვარს ამ დროს თევზაობა. ყანები უკვე აღებულია, მაღალი ბალახი მოცელილი, ან გამხმარი და ჩაწოლილია. თავისუფლად დავდივარ მდინარის ნაპირებზე, კარგ ადგილებს ვეძებ. ჩავაგდებ ანკესს, შეეჭიდები (კოლოებიც ნაკლებია), მერე სხვაგან გადავინაცვლებ. კარგად მოდის თევზი ანკესზე. ხშირად ბნელშიაც ვზივარ, წყლის ჩხრიალს ვუსმენ, ჯობი ისე მიჯირავს ხელში, სულ მცირე ბიძგზე გამოკვრა რომ არ დავაგვიანო. გვარიანად ბნელოდა, შინ რომ დავბრუნდი. ვხედავ, წინკარში ამირანი ზის, ფანჯარის რაფაზე ორი ბოთლი ღვინო შემოუდგამს. მთელი საათია გელოდებიო, მითხრა. ამაყად ვიჩვენე თევზებით სავსე კაკი. შეხედა, არაფერი უთქვამს. ოთახის კარი შეეაღე, ამირანმა ბოთლები აიღო და შემომყვა. „ხომ მშვიდობაა?“ კკითხე. თვალები ამღვრეული, სახე წამოწოლილებული ჰქონდა. ნასვამია-მეთქი, გავიფიქე გულში. ღვინოც იმიტომ წამოუღია, რომ ახლა ჩემთან გააგრძელოს სმა. სკამზე დაჯდა. კი არ დაჯდა, დაენარცხა. ღრმად ამოიხვნეშა და მითხრა, ნასვამი არ გეგონო, ვიცი, არ გიყვარს მთვრალი კაცი. წვეთიც არ დამილევიაო. „რატომ უნდა მეგონო ნასვამი?“ კკითხე ღიმილით. „ვიცი... ვგავარ...“ სახე ახლოს მივუტანე, არ ასდიოდა ღვინის სუნი. თევზს შევწვავ და ვივახშმოთ-მეთქი, ვუთხარი. სამზარეულოში შევედი. სანამ იქ ვსაქმიანობდი, ამირანი გაუნძრეველად იჯდა, თვალები ჭერისთვის მიეშტერებინა, არაფერს ამბობდა. სახლში როგორ ხართ-მეთქი, კკითხე. ხმა არ გაუღია. გავუმეორე შეკითხვა.

დაბნეულმა შემომხედა.

— მკითხე რამე?.. აა, ჰო... არაფერი ისეთი...

ღვინანაირი ბოთლი გახსნა, დაისხა და ცოტა მოსვა. კვლავ უაზროდ მიაშტერდა ჭერს.

— მუშაობა ხომ არ დაგიწყია?

— ა? ჰოო, რა ვიცი...

იმ ამბების მერე ფაბრიკაში აღარ მისულა. კარგა ხანს იხეტიალა უსაქმურად.

— სანამ უნდა იყო უმუშევრად? მოდი აქ, ჩემთან. რამეს გამოგიძებნით. ან ისევ იქ, სანერგეში... იქ ვიღაც-ვიღაცები გამოკვალეს. ისინი, შენ რომ არ მოგწონდა.

—სანერგეში? რა ვიცი... ვნახოთ...

თევზი გავწმინდე, შევწვი, სუფრაზე გამოვიტანე. მინერალური წყალი და ლიმონათი მჭონდა მაცივარში, მივუმატე სუფრას, ამირანმა ღვინიანი ბოთლი აიღო, დაისხა, ჩემს ჭიქასაც გადმოსწვდა. არ დავანებე დასხმა.

— არ იცი, ღვინოს რომ არ ვეკარები?

— ვიცი... ახლა დალიე... გთხოვ.

— არა... არ შეიძლება. არც შენ გირჩევ. ნამეტანი შეუთამამდი ამ ბოლო დროს სასმელს. ადრეა ჯერ შენთვის.

ღვინოს მაინცდამაინც არ ეტანებოდა, მაგრამ ბევრის დალევა კი შეეძლო. სვამდა და იტანდა კიდეც. ადვილად ვერ შეატყობდი, ნასვამი თუ იყო. მე მგავსო, ამაყობდა ბაბუამისი. სტუმარი რომ მოუვიდოდა, თამადად დაიყენებდა, სადღეგრძელოების გამოთქმაში ავარჯიშებდა. შენი ხნის რომ ვიყავი, ქორწილებში პირველი თამადა ვიყავიო, ეუბნებოდა.

დაისხა, სწრაფად შესვა.

— რას შერები, ბიჭო, — ვუთხარი. — ხომ არ გალოთებულხარ?

— არა, მამა, — თავი გააქნია, ჩაიცინა. — რის გალოთება... მომინდა რაღაც. ერთ-ორ ჭიქას დავლევ, იქნება ენა ამიხსნას... სალაპარაკო მაქვს შენთან...

— როდის იყო, ენა დაბმული გქონდა?

— რა ვიცი, ბესო... რა ვიცი.. ტყუილად ლაქლაქს რა აზრი აქვს, თუ რაც ნამდვილად გინდა თქვა, ვერ იტყვი?

შეივსო ჭიქა. ლუკმა არ აუღია, რომ მივაძალე, არ მშიაო, მითხრა, თვითონ ჭამეო.

— შენ მართლა ვერა ხარ გუნებაზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა გუნებაზე უნდა ვიყო.

— თქვი, რა გაწუხებს, გისმენ...

— კი, გითხრა უნდა, მაგისთვის მოვედი.

ღვინო მოსვა.

— გინახავს სადმე ჩემისთანა უიღბლო კაცი?

— უიღბლო? — გამეცინა. — ვინ გითხრა, უიღბლო ხარო?

— ვის უნდა ეთქვა... თვითონ ვერ ატყობ?

დრო იხელთა, ჩემი ჭიქა აიღო, ღვინით ამივსო.

— დალიე რა, გთხოვ...

ოდნავ მოვსვი, მერე წყლით ავავსე ჭიქა.

— სადაც მივედი, ყველგან კისერი მოვიტეხე. ვერსად სიკეთე ვერ ვნახე. დაწყევლილი ბედი მჭონია. რა ფასი აქვს ჩემისთანა კაცის სიცოცხლეს? სანამდე უნდა ვიჯახიო რა ვიცოდვილო ასე?

— უყურეთ ერთი! — გავიცინე მე, — დაწყევლილი ბედი ჰქონია ბიჭს! ჯერ შენ რა ნახე, მთავარი წინაა...

— მაგას არ გეუბნები მეც? ღირს კი ამდენად?

— შეგეშინდა?

— შიში რა შუაშია... ის კი ვიფიქრე, ალბათ, არც ღირს-მეთქი...

— მაგ სიტყვებისთვის, მოგიხდებოდა ერთი გაროზგვა.

— არც ეგ მაკლია, ბესო...

უიღბლო კი არა, უჭკუო ხარ-მეთქი, ვუთხარი. შენი ჭკუა არ გყოფნის, სხვის რჩევა-დარიგებას არ ისმენ, აბა, თუ რამე დაგვიჯერე მშობლებს, უფროსებს? თუ რამე გაგიკეთებია ისე, ჩვენ რომ გაგვიხარდებოდა? ყველაფერი უკუღმა გეყურება, ყველაფერს პირიქით აკეთებ...

ამირანი უამურად დაიღრიჯა, კედლებს დაუწყო თვალიერება, აშკარად შევატყვე, დარიგებებისა და საყვედურების მოსასმენად რომ არ იყო მოსული. ბოლოს შემაწყვეტინა:

— კარგი, მეყოფა... რამდენჯერ უნდა მითხრათ ერთი და იგივე... რაც... ვი მახსოვს, მაგას არ ჩაბჩიჩინებთ? ყველას ის გინდათ, რომ სხვებმა თქვენ ჭკუაზე იარონ...

— ჩვენ სხვა ვართ? მშობლები?

— გინდა გითხრა, რამ მომიყვანა?

— მინდა, ცხადია...

ჭიქა შეავსო, ერთხანს ხელში ეჭირა, ღვინო ელვრებოდა, უკანკალებდა ხელი. დადგა ჭიქა:

— უნდა დაგემშვიდობო.

თუ რამეს ჩაიფიქრებდა, არ გადათქვამდა ადვილად. ნეტა, ახლა რაღა მოეპრიანა? ამ ბიჭის ტვინში ყველაფერი რიგზე ვერ უნდა იყოს-მეთქი, გამიელვა წამით. რა ეშმაკი შეუჯდა, რატომ ვერ ისვენებს? ვის დაემსგავსა, საიდან გამოვიდა ასეთი მოუსვენარი, ასეთი უთავბოლო? თვალებში შევყურებდი და უნებურად ვიღიმებოდი. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს პირისპირ პატარა, ჭირვეული ბავშვი მეჯდა, როგორ, ეს-ეს იყო, თვისი სანუკვარი სურვილი გამიმხიელა, აი, იქ რომ მყრალი გუბეა, ამ წუთას შიგ უნდა ჩავჯდეო.

— საით გაგიწევია? — ვკითხე.

მხრები აიჩეჩა:

— არ ვიცი...

— თქვი, ნუ გერიდება.

— ციხეში... შვიდი წლით... იქიდან კი ცოცხალი ვეღარ გამოვალ, ეს ნაღდად ვიცი.

დამეცინა.

— ახლა... ახლა რაღა ჩაიდინე? — შევკვირე.

პასუხის ნაცვლად ჭიქას წაეტანა, ოდნავ წამოსწია, მერე თავი დახარა და უხეიროდ, სასაღილოდ მოხვრიპა.

— გამოვალ მე იქიდან ცოცხალი, ბესო?

თავი ასწია, თვალებში შემომხედა:

—ცამდე მართალი ვარ, იცოდე... შენ მაინც დამიჯერე, მეტს არაფერს გთხოვ.

— რა ჩაიდინე? არ იტყვი, ბოლოს-დაბოლოს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გახსოვს, რას დამპირდა უროტაძე?

მახსოვდა. რამდენიმე კვირის წინ ტარიელ უროტაძის თაოსნობით სოფლის ახალგაზრდები საგანგებო კრებაზე მოიწვიეს კოლმეურნეობის კლუბში. უბნის რწმუნებულს უყვარდა კრებებზე სიტყვით გამოსვლა. სოფელში ჯერ არც ერთი თავყრილობა ისე არ დამთავრებულა, მას რამე რომ არ ეთქვა. არ ვიცი, ევალებოდა ეს, თუ თავის ჭიას ახარებდა — მჭევრმეტყველებაში ვარჯიშობდა. კაცმა რომ თქვას, რატომღაც არ უნდა ჰქონოდა ხალხთან სალაპარაკო კანონის დამცველსა და მესვეურს? მაგრამ მეტისმეტი იცოდა, თავს აბეზრებდა ყველას ათასჯერ ნათქვამის გამეორებით. ამჯერად კრება თითქმის მარტო მისი იყო და, ბუნებრივია, იჯერა გული ლაყბობით. ძლივს მიაღწია საქმის არსამდე — ახლად სკოლადამთავრებულებსა და უსაქმოდ მოხეტიალეებს აფრთხილებდა, თუ შრომაში არ ჩაებმებით, ჩემთან გექნებათ საქმეო. უსაქმურობაა ყოველგვარი ბოროტების, უკუღმართობის თავი და ბოლოო. აბა, ერთ-ერთი უსაქმურთაგანი, ამირან გოლიაძე რას გვეტყვისო. ნეტა ფეხები მომტეხოდა და აქ არ მოვსულიყავიო, გაიფიქრა ამირანმა, მაგრამ აქ იყო უკვე და, რაღას იზამდა, გამოადგეს სცენაზე, თქვი, რას აპირებო, ჯერ მიედ-მოედო რაღაცას ბლუკუნ-ბლუკუნით, ჰოო, კიო, შრომაში ჩაებმებიო. მერე სასწაული მოხდა, იიწყვიტა, ამოიბა ენა ამირანმა. ისე თავდაჯერებულად, ისე თავისუფლად ალაპარაკდა, ხალხი პირდაღებული, გაოცებული უსმენდა. ჯერ შეაქო ორატორი, მისი ასეთი მწვავე გამოსვლა, ასეთი პრინციპულობა ჩვენზე ზრუნვით იყო ნაკარნახებიო. ამას რა სჯობია, უფროსი რომ დაგარიგებს, ჭკუას გასწავლისო. თუმცა, უნდა გამოვტყდე, სასაყვედუროც მაქვს პატივცემულ უფროს ამხანაგებთან: აქვთ კი ამის უფლება? ზოგიერთზეა ლაპარაკი, რა თქმა უნდა. სიტყვა, დარიგება, შეგონებები კაი იცინან, მაგრამ ბრმები ვგონივართ და რატომღაც დარწმუნებულნი არიან, რომ ვერ ვხედავთ, თვითონ რას სჩადიან, რას აკეთებენ. როცა თვითონაა კაცი მექრთამე, შარაგზის ყაჩაღი, მისი გრძელ-გრძელი დარიგებები ჩვენთვის რახარუნია და მეტი არაფერი. ახლახან ლაპარაკობდა აქ ერთი კაცი, ხელფასი, თუ არ ვცდები, მამაჩამეზე ნაკლები აქვს. მამაჩემს, ხუთი წელია, კოსტიუმი ეკერ გამოუცვლია, ამ კაცმა სასახლე წამოუპია. სამი უტკინო ქალიშვილი ჰყავს, სამივე უმაღლესში მოაწყო, დაამთავრებინა, დაათხოვა, სიძეებს მანქანები უყიდა, სახლები დაუდგა (ალბათ, უამისოდ არც არავინ ითხოვდა იმ გოგოებს), თვითონ ხელთათმანებიანი იცვლის მანქანებს. ყველა ხედავს, რით და როგორ აკეთებს ამას, რატომ ანებებენ მას. ჩვენ ჭკუა გვასწავლოს?

თქვა ეს და ჩამოვიდა სცენიდან ამირანი. მიაჩერდა ყველა ტარიელ უროტაძეს. იჯდა ისე განაბული, არ შეიმჩნია არაფერი. რამდენიმე დღის შემდეგ დაიმარტოხელა ამირანი, უთხრა, შენი სიბრიყვე და სიჩერჩეტე მთელმა სოფელმა იცის, მაგრამ ჭკუის ნატამალიც თუ არ გქონდა მაგ თავში, მაინც არ შეგნანო. იმ სიტყვების სათქმელად ენა როგორ მოგიბრუნდა, რამდენჯერ გიშველე, ციხისგან დაგიხსენი. ჯერ ბრაკონიერობა, მერე ქალის მოტაცება და მანქანის მოპარვა...

— რომელი ქალის მოტაცება? გგონია, არ ვიცი, მაყვალამ თვითონ რომ თქვა უარი სჩაჩვარზე?

— თვითონ, არა? უჩემოდ? მე არ ვეხვეწე მამამისს? პირადად მას? კარგი, ვთქვათ, თვითონ იფარეს, მანქანა? მაგ საქმეს როგორღა გადაურჩი?

— მაქანა მათხოვა პატრონმა, არ მომიპარავს.

— როგორ გათხოვა? თვითონ გემზეა და იქიდან გათხოვა? უსინდისო ხარ, უმადური... აი, კიდევ ჩამიკარდები ხელში. შენ საციხეე ხარ დბადებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი და ჩაგალპობ იქ. შენ ხომ ყოველ ნაბიჯზე აშავებ რაკაცს. ჩამოვარდები მალე ხელში და მაშინ გასწავლი ჭკუას.

ვიცოდი მე ყველაფერი. ვიცოდი, რა თქვა ამირანმა კრებაზე, რას დაჰპირდა უბნის რწმუნებული.

— ჩამიგდო ხელში, წასულია ჩემი საქმე, — თქვა ამირანმა.

— მიამბე, რა მოხდა...

მოამბო. ცხადია, ვერ დავიჩემებ, რომ არაფერი დაუმალავს. მაგრამ ერთი აშკარა იყო, ბიჭი უროტაძის დაგებულ მახეში გაება. უბნის რწმუნებულმა მოფიქრებულად, გულდაგულ, მაღალ „პროფესიულ“ დონეზე მოუმზადა ხაფანგი. სხვათა შორის, უროტაძის ცუდაკაცობაზე უკვე ბევრი ლაპარაკობდა და ბოლო დროს პროკურორიც დაეკვებულიყო მის კეთილსინდისიერებაში. თვითონვე მითხრა, შესაძლებელია, მარილოკაც, ისე მოხდა ყველაფერი, როგორც შენ მიამბეო, მაგრამ მაგის დასაბუთება ახლა ძნელია. და, კიდეც რომ დავასაბუთოდ. შენმა ბიჭმა ხომ ორგანოს მუშაკის მოკვლა სცადა, თანაც მაშინ, როცა იგი სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა, ეს დანაშაული კიდევ უფრო აშძიმებსო. ეკითხე, ნუთუ ვიღაც კახპასთან ლოგინში წოლაც შედის უბნის რწმუნებულის სამსახურებრივ მოვალეობაში-მეთქი. არ ეიცით ჩვენ ჯერ, იქ იწვა თუ მერე მივიდაო, მიპასუხა. ბრალდებულის გარდა, არავინ ადასტურებს, რომ უროტაძე იმ ქალის ოთახში იმყოფებოდა (ლოგინში წოლაზე რომ არაფერი ვთქვათ)... ბოდიშს ვიხდი, ამბავს მეტისმეტად წინ გავესწარი. საქმე ის იყო, რომ ამირანი თუმრე ვიღაც როსკიპთან დაძვრებოდა საერთო საცხოვრებელში და ზოგჯერ ღამითაც რჩებოდა იქ. ის ნათრევი ქალი ჯერ ფაბრიკის მუშა ყოფილა, მაგრამ უროტაძეს რესტორანში მოუწყვია მიმტანად და თავის საყვარლად გაუხდია. ამის შემდეგ გახრწნილ დედაკაცს ადვილად დაეწერინა საჩივარი, თითქოს ამირანი მას ოთახში შეუვარდა, სცემა, გააგდ... პატიურა.

— მთელი დღე და ღამე გამოკეტილი ვიყავი, — მითხრა ამირანმა, — წამოკოთხეს იმ ქალის ხელით დაწერილი ჩვენება... ერთი-ორი მოწმეც გამოუჩნდაკია უროტაძეს. მეც ხომ მოწმე ვარო. ხომ შეგესწარიო...

— მართლა შეგესწარო?

— შემესწრო... იკითხა თუ არა, იმ წუთში იქ გაჩნდა დაბარებულივით.

— რატომ კიოდა? შენ თუ ცამდე მართალი ხარ, როგორც მიმტკიცებ, იმ დედაკაცს რაღა აკივლებდა?

— ეტყობა, ასე იყვნენ მოლაპარაკებული. ქალს უნდა ეკივლა, თვითონ ახლოს იყო სადღაც ჩასაფრებული, შემოვარდებოდა და „ფაქტს“ წაადგებოდა. კოტაც ააწყვეს ყველაფერი. ვისხედით, ღვინოს ვსვამდით, უცვე წამოხტა, კივილი ატეხა, თან ტანსაცმელს იფხრწნდა ტანზე. გაგიკვდა, მეგონა, მივვარდი, ხელი ვტაცე, ვაწყნარებდი. ამ დროს უროტაძეც იქ გაჩნდა, მეზობლებიც შემოცვივდნენ.

მართალი გითხრათ, ცოტათი დავეჭედი ამირანის სიმართლეში. იქნება მართლა გაარტყა იმ ქალს? ესტუმრა, ალბათ, მიეძალა, იმას უკვე სხვა საყვარელი ჰყავდა, არ მიიღო, გაგდება დაუპირა, ამან იუკადრისა და გაარტყა. მაგრამ ტანსაცმლის შემოფხრეწა და გაუპატიურება მეტისმეტი იყო ნამდვილად. ამას არაფრით არ ჩაიდენდა. ეს დაუმატეს, ბრალი დაუმძიმეს... ბიჭის უდანაშაულობაში მერე დავწმუნდი, ტარიელი მოსაკლავად რომ გაიმეტა. მართალი რომ არ ყოფილიყო, ამას ვერ იზამდა. ხომ იცოდა, რა მძიმე სასჯელი ელოდა ამის გამო? იცოდა და მაინც გადაწყვიტა, მოეკლა. ასეთ რამეს უსაშველო ბოლმა, სასოწარკვეთილება, შეურაცხყოფა თუ გააბედვინებდა...

ისევ გავუსწარი ამბავს. გამოსცალა ამირანმა ის ერთი ბოთლი და მეორე გახსნა. დაისხა, მეც შემოვსო ჭიქა. ვი-

ცი. არ გჯერა ჩემი სიმართლეო, მითხრა. მოვა დრო და დაიჯერებო. დედაჩემს ვერაფერი გავუძახელე. ვერც ბაბუას და ბებიას. ბაბუას უნდა ვუთხრა როგორმე. ის დაიჯერებს... ბაბუამ იცის, ტყუილები რომ არ მიყვარს... ადგა, წასვლა დაიპირა. ხელი ვტაცე, არ ვუშვებდი. ამალამ აქ დარჩი. ჩემთან გაათენეთენეთი, ვთხოვე. ხვალ მეც გამოგყვები. გამოვატანინებთ იმ ქალს საჩივარს. შეგიბრალებს. არ გაგწირავს. ასე გვიან მანქანასაც ვერ ნახავ, რით უნდა წახვიდე? მანქანებში მეტი ამ გზაზარაზე რა დადისო, მითხრა. უცებ რაღაც აზრმა გამეელვა თავში: თუკი დანაშაულზე წაასწრეს, დაიჭირეს და კამერაშიც ჰყავდათ მთელი დღე და ღამე, შინ რისთვის გამოუშვეს? ვუთხარი, შენ კიდევ რაღაც დაგრჩა სათქმელი და მალავ-მეთქი. არ ღირსო, ხელი ჩაიქნია. რატომ გამოგიშვეს? უროტაძე ფულის მოყვარული კაცია. გამოსასყიდს მოგთხოვდა. კი მომთხოვო, გამოტყდა ამირანი.

— რამდენი?

— ძალიან ბევრი... ვერ ვიშოვით. ბაბუას ალარა აქვს ფული. ალარ დარჩა არაფერი. პირიქით, ვალები დავადე. შენ კიდევ რისი პატრონიც ხარ, კარგად ვხედავ.

— გავყიდით რაშეს... ვისესხებთ...

— ვინ გასესხებს. რა გადამხდეი ხარ... ან რას გაყიდი, ერთი ჟანგიანი თოფი გიგდია... ერთიც ფოტოაპარატი... უკარგისი, მოძველებული. რომ ვიშოვოთ კიდეც, როგორმე თავი მოვუყაროთ, არ მინდა, კაპიტალაც არ მიკეთო. უროტაძეს, მირჩევნია, ციხეში ჩავჯდე... მოვკვდე, მირჩევნია... წავედი, ბესო, არ თქვა... ხუ იტყვი. ცუდი ბიჭი მყავდაო. სულელი. ბრიყვი კი ვარ. მაგრამ ცუდი არავისთვის არაფერი გამიკეთებია...

წავიდა, ვერ შევაჩერე. შინ შევბრუნდი. მაგიდას მივუჯექი. არ დავწოლილვარ იმ ღამით. გაბრუებული, დარეტიანებული ვიყავი. ოჯახთან დაშორებამ, ეტყობა, გვარიანად მომირწყეხა მშობლიური გრძნობა. გამიცივა ბალიში. ფიქრები მამა, ალბათ, არაფერი არ დაიბებდა ბიჭს წასვლას. ან თან გაპყვებოდა, კვლდაკვალ ეიდევნებოდა. იქნება გამომეცალა? იქნება თამაში იყო ეს? ტყუილი? გამამასხარაცა მამაძალმა! სიყალბე იყო ყველაფერი, ეს გამომშვიდობება, ეს ტრაგიკული სატვიტყვები. იქნება სიცოცხლე არც კი ღირსო! ნუ იტყვი, ცუდი შვილი მყავდაო. ციხიდან ცოცხალი ვერ გამოვალო... კი, ნამდვილად ასეა-მეთქი, ვარწმუნებდი თავს. თავიდანვე ეტყობოდა ამ წარამოდგენას, ეშმაკურად. თაღლითურად რომ იყო ჩაფიქრებული. თვითონ ვერც მოიფიქრებდა, ალბათ, დედამისმა დაარიგა ასწავლა, ვნახოთ ერთი, რას იზამს ჩემი ბედოვლათი ქმარი. შენი მამიკოო...

ვიჯექი და ასეთ სისულელეებს ვფიქრობდი. მშვენივრად ვიცოდი, თვითონ ვტყუოდი, თვალებს განგებ ვიხვევდი, ვიბრძავებდი. გათენებას ცოტაღა უკლდა. საბარელი ჩვენება ამეკვიატა. თოქოს ჩვენი სახლი იწვოდა. არ იყო ეს სიზმარი. მე ბომ არ მეძინა. ხანძარს ცხადლივ ვხედავდი. არც მეზობელი ჩანდა ახლო-მახლო, არც სახლიდან გამორბოდა ვინმე. რომ ეეცხლოსგან თავი დაეღწია. თითქოს იქამდე გაწყვეტილიყვნენ ყველანი, სანამ ხანძარი გაჩნდებოდა. ეგიჟდები-მეთქი, გამიელვა თავში. რაღაც ძალამ გარეთ გამმიმტყორცნა. გზას გავეხეთ. კარგა ხანს ვირბინე. მანქანა წამომეწია, გზაზე გადავუდექი. გაიჭრა, რაღა გზა ჭკნნდა. შევვაღი მანქანაში, ჩქარა-მეთქი, შევეხვეწე მძღოლს, სახლი მეწვის, ოჯახი მეღუპება-მეთქი. „სახლი გეწვის? რა იცი? ვინ გითხრა?" „ვხედავ!" „როგორ ხედავ? სად ხედავ?!" იფიქრა, გიჟიაო. სხვა რა უნდა ეფიქრა? ხმა არ ამოუღია შეტი.

ღილის ბინდი გაფანტული არ იყო. შინ რომ მივალწიე. სოფელი ის იყო, იღვიძებდა. ჭიშკარში შევვარდი და სახლის უკან მდგარი ტოტებგაბარკლული, ბებერი ვაშლის ხისკენ გავქანდი. ახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაც არ ვიცი, ვერაფრით ამიხსნია, რატომ გავაკეთე ეს. იმ ხის ძირას მუდამ ჩრდილი იყო ხოლმე და თავისუფალ დროს გვიყვარდა იქ ჯდომა უფროსებისაც და უმცროსებისაც. ამირანი პატარა რომ იყო, ვაშლის ხის ქვემო ტოტებზე ჰამაკს ვკიდებდით, ბავშვს შიგ ვაწვენდით და ვაქანავებდით. ბინდბუნდში შორიდანვე გავარჩევ ხის ძირას მდგარი სკამი. ერმილე მჯდარა წუხელ და დარჩენია-მეთქი, ვინუგეშე თავი. მერე ტოტზე ჩამოკიდებული თოკიც დავინახე გამზადებული ყელფით... თოკი ოდნავ ირხეოდა, ავბედითი მოთმინებით ელოდა მსხვერპლს.

იქაურობა პაპაროსის ნამწვებით იყო მოფენილი. სკამზე წერილი იდო.

ძალიან მიკვირს, ვერ მივმხდარვარ, როგორ შეიძლება კაცმა თავისი ნებით შეაქციოს სიცოცხლეს ზურგი? რა სიძნელეს, რა გაჭირვებამ, რა ტკივილმა უნდა აფიქრებინოს ეს? რამ უნდა მიიყვანოს იგი აჟამდე, ულონობამ, იმედგაცრუებამ, დამცირებამ, შეურაცხყოფამ? იქნება ყველაფერმა ერთადვ? მახსოვს, პატარაობისას უფროსები რომ მაწყენინებდნენ, წარმოვიდგენდი, თითქოს მოვკვდი. ვწევარ, ალარ ვსუნთქავ. მთელი ოჯახი უსაზღვრო მწუხარებასა და სინანულს შეუპყრია. ტირიან, მოთქვამენ, თავში ხელებს იცემენ. ვწევარ და ვზიიმობ: ესეც თქვენ, ახია თქვენზე, ისწავლეთ, თუ არა ჭკუა? მიხედით თუ არა, რა ძვირფასი ვყოფილვარ, რა საყვარელი, რა საჭირო და აუცილებელი? ბოლოს თავი შემებრალებოდა, ჩემი დამტირებლებიც, გავცოცხლდებოდი, ფეზზე წამოვვარდებოდი. ეს ბავშვური, გულუბრყვილო შურისძიება იყო, მაგრამ ამირანი ხომ არ ყოფილა ბავშვი? ვის დაამწუხრებს ჩვენი დაღუპვა? ჩვენსავე ახლობლებს. ახლობლებმა რა დაუშავეს ამირანს, რა აწყენინეს? მათზე რა ჯავრი ჰქონდა ამოსაყრელი?

ერთხელ მამაჩემმაც გადაწყვიტა თავის მოკვლა. მაშინ ჩემზე ახალგაზრდა იყო, მაგრამ უკურნებელი სენი სჭირდა — კიბო. რომ დარწმუნდა, [illegible] რაფერი ეშველებოდა, თვითმკვლელობაზე დაიწყო ფიქრი (კაცმა რომ თქვას, განა ჩვენ ყველას არ გვჭირს უკურნებელი სენი? სად გავექცევით ჩვენს სიკვდილს, სად დავაღწევთ თავს? სხვა ვინ გაექცა, ცას ვინ შეაბერდა? მუდამ თან არ დაგვდევს დიდსა და პატარას, მოხუცსა და ახალგაზრდას, ჯანმრთელსა და ავადმყოფს)... თოფი მოძებნა, მოიმზადა, ვაზნა დატენა. ხელსაყრელ შემთხვევას ელოდებოდა. ჩუმ-ჩუმად წერილს წერდა. მაინც კვდები და, ჩემს არსებობას რაღა აზრი აქვსო. ბარემ დროზე მოვრჩები, მეც მოვისვენებ, თქვენც მოგასვენებთო... ამ მზადებაში რომ იყო, ტკივილები დაეწყო, სასტიკი, აუტანელი ტკივილები შემოაფრინდებოდა, აგიეებდა, თავბედს აწყევლინებდა. გაუვლიდა ტკივილები, დაწყნარდებოდა, დამშვიდდებოდა, თვალებზე, სახეზე რაღაც უცნაური შუქი, შვება გადაეფინებოდა. როგორ ხარო, რომ კეთხავდით, ნეტარებით გაღიმებდა, ახლა რა მიჯირსო, იტყოდა, ახლა ბედნიერი ვარო... აი, წეღან კი... ნეტა როგორ გავუძელი. კიდევ მაგარი ვყოფილვარო... ბედნიერი ვარო, წამოსცდა კაცს და მერე როდის! ასეთი რამ მაშინაც არ უთქვამს, მართლა ბედნიერი რომ იყო, ახალგაზრდა, ჯანმრთელი, ძლიერი, ღარიბი, ზოგჯერ მშიერ-მწყურვალი, მაგრამ იმედიანი... მაშინაც არ წამოსცდენია ეს სიტყვა. ამის შემდეგ თვითმკვლელობაზე ალარ უფიქრია. ვაზნა რომ ამოვუღეთ ლეიბის ქვემოდან, მაპატიეთ, შვილებო, სისუსტემ დამძლიაო, გვითხრა. ხედავ, რა უცნაურია ადამიანის ბუნება? თურმე სწორედ ტკივილები სჭირდება, სიცოცხლის ნამდვილი ფასი რომ გაიგოს. ტკივილი ყველაფერს თავის ადგილზე აყენებს, სდევნის ლანდებსა და მოჩვენებებს, სიცრუეს, ლაჩრობასა და სიმხდალეს.

ვიზარდაცემული ვიჯექი იქ, ვაშლის ხის ძირას, ტოტზე ნელა მოქანავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოკს გაოგნებული შეეყურებდი. რატომ აიყარა ჩემმა ბიჭმა გული ყველასა და ყველაფერზე? ამის ატანა უფრო მიჭირდა, ვიდრე ის, უროტაძის მოსაკლავად რომ იყო წასული (ეწერა წერილში, უნდა მოეკლა, საიქიოში წინ უნდა გავიძღოლოო), რა ვქნა, ჩემთვის ეს გაუგებარია. ამის გაფიქრებაც კი მზარავს. მე მიყვარს სიცოცხლე. ძალიან ძვირად ვაფასებ არა თუ დღეებსა და წლებს, ყოველ საათსაც კი. იმიტომ ხომ არა, ავადმყოფი რომ ვარ? რამდენი რამაა ამ ქვეყანაზე ისეთი, რისთვისაც ცხოვრება ერთხელ კი არა, ათჯერ, ათიათასჯერ ღირს...

ბესო გოლიაძე გაჩუმდა. შეეატყვე, ამბავი დამთავრებულად ჩათვალა. ალბათ, დამთავრებულიც იყო. მეტისმეტად სასოწარკვეთილი, დამწუხრებული მეჩვენა ჩემი თანამოსაუბრე. ვიფიქრე, იქნება როგორმე ნუგეში ვცემეთქი, ვუთხარი, სასამართლო წინაა და როგორმე გაირკვევა სიმართლე, გამქღვნდება უროტაძის მაკინაციები, ამირანი სასჯელს შეიძლება მაინც ვერ გადარჩეს, მაგრამ დიდად კი შეუმსუბუქდება-მეთქი. რაც შეეხება ბიჭის საბედისწერო, შემზარავ გადაწყვეტილებას, ესეც შემთხვევითია, ალბათ, დაიბნა საწყალი ბიჭი, უსულგულო, ბოროტ ადამიანებს გადაეყარა...

— უსულგულო, ბოროტი ადამიანები! — შემაწყვეტინა ბესომ, — ტყუილია! ადამიანი ყოველთვის ასეთი იყო, ავიც და კეთილიც. ორივე უნდა დაინახო. კეთილი უფრო მეტად... მაშინ ვერ შეიძულებ ასე ხელაღებით ვერც კაცს, ვერც სიცოცხლეს. სარდიონ შავიშვილი დასანახავად რომ შეიძულა, ვითომ მართალი იყო? მე ხომ ადრევე ვიცნობდი იმ კაცს, მიყვარდა კიდეც. თავაზიანი იყო, კეთილი, გულისხმიერი. ბოლოს გაიბერძნა, გადიდკაცდა, გამდიდრდა, გვერდზე გადგა, სოფელს თავი აღარ გაუყადრა. ასე რომ გაუბედურდება ადამიანი, კი არ უნდა შეიძულო, უნდა გებრალებოდეს. ეს ხომ სენია, ადამიანის გამთელავი და დამღუპველი. ერთ ხელ გზის პირას ვიდექი, ავტობუსს ველოდებოდი, ჩამოიარა. მანქანა გაიჩერა. არც კი გამიხედავს იქით. ვემდუროდით ერთმანეთს, აი, იმ შემთხვევის გამო, რაც უკვე გიამბეთ. თავი გამოყო სარკმლიდან, მეძახის, მოდი. ბიჭო, შენ გელოდებიო. ხომ არ დავიწყებდი ბუტიაობას იმ ხალზში. მივედი, ჩავუჯექი. ხელი გამომიწოდა. გამიკვირდა, ცხადია, ესეც, ისიც, მანქანა რომ გამიჩერა და მიმიპატიჟა. ჯერ ერთი, არავის უჩერებდა გზაზე მანქანას, სამგაილად თავს არავის უყადრებდა და მეორეც — ორი კვირის წინ მამასა და შვილს ციხეში დალპობას გვპირდებოდა. ეფიქრობ, რა მოხდა, რა ბუზი შეუჯდა-მეთქი... როგორ ხარ, რას შრეგბიო, მკითხა, ავადმყოფობ თურმე, ყოჩაღად იყავი, არ დაეჩაგვრინოო. მერე ბოდიში მომიხადა, მაშინ ნამეტანი მომივიდა, ძალიან აღელვებული ვიყავი და, იმედი მაქვს, გამიგებო. კაცმა რომ თქვას, უფრო მეტად ბოდიში მე მქონდა მოსახდელი. რის ბოდიში, დიდად მადლობელიც ვიყავი, — იმ საქმეში ამირანის გამართლება შეიძლებოდა? ვუთხარი, არ ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადო, ჩემი სულელი ბიჭი რომ შეიბრალე-მეთქი. აჰ, არა, არ უნდა მეჩივლაო... შენი ბიჭი, ჩემო ბესო, კაი გვარიანად აფრენს, მაგრამ ჭკუით თავი არც ჩემსას უსკდებაო. ჯერ ერთი, რას უჯდებოდა მანქანაში. მეორეც — გაუჩერა, წადიო, უთხრა, რატომ არ წამოვიდა? ეს რანაირი ახალგაზრდობა მოდის, ჩვენ ხომ სულ სხვანაირები ვიყავითო... ასე ვეპირფერებოდით და ვეეჭლესებოდით ერთმანეთს მე და სარდიონ შავიშვილი. ბეითალი და ჩაის ფაბრიკის დირექტორი. თან გაოცებული ვიყავი. ნეტა რა სპირს, ხომ არ მოხსნეს-მეთქი. მივხედი, როგორც იქნა! რა იყო და. საჩივარი ხომ გამოიტანა, მადლი ხომ ქნა, ზედ მარილის მოყრაც მოუნდა... ხედავ, რა ძალა აქვს სიკეთეს? ერთს გააკეთებ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორეც გინდა მიაყოლო, მერე მესამე და კაცი ხარ, გადარჩენილი ხარ... მოდი ახლა და ხელი ჩაიქნე კაცზე, დაღუპულია, აღარაფერი ეშველებაო. მივხვდი ამას და უცად ისე შემეცოდა სარდიონი, ვიფიქრე, თუ ვინმეს ვჭირდები, ამას ვჭირდები ახლა, უნდა ხელი შევაშველო, უნდა გადავარჩინო-მეთქი. სარდიონ ბატონო, ვეუბნები, ხომ გახსოვს, ერთ დროს მეგობრები რომ ვიყავით? როგორ არ მახსოვსო, მიპასუხა, მოიხედა, გამიღიმა. „ერთ საათს ვერ იშოვი ჩემთვის?“ „რაშია საქმე?“ „რადაც უნდა გითხრა.“ „მითხარი, გისმენ.“ საათზე დაიხედა, სვლა შეანელა. „გადააყენე მანქანა.“ კიდევ მოუკლო სიჩქარეს. თითქმის გაჩერა. „რა გადაყენება უნდა, ა, ვდგავარ და ვგავა... მიდი, დაიწყე.“ ისევ დაიხედა საათზე. გატყობ, გეჩქარება-მეთქი, ვუთხარი, ისევ სხვა დროს იყოს. გამოგიტყდები და კი მეჩქარებაო, აღიარა... იცით, რა მინდოდა მეთქვა? გაგეცინებათ. დაწერე განცხადება და წამოდი მანდედან-მეთქი. მოიმიზეზე, რომ ავად ხარ. ხარ კიდეც. დიაბეტი ხომ აღმოგაჩნდა? წნევა ხომ ადრეც გაწუხებდა? ცოტაა? ჰოდა, დაისვენე, მიხედე თავს. რამდენი დაგრჩა სიცოცხლე მაგ შენი დიაბეტითა და ჰიპერტონიით? ათი? თხუთმეტი? დიდი-დიდი ოცი... მაინც ცოტაა, ძალიან ცოტა. დარწმუნებული ვარ, რაც დირექტორი გახდი, ერთი ღამეც არ გძინებია მშვიდად. შვილები დიდები გყავს, აღარ სჭირდებათ შენი ზრუნვა. უფროსები დაცოლშვილდნენ, შენი დახმარებით, შენი აქტიური მხარდაჭერით, უკვე მოკალათდნენ თბილთბილ სკამებზე. უშენოდაც უკვე აღარ დაიკარგებიან, ეს პატარა კი, მაყვალა, ჩემთვის უკვე კარგად ნაცნობი, თავს ნამდვილად არავის დაჩაგვრინებს... წამოდი ჩემთან, ჩამოვსხდეთ სადმე მდინარის ნაპირას, დავტკბეთ ამ ქვეყნის სილამაზით, ამ ცხოვრების გაუხუნარი მშვენიერებით... ბევრს აღარ გავაგრძელებ, რაღაც ამგვარი შეგონებების წაკითხვას ვაპირებდი. აღარ მითქვამს. დარჩა ზე დავაპირე ენას კბილი. ახლა კი ვნანობ. იქნება დაფიქრებულიყო? იქნება მიეღო კიდეც ჩემი რჩევა?

ძალიან მეეჭვება, შავიშვილს თქვენი რჩევისთვის ყური დაეგდო-მეთქი, ვუთხარი ბესოს.

— მაინც უნდა მეთქვა... ჩემს სინდისთან ხომ ვიქნებოდი მართალი?

ქოხში რომ დავბრუნდით, მირონი მზად დაგვხვდა. ბოსლის წინ მოუთმენლად სცემდა ბოლთას. მეც შევუდექი მზადებას. თოფი დავშალე და შალითაში ჩავდე. ჩანთა ავიღე და გარეთ გამოვიტანე. მეძძინა, თავი გავუხსენი და შიგ ორი გარეული იხვი დავინახე.

— ამას აქ რა უნდა? — ვკითხე მირონს.

— ჩოჩელმა გიწოლადა.

მივიხედ-მოვიხედე. ლერის ვეძებდი. ინკინერს თავისი ჯუკეიანი ლეიბი გარეთ გამოეტანა, ტყის პირას ფიცრებზე დაეგო და ზედ გაშოტლილიყო.

უნდა ამოვიღო ეს იხვები, ვუთხარი მირონს. ამდენი იხეტიალა კაცმა ჭაობებში, ღამეები ათია, როცა მე ცეცხლს მიფიცხებული ტკბილად ვთვლემდი. უხერხულია, როგორ უნდა წავიღო, ეს ხომ ნამდვილი მძარცველობა იქნებამეთქი.

— არა, არ ამოიღო, — მითხრა მირონმა. — სულაც არაა უხერხული. დაგავიწყდა ძველებური მონადირული წესი? ერთად ვნადირობთ, ერთად ვათვევთ ღამეს... ნადავლი ყველას უნდა შეგვხვდეს,

— მადლობას მაინც ვეტყვი.

— ეგ სხვა საქმეა.

ჩოჩელს არ ეძინა. მზეზე თბებოდა, ნეტარებით ლულავდა თვალებს, ახლოს რომ მივედი, წამოდგა. ადრე დამთავრდა ჩვენი ნადირობაო, თქვა. ამაღამ კიდევ მოვსინჯავ და ხვალ მეც წამოვალო.

საჩუქრისათვის მადლობა ვუთხარი. რა საჩუქარია, კანონიერად გერგებათო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორ-სამ იხვს ამალამაც მოვკლავ და მე და გოლიაძეც ხელდამშვენებული დავბრუნდებითო.

— ხომ არ მოგგეზრდათ ამ ტყეში ღამის თევა, ჭაობებში ხეტიალი?—კითხა.

არც ისე-მეთქი, მივუგე. სულაც არ მიხეტიალია იმდენი, რომ მომბეზრებოდა.

— უცნაური ჯადო აქვს აქაურობას. გაისად ისევ მოგინდებათ აქეთ წამოსვლა... აი, მაშინ უეჭველად გაგიმართლებთ, თქვენც მოინადირებთ რამეს.

— ნადირობამ არ გამიმართლა, — ვუთხარი მე, — მაგრამ არაფერია, ამ საქმეში ხელი რომ მომეცარა, სულაც არ მიკვირს, მიჩვეული ვარ. არც მადარდებს მაინცდამაინც. აი, ბესო გოლიაძის ოჯახის ამბავმა კი ძალიან დამწყვიტა გული-მეთქი... ჩოჩელმა შემომხედა, მერე სიგარეტი ამოიღო ჯიბიდან, მოუკიდა და ჩაილაპარაკა, სულაც არ მეცოდებიან, უარესის ღირსნი არიანო. ვერ დაგეთანხმებით-მეთქი, ვუთხარი, არა მგონია, უროტაძე მთლად სუფთა იყოს მაგ საქმეში... და არა მარტო უროტაძე...

— გატყობთ, — მითხრა ჩოჩელმა. — ყველაფერი მაშინვე დაიჯერეთ, რაც გოლიაძემ გიამბოთ. თავს გიმართლებდა, ცხადია... ან თავის ბიჭს როგორ გამტყუნებდა. ახლა მეც მკითხეთ ზოგი რამ. მაგ ბიჭს ჩემზე უკეთესად ვინ იცნობს, ჩემთან არ მუშაობდა საამქროში? ჩამოუყალიბებელი, გზადაბნეული ახალგაზრდის ნახვა ვის უნდა გაუკვირდეს... სამწუხაროდ, გვყავს ასეთებიც, მაგრამ ეს ბიჭი მარტო ჩამოუყალიბებელი კი არა, ავგული და უკეთილმარეცაა. მოსვლისთანავე გამომეღვანა, რა სულის პატრონიც იყო. მიგაყენებდი საქმეზე, წავიდოდი, რომ სხვა უბნისთვისაც დამეხედა, მოგბრუნდებოდი და, სადაა შენი ამირანი, დასეირნობს ქარხნის ეზოში, ვიღაცას ეღლაბუცება... მივაყენებ ისევ, გავიხედავ და, ტომრებზე გაშხლართული, სიგარეტს აბოლებს. საქმეს როგორ აკეთებდა, არ იკითხავთ? კი ბატონო, აკეთებდა, აფუჭებდა. განა უეცოდინაროობით, გამოუცდელობით მოსდიოდა ეს, არა, ბატონო, განგებ, ჯიბრზე, შეგნებულად. შენიშვნას მისცემ და აქეთ გეჩხუბება, რას მიყვარი, ზრდილობიანად მითხარიო. არა, არ მომწონს მე ზოგიერთი ახლანდელი ახალგაზრდის საქციელი. იმის მაგივრად, რომ, რა საქმეც ევალებათ, წესიერად, სინდისიერად გაკეთონ, გითვალთვალებენ, გისაფრდებიან, გაფაციცებით გზეერავენ, რამე ხომ არ გეშლება, პირობის შესრულება ხომ არ დაუგვიანე. ტყეული ხომ არ წამოგცდა უნებურად. შენიშნავენ რამე შეუსაბამობას და მორჩა, გგონიათ, წესრიგისთვის, დისციპლინისთვის ზრუნავენ ასე? როგორ გეკადრებათ! პრიქიოთ... უფრო თამამად რომ დაარღვიონ წესრიგი, აიშვან და აიწყვიტონ. სხვისგან ყველაფერს ითხოვენ — ზრდილობას, პირიანობას, ხელფასსაც სწუნობენ, მუშაობის პირობებსაც. თვითონ ყველაფრის უფლებას აძლევენ თავს. მოვალეობაზე კი თავს არ იწუხებენ... მოსვლისთანავე იმდენი მოთხოვნები წამოგვიყენა ამირან გოლიაძემ, თითქოს უბრალო მუშად კი არა, დირექტორად მიგვეყოს. საამქროში მყრალი სუნი დგას, არ გაიძლებაო, ვენტილატორები რატომ არ მუშაობენო. საამქრო ცუდად ნაავდება, აქ მუშაობა ჯანმრთელობისათვის საზიანოაო. მართალია. ჩვენი ქარხნის შენობა გვარიანად მოძველდა, კარგა ხანია, რემონტი, რეკონსტრუქცია სჭირდება, მაგრამ ვაახლებთ ნელ-ნელა. ასე რომ, ქარხანა ძალიან არ მოვაცდენინო. ეს კი მობრძანდება და ერთბაშად იწუნებს ყველაფერს. თვითონ რისი მაქნისია, ვინ მისცა ამდენი წუნიაობის უფლება? მაგრამ ხომ გაგიგონიათ, გალმა შეედავე, გამოლმა შეგრჩებაო. ესაა. მეტი არაფერი... არ დახვდა ბიჭს შესაფერისი სამუშაო პირობები, ურცხვად, უტიფრად იწუნებს ქარხანას, საამქროს! სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიაო! გაგიქცდები კაცი პირდაპირ... მოგვივიდა ახალი პატრონი! ვენტილიატორები მოგვთხოვა! რა წესრიგიც დამეხვა, მეც ამ წესრიგისა და რიგის მუშა ვარო! ეს მითხრა ცხვირმოხოცელმა ლაპმა!

ჩოჩელი გაცხარდა, ჩამჭრალი სიგარეტი ტალახში მოისროლა. ახალს მოუკიდა.

რატომ გიკვირთ, ახალგაზრდა მუშამ, სკოლიდან მოსულმა, თამაში მოთხოვნები თუ წამოგიყენაო, ჭაობნის პატრონად თუ მოგეკლინათ-მეთქი. ვუთხარი. განა ჩვენ. უფროსები, აღმზრდელები, მასწავლებლები არ ვუნერგავთ ბავშვებს, რომ სწორედ ისინი ყოფან ქვეყნის პატრონ-პატრონნი?

— რას მელაპარაკებით! — ხმას აუწია ჩოჩელმა. შემომხედა, სახეზე დამაკვირდა, ირონიულ ღიმილს თუ ეძებდა, — პატრონ-პატრონნები! ხუმრობთ, არა? იხუმრეთ, პატრონო. მაგრამ რომ არაა სახუმაროდ საქმე? მეც ვიყავი მაგ ხნის, მეც მასწავლიდნენ სკოლაში, მეც მარწმუნებდნენ, რომ გაიზრდები, შენ იქნები ამ ქვეყნის, ამ ყანებისა და ჭაობნების პატრონნი. მაგრამ მორიდებაც და მოკრძალებაც ვიცოდი რა იყო და, არც ასე უქნარა და უვარგისი ვყოფილვარ. ვარჩევდი უმცროსს და უფროსს, რისი უფლება მქონდა, ვიცოდი და ჩემი მოვალეობაც შეგნებული მქონდა. ამათ მხოლოდ უფლებები ჰამოუყავე, არავითარი მოვალეობა. მორიდება და მოკრძალება. დირექტორი რატომ იბრინძებაო, რატომ წესიერად არ გვესალმებაო! მეტი რაღა უნდა, ბარემ ჩამოუვლის სარდიონ შავიშვილი დილით ყველა საამქროს და ყველა მუშას ხელს ჩამოართმევს, გულში ჩაეკრავს... თვითონ ხომ ზარმაცი და ყალთაბანდი იყო. სხვებსაც აბუნტებდა. კეთილსინდისიერ შრომაზე გულს უცრუებდა. ერთ დღეს კოშკზე ასულიყო ჭაობნის ეზოში (წყლის ავზი გვიდგას ზედ). ასულიყო და გაჰკიოდა მთელი ჭაობნის გასაგონად. ჩვენი დირექტორი ერთ კვირაში რომ იპარავს, ერთ-ორ ამ ამქროს კეთილმოწყობას ის ეყოფაო. ამას ამბობდა კაცზე, ვის გოგოსაც ეკურკურებოდა, მოტაცებას, ცოლად შერთვას უპირებდა. ინტერესდა სარდიონ შავიშვილი უკეთეს სასიძოს? ისე წახდა, ისე გათავეზედდა, კაცის მოკვლაც კი დაეპირა. იცით, რამ მიიყვანა აქამდე? ზედმეტმა გაამინებამ, თავზე ხელის გადასმამ, დაუსჯელობამ, ქალი მოიტაცა, აპატიეს, მანქანა მოიპარა, თითქოს არაფერი... მამამისს ცოტერ ანგელოზად მოაქვს თავი. აცრემლებული რომ ხსნის თითქოს ანკესიდან თევზს, შვილი კი ლაღუმით სპობს და ანადგურებს ყველაფერს... რა უნდა დაუჯერო ასეთ ხალხს? რატომ აპატიეს ბრაკონიერობა? რატომ მაშინვე არ უკრეს თავი, სადაც საჭირო იყო? ახლა ჭაობზე იქნებოდა, ასეთ დანაშაულს ალარ ჩაიდენდა!..

ალარაფერი მითქვამს. კუნძზე ვიჯექი და ვდუმდი. ლერი დაწყნარდა, გაიღიმა, გაცხარებისთვის ბოდიში მოიხადა.

— მართალი გითხრათ, ძალიან გამაწყალა მაგ ბიჭმა... წყვიდა ჩვენგან და მის გამო შემდეგაც შემჰვდა საყვედურები, შენი მუშა იყო და რატომ ვერ აღზარდე. ზეგავლენა ვერ მოახდინეო. გაიფუჭეს და მერე მე მომიდგეს ალაპარდელად... საკუთარი მამა კი მოდგება და თავს იმართლებს...

ინჟინერი წამით შეჩერდა, ღრმად ჩაისუნთქა თამბაქოს ბოლი, — თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა გასაკვირია? ასეთები ვართ ყველანი — თავს არავინ ვიმტკუნებთ, სხვას არ ვუსმენთ. ჩვენს ჰატარა სიმართლეს კი ვიზვიადებთ, ახალ-ახალი საბუთებით ვამაგრებთ...

კვლავ ორნი რჩებით-მეთქი, ვუთხარი, დრო გაქვთ, მოისაჯეთ ერთი. ყურადღებით მოუსმინეთ ბესო გოლიძეს, იქნება ცოტათი მაინც შეიცვალოთ შეხედულება მის ბიჭზე.

— უკვე რამდენჯერმე მოვუსმინე... ბესოსაც. სხვებსაც.

— მერე? რატომ ბგონიათ, რომ ეშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაკობს? ტყუის? ჩემი აზრით, ბესო გულწრფელი კაცია.

ლერომ შემომხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს. საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ბესოს მხარეზე დავრჩი. ალარ გაუმართავს კამათი. შეგატყვე, ჩემს წყენინებას მოერიდა.

რა ვიცი, ჩაილაპარაკა ბოლოს, ვნახოთ, სასამართლო იქნება მალე, მტყუანს და მართალს იქ გაარჩევენო.

ჩვენი საუბარიც ამით დამთავრდა. კიდევ ერთხელ გადავუხადე მადლობა, დავემშვიდობე და წამოვედი.

კარგა ხანს ვისხედით მდინარის პირას მე და მირონი, ნავს ველოდებოდით, გაღმა რომ უნდა გავეყვანეთ.

როგორ მოგეწონა ჩვენი ინკინერიო, მკითხა მირონმა.

— ცუდს ვერაფერს ვიტყვი...

— მაშ, მოგეწონა?

— კი...

— რატომ? ნანადირევი რომ გაგიყო? — მკითხა ღიმილით.

— რას ამბობ! — აღვშფოთდი. — რა შუაშია ნანადირევი, რა ჯანდაბად მინდოდა? შენ თვითონ არ მითხარი, წამოიღე, მონადირული წესიაო?.. ის მომწონს, რომ სერიოზული, ჭკვიანი ახალგაზრდაა, ცხოვრების ავ-კარგი ესმის, ყოველ შემთხვევაში, ცდილობს, გაერკვეს... ერთი რამ მაინც მიკვირს, რატომ ვერ იტანს გოლიაძეებს? ბიჭი, ჰო, კარგი, მესმის, მუშა იყო მისი, გააწვალა. მამამ რაღა დაუშავა? რატომ შვილი ვერ გაზარდაო... კაცი წასული იყო ოჯახიდან და რა ექნა. ასე შორიდან კი არა, ღიღიდაღამ თავზე ვადგავართ შვილებს და მაინც ვერ წაგვიყვანია ჩვენს ჭკუაზე.

— მითხარი, ვინ გძულს და გეტყვი, რა კაცი ხარ...

— ჰოო? ასეა საქმე?

მირონი თვლებში მიმზერდა და რაღაც ცალყბად, სუსხიანად იღიმებოდა. ვატყობდი, ყოყმანობდა: ეთქვა თუ არა, ბოლოს თქმა ამჯობინა.

— ასეა, კი... კაი ხვითო ბრძანდება მაგ შენი მოწონებული ინკინერიც. შორს ვიდექი წეღან, მაგრამ მესმოდა მაინც, რასაც გეუბნებოდა... ქურდობაო, ბრაკონიერობაო... დროზე უნდა დაესჯათო... თვითონ რა კაცია? ვითომ მისდღეში არაფერი დაუშავებია? ღამღამობით ტყეში რომ დაძვრება, როგორი მოსაკლავია ამ კუნაპეტ ღამეში მოულოდნელად ცხვირწინ აფრენილი ხეი? მოარტყამ, რაც არ უნდა კარგი მსროლელი იყო? ფრთების ტყლაშუნი გესმის მარტო, მეტი არაფერი, დაუმიზნე, თუ ვაკაცი ხარ... ეს კი უმიზნებს და კლავს კიდეც... არ ესიამოვნა, რომ ავეკიდე წუხელ. თურმე საგანგებოდ მომზადებული ბიჭი ღამით ნადირობისათვის... ფარნებით... გამოიჭერს ფრინველს თვალისმომჭრელ შუქზე და მისია... თუმცა ბევრი მაინც ვერაფერი მოინადირა, ამინდმა არ გაუმართლა, მაგრამ წესი და კანონი ხომ დაარღვია? ხომ მალავს რაღაცას, ხომ ტყუის და ეშმაკობს? სიტყვა რომ სხვა გამოუდის და საქმე სხვა? ასეთი იქნება ეგ თავის საამქროშიც... იქნება კი არა, ასეთია! ვიცი მე, რა ხდება იქ, როგორ ფიქრობ, მთელი დღე იმ თაღლითი შვილშვილის გვერდით ტრიალებს და ხელები მაინც სუფთა ექნება? მამა უცხონდა! იცის სარდიონმა, ვის ჩააბაროს საამქრო. ან იმ მამაძაღლი უროტაძის აუგს რომ ვერ დააცდენინებ, არ გიკვირს, რაშია საქმე? წაიწყდა დანაშაულზე და დაიკერდა, აბა, რას იზამდაო, ვიცით ჩვენ, ყველამ ვიცით, ვინ ვის წაწყდა, ვინ რისი გამკეთებელია... არაფერი დაიმალება ქვეყანაზე და, მით უმეტეს, ამ ჩვენს პატარა სოფელში. ტყუილების გუდაა მაგ ჩოჩელიც და, რა გასაკვირია, ბიჭს მისი რომ არაფერი ეყურებოდა?

ამ დროს შორიდან ძრავის გუგუნი გავიგონეთ. მირონმა ჩანთას დასტაცა ხელი:

— გვეშველა, მგონია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედეა კახიძე

მე ვკარგავ

მე დღეებს ვკარგავ
მზიანს და უმზეოს,
ნაცნობებს ვკარგავ
ზნიანს და უზნეოს.
მე ვმალავ წყენას,
წლობით რომ
        გულში დევს.
მე ვკარგავ რწმენას
დღევანდელს, გუშინდელს.
მე ვდარდობ მაისს
და მერცხალს კუდვარდას.
ჭერ-ფუძე მამის
ასე რომ უყვარდა.
თუ ჩიტი გზაშია,
როდესაც წვიმს ნარზე,
თუ სახლში ბარტყს შია
და ბევრ სხვა წვრილმანზე...

მე ვდარდობ, უკვე
დანგრეულ საყდარს,
საყანეს უმკელს,
შემწე რომ არ ყავს,
რომ წელსაც მარტმა
დამეხა ურთხმელი,
რომ ბევრი დამრჩა
სათქმელიც, უთქმელიც...
მე ვდარდობ აპრილს
ბადმოღვრილს თრთოლად,
რუსთველის გამზირს
მკერდს მიკრულს თორად.
და შევთხოვ უფალს:
— კვლავ ცოცხლად
ნუ გვფლავ,
მოწყალედ გვექმენ!
რამეთუ შეგვქმენ!

მე ვიცი

მე ვიცი, რას ნიშნავს
ოცნების დაყრუება,
რას ნიშნავს, სამარის
შავი ქვა საყურებლად.
მე ვიცი, რას ნიშნავს
უკაცო ნაპირყურე,
როდესაც იმედი
თვალებში არ გიყურებს.
მე ვიცი, რას ნიშნავს,
სიჩუმის ყურისგდება,
გული განშორებას
როცა ვერ ურიგდება.
მე ვიცი, რას ნიშნავს
როცა აღარ ელტვის,
გული სალაღობოდ
მინდვრებს გადაპენტილს.
მე ვიცი, რად მოწყდა
ზეციდან მეტეორი,
ან ციცქნა მიწაზე
რატომ ვერ ეტეოდი.
მე ვიცი, რას ნიშნავს
მზის სხივის უარყოფა,
ხრიოკში მდგარი ხე
უწყლოდ და უნაყოფოდ.
მე ვიცი, სად არის
ნამდვილი თვალსამთხე,
და ვცდილობ, განგების
აუგი არ წამომცდეს!
ეს გული. გაჩეხილი
ტყეა სადღეისოდ.
მოკლული ჩიტია და
აღარ დამღერისობს.
მე ვიცი, სად არის
სამყაროს დასასრული.
ეს შენი საფლავია
ცრემლებით დაშაშრული!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთმა ნუ მოგვიშალოს

კაკაბეთო, კიკეთო,
გზებიო სამირეკეთო,
ტყეში საკოჭწიაოდ
გაკოკრილო იაო
ბგალვით გადაფშრეკულო,
ენკენისთვის ხე-ველო,
შაოსანო უფსკრულო,
ყორან-ჩაუფრენელო,
გზებაზე დაყანებულო
მწვანე ძატიტელებო,
თეთოად აყვავებულო
აკაციის მტევნებო,
ძილშიც სანატრობნო,
მეხლმაგარა რიონო,
ჩემი სახლის მდგმურებო,
მერცხალ-სამეოცხლურებო
დარდით გამოჭურჭლულო,
გულის ყველა კუნჭულო,
ნისლო, წვიმის ფაცერო,
დაგდებულო საცრემლოდ,
მწუხრით მოშამბნარულო,
დიდზე დიდო მამულო
სისხლიანი ყვირებით
მუდამ მესატკივრები.
ცრემლი ავლავ ნიაღვაროს,
დრო, რმეოთმა მოგვხედოს,
ოიოვმ, ვხედავ, სამყარო
რჩება ესსმოთხეოდ.
გაგვიმარჯვდეს ღვთის ნებით,
მიწავ გულუშიშარო,
ოქვენი დიდი იმედი,
ღმერთმა ნუ მოგვიშალოს!

შენს თავს არავინ მაღირსებს

მთვარეს ცაზე თავმიდებულს –
ჩუმად შევჩივი სათქმელს.
ის გულგარეშე მიგდებს ყურს,
გზას იმახძლებს თავქვე
დაძიწყურვილდნენ თვალები
წამერთვა თვალის ჩიხი.
წვიმიან დღეებს დავხვდები,
დავუდაქალდო ნივილს.
მთვარე თავს ეკუმარიდებს,
ნისლი შლის მთვარის ლოკებს,
თავს მიჩვევს უკუნ რამ რიდეს
და მიქოლმს მთვარის სანთელს.
შენს თავს არავინ მაღირსებს,
ვერ ვნახავ ზეცის გახსნას,
ვერსად ვიპოვი ნატვრის ბეს,
ეითხოვო შენი დახსნა.
მე ვიცი, ალარ მნატრელობ,
ვერც დაფერილ ცრემლებს მიზდავ,
და შეკერვარსკვლავ სატურნად
ცას შენიზვნიარ ჩაზნად
შენ მხოლოდ

ჩუმად მიგდებ ყურს,
ძალოდ მე ვაძაობ სათქმელს,
გაჩიავს ლოდზე თავმიდებულს
და გინათებ მთვარის სანთელს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა ხორნაული

●

სად, როდის ჰამოისვენებს
სივრცით დაღლილი ქარი?
სად, როდის გაიფოთლება
ზეხმელი კენტად მდგარი?
როდის გახდება ხილული
ორი სამყაროს ზღვარი?
სად, როდის დაგვიბრუნდება
სითბო წასული კვამლის?
სად, როდის მოღიავდება
იქ საიდუმლოს კარი,
რომელიც კაცის ბედივით
ამოუხსნელი არის...
სად, როდის აწკრიალდება
ზარი... ნანატრი ზარი?

ამოვა უცხო მნათობი

ათას მთას გადაგატარებს
სიმაღლეების მშვენება,
ამოვა უცხო მნათობი,
შენს გულში ჩაესვენება.
ლოცვას ენა თუ ვერ იტყვის,
თვალებზე დაგეწერება...
ცის პირზე წაბორძიკებულს
უფალი შეგეშველება.

ზენთვის ვცოცხლობდი...

ფიქრს ეჭვი არ აძინებდა,
გული კი მაინც გელოდა,
ხან სამოთხიდან გეძახდი,
ხან — ჯოჯოხეთის ჩეროდან,
სივრციდან შენი თვალების
მოწყენა ჩამომცქეროდა...
ვცოცხლობდი,
შენთვის ვცოცხლობდი,
სიცოცხლე შენთვის მეროდა...
ვხარობდი,
როგორ ვხარობდი,
მჯეროდა,
როგორ მჯეროდა!..
ნერე მზემ ფერი იცვალა,
შეკრთა ღიმილი მდელოთა...
სხვა შუქში მიიჩქაროდი,
სხვა ჩრდილი გადმოგფენოდა,
მე მაინც შენი თვალების
მოწყენა ჩამომცქეროდა
სივრციდან,
ლურჯი სივრციდან,
ზემოდან,
მთათა ზემოდან...

ვოდიან სულ სხვა დღეები

გულო,
ამაღლდი,
ანაღლდი.
იხილე სულ სხვა ფერები,
იხილე ღმერთის სიკეთე —
სათავე მშვენიერების,
იხილე ნისლი ვარსკვლავთა,
ზღაპრის წყარო და მტევნები,
ცას შერჩენილი სინათლე
ქრისტეს ხმისა და ხელების,
ტაძარი —
სიხე სივრცისა,
უსასრულობის სერები,
მნათობი —
ხატი ზეცისა.
მადლი და ოქრო თენების,
მიზეზი შენი ტანჯვისა
და შენი ბედნიერების...
მოდიან
სულ სხვა დღეები —
ჩვენი ლამაზი მკვლელები...
გულო,
ამაღლდი,
ამაღლდი,
მე ლოცვით შეგეშველები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

...და მწვერვალებთან გველოდა

წმინდა წერილის პწკარივით
მოჩანდა მწკრივი წეროთა...
აბელის გულში მზე ენთო,
კაენის გულში ბნელოდა...
თითქოს კაცთაგან არასდროს
ცას არაფერი სწყენოდა,
იყო მშვიდი და ნათელი
და მწვერვალებთან გველოდა.

სასწაულს კვლავაც მოახდენს ღმერთი

ფიქრს გიგზავნიდი — ბარათებს
გწერდი,
შორს დარჩენილი გედეკი გვერდით.

გული დაჭრილია
და მაინც ემღერება...

პწკარებს მოჰქონდა სიკეთე ბედის,
ღიმილის ოქრო და ცრემლის წვეთი.

აბელი ერთგულია,
კაენი გვემტერება...

რაც აუმღვრეველ სივრცეებს ერთვის,
დრო ვერასოდეს დაუსვამს წერტილს.

ღამაზი ზამთარი
საეჭვოდ გვეფერება...

მზისთვის, მიწისთვის, შენთვის და
ჩემთვის
სასწაულს კვლავაც მოახდენს ღმერთი...

გულს დარდი ემატება
და მაინც გვემღერება.

და იყო მაინც კეთილი

ცრემლისგან თვალებდამჭკნარი
დედა — მორჩილი ბედისა
არც ცას და მიწას სწყენოდა.
არც — წუთისოფელს სევდისაგან
და იყო მაინც კეთილი
და მადლიერი ღმერთისა.

უფალს ორივე ახსოვდა...

წიწოლას დედა ტიროდა,
ცრემლი სიმწრისა სდიოდა,
მისთვის დღე აღარ დღეობდა,
აღარც მზე ამოდიოდა,
რცხვენოდა დედამიწისა,
დარში იდგა და სცეოდა,
შორს დარჩა მთელი ქვეყნისგან,
ვეღარავისთან ჩიოდა...
უფალს ორივე ახსოვდა,
უფალს ორივე სტკიოდა...

ცა არ დაგტოვებს აღმართზე

შენი დარდები ქცეულან
შენი სამრეკლოს სვეტებად,
დაჭრილ მზესავით მიმავალს
უფალი გეიმედება,
ცა არ დაგტოვებს აღმართზე.
სიმაღლე დაგებედება,
ისეთი ჩრდილით გაგთბეს
წარსულის დიდმა კედლებმა,
გული არ დაგაღალატებს,
ფიქრი არ დაგიბერდება...
შენ დაჭრილი ხარ...
რა მოგკლავს...
გზა იდუმალი გრძელდება.

და ღმერთს კიდევ ერთხელ შევწირე მადლობა

დღეს უცად შევამჩნიე,
რომ ჩემი ვაჟი
ჩემზე მაღალია
და გული ამაღლდა
და ფიქრმა სულ სხვა სივრცის
ჰაერი იხილა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლანდა მასხულია

ბეჯლიზე

მე ამ ცეკვას მარტო ვცეკვავ,
ნურვინ დამეწყვილება,
თან ვტირივარ, რა დაგვმართეს
აპრილმა და წვიმებმა.
ეს მკლავები თეთრი გედის
დალეწილი ფრთებია...
ვამბობ, ცხადში რაც კი ვნახე
და რაც დამსიზმრებია,
დატრიალდა დედამიწა
ვაი, თავბრუ მეხვევა.

საქართველო, — ჩემი მიწა —
ბედნიერი შემთხვევა!..
მაგრამ ჩვენთვის, ქართველთათვის
სინანულის დროება,
სხვისთვის დღესასწაულია,
ჩვენთვის — ამაოება.
მე ამ ცეკვას მარტო ვცეკვავ,
ნურვინ დამეწყვილება,
თან ვტირივარ, რა დაგვმართეს
აპრილმა და წვიმებმა.

●

სევდის ბაღს ვსახლობ,
სევდის მდინარის
ნაპირას მიდგას მწუხრის კარავი.
ხორცმა მოსტაცა ყველას თვალები,
არ ჩამომხედა სულში არავინ,
რატომ გამხდარა ადამიანი
ასე მარტივი, ასე უბრალო,
მომეც მაცილთა ზედა გაძლება,
ძალი მოომენის მომეც. უფალო.

გალაკტიონი

ზღვისპირას ვიდექ,
შორით დაელანდე.
ნაპირისაკენ მოცურავდა
„გემი დალანდი“,
ნაპირისაკენ მოცურავდა.
მაგრამ ნაპირი
არ იყო არსად,
იდუმალი ღვთის შენაპირი.
გემი კი, გემი მოცურავდა

მღვრიე ნისლიდან,
ნისლიდან არა,
მოცურავდა თითქოს
სიზმრიდან.
მას უნდა ევლო
უკვდავების გზებით მარადით,
ნაპირისაკენ მოცურავდა
„გემი დალანდი.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეკორძული

ხეკორძულის წყალი მისვამს
მცხეთა ისე ამიგია,
დამიბერეს, მკლავი მომჭრეს
რატომ კარგი ავიგია?

ბალხარი

ხეკორძულადან მოვდივარ,
მომაკვს მოკრილი მკლავი.
მომბღავის შშაგი არაგვი.
მომკლავს მცხეთის ქარი.
მკლავი მე ავითინ მოვიკერ,
სხვას არავის აქვს ბრალი.
მოვიკერ, სხვა არ ამეგო,
სვეტიცხოველის დარი.
ერთხელ ავაგე, მაღალი
ღვთის გადვიხადე ვალი.
მეორედ არ შეიძლება,
ცას რომ შეაბა კარი.
მეორედ არ შეიძლება,
აანთო სულის ვარი.
ერთხელ, ო, მხოლოდ ერთხელ
სწორდება ცა და ბარი,
ერთხელ, ო, მხოლოდ ერთხელ
ცით ირეკება ზარი.
ის პირველია ღმერთის,
მეორე კაცის არის.
ხეკორძულიდან მოვდივარ,
მომაკვს მოკრილი მკლავი.

სხვა სიყვარული არსებობს განა?

რ. ფაჩულიას

სენაკის დილა მიმღერის ნანას,
ჩემი ნიავი დარაჯობს ჯანას.
ჩემი ფიქრები ეოთგულობს მაგანს...
სხვა სიყვარული არსებობს განა?
სენაკში ვიხდი სულის ტაძვრობას
და ვიცმეე სიყრმის ვარდისფერ
ხალათს,
მე დამრჩა მისი მემკვიდრეობა.

სხვა სიხარული არსებობს განა?
ქალაქი მაინც მიმღერის ნანას
და ისევ ისე კუკკარეაო კიდევ.
ჩემი დარდები შენს ტკლავზე წვანან
და მე სასთუმლად გრანელი მიდევს...
თიბათვის მზეო, გახედე ქალაქს,
სხვა სიყვარული არსებობს განა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო სამადაშვილი

შეხვედრები და სინანული

მეწისქვილე

„და ბრეკიანი დედამიწა შუქს იმათხოვრებს.

ჩვენი მგოსანი მეგობრობდა ჯალარაშერთულ მეწისქვილესთან.

ქართული წისქვილი სოფლის განაპირას იყო ჩადგმული. დღეღამ როხროხებდა. ბორგავდა, კორიაკობდა. ხის ღარით მოვარდნილ წყალზე საამურად ჩხრიალებდნენ ჩარხის ფრთები.

მოზრდილი რუ, ანჩხლი მდინარის ტოტიდან რო გადმოგდოთ. ძმიმედ მიიზლაზნებოდა ხშირ ვენახებსა და დაბურულ ბაღებს შორის.

ბერკეტივით ანდრიას წისქვილში ყოფნა დედის კალთასავით უყვარდა. იცოდა ადამდევეის დროინდელი ზღაპრები, არაკები, მაგრამ ბოლომდე არც ერთი. ხშირად შეა ზღაპარში ხმა მიელეოდა და ისეთ ხრიალს ამოუშვებდა, იტყოდი: ყელზე ბებუთი დაეჭირესო. ყურმიგდებული მესაფლავენი კი სიცილით იგუდებოდნენ.

ანგარიშში ანდრია ნამდვილი ბეყეყა იყო. — ასამდე რის ეაიეგგლახით ითვლიდა. როცა ბელელში მინდს ჩაყრიდა. წიფელას დედაბოძის წახნაგზე, წისქვილის ჭერს შუაგულში რომ ჭერნდა შედგმული, ჯიბის სასხლავი დანით ჭდეებს უკეთებდა. წისქვილის ქვებს თვითონვე კოდავდა. ხრილს თავის დედაკაცს გამოაცხობინებდა, ქვევრში ჩაუძახებდა, ამოზელავდა, ალაოს ჩაუკიდებდა. საარაყე ქვაბი თავის ზარფუშით და გეჯათი საბძელში ჭერნდა გადამალული. რომ ონავარ ბოქაულს სუნი არ აეღო, ან დაბეგვრის უწყების მოხელე თავს არ წადგომოდა.

ანდრია ღვთისნიერი და ბადაგივით გულის მფლობელი იყო. უყვარდა ფანდური და შაირები, წკრიალა ხმა, მოჰკეკრეკე ფრინველების სადარი სმენა განგების ძალას მიემადლებინა. იმის სიმღერა, თითქოს წისქვილის ბეღურებსაც გადასდებოდათ. ის ცხოვრებისაგან ხარბი კაცივით ოქროთი მოოქვილ სრა-სასანლეებს როდი თხოულობდა, ანდა რა ჭირათ უნდოდა, როცა დოლაბის ხმაური, წყლის ჩქაფაჩქუფი, ხვიმირას დაგდგი ნეტარებათ მიაჩნდა.

ჯიდა ანდრია წვრილფეხა თვალის ჩამკრავიც იყო. სოფელში ხმა ჭერნდა დარხეული: რომელი ქალიც ანდრიასთან საფეკავს მიიტანს, იქიდან ლეჩაქადილი დაბრუნდებაო! რა თქმა უნდა ამლაშებდნენ.

ანდრიას საგულდაგულო მჭირდავი ჯეკეტაანთ სქელგავა, კოქლი მაკრინე ბრძანდებოდა. ოღონდ ყურში საყბედი რამ ჩასწვდენოდა, ოდნავი ჯორისთვის ყური მოეკრა, ერთი ათასად გადაეცვლდა: წანწკლიან ენას უბან-უბან ახრიალებდა, ატანტარებდა, კარიდანკარზე დაბრაძუნობდა, ხელებს ყანჩას ფრთებივით იქნევდა. გამელელს არ გაუშვებდა, რომ არ ჩაეკიწკიწებინა:

— ქაა, რა გავიგე! ი. ქოფაკ ანდრიას რა უქნია!... უი... უი... მიწამ კი უყოს პირი, აპანდევ!... — ტლეკინებდა ფლობვე მაკრინე, სახეზე ჯორფლი ვაზის ჭრაქივით რომ მოპკიდებოდა.

ანდრია კბილებს ილესავდა და

გაგრძელება: დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუაკაცის პირით უთვლიდა თავის ენაჯარტალას:

— მაკრინე! რატომ არ დამეხსნები! რას გადამეკიდე. რა ყბა დამადგი, კაცმა რო სთქვას, რას შემომხნდი? ქვეყანას რაზე მიყრი? ენა მუცელში ჩაიგდე, მოთმინებიდან ნუ გამომიყვან მისამართსა, თორემა ცხონებულ მამაჩემის სულს გეფიცები, არ ვიცი რას გიზამ!

რამდენი გენიოსი გადაიყოლა ქალების სიკეკლუცემ და ავხორცობამ ნუთუ ახლრიას არ უნდა ეპატიოს, თუ სადღაც ფეხი წაუცდა, წაიბორძიკა, ვიღაც ლამაზმანებს გაეთამაშა და ფუტკარივით წუწნა დაუწყო თავაწყვეტილ დღეებს?..

ზოგიერთმა ცვედანმა და ქალაჩუნამ სქესობრივ ურთიერთობაზე ზნეობის რაღაც ჩიფლიფა მედავითნეობა წარმოშვა — კაცი და ქალი ცხრა დღის სავალზე დააშორა.

იმას მოგახსენებდით, ანდრია ხშირად დამღერიოდა თავის ფანდურს:

სარცხვენი იმ გუთნის დედას
მამა-პაპის საფლავს ხნავდეს,
ამხანაგის მოღალატეს
დამმარხველი არა ყამდეს.

„გაიხარე ანდრია, იცოცხლე სეხნი!..“ — შესძახოდნენ მესაფქვავენი.

რა ჯილაგის, რა ყაიდის ხალხი არ გინდა, რომ წისქვილში არ იროდა: გაძვალტყავებული გლეხკაცი შინ დაცემულ ხამი ხარის ტყავიდან ამოსხმულ ჭვინტმოგრეხილი ქალამნებით, შემოფლეთილი მაზარით, გაცრეცილი ნაბდის ქუდით, ხელის გულზე მსხვილი ბებერები რომ დაკოჟრებოდა, ცერის სახსარში და ნონებში ჯიგის ოფლი რომ ჩაკდომოდა, უხეიროთ გბაილღოული წვერ-ულვაშით, ლაე პაპის ჰაჯანაგიდან ამოჩრილი შარვლის ტოტით. ქვრივ-ობრეს ორიოდე ჩანახი ქერჭრელი მხარზე შედგმული შორი გზიდან რომ მოეტანათ. ფეხშიშველა ობლებს დაჩაგრული სახით და ნაღვლიანი თვალებით. შეძლებულ-ბობოლა გლეხს, მკერდგახსნილი ფარაჯით, ყაიფხის ძაფით მოკარგული ეგეგეგეგეგ ქუდით, სახიანი ღაზლის ძაფით ნაკსოვი წინდებით, ლამაზი ლეკვერთხებით, ბაზრის ჩუსტებით, იფნის სახრეთი ილლიაში ამოჩრილს, თავის ბეჩავ მოჯამაგირეს უწმაწური სიტყვებით რომ უმასპინძლდებოდა.

წისქვილში ნიადაგ ჭრაქი ენთო, რადგან რუს პირზე დატანებული მომცრო ფანჯრის მინა საფქვავის მტვერს ისე აქერილა რომ დღის შუქი ბრეციანი კატასავით იცქირებოდა. თუ მზიანი მინდი გამოჩნდებოდა, წისქვილის კარს ღიას სტოვებდნენ.

ზამთარში ხომ გაძაღლებული იყო წუთისოფელი. ქარები ცის ტაფობში ჩაშლილ ღრუბლებს ნიადაგ უქცევდნენ და ცივი კორიანტელი ისეთაც დალეულ მზეს აბნელებდა. ყინულით შეკრულული წისქვილი ენაჰავარდნილი კაცივით იდგა. სიპი ქვისაგან თაღშემოვლებულ ბუხარს ააბრიალებდნენ. წინ კოხებამოცვენილი კევრი, ყურ-მოტეხილი ჩაფი და ორიოდე დაკოჭკნილი კუნძი რო ეგდო.

შეშის სიმწარის გამო, ზანტად მოშიშინე ბუხარს ნედლი თუთის ტოტებს და სარის ნაჩეკს უკეთებდნენ.

„თვალები დამეთხარა, ამ ოხერა ბუხრის ბერვითა!“ — იტყოდა ხოლმე გაცეცხლებული ანდრია. თუ ღამეს ზამთრის ყინვა მოუკერდა, რუ იყინებოდა. იყინებოდა წყლის გადასაგდებიც. ჩარხიც და ყინულის ვეებერთელა ლოლუები ანდრიას გუნებას უმღვრევდა.

„მოიტა ბიჭო ი, ოხრადდასარჩენი ნაჯახი! ე ვერანა ყინული მაინც ამოვჩეხოთ!“ გასძახებდა დილაადრიან გამწარებული ანდრია თავის ძმისწულს, წისქვილში ხშირად რომ ეხმარებოდა.

შემოდგომის პირი კი ერთ სიცოცხლედ ღირდა. მაწიერი ჰაერი და ბაღ-ვენახების დოვლათი უხვ სურნელებას აფრქვევდა. წისქვილი ჩხრიალებდა. ციბრუტვივთ ბზრიალა დოლები სარეკელას ეჯიბრებოდა. ხმაურობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს წისქვილთან ჩახერგული ურმების ზედახორა იდგა: ზოგი კონკლაზე დაეყენებინათ. ზოგი ხელის თათებზე დაეცმული ეგდო — მოღრეცილი უღლებით, მკვრივი ტაბიკებით, ხოიანი აპეურებით, გაურანდავ და დახორკნილი ლარხებებით, ჭაღებზე დაკიდულ კამჩის რქის სასაპნეებით, წელამდე ტალახში ამოსვრილი თვლებით, ერთიშეორეზე მიდგმული ჯირნახულით გატიკნული ფარდაგის ბარდანებით, თოფრებით, პირი მსხვილი ბაწრით რომ მოეკოჭათ.

წისქვილის ირგვლივ, სახლების ბაზზე და ზოგან ჯინის სახურავებზეც ბოსტნის კვლებივით გაფენილ ლასტებზე, ჩელტებზე, სახლებზე ქლიავის, ჭანჭურის, ალბუბრის, გაპარის და სახლეჩი ატმის ჩირი მოსჩანდა; ზოგიერთა სხვენიდან ახროვილი ყვითელი გოგრები, კომშის, ყურძნის ჯაგნები და წითელი წიწაკის ასმოლელები, ნიგოს ბალები იმზირებოდნენ; მახლობელ დერეფნებიდან ბოძების სიმაღლეზე გადეკაულ სარზე ჩამოკიდწიალებული ჩურჩხელები, დამკრახული ბალი ანდამატივით იზიდავდა ბალღებს ოვალებს.

წისქვილი ეზი ბზელილი იყო ლაფიანი ხრეშით, ეკეკეში. ფიჩხის ნამტვრევებით, ჩალის, თივის და ჩენჩოს ნარჩენებით. საჩეხის გვერდით მახ-ქვებმოგრეული გუთანი, ცალთვალა ღერწკალა, ბეჭოთი ამოსვრილი გოგორებმოშტერეული ჩაჩა და ძველი დაცვრილი ფიჭვის კოტრები ეყარა.

„ნიკო, შიდის ისე!.. შე ვერანა ეკით შიდეკ!" — ისმოდა წისქვილის ბოსლიდან ბესფკვეკეია ტეკეა, ეღელ-ერთულ ბარ-ჯანეს, ბაგაში ბზეს ფეკრეს და ეკრეხელს რომ ეკრიდნენ. ზოგი ზღვეს პატივისაგან ასეფთავებდა — სანაწყლიდან სანათურის ძირში ჩვეტაფდა, რომ სიბინძურეს პირეტეკეი არ შეეწუხებინა. ბოსლის თავში ორ კედელ შეა ეძრავი ბანერი ტახტი ჩაეკეფდათ. ზედ ჭეკეიანი და დაძენძილი ბალიში გაეშალოთ. ამ საფეკნე წაეყ-

რებოდნენ. ხოლმე მგზავრობით დაღლილი მესაფკვეკენი. არ ეკეგონოთ, ეკინოგვების ფხაკა-ფხეკა და ფართიხეკენი შეაწუხებდათ.

ბანაგვლიანი და ეკედდაშვებული ნაგაზები ეშინოდა დაძეკნძულებდნენ, ეკეხო ადამიანებს. ებერი თვალით ეკეურებდნენ, მერე თავს დაეშვებდნენ და ეკრმის ქვეშ იკეტნებოდნენ. მხოლოდ შინაური თოლია ამპარტავნობდა. ესაბაბოთ ეეფდა. ეერინებოდა, სანამ გაბეზრებული ანდრია არ დაეცაცხანებდა: „თათა! ახგამო, შე ოხერო!"

ანდრიას ჩვეულებად ჰქონდა, ყოველ ღამე, ანთებულ კვარით ხელში, წისქვილიდან რამდენჯერმე გარეთ ეხდა გასეულიყო, ღარის პეშვისთვის დაეხედნა და ისევ მეტტუტით შემობრუნებულიყო წისქვილში.

რეს პირზე ჩარიგებული ტრიფის და წნორის ხეები მოსეცენარ ანდრიას წყლის ღიმილზე სცენობდნენ, სიბნელეში ტოტებს ერთმეორეს უცაცუნებდნენ.

კვარის შუქის ეკან გადავარდნილ ანდრიას ჩრდილს ონავარი ალი აედეკნებოდა, ხან წინ ჩაეხეტქნილა, ხან წ�ისკუბებდა და ერთ ჭყაპა-ჭყეკს ასტეხდა, ხან წისქვილში ფეხდაფეკ შეაყვებოდა. ეეცრად გადაეისკენებდა და გარეთ გავარდებოდა ხნიერი ალის ხარხარში.

„ეგ ენა ჩაგიწყდეს!" — მიაძახებდა ხოლმე დაფეთებული ანდრია.

„რა დაგიმართა ანდრია?" — ეკითხებოდნენ კეთხეში მიეუეკული მესაფკვეკენი.

„ერთი ახამი, ი ოხერი წყლის ალი ამეიდვენა, რა უნდა წყეეულა რო არ ვიკი?..." — დედეუნებდა ანდრია.

„მერე და შენებეურად ვერ იფრინე? შიგ ყბაში ერთი რიგიანად ვერ სტკიცეი, რა ეზეოულებ

ეიდეკ-ლებია!" — იღიმეებოდნენ მესაფკვეკენი.

„ვერ ვიხელეთე ი, ჩემი ცოდვით სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეი, თორემა გააქვს წყალობა, იმას დავამუჟუჟებდი და დაუფრთხობდი მოსვენებასა. არა, ქარქოსაანთ თეკლეს უნა ვამკითხვინო. ნაღდათ, ჩემი ჭვლები ადგია, მწვანე თვალებს რო შემომნახავს, ხოლმე ლამის არის ჩემი დანმერათოს, ამას წინათა რუს სათავესთანა თმებჩამოშლილი და ცაცია ხელითა ახალუხზე ისე დამებღაუჭა, რომა ძლივს-ძლივობით დავიხსენი თავი. ნეტაი ამ წისქვილს არ შემოჩვეოდა და თუ გინდა ცეცხლს გადაებუგა აქაურობაი“ — ნაღვლობდა მოხუცი.

„ეჰ ანდრია მოგცლია შენცა, რა ციებცხელებს აუტანიხარ, აბა რასა ბრძანებ? რაღა დროს ალი და ჭინკებია, ადამიანი ჭინკაზე უარესია!“ ამშვიდებდა ანდრიას ღიმილგადაკრული ჩოფურა გლეხკაცი, თან კეფას ყასიდათ იფხანდა.

„რა ვქნა, ჩემი შეუქედილი ხატისა მე არ ვიცი... არა მინდარა ერთი შენ შეგიჩეხოს, ე რუს პირზე გადაგეღობოს, მაშინ ნახამდი შენ სეირსა, აქ კი ნუკი ფაფუნნის!“ ბურტყუნებდა ანდრია მესაფქვავეთა ხარხარში.

„ადექი, ბარეღამა ძია კაცო შენცა და ერთი გიდეკა ხვრინში მარილი მოუპნიეთ, ნახე თუ არ გადაშენდეს ი შენი ალი!“ — ეხუმრებოდა ანდრიას უფლისკეხელი იოსება.

„როდის გადაშენდება, როდინობის კვირაში? აკე ვირო, ნუ მოკვდები, ალავერდი გეღირსებაო! მე კი გამითავდა და!..“ — პასუხობდა შეშინებული მეწისქვილე.

კაკეავი ანდრია საფქვავს ერთს კიდევ დახედავდა, მერე თავის ტყაპუჭაზე მიწვებოდა, თვალს ძილს მოატყუებდა, ბურასს შეერეოდა. ათასნაირი სურათები ეზმანებოდა და წისქვილის ძიგძიგს, ტაკტუკს, ბედის სიმღერასავით უსმენდა.

დაშენდილი ღვინობისთვის დილა კამკამებდა. ქოჩორა თანდილამ საიდანღაც ამოირბინა და ვენახის ღობიდან გადმოსძახა ანდრიას:

— ძია ანდრია! თქვენებიანთ თაყინნის ბიჭი ჩამოვიდა, ქვევით უბანშია ხეჩიკაანთ თედოსთანა, შემოგითვალა: მალე ამოვალო!

— აი, ბარაკალა ჩემო თანდილა! მოდი სამახარობლოთ თურაშაულის ვაშლი გიბოვაზო, წეღან რუში დავიჭირეი, შეხე ატლასივით დაბრაწულია.

— მადლობა, ძია ანდრია! — კმაყოფილების იერმა გადაპკრა ფეხმძიმე თანდილას და ვაშლის კბეჩით ღობეს მიეფარა.

— ვინ გეწვია? — შეეკითხა ანდრიას ჩუმჩუმესა ლინდრია.

— ჩვენი მოკეთეა, იმასთან მუსაიფი ერთ რამეთ მიღირს, ნათელი დაადგეს იმის განსვენებულ მამასა, ფხიანი და ომახიანი კაცი იყო; პუოს მარტო არ გატეხდა, ღვინის ჭიქას უამხანაგოთ არ მოწრუპავდა. ურიგო სიტყვას არ შეგახვედრებდა; ცხოვრების შნოც გაჰქონდა და მოხერხებაიეკა.

— გამარჯობა, ბიძა ჩემო — მიესალმა თავზე წამომდგარი მგოსანი ანდრიას და ყელზე მოეხვია.

— შენი ჯირიმე, შენი! რათ ამოიკვეთე ფეხი, სადა ხარ სადა?! ესე არ ამცხადებია წუხანდელი სიზმარი, როგორც ეხლა. — ჩაიხუტა ანდრიამ და ცრემლები წამოყარა.

— ეჰ, რამდენი ხანია არ დავმტკბარვარ შენი ბაასით. — უთ.ხრა მგოსანმა.

— აბა, აბა შვილო! ცხოვრებამ ასე იცის, ხან სად მიგაყუდებს, ხან სად აგასორსოლავებს, ხან სადა..

ანდრიამ ხელით ანიშნა მგოსანს და ორივენი წისქვილის კედელთან მიგდებულ ბრტყელ ქვაზე ჩამოსხდნენ.

— სხვა, როგორ გიკითხოთ ძია ანდრია?

— რა მიპირს, ცოტა სიბერე წამომეწია. — ანდრია ცოტახანს დადუმდა და განაგრძო — შენ კი, რაღაც შეწუხებულხარ... ეს ოხერი, ნათხოვარი წუთისოფელი ადამიანმა დახრა, აბა რაღა გამოსადეგია. — ამოიოხრა ანდრიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას იზამ, ბიძა, გამოხრეულ ძვლებს, რო მაინც ეტანებიან?

— ადამიანი ხარია, შვილო, ყველაფერზე მგელივით მიიწევს — წარმოსთქვა ანდრიამ, თან მარჯვენა ხელით ცინგლი მოიწმინდა და შარვლის თეძოზე აიგლისა.

— ადამიანი რა დიადია და რა პოროტი, არა ძია ანდრია?

— ვერა ხედავ, ადამიანებმა ერთმანეთი როგორ აითვალწუნეს? კაცი კაცს გადაემტერა, ერთმანეთს აცემბირებენ, ყელში დასახრჩობად ვარდებიან, წეწვავენ, ხუთს უკან საფლავს უთხრიან. — ანდრიამ საბძლის წინ დაფრენილ ჩიტებზე მიუთითა — ერთი შეხე ბეღურებს... წელიწადი თორმეტი თვეა ამათი შემაცქერალი ვარ და ჯერ არ მინახია, რომ ბეღურამ ბეღურა მოჰკლას; ისიც არ გამიგია დათვმა დათვი დაგლიჯოს, ანდა სვნის თავიდან შერდევანზე დააგოროს ჩვენ კი ლამის არის ადამიანის ხორცის ჭამა დავიწყოთ. თქვენი ბრალიც არის შვილო, ნაჭაველმა ხალხმა რა არ მოიგონეთ რომ ქვეყანა ამატუტოთ და ამოწყვიტოთ. თუ წინათა ხმალდახმალ გადავიჭრებოდით ხოლმე, ეხლა ზარბაზნებიო, ჰაეროპრანიო, პულიმენტრიო და არ ვიცი რა ჯანდაბა და დოზანა არ შემოიღეს!..

— კაცის ადათი, ალბათ ასეთი ყოფილა, ბიძაჩემო...

— ადათი კი არა, ადამიანი რქენია ცხოველია, ნახე თუ დედამიწაც არ გადაიკიდოს... ფშუტია და ჭიანაჭამი ჩვენი ცხოვრებაი. აი და... და... და... და... და! რა დრო შეგვესწრო. — ამოიკვნესა ანდრიამ.

ამ დროს საბძლის უკან დაბმულმა ხოხიას სახედარმა დაიყროყინა.

— ყურები გამომიყრია ამ ოხერმა! — წამოძახა მგოსანმა.

— ზოგიერთა ადამიანებიც ეგრე ყროყინებენ. — დასძინა ანდრიამ.

წისქვილის ზარმა დოლაბზე უწესრიგო წკარუნი ასტეხა.

— წრეტაანთ გიგას საფქვავი ჩამოვიდა. — ჩაილაპარაკა ანდრიამ და წისქვილში შევიდა.

— მიხა შენი ჯერია, საფქვავი დააყარე! — გასძახა ანდრიამ. მხართეძოზე წამოწოლილ, სახე დაკენკილ, ოდნავ მთვლემარე მიხას და ხვიმირაში ჩაიხედა.

— შენ იცი ჩვენო ანდრია, ნაოფლარი თავთუხი სიგულდაგულოთ დამიფქვი, ე მანდ არ დამიღერღო! — ახმაურდა ტანდალეული მიხა.

წისქვილის ჩრდილი რუს დასცემოდა და ბოლო ქანქალა წანწკარა ჩიტი უსუსურ ტალღებს ეალერსებოდა.

პოეტი გარეთ იჯდა, იმის ანთებული გულის შუქი მკერდიდან ეონავდა, შეჰყურებდა ბოლო აწეულ ურმებს, ნებივრად დაყრილ ხარ-კამეჩს, ქვედა ყბის დალეულ კბილებით პირის თბილ ქაფს რო იცოხნიდენ. წისქვილის ხმაურით მოგონებები იღვიძებდნენ: სოფლად გატარებული ბავშვობის დღეები ბეპლეგინით დაფარფატებდნენ, დაეძებდნენ დაკარგულ მგოსანს, ათვალიერებდნენ იმ ადგილებს, სადაც მუდამ გაისმოდა:

საყდრის გადასწვრივ ერიალი ლხინი,
ცეკვა, დავლური, ლეჩაქის ქროლა,
გაღმა, კლდეებთან მტკვრის ყრუ
ჭიხვინი,
ღამე ჯალაში ჭინკას ქოქოლა.

მთა მედიდური, მთა დანაბვესი,
მაღალი, როგორც ჩემი სამშობლო.
ძია თაყინას ღვთისნიერება
და სინანული სიცოცხლის ბოლოს.

ღედის ვედრება ხვთისმშობლის ხატთან,
ლოდინი... საფმე შეხედება მისანს.
ჩამქრალ ბუხართან ძმინარე კატა
და აკვნის რწევა შუაღამისას.

სალამურის ხმა ქვევით — საყარზე,
ალუბლის წვენით გათუთხნულ ტუჩებს,
გოგონას სახელს ლურჯ წიგნის ყდაზე,
კაკას ფერდაზე შემტკარ ალუჩებს.

ღამზე ბღლავნენ, ტურეა მკლაური,
უზრუნველობა ნატკენ ლავიწებს.
ჭადრების სტვენა მოლალოტიერი,
ყაყაჩოებ-თ ანთებულ ველებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეცაზე ზეცა გადაფრინდება, ზეცაზე ზეცა გადაანთებს; ბაგრამ, შემკული ბავშვობის ხსოვნა არასოდეს არ წაიშლება. რა დაგავიწყებს: პირველ სიყვარულს, დედის ლოცვებს, ქარში აჭრიალებულ კაკლის ტოტებიდან ამოვარდნილ ფოთლების ცვენას, ქედნის ყელივით გადაჭნულ მინდვრებს.

— ბიჭო, ეგ ტომარა უკან წასწი, ხო ხედამ თანმდებარია! — უტატანებდა ტლაშაანთ ლეკსო თავის მორბედს, თან საფქვავით დაზურგულ ურემში შებმულ ყეენარ ხარ-კამეჩს ანეურებს უსინჯავდა.

ანდრია ბუხრის წინ ტრიალებდა, მუგუზლების გაღვივებულ ნაკვერჩხალზე, შინდის შამფურზე წამოცმული მწვადი აეშშინებინა. იქვე სამფეხა ჯუჯა მაგიდა დაედგა, გარშემო ორიოდე მსხვილი ნაპობი შემოეწყო.

— ანდრია, მოხმარება ხომ არ გინდა? — მიმართა მოჩითული ენით საღერღელაშლილმა ნადარბაზევლმა მენამ, თითქოს არავითარ ბაიბურში არ იყო.

— ჰო, რა ცანცარა ხარ მენა! ვიცი, ვიცი რა მუცლის გვერმაც აგიტყდა და რაზედაც აცმაცუნებ ე მაგ ტუჩებსა. რახან არ დაგიშლია, მოდი და ამ საკეკითა მუგუზლები აჩენჩხე და ხან ცეცხლს შეუჩურჩყეე ხოლმე — ღიმილით უპასუხა ანდრიამ.

საღამოვდებოდა. სოფლის ხეები ნიავზე იჩუნეოდნენ, ხან ოდნავ გატრუნდებოდნენ, ძირნაყარ ღღეებს დასცქეროდნენ, ხან კენწეროებს ერთბაშად შეაშრიალებდნენ, თითქოს ქარის აბაზანებს იღებდნენ.

წისქვილიდან მოისმოდა მოლხენა, ხმა ღვთისა და ხმა ერისა.

— ძეგლი რა ჭირათ მინდა! — გაძახოდა განცხრომას მიცემული რიხიანი ანდრია.—იცით რა მენატრება? გეფიცებით სარზე დახვეულ ვაზის ულვაშებს, როცა მოვკვდები, საფლავზე დამაყარეთ იმ ღვინის ჭურჭელი, რაც მე გამომიცლია.

— ერიჰაა! ეგ ხომ დალეწილა ეგ ღვინეების თელ ქედი ანამრთება! — იცინოდნენ მესაფქვავენი.

— ბოლომდე გამოწყაფე, გამოდი აზამბარშია, ვალათ ხომ არ წაგივა? რა ღმერთი შეგეწეა! — ალერსით უტევდა ანდრია ოქუთანთ ჩელას, წისქვილში შემთხვევით რომ შესულიყო.

დიახ! ადამიანებმაც იციან ყიელ-ხივილი დაბინდების ქამს, ესლა შერჩათ იმ პირველყოფილ ბედნიერებიდან. რა კარგი იყო, როცა ადამიანი სოლივით ერთ ადგილზე როდი იყო ჩარჭობილი; ის მერცხალივით იქით ეშურებოდა სადაც ყვავილები და წალკოტები ბინადრობენ; ის უდიერად უცქეროდა მარადიულ მყინვარებს, თოვლის უდაბნოში თვაწყვეტილ ქარიშხლების ღმუილს; ეხლა კი, ისე დაიგეშა რომ ყინულოვან ოკეანეში პინგვინებს და თეთრ დათვებს დაუახლოვდა; ვეშაპებს შეება და სუსხიან საიდუმლოებას ბუღა ხარივით ერჩოლება.

რა თქმა უნდა, ზოგიერთა განათლებულის ქლოშინი, ცივილიზაციასთან ბეტიაობა, უგუნურების საწინდარი იყო. კაცობრიობა უკან არასოდეს არ დაბრუნდება: ცათმბჯენი გვიმრები, გოლიათის დარი ქვეწარმავალნი, ანდა ტაიტელი ველურები აღარ განმეორდებიან, აღარ ეახლებიან ამ წუთისოფელს.

მაგრამ, ჩემი მეგობარ პოეტისა არ იყვეს:

„სად მიბზუის ჩვენი დედამიწა?.. რათ ბღავის უსაზღვროების ხრიოკ მინდვრებში? რათ დაიბნა მომაკვდავი?.. სადღაა სიმშვიდე?..“

ეჰ, შთამომავლობავ! რამდენ კარგს მოიმკი და რამდენ მშვენიერებას დაჭკარგავ. ხომ აგიკრძალეს ქალაქად რომ ბალახით შემოსილ მიწას ფეხი დაადგა, ხის ქვეშ წამოწვე, შენი ნებით ენძეკა მოწყვიტო... ბაღები სადალაქოს თოჯინებივით შეკრიჭეს. ნაძვები და გუნდის ხეები დაასნეულეს, საცოდავები ღილით როდიღა ირხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიან, პირიქით ჭლექიანი ადამიანებივით ახველებენ.

ანდრიამ მეორე დღეს მგოსანი თავის მარანში მიიპატიჟა. ორკოკიანი დატალახებული ქვეირა მოხადა, სარქველი გვერდზე ცომ-ცომით გადასდო, გარდიგარდმო წამალზე დაწყობილი ვაზის ფოთლები სათუთად წამოკრიფა, პკე გადასწია და გულწყინეთა ღვინოში სუფთა წაფურა დაურია.

— გამჩენის მადლმა, ხატის ნაბანია, შეხე რა შუმხუნაა, დალიე, ღმერთმა შეგარგოს — მიაწოდა ანდრიამ მგოსანს ღვინით გალიცლიებული წაფურა.

— აგაშენოს, ძია ანდრია, იდღეგრძელე დიდხანს! — მიუგო მგოსანმა და ტუჩებზე მიყუდებული სასმისი ძირამდე გამოწაფა.

მადა გაღვიძებულმა ანდრიამაც გადაიწერა პირჯვარი და წისქვილის მტვერივით ჩახრენწილი ყელი ყურძნის წვენით ჩაიკოკლოშინავა.

— ალავერდი შენთანაა, შენზე უპრიანია! — შესძახა ანდრიამ საქაჯავის ღარზე გადალაჯულ თავის სიძეს.

ანდრიას ოჯახობამ ასტმით გადაფხეკილ ხონჩაზე დალაგებული: თონდან ახლადამოყრილი მახობლიანი პურები, ცივად მოხარშული ქათამი, დანაყული ნივრის სანელებლით, ძროხის ჭყინტლი ყველი, ზურგიელი და მწვანილი შემოტანა.

— შეექეცით, ცოტაზე ნუ დაგვძრახამთ! — მიმართა მანდილოსანმა სტუმრებს და თეთრი ხილაბანდის წვერით თხელი ტუჩები უსაბაბოთ მოიწმინდა.

— ვენაცვალე ჩემ დედაკაცსა, აი დედასა, რომ აღარ ვარგივარ, დამჯობინა რას იზამ! — წაიოხუნჯა ანდრიამ, თან ყველას თვალი გადაავლო, რომ შეეტყო: მოეწონათ, თუ არა იმის უკბილო ხუმრობა!?..

— კაცო, რატო, შენ ქერქში არ დაეტევი, აბა რა დროს ეგეებია!? — შერისხა მეუღლემ ანდრია. მერე მარნის განჯინის კარი გამოაღო, ხის სარქველზე გადმოაწყო შარშანდელი ნიგვზის სხვილი ჩურჩხელები, ტკბილი ტყლაპი, ალუბლის ყურეკი და სტუმრებს მიართვა.

მარნის გაურანდავ ჭერის კოჭებზე დამკქნარი ხეკეკურის ასხმულები, გაშლეკილი ყურძნის კლერტო�sნის ჩხა და მარცვლის დამპალი აკიდოები ეკიდა.

საცაა რთვლობა იწყებოდა. მუყაითი ანდრია ქვევრის რეცხვას შესდგომოდა, მოზრდილი ზურგი ღვინა მოეტანა, ორიოდე ხელი კიდევაც შეეკრა. საფერავისაგან შეღებილი საწნახლის ფიცრები ტალანთან დგეტანა. რა არ ეყარა, რა არ მიეყუდებინათ მარანში: ბელტისგან ალესილი ბარები, უტარო თოხები, კბილამთვარდნილი ფოცხები, ნამგლები, პირშემოცვეთილი ფიწლები, სამთითები, ობმოკიდებული გოზაურები, სარცხი, დალეული ბირდაბირი, ხელეჩო, მამაპაპეული ჯოპოსანი, ათასგვარი სალესავები, შიპმორღვეული გოდრები, მკლავდწყვეტილი კალათები, ახლად დაწნული მოსაკიდები; თაროები ხომ გამოჭედილი იყო: პურის ცომით დაკერებული ქილებით, ხელადებით, ტოლჩებით, არყის დოქებით, ზამლის შუშებით; კედლიდან გამოშვერილ კაჩხაზე გამხმარი ღორის მაჭიკი და გაბერილი ტიკ-ორები მოსჩანდა. ძველი ამბრის თავზე, ჯორა ამოკარდნილი ჩონგური ეგდო. იქვე ნაკერ-ნაკერი ხორხი ბადე გაეპიმათ. მარნის ღრეჩო დაუქმებულ ღია კარების უხეშ კოჭაკზე ახსნილი კლიტე გამოედოთ.

— ამ აზარფეშათი გაუმარჯოს ჩვენს მამულსა! — სჭექდა შეეინქღილებული ანდრია.

— ყველა თავს შემოვევლოთ ჩვენ დედა საქართველოსა! — დაეფაებდა სიხარულით აღტაცებული კატაპარიანთ ბიჭი, ასე ეძახდნენ ორმოცდაათი წლის გლეხკაცს.

— ამ პაპაჩემის ნაქონი ჯამითა, ჩემი დედამის შესანდობარი შევსვათ, სულიი გაანათლოს! — ამ ქვეყნად! —

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუგუნებდა ანდრია და შოთის ნატეხს ღვინის წვეთებს აპკურებდა.

— სასუფეველი დაუმკვიდროთ! — ბანს აძლევდა ანდრიას სიტყვაძვირი დვალიაანთ სოსო.

— ხალხნო და ჯამაათნო! რახან ბარდიბარში გამოვედით, მოდი მრავალ-ჟამიერი შემოვძახოთ! — მოიწადინა შეზახოოშებუოლმა ლაშკარაანთ ბრაცამ.

რადგან, ღრაჯუნაანთ ნადიაკვნარი მიტა კარგი ხმის პატრონი იყო, ჟამიერი საგულდაგულოდ ჩაარაკრაკა, სიმღერის ლიელივს ყველანი აპყვნენ.

— საწყალ მამაშენს უყვარდა ეს სიმღერა. — ჩასჩურჩულა ანდრიამ მგოსანს — როცა ვიგონებ გული მეჩხრიკება.

გათენებამ მამლების ყივილზე მოატანა. ზორტებდაწყვეტილი ღრუბლები ნისლებწაკრულ მთების ძარზე და მწვერვალებზე გაიზმორნენ.

ჩვენს მგოსანს ანდრიას სახლის აივანზე გაელვიძა. თვითიკის ბალიშს და თბილ საბანს კარგად გამოეშუშებინა.

კარის ვენახში, გულაბის ძირზე საბელით დაბმული ცოცხასავე მაკე ძროხა ზმოდა. გაკრეფილ ბმლის ენწეროზე ჩიტების საფრთხობელა მოსჩანდა, თითქოს მათხოვარი ბალღი ამძვრალიყო.

მგოსანი ადრინდელ ლექსს იგონებდა:

ბალებს გაზდამს ყრუ შემოდგომა,
ტყე ყინულს მოიმცვრევს დილა
ადრიან,
ქოთულ წნიქვილის კარს მოადგება,
წვეგაკვნენილი დინჯი ანდრია.

ბეიძიერეთიდან დროებამს მამოუქვამს,
ბანდას, ოჩხეპს, ჯაგნარებს, ქიუხს,
წიბიტერტეტებს თოასკენ ნაოქვამს
და ბელის გულზე დაბერტყამს ჩიბუხს.

ყბეიდი მეურმე გაიბამს ზღაპარს,
დაუსრულებელს, როგორც მდინარეს.
ძაღლი შეეყეფამს კიდეც წინაპარს
და თვალს ბაგეზელს, ხარი მძინარე.

და ისევ ღამე კუნელის ფერი,
შავი ბუღრეთი ვით ყოკოხეთი.

შეხვალ გეტყვიან: სად დაითვალერ
ძაღლობა გაძჩენს რახან მოხვედი.

ვიღაცა ჭრაქით დახვდავს საფქვავს.
წნორი ალაზანს შესცამს ფესვებით,
მთვარის სინათლე გაგიჭრის საფლავს,
მოჩარდახებულს თვარი ფრესკებით.

ნუთუ ბოსელშიც არ გგქონდა ფილი
ლოცვებს ეთვლიო, ძაინც ეუბედურდებით.
ყაცივით ოხრავს ჩარბის წნიქვილი,
ჭერი სავსეა ამლაბუდებით.

ქვეყნიერებას რომ არ ვუშჩიროთ
თვალებს დავზუქამთ, რა ვუყოთ
ყურებს!?
ჩამორეკილნი ბოლნისის მზვართ,
ვგეგერთ ადრეული მინიატურებს.

შემოიტანენ ღვინოს ერთ ოკას,
ანდრიას სახეს შეამღერეს ბინდი.
შენ სიძს ყურთმაჯში ფრთხილად
გამოპკრავს
და ეს იქნება ჰანგების მინდი.

ფაფუკ ნაწერებს დასწვავს ბუზარი,
ზენეკ დაილეკი მარად რა სძგერდი.
დაუკრავ ჩონგურს, და ეს ოხერი
დიდხანს იეკვევს შეშლილი ღმერთი!

ამ ლექსს პოეტი ჰქმნიდა ოდესღაც წნიქვილის წყლის ჩხრიალზე, მესაფქვაველთა ზღაპრებზე, აქ ეფარუნობდნენ სიყრმის დღეები, აქ აღმოცენდნენ მოხუც მეწისქვილეს შთამაგონებელი საუბრები; ამ ლექსის მკერდიდან წვეთამდა გულის გეჯაში გამოზდილი სიხლი.

ანდრიას ჭრაქის გაცრილ შუქზე ცეკვავდნენ თავგასული მანსია ჭინკები, მოწყვეტილი ფოთლების დარათ.

ეს იყო ჩემი პოეტის ლიტანია. წინ ჯაღარა მეწისქვილე მიუძღოდა, რომ სისხამ დილით რუს წყალი ქაურთხეებინა. და ქვესკნელიდან ამოფრენილ ალქაჯს შორი-ახლო ეთვალთვალა.

წინაპრების აჩრდილები ყეფდნენ და ჩარხის წნიქვილი ყაცივით ოხრავდა.

ნიშა ხარი ღმერთის დაკუეტილ თვალებს მისცეოდა. დაუსრულებელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღაპარს არ უჩანდა ბოლო, არც დასასრული, ის იკარგებოდა ხმაგაქანდილ არარაობის გაყუჩებულ ჯებირებს იქით, სადაც უკაცრიელობის ბურუსიანი ამინდი სთვლემს.

პოეტის ძახილი ვიღაც მგზავრს მგლის ყმუილივით დასწეოდა:

„რა ბედნიერი ხარ, ადამიანო, რომ შენ არ იცი დასაწყისის კივილი და არც დასასრულის წიოკობა.

გაქვავდება სამყარო და, მის ხავსგაცვენილ მერქანს დაბრეცილი მინიატურებივით შერჩება: ღრუბლებ ზევით აჩნდიული სასახლეები, უზარმაზარი მოედნები, აკადემიკოსთა ღვაწლი, ყაყანა ხალხით გაჭედილი სათათბირო დარბაზები...

ვინ შეხედავს ქერქიდან ამოვარდნილ აოხრებულ ქვეყნიერებას, თუ არა ისევ ჯვარცმული მაცხოვარი და თმებ ჩამოშლილი წყლის ჭინკა.

ცის კამბდონებზე უკანასკნელი მბჟუტავი სინათლის ზოლი სარეკელასავით ახმაურდება დედამიწის დოლაბზე და აუწყებს განცვიფრებულ წარმავლობას უკვდავების დასასრულს.

ჩამოფქულ სხივების ხვავს ცივი ქარიშხლები სახეზე შეიყრიან და ჯამბალებივით იხარხარებენ ვარსკვლავების რიყეზე. გარიყულ ღამეების ზედახორას სივრცეები ვეღარ გაუძლებენ, საშინელი ბღავილით და ზათქით ჩაინგრევიან.

ტიალი ჭინკა წელქვეივით ბუერა ბალახშემოყრილი და ღვლერქშემჭერილი სასაფლაოზე ბუკის ცემით აიკრება და გაუბედურებულ კაცობრიობას, ყალყზე შემდგარ პლანეტებს ენას გამოუყოფს.

განთიადებ დაწრეტილ უსაზღვროებაში რაღაც შავი ფრინველი შეინავარდებს, შუქგაწეწილი მთვარე, მზის ხვიმირებიდან ამორწყულ მინდვრად დარჩება მარადიულ უსასრულობაში“.

თბილისის მხურვალეზ

სატახტო ქალაქის ხსენებაზე, გზებიც აყაყანდებოდნენ ხოლმე, რადგან მზეს საქართველოში იბარტყა.

განა რომელიმე წელოწადი ისე მიწურებოდა, რომ ჩემი მეგობარი თბილისს არ სწვეოდა. არ დამტკბარიყო თბილისის ეშხით. ვინ იცის, რამდენი სიდუხჭირე აგემა თბილისმა, რამდენი სივალალე, გულცივობა. ხელისკვრაც კი...

მაგრამ თბილისი უყვარდა, უყვარდა ყველაზე ძლიერ, სიცოცხლეზე მეტად. თბილისში იხილა პოეზიის იდუმალება. აქ ამოიდგა ენა, აქ შეეფეთა ადამიანების ნაირ ქარავანს, ის თითქოს დედის კალთიდან შესწრეს თბილისს.

ის, საქართველოს სატახტო ქალაქს მოჭგვარეს ჯერ კიდევ ტუჩზე რძეშეუმშრალი; ის აქ ჩაიფლო ყელამდე ჭაობში, ბოლოს მაინც თბილისმა აიტაცა ხელში, ის აქ გაირყვნა და გაკეთილშობილდა კიდეც.

თბილისი დედინაცვალივით სტუქსავდა და ზოგჯერ, როგორც მშობელი ისე უყვავედა.

პოეტი თბილისს ხან ბავშვივით გაებუტებოდა, აიფხორებოდა და გადიწვერებოდა დასაკარგავში. უნებლიეთ, ქვეყანა რომ გადაგებარათ, მაინც ვერ იპოვნენდით. ხან ისევ ნამტირალევი მოვარდებოდა.

იმხანად ჩვენი ქალაქი ასეთი წარმტაცი რიდი იყო, იმ დროინდელ თბილისში, რას არ წაიწყდებოდი, რა მილეთის ხალხს არ ნახავდი: ვიწრო, ოღრო-ჩოღრო და ტალაზში აზელილ ქუჩებს. ობობას ქსელივით გაბმულ-გამობმულ ტუტლიან შეღმართებს, უწესრიგოთ შეფენილ კუბიან ბილიკებს; ერთიმეორეზე გადაზნექილ კოჰებმობალ აივნიან სახლებს, აშმორებული ეზოებით, ანჯამა მორღვეული და დანჯღრეული ალაყაფის კარებებით; კოფოზე თავჩაქინდრულ მეეტლეებს, ლაფშესხმული ცხენებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭერდაბალ და გამეურულ ყავახანებს, თითბრის როხროხა და თუნთუხა სამოგრვებით ჩაის ლამბაქებზე ტუჩმიწებებულ მცონარე და გაკოტრებულ მეკვანშეებს; არღნის ჭყვინინით, მოხარშული ფიჩხულის სუნით და ბოხ ხმიან როსკიპებით გამოტენილ სამეკიტნოებს; თალგამის ოდენა ცხვირიან ხარაზებს; თავზე თაბაშეიდგმულ და მხარზე სასწორ გადაკიდულ ლაზღანდარებს, სიარულის დროს წინ ხელებს საქანელასავით რო იქნევდნენ; დარაბა მიღნეცილ დუქნებს ჩამოფუტულ ყავრის ბანებით; დარდომანდ ყარაჩოღელებს, თვალთმაქც ჩარჩებს, ათას სიბინძურეში გაქნილ ფუქსავატ კინტოებს; ინით წვერ-ულვაშ შეღებილ სპარსულ ვაჭრებს, ხელში ქარვის კრიალოსანს რომ ათამაშებდნენ; ახლად ფეხადგმულ დაბაბანის ჩაფსკვნილ მრეწველს, გახამებული თეთრი საყელოთი, ცისმარე დღე ოქროს ფულში რო კოჭობდა; მემამულეებთან ჩამოსულ ყურებმამოყრილ მოურავებს, ნიადაგ გული ყელში რომ ეჩარათ; უკან ყურთმაჯვ გადაყრილ სოვდაგრებს, თვალიდან ბეწვს რომ ისე გამოგაალლიდნენ ვერ გაიგებდი; დაღესტნიდან ჩამოსულ, საოცარ მეხსიერების პატრონ მკალავებს ეზოდან ეზოში შეღრიალებას: ქაბი მოკალოთ, ქაბი!..

ზანზალაკებით აჩხარუნებულ, ზლაზვნით მიმავალ აქლემების კარავანს, ზურგზე აკოკოლავებული საპალნეთი და ბარგი-ბარხანით; ხურჯინ და გოდრებგადაკიდებულ სახეღრებს; თერძებით, ალაფებით, მეკუდეებით, მეფარჩეებით გამოკეკდილ დაბრუულ ქარკასლებს, ნაგავი და ჭუჭყი რო აბრჩობდა იქაურობას; წითელი თუ ნეკრესის ქარით დაკრუნჩხულ პირღია მეთულუბრეებს; მყუდროზე ჩაცუცქულ სახე აქერცლილ მაწანწალებს, ზამთარში მზეს რო ეფიცხებოდნენ; ყბებ მოღრეკილ და ხონჯარგამოჩრილ მეკეტნენებს შიშველი ფეხის ტერფები ბებერი ტირიფის ქერქივით რომ დახეთქოდათ და აქავებულ ბეჭის ფოთლებ წამდა-ეუმუმ კედელს რომ უხახუნებდნენ; აღვირახსნილ, მუშტი-კრივით ცხვირპირდაეეეილ, უკან ხალათმოჩაჩილ და საკინძე ჩამოდღლეზილ მოკრივეებს; ახოვან თავადიშვილებს ულამაზესი ქალებით, მთელი მამულ-დედული დროსტარებაში რო დაეგირავებინათ და შეეყლაპათ; ფუფუნებით გაბეზრებულ, ჩინმენდლებით, აშურმით და ყიხეღლებით აღეკურვილ ზვიად, ხუკუტბაკებიან ღენერლებს; ოჩან და უხიაგ ცხენებზე შემჯდარ დიღმელებს.

მტკვრის ნაპირზე გამწრივებულ წუმპეს, ჭყაპს, გაფენილ ძონძებს, ფალასებს. ორთაყვირაყარლ ტივებს.

საეკვო ბაღში მოსეირნე ჩლახუნა მოხელეს, ქართულს ძლივს რომ ამტვრევდა, გამოთაყვანებული სახით და გახუნებული ქუდით, ქუჩრებში მოხეტიალე ეულებს.

ეკლესიის კიბეებთან გახევებულ და მუხლებდახუთულ ხინჯიან მათხოვრებს თმებში, მკერდის და იღლიების ბალაში ჯღიბა ჭვარტლივით რო მოსდებოდათ.

მბეუტავ ფანრის ფუტურო ბოძზე მიყრდნობილ არყით გალეშილ ასასებს, რიყეზე ხრიგინით მიმავალ მალაკანის ფორანს.

ყურთასმენას ხომ ერთიანად აბზობდა: ცისკრის ციმციმზე ზარების რეკა, მინარეთიდან მუეძინის ყვირილი, ორთაჭალის მოსაბეზრებელი ბაიათები, გოგირდოვან აბანოებიდან თავაწყვეტილი, მუქთახორა ლოთების ყიჟინა, ზურნის ჭყვიტინი, დოლის დაფდაფი და ამღანძულ მექისეების აცაბაცა ჯიჯღინი.

მაგრამ... ვინ ეტყოდა ურიგოს გენიალურ ბარათაშვილს და ღვთაებრივ ვაჟა-ფშაველას თბილისს.

ჩემს მეგობარს ხშირად უყვარდა მამადავითის მთაზე ტორღიალი, ის მუდამ მოწწიწებით თაყვანს სცემდა რუსეთის შესანიშნავ შემოქმედის —

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიბოედოვის სამარეს, სადაც ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულის მდუღარება საფლავის ქვაზე იღვენთებოდა და გულამოსკვნილი სწყევლიდა იმავნელ ბრბოს სივერაგეს. ნინოს მწუხარება თაობებს ტანში შეაჟრფოლებს. ეკატერინეს საყურე კი ქართველ ქალის ქანდაკებას სამარადამით შერჩება, ვით ტატის თვალებიდან წამსკდარი ცრემლი.

ჩემს მგოსანს ბავშვობიდან ხიბლავდა თბილისის მიდამოები, თავდავიწყებამდე ეტრფოდა თბილისს.

ჩემო თბილისო, მიყვარს შენი ქოთქოთა
ბინდი,
შენი მთაშინდა, ეგ ყურეტა ჭმუნვის
დღეობა.
როგორა ღვივის შენი ზეცის ლურჯი
მინდორი,
როგორ ქათქათებს შენი დიდი მოსაფლობა.

რა წარმტაცია კამარების ელამი ჭერი,
ხან ჭორფლიანი ოიტიკეკების ბოყვი ხითხითი,
ხრიო�იი მთები მოდებული. როგორც ქეიფი,
და ჭარბ ფერებით აღეწილი გაკლვების
ხეიფი

შენს წყაროებში მეც დავიწვი იმ ხიხლიანით,
ამ ფერად წყლებით გორგასლანი სამოთხეს
რწყავდა.
ქვეყნიერებას ცხელ გოგირდით შენ
მოეთხრობიდი,
ქართლოსის ტომებს ზოგჯერ ბედი რა გოგო
სწყალობდა.

შმაგი სიცოცხლით, ეს ოხერი გამოვჩერჩეტდი,
მინდა როგორმე რომ ლოთობით გავისაძღისო,
ტკბილი შეშეყვეს თან ლოყებზე დავწყო
ჩქმეტა,
და ღრეჭით, დიდხანს გარს გირბინო, ჩემო
თბილისო!

შენმა ღრუბელმა ცრემლზე სხვილი
წვიმწყლები იცის,
და ზენაკარმა სიმღერები აუოცეხელი.
ჩემო თბილისო, მუზღმოთხმეული სიოს!
გაფიცავ.
ბინათ მომეცი შენი კალთა და საწნახელი.

ხეების ქალაქო, ასე ეშმით ვინ დაგაშშვენა.
ვინ გიწყალობა ეგ სიუხვე ხეეცებ-გაშლილი.
შენთან მეფიოდა ბეგდენიი ვაჟა-ფშაველა,
შენში დარდობდა ჩემი ტატო ბარათაშვილი!
აქ თამამდობდა ჯიხვის ეანწვით თუ
ბზოგოვეული,
ამან აქლემების ქაოვანი ოდგა. ბირთოდ,
სადღაც... მეგობში დაფიფოდა ბეგს
მთაშინდელი.
„და... ეფრთის ქარტოს ღამე მიწერიოთ"!

რა საქროა, ჯავარიეთ. ეწერდე მუხამბაზს,
მზეთუნახავეს ბროლის კოშეტ. ბესხდნენ
ხიხვებათ,
წყეულიც იყვეს სამუდამოდ ამ ქეყეანაზე.
თბილისო ჩემო, შენს ზეცს იქით
გამოფიხლიტება.

ო, როგორ მიყვარს შენი ოდოო-ჩოდრო
ქუჩები.
ეგ მიწის ხაო, საოცარი ჯიხვების ბეური,
ღამის აკვანში გიღილ ნიავის თოთო ფეხენი,
და ვერის ხიდთან ქალის სტეეხი მამაკაკაური

ეს ძიხაოეთი შენს ღრეჭლეებთან რას
ეფხორილა,
იჭნეგ თაკილობს ხარიეალა. რო ემდეეებაზ
ლიდხანს. შერჩებთ ხაკარეეეი ქართლის
ხეხლებს.
რაც მამმადებმა დაგვატეხეს. ეგვდეეეება.

ჩემო თბილისო, ისტორიას მე რას დაგიწერ.
ჩემი ცხოვრებაც კი არ ეიცი როგორ
იწყობა...
დიდება იმას! იმ ბანგებას მოაკლეალმეიერ,
ვინც დასაბამის სამოკალსოსთან ძეძე გაწოვა.

მე, მხოლოდ ჩემი ჩათხრობილი ეინით
მიყვარხარ.
მინდა სულ შენთან. შენს ეუჩებში
ეიბრუკეგბოდე.
არსად არ წავალ! თუ ბინდ მიწა შემომაყაროს.
ოლონდ სულ შენთან... შენი ქვაშით
ეიკვებებოდე!

ეს ლექსი, ჩემმა მეგობარმა ქვაშვეთის ეკლესიის მაოხოოვარს უნახსოვრა ფერისცვალობა წრნა ღამეს... საოდავი გლახა ეაქეაქვეიეთ ბოდავდა ამ სტრიქონებს, რადგან მლოცველები ხელის მუკაში ორიოდე კაპიკს ჩაუჩხრიალებდნენ ხოლმე.

ამო თბილელის შეფფრთხებულ ხატთან შაჰ-აბასის ლანდი იკოჩეებოდა.

აფაფხუულ მინარეთის წვერზე გახირულ ნახევარ მთვარეს ჭილყვავები ასინტლავდნენ.

ნარიყალა კი თეთრად ქათქათებდა, რადგან ომში დახოცილ ქართველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაინდების ძვლებით იყო ნაშენნაგები, ნარიყალას გალავნის თვითოეული სვეტი ქართველი ერის გაქვავებული ცრემლებია.

პოეზიის მოვერვალები

ღრუბლის ნაწყლი სივრცე
უყვაოდა.

არ შემხვედრია ქართველი ადამიანი, რომ არ ათაყვანებდეს ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ გენიას. ხატივით თაყვანს არ სცემდეს, არ დაცახცახებდეს მის წარმტაც, მის შთამაგონებელ ფიქრებს.

ის, საქართველოს ვარაყიანი მთების საწნახელია. საიდანაც ექვსი საუკუნის მდუმარების შემდეგ, დაიქუხა და ნიაღვარივით წამოვიდა პოეტური დიდების დოვლათი, რომ ივერიის დაცლილი ქვევრები დაეთქოროა.

აღამაჰმადხანის და იმპერატორ ნიკოლოზ პირველის ვერაგ მუხლებზე გადატეხილ ქართულ სალამურს სიმებმოზიდული მუსიკოსი სწყეროდა, გაპარტახებულ მიწა-წყალს მადლიანი მზატკარი, გაჩანაგებულ ადათს ლოფოთას მარმარილოს საბუდარიდან ამოფრენილი მოქანდაკე... ბარათაშვილის პოეზია ამ სურვილების შერწყმა იყო, ეს იყო დიდი წადილის, დიდი სიხარული. ეს იყო პოეზიის ზარების გრიალი — პოეტურ სიმფონიის შრიალიდან ამოვარდნილი, ბანს მერანის გადაბრეცილი ციაგების გუგუნი რომ აძლევდა.

შაებნელ დროში ბედის უკუღმართობამ პოეტის საუნჯენი ხელში არ ჩაუგდო ასოთამწყობს... თუმცა, რა შეედრება ხალხის გულზე დასტამბულ ლექსებს.

პოეზიის მთავარსარდალმა, მერანის გაწელილ ფრთებით ანთებული განთიადები იიტაცა და შუქდაშრეტილ სივრცეებს ჩამოუქროლა, რომლის ლაღი თქარა-თქური მარადისობის კაშკაშა გუმბათებს იქით ძლივს მისწყდა.

„ჩემო ტატო! ნეტავი ეგ შენი ფიქრების ფერფლი ამაკრეფინა, რომ შეუნახოთ განძის დარათ შთამომავლობას“ — ინატრებდა ხოლმე ჩემი მეგობარი, თან მოკრძალებით ჩაუშლიდა თავის სტრიქონებს:

დიდო პოეტო, ივერიის ღვიძლო გენიავ!
როგორ გსუსხავდა წარსულ დროთა ყინვა და
ითოი,
როცა მთაწმინდას ვუმზერ ხოლმე ასე მგონია:
შენი ძეგლია აღმართული საქართველოში.

როცა გავცქერი მტკვრის ტალღების შეწყობილ
დენას
ვფიქრობ, ეამს მოაქეს შენი მწველი
ხელთნაწერები.

ასი წლის წინათ რა იცოდა მოხუცმა
ღედამ,
თუ სამშობლოში იხარებდნენ შთენილი
ძვლები.

ალბად მერანმა ფრთები გაკკრა მარადისობას,
რომ ვარსკვლავები ცაში გაჩნდნენ
ნაპერწკლებივით,
ირმის ნახტომი გაბნეული ღამის ნისლებზე,
თითქოს ბუღია ავარდნილი მერნის ჭეშებით.
შენი ჩსენება ყველა კაცის გულს დაერევა,
უკვდავებისკენ გაფრენილო ბედნიერებავ!

რა ვუყოთ, თუ ჩემი მარტვილი პოეტი კოჭებამდე ვერ სწვდებოდა ბარათაშვილის ხელოვნების მწვერვალებს, მაგრამ მუხლებზე ხომ ეხვეოდა, ხომ უკოცნდა ნაღვლიან თვალებს, იმასაც ხომ ერეოდა სიხარულის ერუანტელი, როცა მთაწმინდას შემოაღმდებოდა და დიდი პოეტის რუხი ლანდი მთვარის განიერ სინათლეს მდინარის ტოტივით გადმოაგდებდა ხოლმე საქართველოში.

იმასაც ხომ სწამდა, რომ ჩვენი მტკვრის ტალღები განკაში გადახვეწილ, ბრიყვი მოხელეების მაგიდაზე პირქვე დამხობილი ნეტარი მოქმედის მწველი ხელთნაწერებია.

ვაგლახ, რომ იმ დროს ქართული ენა ქართველების მეტმა არ იცოდა, თორემ ვინ იცის, რამდენი უცხოელი ქედს მოიდრეკდა ბარათაშვილის სამარესთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცდარვა წლის გენიოსი გამოესალმა სიცოცხლეს, ღმერთო! რა ცოტა ხანი ჭქონდა დარბაზობა იმ წყალწაღებულ ქვეყნიერებასთან.

რა დიდი ბედნიერებაა, რომ წამებული ქართველი პოეტის შთენილი ძღვები საშობლომ წამოკრიფა და სათუთად შეინახა გულის უბეში.

შავი ყორნისაგან გათხრილი საფლავი, ჩემი ერის მდუღარე ცრემლებმა წალეკეს, როგორც ბოროტების და დაუდგრომლობის ნაობარი ადგილი.

მგზნებარე ტატოს უკვდავი ლექსები, მუდამ დაემდურებიან წარმატებით წარჩინებულ ზოგიერთი თანამემამულის გახევებულ გულს და გაყინულ სვინდისს.

თბილისის სადგურზე ჩამოსვენებულ პოეტის ნეშტთან მუხლმოყრილი ქართველების ხსოვნა, მოდგმებს შორის იცისკროვნებს, იცისკროვნებს მთაწმინდაც, სადაც ბარათაშვილის უკვდავებით შევერცხლილი ქმნილებანი ბუდობენ.

პოეტური გათხრები

> მოვა დრო და სინათლის იქით
> გაშეშებულ სიერკვეებსაც ხელს
> მიუწვდებენენ.

„ქალაქათ ცხოვრება მაინც კარგია, — მიყვებოდა პოეტი — ქალაქათ ხალხი ზვიადობს, ამაყად გამოიყურება და ხმაურით გაბრუებული შესანიშნავათ ემორჩილება მოძრაობის კანონებს, თუ ღმერთი გაგიწყრა და სწორეთ ვერ გადაიარე ქუჩაზე. ისეთს დაგიტატანებენ, რომ თავბედს დაგაწყევლინებენ.

ქალაქელებს სჯერათ, რომ ქვეყნიერება ლაჯებში ამოიჩარეს, რომ ბუნების იდუმალება იღლიაში ამოიჩლიაგეს.

ქალაქელები დაბინდებისას ბეღურებივით როდი ისვენებენ, ისინი დღეღამ დალაჯუნობენ.

ადამიანი ქალაქში შევიდა კერპებით, მუმიებით, ხატებით აჩხორილი და რაღაც აყროლებული სიცოცხლის შეიტანა ეპოქებში.

ქრისტიანი ეკლესიაში შედის, ვით უწყინარი ფრთოსანი, მუხლებს მოიყრის და მაცხოვარს უტიფრად ევედრება: სიცოცხლის გადარჩენაზე, სულის განწმენდაზე; მაგრამ დაბრუნდება თუ არა შინ, ხელს წამოავლებს სანადირო თოფს, სატევარს, წალდს და უწყალოთ ქლეტავს ხოხბებს, ბატნებს, დურაჯებს, ირმებს, ჯიხვებს...

თავკრკიტიან მაჰმადიანს მეკა სარწმუნოების და ყოვლად უწმინდესობის ჰიპათ მიაჩნია.

ბუდას მიმდევარი ლხასაში მიცვალებულ ლამას ხორცს იღმურძლება, რომ ნირვანის ნექტარს ეზიაროს. იყო დრო, როცა დაცვეთილი ებრაელი დაპყრობილ მოსახლეობას შუაზე ფატრავდა და მათ ნაწლავებს წელზე ირტყავდა, ვით გამარჯვების დამარწმუნებელ ნიშანს, ის კიდევ წინასწარმეტყველ მოსეს ელოდება, რომ თალმუდის წინ მოანართხოს კაცობრიობა.

ქალაქი მაინც ძლევამოსილია თავისი დიადი ხელოვნებით, ფერადი მაშალებით, მდიდარი წიგნთსაცავებით, მეცნიერების მიღწევებით, ღამე ნათევი რესტორნებით, ჩაცმა-დახურვით...

მაგრამ, განა ქალაქმა არ შემოიღო: სახრჩობელა: იატაკქვეშ ჩაძრომა, პოლიტიკური გაწამაწია, ზარდამცემი ჭორები, არისტოკრატიული ჰარამხანები, დასაჯურისება, ცილის წამება?..

განა ცივილიზაციის პირველი კვირტები არ იყვნენ, ალეკსანდრე მაკედონელი, ნერონი, მურვან ყრუ, დაკოდილი შაჰი? ადამიანებს კბილებით ორ ჭგლეჯდნენ, თვალებს სთხრიდნენ, ბევრი სისხლის წოვით მუცელი რო ებერებოდათ და ჯდომი აწვებოდათ.

რას მივაწეროთ როცა მომაკვდავები ნიადაგ ადიდებენ თავის მკვლელებს, გადამბუგავებს?!.. იქნებ იმიტომ, რომ ადამიანი დიდ მანძილზე დაშორდა დედამიწას, ერთი-მეორეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძახილი აღარ ესმით? ადამიანი მარტო დარჩა ქაოსებ მოდებულ გზებზე, შიშმა მოიცვა უბედური და ძალაუნებურად მიეკედლა განრისხებულ მტაცრალებს.

ეხლაც, ვიღაც უყვირის კაცთმდინარებას:

„სად მილაჯუნობ?.. სადა?.. ცოდვებს სადღა მოინანიებ?..“

ფეხებდაკარწახებული მეცნიერები ისტორიის ჩანჩქერებთან ოჩხებსა სთხრიან, რომ წარსულ დროთა მკვდარი თვეზები ამოყარონ და აყროლებულ ლეშზე წაიკითხონ, რაღაც მეტ-ყველი და საიდუმლო. ისტორია კი სდუმს, სდუმს, როგორც სანსკრიტებს ჰარაგმა. და თუ აყბედდება, ის ქარის ზუზუნია ნანგრევებ შორის. ხავსი და ობი ბატონობენ ქამიდან-ქამში.

ყველა საუკუნე თავის კარებს ურთხელას ურდულს ადებს, სინათლეს აქრობს და გასისხლიანებულ მტიანეს ფურცლებზე წვება საღათის ძილით. რამდენიც გინდა ანჯრიე, შენც არ მომიკვდე კრინტს ვეღარ დაიძვრეენებ.

დიახ! ნანგრევების ხრიალია ისტორია, ნანგრევების ლულლული, ნანგრევები ხვრინავენ. ნანგრევები ჩაახველებენ ხოლმე, სადღაც ჩაბნელებულ საუკუნეთა გომურში და ჩვენ ისტორია გგვონია.

მაინც ჩვენი პლანეტა რა ლამაზია, რა მართალი, რა გულღია... ადამიანო! რათ დაშორდი, რათ გაექეცი ბუნების ჰიატს, წალკოტებს, იალაღებს, ფრინველებს? რათ მოსწყდი მიწას, რათა შე საცოდავო?.. რათ ჩაიგდე საგონებელში მთელი შენი სიცოცხლე?.. რათ მოუღერე ორპირი მახვილი შენს არსებობას?..“

ზაფხულის პაპანაქება იდგა.

ჩვენი მგოსანი მთებში მივარდნილ სოფელში გაემგზავრა, თავის სიყრმის მეგობარ გიგლასთან ერთად. გიგლამ ღარიბი შშობლების გამოისობით განათლებას ვეღარ მოჰკიდა ხელი და დედის მხრიდან ახლო ნათესავს ცხვარში დაუდგა. ასე იცის: ეს ოჯახურმა ხელმეკოლობამ, გიგლას კი სწავლა იცით როგორ სწყეროდა!...

— წამოდი მთაში, რა ყურები ჩამოგიყრია, ღვიძლი ძმასავით შეგინახავ.

— ეუბნებოდა გიგლა მგოსანს და თან ფაშატ ცხენს უზახვში გაყრილ ფეხის ქუსლებს თეძოზე და მუცლის არეში უცაცუნებდა. ხან მარცხენა ხელით დაშვებულ მათრახს ოდნავ შეაათამაშებდა ხოლმე. ულაყ ქურანზე ჩემი მეგობარი შემჯდარიყო. აღვირი ახლათფეხადგმულ მხედარივით მოეჭიმა და ასე ორი ძმათ ნაფიცი, წყნარად მიჰყვებოდნენ საძოვრებით გადაჭიმულ მთებზე ერთადერთ საურმე გზას, ხან ხევის აღმართზე ციცაბო საცალფეხო ბილიკს, ხან დაღმართებში იმალებოდნენ და ისევ ზევით მიიწევდნენ. მთების მყუდროებას ფრინველების ეღლერტული, ჭიკჭავის ჭიკჭივი, მწყრების ქვითქვითი. ღელეში კლაკნია ნაკადულების რაკრაკი, ცხენების ფრტუტნი და ხვიხვინი არღვევდა ფერდობებზე და მნიდვრებში დიკას და ქერის ყანები ბიბინებდნენ, თითქოს:

ნიავის თვითი ნაფეხურები,
სროლით მიქონდათ თვალუწვდენ
ყანებს.

ზავთიანი მთის მწვერვალები. ზეცის თაღებთან ისე ახიდულიყვნენ, იტყოდი: იმას იქით ქვეყნიერების ტაშინის და ვაკის ნასახი აღარ იქნებაო. ტყუილათ როდი დუდუნებდა ჩემი მეგობარი:

ჯანყს ეფარები ვინმე რო გხედავს,
მოსწყდი სქელ ჯანღებს, რას აციცდები,
აჰყე ძძლე მთების ვიწრო ხეოხებიანს
და წუთისოფელს გადასცილდები.

თუ, გზას როგორმე ვეღარ გიიგნებ,
ქარები მთვალეს ასწევენ ძაღლა,
იმასთან სისხლიც ვეღ შეგარიგებს
მიწისკენ კვალი ვინც მოგასწავლა.

გაჰყე პირდაპირ ქედს, მთის ხეოხებიანს,
ცრემლებსაც ნუღარ ჩააცილდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვე, არ დასძრა არსად კრიტი ხმა, და სამყაროს გადასცილდები.

— რა ვქნა, რა შენთვისა ჩურჩუ-ლებ, რაღაცასა? — შეეხმაურა გიგლა.

— ხო ხედავ, ფრთები შეევსები ქალაქს რო მომაშორე — უპასუხა პოეტმა.

— თუ გიხარია შვილოსანიასა, ხმა გამე და ისე ვიროოთ. რა ვიცი, ბალღობაში სულ ტიტინში გძვრებოდა სული, ეხლი რაღა დაგემართა, საფანელი ხომ არ შემოგაკლდა?!

— აი, იმ ქონგურებიან ციხეს რას ეძახიან? — შეეკითხა მგოსანი. რომ გიგლას აღარ მოეწყინა და თითონაც უბარ მდგომარეობიდან თავი დაეხსნა.

— ეგ მოტყლეპილი ციხე, ძველ დროშია, თურმე დიდი სიმაგრე ყოფილა, სათოფურები ეხლაც ეტყობა. — მუსაიფის გუნებაზე მოვიდა გიგლა — პაპაჩემი მეტყოდა ხოლმე, როცა ამ ხეობიდანა მტერი შემოგვესეოდა, ქართველები ე. მაგ ციხეში უსაფრებოდნენ და შიშის თავზარსა სცემდნენ მუხანათებსა. გაგიხარიან რომ ძირი-ძირობამდე მუსრს ავლებდნენ, ბევრჯერ ხმალ და ხმალაც ქვეთებიან ყაენის წარმოგზავნილებსა და ისე ამოუეუქიათ რომა დიდხანობამდე მტერს ჩვენსკენ პირი აღარ უქნია. ზოგჯერ, იმ რჯულამოსაწყვეტებსაც გაუმარჯვნია, ყველა მხრიდან შემოგვრტყმიან და ჩვენი მეციხოვნე ლაშქარი ამოუხოცია. აი, მაშინ დაგვდგომია სისხლის ღერანსა და განკითხვის დღე: ცოფიანებივით დარეკვიან სოფლებს, იქაურობა ერთიანად აუმტეტებიათ; რაც გაუტაცია ხო გაუტაციათ, რაც არა — ერთიანად ცეცხლით გადაუბუგიათ; ქვაქვაზე არაფერი დაუტოვიათ. აქა-იქ, კანტი-კუნტათ, თუ გადარჩენილა ბაკი, თეო, ფარეხი, ან საჯინიბო, ისიც გატიალებული და აკლებული. მე კიდე კარგათ ვერ გიყვები, მაგრამ პაპაჩემი რო გიამბობდა, თუ იმ ხანათა, რა გაუგონარი საცოდაობა ტრიალებდა ჩვენშია, ტირილი წაგვსდებოდა ხარ.

— რამდენი ჭირ-ვარამის მომსწრეა ჩვენი მიწა-წყალი! — წამოიძახა შეწუხებულმა მგოსანმა.

— მოიცა, ჯერ სადა ხარ, ღვთის რისხვა ეხლა ნახეი. გამოომა სოფლებს რო ააოხრებდნენ, მერე გალმით ყიჟინით გაეკიდებოდნენ. ქალებს აუპატიურებდნენ, მაღალ კლდეებიდან ბავშვებს ისროდნენ, ყმაწვილკაცობას გულღვიძლს აცლიდნენ, მოხუცებს ასო-ასო ჰკუწავდნენ. ჩეხავდნენ, გაფთრებული შეტაკება და ბრძოლები რომ დამთავრებულა. აი, იმ მდელოზე — ხელი გაიშვირა გიგლამ. — შემოფლეთილი აბჯრები, კაეიანი თოფები, დამბაჩები, ყაწიმ დაწყვეტილი და გადატეხილი ხმლები. თავმოკვეთილი ვეფაკცები. წელებგადმოყრილი ჯაბუკები. ცხენის ნალებით გასრესილი ადამიანები, ფალიის სუნში ჭერეხივით ყოფილა თურმე მოდებული. ის მკვდარძაღლები დარბეულ დაბებს, ცეცხლის კვამლში გახვეულ სოფლებს თურმე კიდეე არ ეშვებოდნენ და ტყვიაწამალს უშენდნენ. რო გაგეხედა ფერდაკარგულ მზის ქვეშ გზების საშინელი მტვერი და ბუღი ტრიალებდა.

ამას წინათ — განაგრძობდა გულდაწყვეტილი გიგლა — აქ ამოვიდნენ ნასწავლები, არ ვიცი რის სიყვარული გაუცხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუო დედას — ცოცხალი მოერია მგოსანს.

ჩვენი მგზავრები ციხის ნანგრევებს მიუახლოვდნენ. ცხენებიდან ჩამოხტნენ და განძარცოლეულ თელას ჩერში ნასახლა ბალახზე დაისვენეს. ცის კერზე ორიოდე თეთრი ღრუბლები დასრიალებდნენ.

ზღუდეშემორღვეული და თავგადახვილი ციხე ჯადოსნური მლოცველივით წარძღვლობის ხანდაკვე პირქვე გართხმულიყო. სიცხის ბუღით და ქარების ბერვით გარეჯულიყო. ის თითქოს მიწას ჩაბღუოდა თავის განცდილს, ნახულს, გაგონილს.

რა ცოტოდენი რჩებამ მატიანეს აშმორებულ ფურცლებს ნანგრევების ერთ დაღრიალებიდან.

— როგორც სჩანს, ციხის გვერდით სამოკლოც ჰქონიათ, — წარმოსთქვა მგოსანმა.

— სამრეკლო და მერე როგორი! რეკით მთელ ხეობას აყრუებდა — მიუგო გოგლამ.

— ალარ დაიარებიან სალოცავთან?

— როგორ არა, ენკენისთვის პირველი კვირის სწორზე დიდძალი ხალხი მოედინება... მერე რა! ერთი კესერჩავარდნილი, ჩლიფინა მღვდელი, ახმაურება დიაკვანი. სამიოდე წელმოხრილი და გადამღრძალი მოხუცი ლოცულობს.

ლაგამამოგდებული ცხენები ნოყიერ მოლს შეეკეცოდნენ, სიამით კუდის ძუას გავაზე და ბარძაყზე იტყლაშუნებდნენ.

მწვანე ხელიკს სოროდან თავი გამოეყო, უცნობ მგზავრებს შიშდაკარგული უცქეროდა და სარეველა ბალახის თესლის ოდენა თვალებს, გორველასავით რო უპრიალებდა, აქეთ-იქით აცეცებდა.

მგოსანმა ფრთხალ ხელიკს თვალი მოპკრა და მოაგონდა:

აი, ამ ძიძფრებში, ამ ხრიოკ მთებში,
ჩვენ ხომ ერთმანეთს კკაძდით ძგლებივით,
ეკ სულათია: სდგას მხედარი, უპრიალებ
თვეში
ოა ზედ ამბრა კაცის თავი გველის ხვრელივით,

მეც მარტო ყოფნა ათასწლობით ბოლ
თავის კალაში — მწვანე ხელიკ — შეძვრეს
ლამე.
ძველებზე შეძხარი დადგიერება ბოეწონეა,
და მაღლან ადარეულ თვალებიდან გაჩეფავს
ბალეს.

მზე იწვერებოდა. ჩვენი მგზავრები ცხენდაკეზენ სეზზე და დაკანტელ სვენებზე ტაატით მიიწევდნენ. ხან ბორცვებს იქით იმალებოდნენ, ხან აყრილ ჯაგნარებს გაუხვევდნენ, ბოლოს ტყით შემოსილი ქედი გადასერეს და გადაიკარგნენ. ალარ ისმოდა, თუ ორი მეგობარი რას საუბრობდა. თვალს მიეფარა ლამაზი ტაიკების წაბლის ფერიც. აფრენილ მწყერ-ჩიტმაც გზა გადასჭრა და ლაჟვარდების ჯეჯილში შთაინთქა.

კანკეტმონჩხვრეული სამლოცველო საკუთარ ნანგრევებზე მოკრეხნჩხულიყო, ის თავის დადებულ ნისკარტ-აყრულ ქვებზე იყდა, რომ წარსულის მწარე მოგონებები გამოეჩეკა.

ციხის ერთადერთი გვერდჩამორღვეული კედელი, კლდის ქიმზე ყანჩასავით ცალფეხზე შემდგარიყო. დუქარდივით ნისკარტი წინ გაეშვირა, მიმავალ მგზავრებს თვალს ადევნებდა და გაკვირვებას იყო, რომ ერთმანეთს ლაწალუწი არ აუყენეს და არ ამოხოცეს.

ნუთუ, ჩვენი მგზავრები წუთისოფელს გადასცილდნენ, სივრცეები გადალახეს და სინათლის გალმა მოკუსლეს?

თავლია ქვევრიდან დაგუბებულ ქვითინის და გაუგონარ წამების ბოლო ხრჩოლავდა. თოთო ბავშვის წამითნხეული რძე და უმანკო სისხლი მშობლის გაცივებულ მკერდის მარცხენა ძვალზე ქაქანებდა, როგორც დედის უკანასკნელი სიმღერა.

უხსოვარ დროთა გვირაბებიდან ქარბუქი ჰქროდა, მძვინვარებდა და შინ თავშეფარებული ჩონჩხები კოოდნენ. მტარვალებო, ჩვენ წამებას შთამომავლობა აგინაზღაურებთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ყორღანი

> იალბუზიდან შეიძლება მოაკრა თვალი საქყარის ჭერი მძიმეულ ჭაბიერებს.

ატენის ხეობას რომ აპყეე, დანაბვისის ძირში მიაწყდები ჯარმაგ ტაძარს. ერაცხენა მხრიდან მედიდურად რომ გადაპყურებს ქვევით ახმაურებულ ტანას, მარჯვნივ ტყით შემოსილ ქედებს ცის კარ-მიდამო დაუბნელებიათ.

ტაძრის ორიოდე კალოს ოდენა ეზო მინგრეული ყორეთი შემოვლებია.

ამბობენ: მეშვიდე საუკუნის ძეგლიაო! ვინ იცის... იქნება უფრო ადრე, აქ იდგა წარმართების ეკრპი და იესო ნაზარეველის მოციქულებმა დანგრიეს. ან იქნება დანაბვისის მწვერვალებიდან ფეხაკრეფით გამოიხედა ქრისტიანობის პირველმა შიკრიკმა, სახე აწეულმა წარმართობმა კი მძიმეთ ამოიოხრეს და მიწის ფერი დაედოთ.

იქნებ, ამ მთების ორწოხებში ასტეხეს ყაყანი თეთრი მანტიით მოსილმა წმინდანებმა და ორიალეთის ეფელტეხილებმა შთანთქეს კერპ-თაყვანისმცემლების ღრიანცელი. იქნებ მათთლმადიდებელ მისანის გვერდით სახარების ფურცლებს იხუტებდა გამეცმი ქურეში და ტანის პირზე დამთხვეულ წარმართს ქაჩალი კერპები აოკებდნენ..

ვინ იცის, პირდაუბანელი წარმართები, რა ხელჩართულ ბრძოლებს უმართავდნენ თმებგადავარცხნილ და ფეხშიშველა ქრისტიანებს. ალბათ სიონის გალავანზე მლოცველთა შესახმელ სისხლნარევ ტვინს ბებერი ფოცხვერი ლოკავდა. ქვევით ტანის ტალღები შედედებულ ცრემლის გუბეებს ხვრიპამდნენ.

ალბათ, ტყვეთ შეპყრობილი წარმართება ბოლმა მორეულ თვალებს სიბრაზის ალმურში აბრიალებდნენ, დალეწილ სავანეს ბუქში სახე უსკდებოდათ და ჩაუხამბულ ვედრებას, მოღავებულ სიცოცხლეს ქარის კეკრთზე კითხულობდა ბაგინეთის მთავეროვანი.

ხმა ჩაიგდე საკვირველებავ! მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო; წარმართების საქანელაზე ქრისტიანები შეტრნენ და გაოგნებულებმა ჩაბუქნეს კალოების ფრიალით. დარჩა წარმართების ნაწვერალი.

ეკ ვეყოთ, თუ სასწაულმა სადღაც დაიღრიალა.

რა დარჩა შთამომავლობას? მხოლოდ დამუნჯებული, დაზიანებული ტაძრის კედლები, გაცრეცილი ჩუქურომფები, გამოშიგნული წირვები, მიყრუებული ღადი; რაღაც ვეებერთეზლა, ყბაყურა სასოების მუმია, ზეზეურად მკედარი და აშმორებული; თვალებდათხრილი ლანდები, კაბა შემოცვეოლი კოკლი ხუცების გახუნებული ნათელი. ეანგი და ხავსი, ჭრიჭინების მოთქმა და წუეულთა სისინი.

მართლაც კაცობრიობის ისტორია რა მახინჯი, რა ცბიერი ფიტულია ადამიანთა დაუსრულებელი მდინარების. ნამდვილად ჩვენი პლანეტა აგორებული ქვაა — იტყოდა ხოლმე პოეტი.

სიონის სლიპ კედლებზე და ხებაღლახა ბანზე, ამაოდ იჩაჩხებიან ღაბაბგასიებული სწაელულები; რაღაც ქარაგმებს იწერენ უბის წიგნაში, უკვირდებიან შერყეულ ფრესკებს, გულთმისნობენ ქერტლიან ხატის სამოწყალოთ გამოშვერილ ხელის გულზე და ჯღაბნიან სქელტანიან გამოკვლევებს.

ხანდისხან, საიდანღაც გამომტყუვრება ვიღაც მატაკი, ასტეხავს ერთ ორომტრიალს: ტაძრის მშენებლობის ახალ თარიღს ამოქექავს ამოშრებულ წლების ბურტყლებიდან... ახლა მეორე ურჩი წამოფრინდება გაჩრიალდნებულ დარბაზის მერხიდან, ტაძრის დამტკიცებულ ხარჯთ-აღრიცხვას თხოულობს... და. ასე არ მოისვენებენ, სანამ ერთმანეთს არ აამტუტებენ.

მაგრამ წარმავლობის ოკეანემ გაიფთრებული ზვირთვით სად მოგლიჯა წარმართობის და ქრისტიანობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამანი, სად მიხვეტა დამხრჩვალი კერპები, ქურუმების სასოწარკვეთილი ძახილი, მოიკეკლების ყიჟინა დანახვისის დაღმართებიდან? ეს არავინ არ იცის. ეს ახსოვდა ოდესღაც სიონის სამრეკლოს, მაგრამ ის სდუმს შემაძრწუნებლად, თითქოს სიკვდილის ამბორი გაკვეთილ წამწამებზე და ტყლიპიან სახეზე შეხმობია.

ქრისტიანობის ტრაგედიის მიზეზი ისიც იყო, რომ სიკვდილი ვერასგზით ვერ მოინშნაურა. დასაბამი ქრისტიანობას მისჩერებია მთვრალი ვერძივით.

დიახ, რაღაც სიდუხჭირე გადაეფარა სიონის გამოხრულ ჩონჩხს, ზედ ლაფივით გადაასხა თავისი ღვარძლი და ქრისტიანობის უკანასკნელ ნაბიჯვრებს დაგვიტოვა ჯვარგაჩრილი ახმახი თოჯინა.

რა ბრიყვი ქინქლებივით დაიფერფლნენ აურაცხელი წლები ევვიპტელი ქურუმების ეცცხლის შიშინზე და გაძევებულ ქრისტიანების ელამ კელაბტრების ალზე, როგორ პირდაღებული სარანგებივით გაშეშდნენ სხვადასხვა ფერის საუკუნენი საკმეველის სურნელებით გაყიდნილ და ზარების რეკით დაბნედილი სივრცეების ქვეშ.

თუმცა დარჩა რაღაც ნატამალი: გადაზნეველი სოკონარევი ბოძები, სიონის ქვებზე ამოჭრილი თვალდახუჭული წარწერები, ნამტირალევი ყმა გლეხკაცის სევდა, პატარა ნაწყვეტები, სადაც შეიძლება ვაივაგლახით რაღაც ამოიკითხო, გაიგონო, იგრძნო, მიუხვდე, მიწაზე დაადო ყური და დიდი ხნის წინად ეამთა სიავის კვერით ჩალეწილ დროებათა გალახული ტუტუნი მოისმინო. ან თვალი მოპკრა ნიშა ხარის ქანდაკებაზე ხუროთმოძღვრის ნაღვლიან ღიმილს. ზურგშექცეულ მოწამეთა ხელის მუჭაში მოგროვილ ცრემლების ჟონას.

ატენის სიონმა ააუბედა ჩემი მგოსანიც:

დასაბამს ქვემოთ, აქ ტყე ბუდობდა
პირქუში როგორც ამოება.
შეხეზნებიდნენ მთებს ქურდებივით
გამოქვაბული და მყუდროება.

სქელი ნისლები მდორეთ ხრჩოლავდნენ,
ყოუთ ჭრიალებდა ხეების ანკამა,
ვარსკვლავნი ისე მოსჩანდნენ ღამე,
თითქოს ზეცა ჩრჩილს ამოეკმა.

უფლის ნათელი დაბარბაცებდა
გაუთენარი გზების ბოლომდე,
კერპები სთვლემდნენ გალმით ბორკვებთან,
ქამს რომ კიბეით ჩამოპაოლოდნენ.

დრო იყო, როცა ბნელ სასუფველს
მდინარე ტანა ჩაუდიოდა,
საიქიოდან წუთისოფელი,
როგორც მამალი ისე ყიოდა.

სადღაც, ღვიმეში ენთო კანდელი,
ხელში ხატები ეჭირათ ჩრდილებს,
მოიკეკლებს კი გარდაბნის კალდზედ
ჩასძინებოდათ ალთქმით დაღლილებს.

წარმართთა ძვლებზედ იდგა ტაძარი,
ზეკით ლუგენდა ობმეჭინდათ თითებს,
ძირს წმინდა ნინოს ნაფეხურები
ჰგავდნენ სისხამზედ მოკრეფილ იებს.

ვით უკვდავება წყარო ანკარა,
აკისკროვნებდა ირმების ფერფლს,
ქრისტემ ბავშვობა აქ გაატარა
და ღვთისმშობელი უგვიდა ეზოს.

მოსულ შეთქმულთა ნათელ ოცნებას,
გუმბათის სვეტი გარს იტბორებდა,
მოხუცი ღმერთის აქ ნთქვამ ლოცავს
სამოეკლო ღამე იმეორებდა.

სიონში მრევლის ტევა არ იყო,
გარეთ გალობდნენ მშრი ბერები.
ჯიღა ცაცხვები იდგნენ ყორესთან,
ვით ხანშესული ქალდეველები.

ჩუქურთმებს ტაძრის ბანი აეპყროთ...
ელამდა მთვარე — ქურუმთა ოდა,
მოჭკნოდათ ჯვარი, ქალები ენთო,
და დანახვისზედ ჭოტი კიოდა,

ვინ იცის იქნებ, იმ ოხერ სასუფველს მდინარე ტანა ჩაუდიოდა, იქნებ იქ, იმ ცივ, პირუტყვ უკუნეთში მიიკლაკნებოდა და საიქიოს ნახევრად ბნელ გზებზე მინამქრულ ვარამს მეორე წუთისოფლის სანათურებისაკენ მიაქანებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ, მართლაც სთვლემდნენ ატენის მთების ბორცვებზე ზეწარწამოსხმული, ქვების სროლით დაავადებული წარმართები, მარცხენა ნეკზე იაგუნდის ბეჭდები რომ უციმციმებდათ.

იქნებ სეფისკვერით გაზრდილმა ქრისტემ თვის ბავშვობა სიონის ეზოში გაატარა და როცა მირონცხებული ღვთისაშობელი ურწყვდა აკვანს, ფეხაკრეფილი ირმები რქებგადაყრილ ნისლებიდან ღვთაებრივ ივენანას უსმენდნენ. იქნებ იმ დროს, ბუმბერაზ ტყის მყუდროებაში ჯოტი კიოდა. იქნებ სიონის თაღებმორთულ ტაძარში სანთლების შუქი იფრქვეოდა და ხანშესული მოგვები მძინარე ქრისტეს გეთსიმანის ხეებივით მისჩერებოდნენ.

ლიახვის ნაპირები

ლიახვი ჩვენი ქართლის მეხრეა.
თან განუშყვეტლივ უკრავს
სალამურს.

ლიახვის ნაპირზე მისეირნობდა ჩემი პოეტი.

ლიახვის მჩქეფარე ტალღები ბუღრია ლეკვებივით შეხედავდნენ ხოლმე უცნობ ადამიანს, მერე კი ყეფით მიბაჯბაჯებდნენ ზვირთებისაკენ.

— ნეტავი სად მიჩერჩეტობს ეს აჩრდილი? — ერთმეორეს ჩასჩურჩულებდნენ ლიახვის გასწვრივ ფოთლებაცქვეტილი ვერხვები.

მგოსანს სიხარულის ერუანტელი უვლიდა, იცით როგორ უყვარდა სიყრმის გარიყრაზე მოუსვენარი და მქუხარე ლიახვი!..

ჩემო მდინარე, დამხვდი ბალღივით,
მე კი გესტუმრე გზების აკვეა.
ჩემი მკლავრით შლილი ტალღები,
შენს მდიდარ ჰალზე ეხლიც აწყვია.

ეს ნაპირები როდიღა მცნობენ,
მეც ვეღარ ვამჩნევ სიყრმის ალაგებს,
შევკურეს ზვირთებს გაოცებული,
ვით ბრუტსაბძელას შეშლილ სარანგებს.

ლოდებს ხავსის ქვეშ შექვავებიან,
ნეტარ ბავშობის ტანტარა წლები,
ჩემი ლეკსებიც აქ ჩაქრებიან,
როგორც გარეჯის ხელთნაწერები.

შურთხის ფრთებს ჰგვეხარ ჩემო ლიახვო,
ნეტავ ამ ფრთებზე მომეკლა თავი,
რომ შენს ჩანჩქერებს ჩემს ძვლების ოჩხში
ემღერათ სევდა დაუღალავი.

ან ელოკა გული ნაკადულს...
სანთლების შუქზე ეფიქრა ცხედარს,
რომ ჩემი გვამი, ხელის კანკალით,
გორიჯვრის ძირში ჩაეფლა დედას.

სალამო მოდის, ნისლის ზედაშეს
სკამენ და დაისს მთები კენკამენ.
ჩემო ლიახვო, ალბათ მე და შენ
საქართველოდან გამოგვრეკამენ.

რა ვუყოთ მერე, ვიღაცა მგზავრი
გაყვება სტეპენით გზნების მოლაღურს,
და შეადარებს გაკმენდილ ზარებს
მწყემსის უბეში მოკლულ სალამურს.

ამ ხსოვნებში მისრიალებდნენ ტანტარა წლები, ჯალაში ტუნტული, ლამზე ბღლაძენი, ცურვა-მკლაური და აი კიდევ რა გაახსენდა:

შენს ჯიქანს სწოვდნენ ქართლის ჩრდილები,
უფლისეხელნი სხარბიდნენ ღრმა ოჩხებს.
ტანის ბოლოში შენს ხმას ვარჩევდი,
როცა ჯალაში ვუდეკი ხბორებს.

ვისაც უნახია მდინარე ტანის ბოლო შენაკადი, იქ სადაც ხნიერი მტკვარი ატენის ხეობიდან ბავშვივით ჩამორბენილ ტანას ხელი იტაცებს, ის უსათუოთ შეამჩნევდა ლიახვის ტალღების ფართხალს, მათ გაფაციცებულ ცქერას საკაძის დროინდელ ხიდის ბურჯებისაკენ; ხან მტკვრის ძუძუებთან ფუჩრინებივით მიწებებულებს და მტკვრისგატეკნულ ცურში შუბლის ამორტყმას. აი, რათ ირხვევან ტალღები, ჩემი მტკვრის ტალღები.

მგოსანი ცაცხვების მაღალ ხეივანს მიყვებოდა. უკან თავისი ჩრდილი დათვის ბელივით ასდევნებიაყო. პოეტის ლანდი ხან ერთ ხეს ეხვეოდა. ხან მეორეს. ხან ხის ძირებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუსწლტებოდა და განიერ ბილიკზე ირწეოდა გრძლად და ირიბად.

ხეივანი ოდნავ შრიალებდა, ნათელი ღამე მის კენწეროებს დაჭათქათებდა.

ვერხვები მთვარის შუქს ნაფაზივით არტყამდნენ და თან ბაღის ღობესთან ინძრეოდნენ, ყელყელაობდნენ, რომ უცნაურ ადამიანისთვის ერთხელ კიდევ თვალი მოეკრათ, რომ დასწრებოდნენ ხვალინდელ პანაშვიდზე მწყემსის უბეში მოკლულ სალამურს.

გარეჯის მონასტერი

იქ, სისხლის გუბეებს ებლაცა ღვიძამთ, ჟამთა სიავით შეშლილ გუბურებს.

— რა დარჩენია იმ დასაქცევ ეკლესიაში?! — წამოიძახა წვერშეღერებულმა მწერალმა და დამსწრეებს ისეთი თვალით გადახედა, თითქოს მიეზიდველობის ახალი კანონი აღმოეჩინოს.

— განა საძახისია? — აქოთქოთდა იქვე მჯდომარე მოხუცი კაცი და ორივე იდაყვით კაკლისფერ მაგიდას დაეყრდნო.

— რა თქმა უნდა! — ჩაერია დირბელი და პაპიროსის ნამწვი ჭრელი ფაიფურის საფერფლეზე ჩასრისა.

— ნუთუ ქრისტიანობა უმეცრების გროვა იყო? — ამოოხრა მოხუცმა და ფანჯრებთან მომდგარ გაზაფხულის საღამოს თვალი მოჭკრა.

— უსათუოთ, ქრისტიანობა წყვდიადივით გადაეფარა კაცობრიობას, და კინაღამ ხელში არ შეიკლა. — მკვახე ტკბილივით ესროლა მოხუცს მწერალმა.

ბრმა დამაჯერებლობის, უდაბნოში უმიზეზოთ გადახვეწის, შეჩვენებულ განდეგილობის მეტი რა მოგვიტანა მართლმადიდებლობამ, აბა მითხარით? — პარტაპარტაყით წამოიძახა დირბელმა.

შორს მთის მწვერვალები იბურებოდნენ, თან ვარსკვლავების სულ უბერავდნენ, რომ როგორმე აეციმციმებინათ.

— ქრისტიანობამ შეაგრძნობინა ადამიანს, თუ რა არის სვინდისი და სიბრალული. — უპასუხა მოხუცმა დირბელს.

— სარწმუნოება ძაღლუურძენაზე უარესია, ის შხამია, საშინელი საწამლავი. — დაამტკიცა მწერალმა და გამარჯვებულის თვალებით გამოიხედა.

— მართალია! — ტაში შემოჰკრა დირბელმა.

— რომ უარყო, დედაფუძინათ უნდა იცოდე რას უარყოფ, თორემ ჭინჭყლიანი ბავშვივით ყველაფერზე რომ ხელები გაატატანო, ეს დიდი სიბრძნე როდია. — წარმოთქვა მოხუცმა და ზეზე წამოდგა.

— მძეულს კათოლიკებიც, ლუტერანებიც, ბაპტისტებიც, კვაკერებიც და ყველა ჯურის რელიგიური კულტის მატარებლები. — ამოაფრქვია მწერალმა და მოხუცის გულს როგორც მდუღარე წყალი ისე მოედო.

— ადამიანს რომ შთაუნერგო ჭეშმარიტება — მიუბრუნდა მოხუცი მწერალს — მუქარა და ხელების პარჭყვა როდია საჭირო, პირიქით გონიერების სიდარბაისლე და შენი რწმენის სიდიადეა მთავარი მამოძრავებელი ღერძი. თქვენ მსჯელობას საკუთარი აზროვნების უნარი აკლია და რაღაც უმწეობას ეპოტინებით.

— რა მოსატანია ეგ ნართაული? — ღვარძლიანად შეეკითხა დირბელი.

— სიტყვა ქრისტიანობა ხმარებიდან უნდა გადავარდეს, საამისო დროც არის და ამინდიც. — თავისთვის ჩაილაპარაკა მწერალმა.

— მოითმინეთ ყმაწვილებო, რა ღმერთი შეგეწიოთ! — განაგრძო ალეწილმა მოხუცმა — თქვენ ადასტურებთ, რომ ქრისტიანობა ცხელი კუპრის მდინარე იყო, ეს მტკნარი სისულელეა.

ქრისტიანობა დაფნის ხეივით აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცენდა კერპთაყვანისმცემლობის ნაგრავებზე, როგორც სიბრძნის და კეთილშობილების ნუგეში. ქრისტეს ათი მცნება განა ადამიანის სვინდისის აღორძინება არ არის? განა არმაზის კერპი დიდი უბედურების მომტანი არ იყო?

— როგორ არ ვიცით, ის წარმართების პიპინა გახლდათ! — ახტა და დახტა მეტოქე მწერალი. დირბელმა დასტურის ნიშნად ერთი ისეთი გადიხარხარა, თითქოს წლობით დაგროვილმა სიცილმა იმის სხეულის ყველა ფორებიდან გადმოხეთქა.

გაჩირაღდნებულ ბინაში ღია ფანჯრებიდან ბაღის სურნელება ნიავს შემოჰქონდა.

გარეთ ბინდის თხელი ნაჭუჭები ეყარა. ხეებს დღის ჩრდილები ჩაეძროთ და დასაძინებლად მიყრილიყვნენ. მხოლოდ ხნიერ ჭანდრებს ეღვიძათ, ჩვილ კენწეროებს შვილიშვილებივით ათამაშებდნენ.

— გულის ყური მათხოვეთ, თქვენი ჭირიმეთ! — არ ცხრებოდა მოხუცი — არმაზის კერპი შიგნიდან ღუმელივით იყო გამოფუღრღული, ამ ღუმელში ქურუმები დაანთებდნენ ხოლმე ვეებერთელა ცეცხლს, ცეცხლი სხვილ ნაპერწკლებს კენწეებივით ისროდა. ამ გავარვარებულ საკირეში — არმაზის გახურებულ მკერდზე შეწირულ ბავშვებს აკრავდნენ. დამწვარი ბავშვების ფერფლს შავი კვამლი ცისკენ იტაცებდა, რომ ლაჟვარდებიე დახრუკულიყვნენ, რომ აუწერელ საცოდაობაზე შორიდან თვალმოკრული ღრუბლებს თბილისის თავზე ეღრიალათ. სულ გამწარებულ შშობლებს ცრემლების გადმოღვრის უფლებაც კი არა ჰქონდათ, ისინი ულრან მთებში იხიზნებოდნენ და ნახევრათ შეშლილები კლდეებსა და ღრეებს ეხეთქებოდნენ... გესმით, თუ არა, რომ ეს ბარბაროსობა მოსპო ქრისტიანობამ.

— განა ქრისტიანობამ არ ამოწყვიტა დაპყრობილი ქვეყნების უფლებამოსილ მკვიდრნი? განა ქრისტიანობამ არ მოიწადინა ჯვაროსნული ომების საფარით მთელი აღმოსავლეთის ამოჟლეტა? ინკვიზიციის ჯალათები ევროპიელი კათოლიკები იყვნენ და არა გრელანდიელი ესკიმოსები, — სულისმოუთქმელად წამოიძახა მწერალმა.

— მართალია! — თავი დაუკრა დირბელმა.

— რას ბრძანებთ — სახე აეფაკლა ფარხმალ დაუყრელ მოხუცს.

— როგორ შეიძლება ქრისტიანობას დაბრალოთ ხეპრე რომის პაპების, თაღლითი მისიონერების ვერაგობა. ქრისტიანობა სად იყო, როცა ადამიანები ერთი მეორეს მხეცებივით სჭამდნენ.

მწერალმა პირი გახსნა, რაღაც ჩასაკრავი უნდოდა ეთქვა, მაგრამ მოხუცმა დაასწრო.

— აბა წარმოიდგინეთ, ჩვენ რომ ისლამის რჯული მიგვეღო, განა ერთი ქართველიღა დარჩებოდა? დედაბუდიანათ წარვიხოცებოდით, გადაგშენდებოდით. აღარც ენა, აღარც რჯული, აღარც ერი, შნიიან ქართველების მოდგმას გამოებერებოდა გრძელი თათრული კვინიხები. ტყაპა-ტყუპით გადავცვინდებოდით დაღუპვის და ამოწყვეტის უკუნეში. ერთმეორეზე ისე გადავიჩხებოდით და ავიზილებოდით, რომ ვერავითარი განგება ვეღარ გამოგვარჩევდა. და თუ ორიოდე კომლი მცხოვრები გადარჩებოდა ისიც სასიკვდილოდ იქნებოდა განწირული.

— ქრისტიანობამ კი არა, პატარა კახის გამჭრიახმა გონებამ გადაგვარჩინა — შეეხალა მოხუცს მწერალი.

— მაშ არა და!.. — ცალუბად ჩაერია დირბელი.

— რა ღვთის წყრომაა! — ხელის ჩაქნევით შეედავა მოხუცი — ქრისტიანები რომ არ ყოფილიყვნენ ლუარსად და არჩილ მეფე, ქეთევან დედოფალი, მთავრები დავითი და კონს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანტინე, გაათკეცებული რაინდული მხნეობით რომ ეწამნენ სამშობლოს კეთილდღეობისათვის; ვერავითარმა საპყრობილემ, ხელფეხშეკრულების აქაფებულ მდინარეში გადაყრამ, გახურებულ შანთებით ხორცების გლეჯამ ვერ მოდრიკა იმათი გმირული ნებისყოფა. ეს ხომ აკაკებდა და აფოლადებდა ქართულ სულს, ამის შემდეგ გაოფნით კადნიერება და ტარტარებთ: რჯული არაფერიაო! — აიქოჩრა მოხუცი.

— ეგ რა სიტყვის საკადრისია, მაგრამ მე ვიცი ჩვენში ერთი მოძღვარი მოღვაწეობდა და თავის სამწყსოს ისე ყვლეფავდა, რომ სოფლის მამასახლისი მოგონება იყო. — არ ისვენებდა დირბელი.

— წირვას ისე არ წაიბურტყუნებენ, თუ ფული არ შესთავაზე, ან ძღვენი არ მიართვი. — ბუზღუნებდა მწერალი, თან თითქოს ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ამით მეცნიერების იმ სიმაღლეზე აფრინდა, სადაც ჩვეულებრივი მომაკვდავები მის მაღლობს თვალს ძლივს უწვდენენ.

— მომავალი დაგარწმუნებთ, ჩემო მოხუცო, რომ თქვენ მეტის-მეტად სცდებით — უთხრა დირბელმა მოხუცს და თავისი ნათქვამის კმაყოფილებით გაინაბა, თითქოს კოპერნიკის აღმოჩენა გაებათილებინოს.

— არ შეიძლება სულ რაღაც ბარულსან მომავლისაკენ იცქერებოდე და აწმყოს კი ბატკანივით სწერავდე არნახულ ბედნიერებას. — შფოთავდა შეუპოვარი მოხუცი.

— ქრისტიანობა არც აწმყოა, არც მომავალი, ის წარსული საუკუნეების საშინელი კორიანტელია, ამიტომ ეს კორიანტელი უნდა გავფანტოთ, რომ სული აღარ შეგვეხუთოს, — ისე აკვირდა დირბელი, თითქოს ფეხის კოერზე ქუსლი დაეჭირესო.

— რამდენად ურწმუნო, უმადური და გრძნობადაკარგული უნდა იყვე, რომ ვული არ ჩაგითუთქოს, ცრემლების ღაპაღუმმა არ დაგიწვას სახეზე, როცა მოიგონებ: აღდგომის ღამეს, გარეჯის მონასტერში შაპაბასის ხელით დაკლული ექვსი ათასი მოძღვარის საცოდავობას. ნუთუ არ გახსოვთ სულგამწარებული მამები განადირებულ სპარსელებს როგორ ეგედრებოდნენ ლიტანიის დამთავრებას, რომ ანთებული კელაპტრები თავისი უკანასკნელი ამოსუნთქვითი ჩაექროთ. ბერების ცხელი სისხლის ნიაღვარმა მტკვრის ნაპირებსაც მიაღწია და ამის დანახვაზე გონებადაკარგულმა მტკვარმა ამოიკვნესა. დაიკვნესა ყარიაიაზის ველზე მოწამეთა სისხლში ამოთხვრილმა ღამემ. იქ კი, სადღაც, შორს სპარსეთის ტიალ ფადანოში, ჩამოწოლილ ღამის ქვეშ, დანთებულ ცეცხლის სინათლეზე გონებაშერყეული ზარათუშტრა თავდავიწყებით ცეკვავდა.

ექვსი ათასი უმანკო მართლმადიდებლის აჩეხვა და უწყალოდ დახოცვა, ეს ხომ კაცობრიობის ჭკუაზე შერყევის, გახრწნილების, შეუგნებლობის და გამხეცების უდიდესი საბუთია, რომლის მძიმე ნეშტს ვერავითარი ისტორია ვერ წაიღებს იარაამოკრილი მხრებით. ექვსი ათასი ბერის დასახიჩრებული ცხედარი მუდამ დაჰქეზნის ადამიანთა სვინდისს და დაკარგულ სიბრალულს. ყმაწვილებო, ზოგჯერ გულით განსაჯეთ, ყველაფერს ტვინს ნუ მოუკერძავთ. გარეჯის მონასტერი თავისი ათხრებული მღვიმეებით, შემოფლეთილი ჩუქურთმებით, განადგურებული საკურთხე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეთ ღამე ჩამოწოლილიყო და წარმართი ხეები მთვარის ლებანინით გაფანტულ ვარსკვლავებს რაღაცას ეკვდრებოდნენ.

მგოსანმა კარი შემოაღო. დირბელი ღიმილით მიეგება. მოხუცმა თავი წამოსწია და პოეტს მიმართა.

— სადა ხარ ამდენი ხანი? სული დამელია შენს ლოდინში.

— ეჰ, რა ვიცი დავეხეტებოდი, — უპასუხა ახალთმოსულმა.

— ღამე ყიალი რომ მოგეშალა. დღეს ჩვენს საუბარს დაესწრებოდი — უთხრა ახალგაზრდა მწერალმა მგოსანს და მხარზე ხელი გადახვია.

— მაინც რას ბაასობდით? ჰკითხა პოეტმა.

— გარეჯის ტრაგედიამ შეწყვიტა ჩვენი პაექრობა — უთხრა დირბელმა.

— ასეა შვილო, ასე. უხეირო კინკლაობას მუდამ აცამტვერებს დიდი ტრაგედია, — აღმოთქვა მოხუცმა.

— მეც ვწერდი ოდესღაც გარეჯის მონასტერზე. — წარმოსთქვა მოხუცმა.

როცა ვიგონებ ღამე დაღვრილ გარეჯის
ცრემლებს,
ძარღვებში სისხლი მეყინება, სისხლი
მიშრება,
— რა დაგიშავეს? შემოვარდნილ ვერაგ
სპარსელებს
ექვსი ათასი საუკუნე შეეკითხება.

გადაკაფული უამრავი სანთლების ცეცხლი,
კვამლიანი დადგა მიეწვდომელ ზეცის
ბოლოში.
იმ მონასტერზე იყო თურმე ბუდე
მერცხლების,
მას აქეთ აღარ მოფრენილან საქართველოში.

სისხლის თქრიალი მატიანეს ფუთცლებზე
გადარეკს,
სისხლის მორევში ქართლის რისხვა
ამოითხვევა.
— რა დაგიშავეთ? რას გვერჩოდითო?
ირანელ ნადირს
ექვსი ათასი ბერის ლანდი შეეკითხება.

აკლებული მონასტერი თავისი დაღორღნილ და დაფუტურავებული კედლებით, შემოგლეჯილი პერანგით, ჟამთა სიავის ტიალ გზაზე გონებაშერყეული უფლისწულივით ივლის, როგორც დაუნდობლობის უდანაშაულო მსხვერპლი.

ბედნიერო შთამომავლობავ! შეიარე ხოლმე, თუ არ დაგეზარება ბაზმის მურით გამურულ გარეჯის მღვიმეში, შენი თვალით იხილე ბერების სისხლის ზხეფების წვეთებით შეღებილი სენაკის კედლები, ნათალ ქვებზე აღბეჭდილი მოწამეთა ცხელი ამბორი. მართალია, იქ ძველ ნუსხებს ვეღარ იპოვნი და ვერც მართლმადიდებლების ხელით დანთებულ კანდელს.

შეაღე მონასტრის კარები, სასოებით დაუკვირდი ჩამქრალ ლოცვებს, აიაზმით ნაკურთხ აგურის იატაკის გულის ცემას, მოღავებული ვედრების ფერფლს, უამისოდ უნეტარეს „ქართლის ცხოვრებას“ ნუ გადაფურცელი, რადგან გარეჯის თავზარი ჩვენი ერის ერთ-ერთი წინასიტყვაობაა, აღმოუფხვრელი წარსულის დარდი.

მტარვალთა ლაჯებში ამოდებულ ბერების ყვირილი გარეჯის უდაბნოს აღაპებს ახლაც ყურებში უწევს.

ხო მართლა ის მერცხლები, უკან
[როდიღა დაბრუნებულან საქართველოში! ნუთუ მხარი ეცვალათ?!..

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომადი ბართაია

●

მინდა ვიღაცას მადლობა ვუთხრა,
სრულიად უცნობ მივიდე კაცთან,
ახლა, ამ წუთას, მოულოდნელად,
მე დამეუფლა ასეთი განცდა.

რომ ვაკვირდები, არ დაგიმალავთ,
მე დამმართნია სხვა დროსაც ასე,
ვიღაცის მიმართ, მერე რამდენჯერ,
მჭონია გული მადლობით სავსე.

იქნებ არც ღირდა სულაც თქმა ამის,
მაინც ვარჩიე, რატომღაც, მეთქვა.
ნეტავი ახლა მოგასმენინა
ჩემო მკითხველო, ამ ჟულის ფეთქვა.

●

შევუდგები
აღმართს ჩემსას,
ჭიანჭველასავით
ტვირთს ავიკიდებ,
რამდენიც შემიძლია
განა იმდენს,
რამდენიც არ შემიძლია
ზუსტად
ორ იმდენს.

●

ღამე თოვას ვუყურებდი,
თოვდა, თოვდა, თოვდა, თოვდა,
ვეებერთელა ფანტელები
მახსოვს,
თავსაყრელად მჭონდა.
შემძლებოდა,
იმ ფანტელებს
რა სიამით გაჩუქებდი,
საჩუქარი იქნებოდა

თეთრი,
თეთრი,
თეთრი,
თეთრი...
წარმოვიდგენ,
რამოდენა
ასე მძიმედ დატვირთულებს ისეთი ჯაფა დაგვადგა იმ თოვლის ზვინების გარღვევაში, რომ დაღლილობისაგან მუხლთ გვეკეცებოდა. ჩემდა ჭირად, იმ გზაზე ერთი დიდი, გადაქცეული ხე იდო, რომელიც მთლად თოვლში გახვეულიყო. მიშამ მითხრა: მოდი, აქ დავსვენოთო, მეც დავყაბულდი; იქვე ჩავსხედით თოვლში, ზურგი იმ ხეს მივაყუდეთ და დაახლოებით ერთი საათი ვიჯექით ისე, რომ ჩაგვძინებოდა კიდეც ცოტა. უცბად მე გამომეღვიძა და დავინახე, რომ მიშა თოვლს დაეფარა. უმალ წამოვახტუნე. ის ჩემზე წინ წამოდგა. მეც წამოვდექი, მაგრამ, ვაი, იმ წამოდგომას. ჩემი მარჯვენა ფეხი აღარ მემორჩილებოდა, თითქოს ხის ფეხი მაბიაო, ეღარც მუხლს ვხრიდი და ეღარც ნაბიჯს ვდგამდი ხეირიანად. წინ მიშა მიდიოდა, ხოლო მის ფეხდაფეხ მე მივლასლასებდი კარაბინაზე დაბჯენილი, რომელსაც ისე ამოვსებოდა კლიტე, რომ დამჭირებოდა, ვეღარც ვიხმარდი, რადგან უკვე გაყინულიყო. აქ კიდევ, დაჰკა გაჭირვებულსო! და გეგონებოდათ, ვითომ ბუნებაც ჯიბრს მიწევდა: ზოგიერთ ადგილს ისეთი აღმართი იყო, რომ ვეღარც ჩემი „ყავარჯენი" მშველოდა. ამიტომ, მიშა მაწვებოდა უკნიდან, რომ ნაბიჯი გადამედგა წინ. მე მიგხვდი, რომ ჩემი წინდაუხედაობით მომიგიდა ასე: ორივენი ხომ გაოფლიანებულები ვიყავით და ლამის ერთი საათი ვისხედით თოვლში! ცხადია, უმოძრაო მდგომარეობაში წამიერად წამყინა მუხლი. ამის გამო, სულ უფრო და უფრო მიძნელდებოდა სიარული. მიშამ რომ დაინახა, რა დღეში ვიყავი, მითხრა: გადაადგე ფქვილო, მაგრამ მე არ დავთანხმდი: „იმდენი ხალხი უპოროდ არის; რას ამბობ, როგორ შეიძლება"-მეთქი. ბოლოს, რაკი ძალზე მიმიჭირდა სული, ესღა ვთხოვე: წადი შენ, ბინაზე შეატყობინე ჩვენი უბედურება, ბიჭები წამოვლენ, ფქვილს აიკიდებენ და ნელ-ნელა როგორმე მეც ამოვალ-თქო ბინაში.

მიშა წავიდა, მაგრამ მარტო როდი დაგრჩი დიდ ხანს. თვალის დახამხამებაში მოეცვივდა სამი შეფიცული: ერთმა ფქვილი წამოიგდო ზურგზე, ორი მე ამომისხდა მხრებში და, როგორც იქნა, ავედით ბინაში, რომელიც შორს აღარ იყო. ყველა შეწუხდა ჩემი ავად გახდომის გამო, თუმცა, ვინც ავად ხდება, განა ყველა კვდება! თანდათანობით გამოსწორდა მდგომარეობა და რაზმელებიც კვლავ მოვიდნენ სიცილისა და ხუმრობის ხასიათზე.

თითქმის ერთ თვეს გასტანა ჩემმა მუხლის ტკივილმა. რით უნდა შეეშალა. მანამ ეს თოვლი არ გაითქვიფებოდა, ექიმთან ვერავის გავგზავნიდით, ამიტომაც ითავა თითონ ქაქუცამ ჩემი ექიმობა. მაგრამ ასპირინის და ჭინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქონის მეტი არაფერი არ გაგვაჩნდა. საბედნიეროდ, გვქონდა თითქმის ყველანაირ რევმატულ დაავადებათა უებარი წამალი — ნავთი! და აი, ქაქუცა ამ ჩვენი მშფოთვარე დღეების ყველა სოციალურ თუ პოლიტიკურ ჩირსატკივართა გამიმწვევი „შავი ოქრო“-თი მიკეთებდა მასაჟებს. ამან შესანიშნავი შედეგი გამოიღო. ასეა ყოველთვის, რაც რომ ერთსა რგებსო. მეორესა სწყენსო! ეს საშუალება ქაქუცას საკუთარ ჭრილობაზე ჰქონდა გამოცდილი ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს, დიდხანს უკეთებდნენ მას მაშინ მასაჟებს, რომ მარჯვენა ხელი მთლად არ წახდენოდა ჭრილობისაგან და ახლა კი მე მომარჩინა ამ უბრალო, თუმცაღა ფასდაუდებელი, ბუნებრივი საშუალებით. მთელი ამ ხნის განმავლობაში, სანამ მე ფეხი მტკიოდა, ქაქუცა დანარჩენ რაზმელთაგან გზავნიდა საქმეებზე ხან ხუთ კაცს. ასე გაგრძელდა, ვიდრე მთლად არ მომირჩა ფეხი.

●

ერთ დღეს ერთი ჩვენი მოკავშირე მოვიდა ჩვენთან. მან შეგვაჯუობინა, რომ ახმეტის რეკომის თავმჯდომარე თიანეთში აპირებდა წასვლას თორეტი მილიციონერით. ჩვენ დიდი ხანია გვინდოდა იმის ხელში ჩაგდება, რადგან ძლიერ შეაწუხა ახლო-მახლო სოფლებში იმ საძაგელმა პიროვნებამ და ამისათვის გვიჭვეწებოდნენ, როგორმე მოგვაშორეთო. ჩვენ მას სალოვკაში ხომ ვერ გავგზავნიდით. მაშასადამე, ერთი გამოსავალიღა რჩებოდა; უნდა მოგვეკლა, და რომ გავიგეთ თიანეთში აპირებსო წასვლას, ძალიან გაგვიხარდა. ქაქუცამ მაშინვე დაიწყო ამ საქმეზე წასასვლელი რაზმელების შერჩევა. აქ მე ავტყდი, ერთი მთაგანი მე უნდა ვიქნე-თქო, ამაზე ქაქუცაც ამიხირდა და დანარჩენმა შეფიცულებმაც მას აუბეს მხარი; ჯერ რიგიანად არ ხარ მორჩენილი და შენი წასვლა არ შეიძლებაო. მე საშინლად ვწუხდი, რომ ერთ თვეზე მეტი ხდებოდა, რაც ასეთები დადიოდნენ საქმეებზე, ხოლო მე კი შინ ვიჯექი ნაცარქექიასავით. ამის გამო ბოლოს მაინც გავიყვანე ჩემი და ექვსი კაცით წავედი დავალების სისრულეში მოსაყვანად.

ამდენი ხნის შინ ჯდომის შემდეგ მართლაც სასიამოვნოდ მომესალბუნა მაღალმთიანი ზამთრის სუსხიანი ჰაერი. როგორც საქართველოს მთებს სჩვევია, თოვლი ჯერ კიდევ იდო, თუმცა ნაკლები, და თან ისე იყო ათქვეფილი ხალხისა და საქონლისაგან, რომ იმის შიში აღარ გვქონდა, ვაი თუ ჩვენს კვალს გამოპყვნენ და გვიპოვონონ. ამიტომ მივაბიჯებდით უზრუნველად, მაგრამ ამ ჩემ სილაღეს მალე შეეკვეცა ფრთები; მოულოდნელად ისევ მიღალატა ჩემმა ფეხმა! ძლივს მივლასლასებდი, ჩემი გაჭირვების შემყურე ამხანაგები გადამეკიდნენ: შინ დაბრუნდიო, მაგრამ მე მათ არაგზით არ გავუგონე, საშინლად ჯავრი მომდიოდა საკუთარ თავზე, მაგრამ მაინც აუცილებლად გადავწყვიტე წასვლა და გულში კი ვთქვი: „რაც მომივა, მომივიდეს; თუ ჩემი იღბალია ასეთი, ჯანი გავრდეს“-თქო. როგორც იქნა, მივაღწიეთ იმ შარაგზას, რომელიც ახმეტიდან თიანეთში მიემართება. ჩვენ ვიცოდით, რომ იმ გზას არ ასცდებოდა რეკომის უფროსი. იქ ამოვირჩიეთ ერთი მოხერხებული ადგილი და გზა შევკარით. მე, როგორც კოჭლს, ალაგი მომიჩინეს მაღლობზე, საიდანაც ზუსტად იმ პუნქტს დავყურებდი, გზა რომ გვქონდა შეკრული. ეს იმ მიზნით მივისაზრეთ, რომ თუ ამხანაგებს გაუჭირდებოდათ, მე მაღლიდან უნდა დამეწყო სროლა.

დილიდან მოყოლებული ისე ვისხედით მთელი დღე, რომ მილიციონერები არც დაგვლანდებიან. ბოლოს საღამომაც მოატანა, მაგრამ მაინც არ დაადგა საშველი იმათ გამოჩენას, ვისაც ველოდებოდით. უცებ, ჯერ კიდევ შორით შევნიშნეთ, რომ თიანეთიდან რაღაც ამალა მოდიოდა ახმეტის მიმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თულებით. ჩვენ ყურადღებით დავაკვირდით დურბინდებით და გავარჩიეთ რაღაც ორცხენიანი ჩასაჯდომი, რომელსაც ზურგში ცხენებზე ამხედრებული ექვსი თუ რვა მილიციონერი მოსდევდა. ჩვენ უმალ გადავწყვიტეთ მათი გაჩერება და, სასროლ მანძილზე გაგვისწორდნენ თუ არა, მაშინვე ავამოქმედეთ იარაღი. ამ სროლას ემსხვერპლა ერთი მილიციონერი, ორი დაიჭრა, ხოლო დანარჩენებმა კი ჩვეულებისამებრ უკან მოპკურტლეს.

ჩვენ, რასაკვირველია, აზრზეც არ ვიყავით, თუ რა მიჭერნდათ იმ მიტოვებული ოთხთვალათი. გასინჯვისას, თითქოსდა ზღაპარში ხდებო, მასში გადასახადებში აკრეფილი, ჯერ ისევ დიდრონ, ქართულ ტომრებში ჩატენილი ფული აღმოჩნდა! ეს ხომ, მართლაც, მოულოდნელი ღვთის წყალობა იყო და, აბა, ხელს როგორღა ვკრავდით. ახლა საზრუნავი ისღა გაგვიჩდა, რომ შინ მშვიდობით აგვეტანა ყველაფერი წანართმევი ეს კაკალი. თუმცა ფულთან ერთად მილიციონერებმა ცხენებიც გვიბოძეს, მაგრამ უნაგირიც ხომ არ ექნებოდათ თან წამოღებული მარქაფად, რომ ისიც მზამზარეულად მოერთმიათ ჩვენთვის. აი, მხოლოდ ესღა გვაყოვნებდა, რომ შინისაკენ გაგვეტია.

მოგეხსენებათ, რომ დიდ შარაგზას არასოდეს არ აკლია მიმსვლელ-მომსვლელი. ამის გამო, რაიმე ექვის თავიდან ასაცილებლად ჩასაჯდომიდან ერთი ცხენი გამოვუშვით მგზავრების გამოვლის მოლოდინში. მალე, ჩვენდა იღბლად, ცხენოსნებმა გამოიარეს. ჩვენ ერთ მათგანს უნაგირი ვთხოვეთ, ის მყის დაგვაბარეს სიამოვნებით, რადგან მაგიერში იმდენი ფული მივეცით, რომ უნაგირს კი არა, ცხენსაც იყიდდა. ახლა, რაკი აღარაფერი გვიშლიდა ხელს, ის ტომრები ცხენს ავკიდეთ; მე, როგორც კოჭლი, ყველივით ზედ შევჯექი და გზას გავუდექით შინისაკენ. ამასობაში, როგორც ამგვარ მბრძანებელს შეეფერება, ჩემი მცირერიცხოვანი ამალიდან ორი რაზმელი წამოვიმიღოდა, შეაში მე მივდიოდი, გვერდში ერთი რაზმელის თანხლებით, ხოლო ორნი უკან მომყვებოდნენ.

ტყეში გაჭრილ კაცს კურდღლისებური სიფრთხილე ჰქონია: შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო! ამისათვის, კი გვარიანი მანძილი ვიარეთ შარაგზით, რომ მარჯვე ადგილი გვეპოვა ტყეში შესასვლელად. ჩვენ საკმაო დიდი გზა გვქონდა გავლილი, რომ ანაზდეულად უკნიდან სროლა აგვიტეხეს. შეფიცულები თვალს დაბაბმებაში გამაგრდნენ და სროლას სროლითვე უპასუხეს. მდევარს მეტნაწილად მე ვყავდი მიზანში ამოღებული, ვინაიდან ხედავდნენ, რომ მე მიმყავდა ფულით დატვირთული ცხენი. რაღან შეეტყვე, რომ იერიში ძირითადად ჩემზე იყო მოტანილი, ჩამოვქვეითდი და შევეცადე ფულაკიდებული ცხენი ტყეში შემეფარებინა, რომ ამხანაგებს მივშველებოდი, მაგრამ იგი არასგზით არ გადადიოდა არხს, რომელიც გზას ჩამოსდევდა. მაშინ კი გაეცალებულ გულზე მივუბრუნდი და კონდახით კინაღამ ჩავუმტვრიე გვერდები. ახლა კი იკადრა გადმოტრამა. მე ისე სასწრაფოდ შევფარე ტყეში, დავაბი და ჰაიპარად მივაშურე ამხანაგებს მისაშველებლად, თუმცაღა დიდ ხანს როდი გასტანა სროლამ, ვინაიდან მილიციონერებმა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც თავიანთი სიცოცხლე არჩიეს და მოჰკურტლეს. ამის შემდეგ ჩვენ სულ მალე ვიპოვეთ საქონლის ფლოქვებისაგან ათქვეფილი გზა, შარაგზიდან გადავუხვიეთ და სრულიად არხეინად მივედით ბინაზე.

შინ მისვლისას, ყველივით შემჯდარი რომ დამინახეს ფულით დატვირთულ ცხენზე, შეფიცულებმა სიცილი ასტეხეს. აბა, ვინ მოელოდა, რომ სრული-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ად სხვა საქმეზე წასულნი ასე ხელდა-შეკვეთებულნი დავბრუნდებოდით! საწყენი იყო მხოლოდ ის, რომ ჩვენი ძირითადი ამოცანა ვერ მოვიყვანეთ სასრულეში.

ალბათ, [illegible]ეკითხეთ, რა მოხდა, რომ ასე შეიცვალა გეგმა? რეკომის უფროსს დილით უნდა გამოვეცალო. როგორც ჩანს, მან შესცვალა იგი და ამის გამო ვეღარ შევხვდით ერთმანეთს. მერეღა გამოიარეკა, თუ რა მიზეზით მომხდარა ეს: როცა ჩვენ მილიციასთან მოგვიხდა იარაღით შებმა. იგი თურმე სწორედ იმ საღამოთი მიდიოდა თავის მილიციონერებით, ბათქა-ბუთქის ხმა რომ შესმიათ, შეჩერებულან. მერე ჩვენს მიერ დაფრენილი მილიციონერებიც იმათ შეერთებიან და შეერთებული ძალებით გამოგვდგომიან. პატარა ხნის სროლის შემდეგ კი ერთადვე მოუსვეს უკან. აი, ამნაირად გადარჩა მაშინ ის საძაგელი ქართველი, ანტიკის რეკომის უფროსი, მაგრამ საბოლოოდ. კარგა ხნის შემდეგ, მას მაინც ჩვენს ხელში ეწერა ჩავარდნა.

❀

ამ თავგადასავლის შემდეგ მე კიდე კარგა ხანს მომიწია შინდარჩენამ, სანამ ფეხი მთლად მომირჩებოდა. ამაოსობაში გაზაფხულმაც მოატანა; ტყემ საყვარლად დაიწყო გაჩითვა. თითქმის ჭალებიც გაიფოთლა. აი, ახლა იწყებოდა ჩვენი მოქმედების დრო. დაინიშნა დღეც, რომ ბინა დაგვეტოვებინა და ბარისკენ წავსულიყავით. რასაკვირველია, დანიშნულ დღეს სოფელში გავგზავნეთ შესანახად. თუმცაღა ამგვარ გაწამაწიაში გაკიბრეებაც ბევრი გვადგა, მაგრამ სიცილსა და ხუმრობას თავს მაინც არ ვანებებდით, ხუმრობის საგნად, რა თქმა უნდა, მეტნაწილად ჩვენივე რაზმელები გვყავდა ამოჩემებული. მაგალითისთვის ასეთ შემთხვევას მოგიყვებით: რაზმში ერთი რაფიელ ერისთავი გვყავდა — იმედია, ილიასა და აკაკის თანამედროვე და თანამეკალმე არ გეგონებათ სახელისა და გვარის უბრალო თანადგომისთვის გამო. ეს გახლდათ ერთი ხერხერა, შუა ტანის კაცი, ძალიან მაგარი ვაჟკაცი, უაღრესად პატიოსანი და გულუბრყვილო ადამიანი, ხოლო ჩინით კი მეექვსე ფეხოსანი ათასეულის ყოფილი ოფიცერი. როცა ჩვენ ბინას ვტოვებდით, რაფოსთან მივედი და ვუთხარი: „ბელადმა მითხრა გადმოგცე: ჩემს მიწურ ქოხს კარები ჩამოხსენი და წამოიღე“-ო. ეს იყო მალაქიას ხელით გათლილი, წიფლის ხის საშინლად ტლანქი კარები, რომელიც, ალბათ ფუთანახვევარი გამოვიდოდა, ამასობაში შეფიცულები გამოსულიყვნენ და ქაქუცა ათვალიერებდა, ყველანი გარეთ არიან თუ არაო, მე იქვე შორიახლოს ვიდექი და სიცილს ძლივს ვიმაგრებდი, რადგან ვიცოდი, რაც უნდა მომხდარიყო, ქაქუცამ შეამჩნია, რომ რაფო არ ჩანდა შეფიცულებს შორის და დაიძახა: „რაფო, სადა ხარ? რა დაგემართა?“-ო, რაზედაც პასუხად მოისმა: „ემ საათში, ბელადო“-ო, და პატარა ხანში თვითონაც გამოჩნდა ზურგზე კარებ წამოკიდებული! ამის დანახვაზე ქაქუცამ შეუტია: „რა არის? რას მოათრევ?“-ო, და თან სიცილი წასკდა. რაზმელებს ხომ, ნუღა იტყვით: მეტის მეტი ხარხარისაგან ზოგიერთები დედამიწაზე გორაობდნენ. სახტად დარჩენილმა რაფომ მხოლოდ ესღა ამოღერღა: „აკი, თქვენ გიბრძანებიათ, ჩემი ქოხის კარები წამოიღე“-ო. „გადაადგე, რა ეშმაკად გინდა“-ო, მიუგო ქაქუცამ მას და მერე კი მე მომიბრუნდა: „ეს სულ შენი ეშმაკობაა“-ო. ამ მხრივ, მე იმდენად მჭონდა სახელი გატეხილი რაზმში, რომ ვისაც რა არ უნდა ეხმანკლა, კაკალი მაინც ჩემზე ტყდებოდა ხოლმე!

მას შემდეგ, რაც ცხენზე დასაპალნებული ფულით მივედით ზამთრის ბინაში, საკითხი დადგა იმის თაობაზე, თუ რა გვექნა გინდ ცხენისა და გინდ იმოდენა ფულისთვის. ცხენს „პარტიზანი“ დავარქვით. ის ისეთი ჭკვიანი პირუტყვი გამოდგა. რომ ყველას შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უყვარდა და ყველა მას ეალერსებოდა, თუმცა. როგორც ყოველთვის, მის შემთხვევაშიაც იჩინა თავი სიძნელემ: რა უნდა გვეკმია პარტიზანისათვის? რადგანაც სოფლიდან თვის ამოტანა შეუძლებელი იყო, პურს ვაკმევდით და ალაგ-ალაგ გამხმარ ბალახს ვუგროვებდით ტაეასა და პატარა ველებში. მერე გაიჩვია და თვითონაც შოულობდა საკმელს. საღამოთი ის მოვიდოდა, ამოჩემებულ ადგილზე დადგებოდა ხოლმე ბინის ახლოს და გვიყურებდა. იმავ წამს მასთან ჩნდებოდნენ რაზმელები; ეალერსებოდნენ, სწმენდადგნენ, პატარა პურს შეაკმევდნენ და ამით თითონაც ერთობოდნენ, ასე თითქმის თვენახევარი დაჰყო ჩვენთან პარტიზანმა, მანამ იმ ბინას დავტოვებდით, მერე კი იგი მთიელებს მივეცით, ვინაიდან იქ მას ადვილად ვერ იპოვნიდნენ კომუნისტები.

ასევე მოხდა ფულის საკითხშიც: ჩვენ ცოტა რამეში თუ გამოვიყენეთ ის, მაგალითად, თამბაქოს ან რაღაცა წვრილმანების სასყიდლად, თორემ დანარჩენი ჩვენს მოკავშირეებს დავურიგეთ სოფლებში.

ზამთრის ბინიდან ჩვენ რვა კილომეტრის მანძილზე მდებარე აზმეტის ტყეში გადავედით და იქ დავბანაკდით. იქიდან ვგზავნიდით შიკრიკებს; იქვე მოდიოდნენ ჩვენი მოკავშირეები ცნობების მოსატანად. ერთ დღეს პირადად ჩემთან მოვიდა ერთ-ერთი ჩვენი მოკავშირე ანდრია ყურაშვილისაგან. მე მას კარგად ვიცნობდი და ვენდობოდი კიდეც. იგი სოფელ იყალთოში ცხოვრობდა; იყო პატიოსანი კაცი და კარგი ოჯახის პატრონი. რადგან ქაქუცა მას არ იცნობდა, ანდრია მე მთხოვდა ბელადთან შუამდგომლობას, რომ მისი ნდობით მიგვეღო რაზმში ერთი ახალგაზრდა ბიჭი, მისი ნაცნობი, რომელსაც ვიღაც კომენსიტი შემოკვდომოდა. მე რომ ეს ამბავი ქაქუცას გავუზიარე, მან მითხრა: „რადგან შენ კარგა იცნობ და ენდობი, მივიღოთ“-ო. მე, ჩემი ძმრივ, მოკავშირეს დავაბარე ანდრიასთან: „შენი ნდობით მიგიღებთ და გამოგზავნე“-მეთქი.

ორი თუ სამი დღე გავდა ამ შეთანხმების შემდეგ, რომ ჩვენთან მოიყვანეს დაახლოებით ოცი წლის ჭაბუკი; სულ მთლად ქერა, თითქმის წვიოელი, გეგონებოდათ, ცეცხლიდან გამოვარდნილაო, ალბათ, გაგიგონიათ: წითურ კაცზე ისევე არ იქნება ნდობა, როგორც წითელ ტურაზეო, და გულახდილად უნდა ვთქვა, რომ თავის დღეში არა მჭონია ამფერი კაცის ნდობა. ამისათვის არ მესიამოვნა მისი მოსვლა, მაგრამ ახლა უკვე გვიან იყო. ეს ჭაბუკი გახლდათ ტარასი ჩხეტიანი. როგორც წესი, ჩვენ ისიც შევიაიარაღეთ, შევასწავლეთ ყველაფერი, მივალებინეთ ფიცი და გახდა ვითომ შეფიცული! ახლა იმანაც დაიწყო საქმეებზე სიარული სხვებთან ერთად და დიდი მონდომებითაც. როდესაც ვინმე იგზავნებოდა სადმე, ისიც თხოულობდა, რომ თან გაჰყოლოდა, ესეც უნდა თქვას, რომ ის საკმად ფხიზელი, მარდი და დაუზარელი ყმაწვილი გამოდგა და, ამრიგად, აღარც ჩვენ ვუშლიდით. ტარასი ხშირად დადიოდა საქმეებზე, ანდა სანოვაგეს მოსატანად, ასე დაჰყო მან ჩვენთან თვენახევარი.

ერთ დღეს ქაქუცამ სამი კაცი — მალაქია, კურდღელა და ჩხეტიანი — გაგზავნა საქმეზე. ისინი რამდენიმე ადგილზე უნდა მისულიყვნენ. მათ ერთგან უკვე მოასწრეს მისვლა და, როცა მეორე ადგილას აპირებდნენ წასვლას, ჩხეტიანს ცამ უყო პირი თუ დედამიწამ, ამხანაგებმა მის ასავალ-დასავალს ვეღარ მიაკვლიეს. აშკარა იყო, რომ მან ისინი მოატყუა და გაიპარა. მალაქია და კურდღელა მაშინვე მიხვდნენ მის სიმუხთლეს და იმ წამს შინ დაბრუნდნენ. მეორე დღესვე თოფივით გავარდა ხმა, რომ ერთ-ერთი ჩვენი რაზმელი მოღალატე აღმოჩნდა!

მკითხველისთვის ძნელი როდი იქნება იმის წარმოდგენა, თუ რა შედეგი უნდა მოჰყოლოდა ამ გამცემლობას. სადაც კი მიიყვანეს მოკავშირე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებთან ტარასის ფანქრით თურმე ყველგან მიუწერია რაღაც სიტყვა კედელზე. ისედაც დაბაზული ყველა, ვინც შეძლო. ამგვარად, დაიწყო ჩეკამ ხალხის დატუსაღება; აწოოკდა სოფლები, მაგრამ საქმე ამით როდი დამთავრდა. შემდეგ ჩეკამ ოცდახუთი კაცისაგან შემდგარი რაზმი ჩამოაყალიბა, უფროსად თვით ჩხეტიანი ჩაუყენა სათავეში და ჩვენს სადევნელად გამოგზავნა. ამის გამო მე მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩავვარდი, მიუხედავად იმისა, რომ ქაქუცას არამც თუ უთქვამს ჩემთვის რაიმე სამდურავი, არც კი უგრძნობინებია. მე მაინც საშინლად ვნაობდი, რად მოვათრიე ისეთი მოღალატე-მეთაქი. სამწუხაროდ, ვეღარ მოვასწარი იმის გამოკვლევა, ანდრია ყურაშვილიც ამ ღალატის მონაწილე იყო, თუ ისიც ჩვენსავით გააცურეს. ამნაირად არის ეს საკითხი ბურუსით მოსილი დღემდე.

წარმოუდგენელია, რა ატმოსფერო შეიქმნა რაზმში. შეფიცულები მგლებივით მიიწევდნენ, რომ ტარასი საჩქაროდ ჩაგვეგდო ხელში სადმე. მათ ისევ ქაქუცა ამშვიდებდა: „მოიცათ, აჩქარება მუდამ კარგი არ არის“-ო. სწორედ იმ დღეებში ამბავი მოგვივიდა თბილისიდან, რომ რამოდენიმე კაცით ჩვენთან მოდიოდა ვანიჩკა ყარანგოზაშვილი. რომელსაც კარგა ხანია მოველოდით. ჩვენ მაშინვე შევუდექით თადარიგს, რომ რიგიანად დავხვედროდით ახლადშემმატებულ რაზმელებს. მეორე დღესვე მოვაყვანინეთ ორი საუკეთესო ჭედილა; თანვე მოვაყოლებინეთ ცოტაოდენი სასმელი და, საერთოდ, რაც კი შეიძლებოდა ... ...

აბდურაჰმან ავტორხანოვი

სტალინის სიკვდილის საიდუმლო

დარტყმა გერიას მამულზე

სიხსნელთ და ეგონ სტალინი ქართველი იყო, მაგრამ სტალინის ქართული ბუნებაზე საუბარი არ ბერხდება. ბრწყინვალედ დაახასიათა სტალინის ეროვნულობა მისმა ზვიადმა, პატარა ვახიან, როცა მან თავის დას ხვეტლანას სრულიად ახალი ამბავი ამცნო: „იცი, რომ ჩვენი მამა უწინ ქართველი იყო“! სტალინი ალარ ქართველობდა, მაგრამ ვერაფერით მოიცალა ეროვნულობა. რომ რუხი არ იყო, თუმცა მის გადალახვას ნაციონალურ ხასიათში „ველოკრუპობის“ მოჩვენებითი ქედაგებით ცდილობდა. სწორედ ამ საფუძველზე ზეიქმნა 1922 წელს სტალინის ზეშთა აღნიშნული პირველი „ქართული საქმე“, როცა იგი ცკ-ის გენერალურ მდივნად დაინიშნა.

სტალინი სწორედ საქართველოში ეძებდა გამოდგმებით ნაციონალიზმის აღმოფუფხვრელ ნარჩენებს. რამდენადაც ყველა ქართველი მეშამფულე. მეზშეკიეები და „ნაციონალიზ-უკლონისტები“ ფეზიკურად დიდი ხანია მოსპეს (გარდა იმათი, ვინც მოასწრო ემიგრაციაში წასვლა), სტალინი ახლა ახალგაზრდა ხელმძღვანელ კომუნისტებს შორის ჩხრეკდა და ეძებდა „ნაციონალისტებს.“ და რადგან ქართველ ახალგაზრდა ხელმძღვანელთა დიდი უმეტესობა ბერიას უშუალო მოწაფე და პირადად მისი დაწინაურებული იყო, გროგდებოდა უამრავი ამბავი, რაც მომავალში თვით ბერიასთან დასაპირისპირებლად გამოდგებოდა.

აკამდის ბერია, მისი ინფორმაციი მოგერბეზულობის ნეკალოთით, ხელშეუხებელი რჩებოდა, როგორც კი სტალინი იწუხებდა საქართველოს ახალი ეროვნულობის საშიშროების, ბერია უმალ საქმეზე ერთვებოდა და თვით ხდებოდა მისი შემზრულებელი, მაგრამ, როგორც ეზნი, არაჩოდეს ეზეიდა ცკ-ის უცალელ პირველ მდივანს კ. ჩარკვიანს. ამგვარად, ბერია ხსნიდა თავის ერთ მოწაფეს, ნიშნავდა მეორეს, არა ნაკლებ ერთგულს და იცავდა თავის უტაუერ მხარდამჭერს, ჩარკვიანს. სანამ სტალინი გაიგებდა, რა ხალხი მოვიდა საქართველოს ბელისუფლებაში, საკმაო დრო გადიოდა.

ასე შეიკრიბა 1949 წლის ხელმძღვანელობა იმ ადამიანებისაგან, რომელებმაც ყველა ნინა წმენდა გაიარეს. მართალია, ბერიამ რეხუბლიკის ხელმძღვანელთა უმეტესობა მეგრელთა შორის ამოარჩია, მაგრამ სწორედ ეს გაზღდათ ხელმძღვანელი კადრების სტანილურობის გარანტია და, ამავე დროს, ბერიოდელი წმენდების დასასრული, რომლითაც ქართული ინტელიგენცია ძლიერ ზარალდებოდა. ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ბერიამ დანიშნა ხალხი, რომელთაც ბოლოშდე ენდობოდა. ეზენი იყვნენ მისი წრის ჩეკისტები ან პირადი მეგობრები, რომელთა შესახებაც ცოტა რამ თუ იცოდნენ, როგორც მოსკოვში, ისე საქართველოში. ასე დაინიშნენ არა მარტო ცკ-ის მდივნები, არამედ საოლქო კომიტეტების, ქალაქკომებისა და რაიკომების მდივნები.

ამბობენ, როცა ბერიამ დასამტკიცებლად წარადგინა ცენტრალური კომიტეტის მორიგი სია, სტალინს ირონიულად უკითხავს: „ესენი რა, ყველანი პარტიის წევრებია არიან?“ ამ ირონიაში იმალებოდა საუვდური, რომელიც ბერიამ პირველად მიიღო სტალინისაგან მთელ მისი მრავალწლიანი ერთგული სამსახურის მანძილზე. ბერია კარგად იცნობდა სტალინს და ეს ყოველი როგორც უმორჩილესი მინიშნება მათი ურთიერთობის შესახებ გაუარესებაზე.

შემდეგი მოვლენები გვიჩვენებენ, რომ სტალინმა საქართველოში ბერიას მოკმედებებში თავისთვის არალეიალურობა დაინახა. როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევებში, მან დაიწყო ბერიას ძველი „პირადი საქმეების“ ჩხრეკა (სტალინი არასოდეს ანადგურებდა თავისი „თანამებრძოლებისა“ და „მოწაფეების“ მადონკრეიტირებელ მონაცემებს ცკ-ის არქივებში). იქ კი ინახებოდა არა მარტო ის ძალიან საინტერესო დოკუმენტები, რომლებ-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ №1, 2, 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს შემოთ ვილაპარაკეთ, არამედ ისინიც, რომელთა შესახებაც ალილუეკა გვიამბობს:

„ის (ბერია), მამაჩემის ნდობა რომ მოიპოვა, მისი მხარდამჭერით ძალიან მალე საკართველოს აკ-ის პირველი მდივანი გახდა. ამიერკავკასიაში მოღვაწე ყველი ბოლშევიკი ო. გ. შატოროსკაია მიმიუკვა, თუ როგორ ალაშფოთა ამ დანაშაულმა საკართველოს პარტიულები და როგორ ეწინააღმდეგებოდა ამას ორკონიკიძე... შატოროსკაიამ მიამბო, რომ სამოკლო ოფის დროს კავკასიაში ბერია ორმაგ თამაშს ეწეოდა... ის პროვოკატორად იყო დაბადებული და, როგორც მზვერავი, ხან დაშაკეცს ემსახურებოდა, ხან წითლებს, იმის მიხედვით, თუ კის მხარეზე იხრებოდა გამარჯვების ხასწრაი შატუნოსკაია ამტკიცებდა, რომ ერთხელ ჩვენმა სამხედროებმა ბერია დაიჭაპიჭეს, — ის გამოიკრეს ღალატში და იყდა ხასეკლის მოლოდინში, ამ დროს მოვიდა ს. მ. კიროვის დეპეშა (იგი მაშინ კავკასიაში ოპერაციებს ხელმძღვანელობდა), რომელიც მოლალის დახვრეტას მოითხოვდა. ბერიას დახვრეტა ვერ მოასწრეს, რადგან სამხედრო მოვლენები ძალზე სწრაფად განვითარდა და ამ პატარა კაცუნასთვის ალარავის ეცალა. თვით დეპეშის არსებობის შესახებ იცოდნენ ძველმა კავკასიელმა ბოლშევიკებმა, იცოდა იგი ბერიამაც" (ს. ალილუევა, ოცი წერილი მეგობარს, გვ. 180-181).

ბერიას მიერ თანამდებობებზე შერჩეული კანდიდატურების სია, მალენკოვისა და ხრუშჩოვის მხარდამჭერი, აკ-ის სხდომამ დაამტკიცა. ბერია გიგაზანგა საკართველოს აკ-ის პლენუმზე ამ დანიშვნის გასაფრთხილოდ. ბერიამ იცოდა, რომ ამის შემდეგ საკართველოში ნებისმიერ კაზუსზე პირადად აგებდა პასუხს ხტალინის წინაშე და ამიტომ ღებულობდა ყველა ზომას, რათა საკართველო ხტალინის თვალში კვლავ „სამაგალითო რესპუბლიკად" ქცეულიყო (ეს ცდა ამაო გამოდგა, რადგან ხტალინმა ეპპკვეშ დაიკვნა ბერიას მიერ შერჩეული ხალხის „პარტიულობაც" კი).

ბერიას (რომელიც იცნობდა ხტალინის სულისა თუ უსულობის ყველა ალსტაბს) არ უნდა დაეშვა ასეთი ფსიქოლოგიური შეცდომა: საკართველოს ახალმა ხელმძღვანელობამ დაიწყო „ბერიას კულტის" შექმნა მაშინ, როცა კულტი ყველასთვის ერთი უნდა ყოფილიყო — ხტალინი.

საკართ�eველოს კომუნისტური პარტიის XIV ყრილობა (1949 წ. იანვარი) სწორედ ბერიას კულტის ნიშნით მიმდინარეობს. ყრილობის პერიოდში საკართველოს აკ-ის ორგანო „ზარია ვოსტოკა" ორ სხვა და სხვა ნომერში (27 და 29 იანვარი) საგორიდ თვლის, შეახსენოს ქართველ ხალხს, რომ მას ჰყავს არა ერთი, არამედ ორი „მამა": ბერია და ხტალინი. მაგრამ, რადგან ხტალინი შორს არის, ხალხი ბერია ან პირადად, ან თავის მოწაფეთა სახით სისტემატიურად საკართველოშია და „ზარია ვოსტოკა" მისი აუკვეთილისთვის, მოლარეკეტ მაამებლებსა სახლონი აშკარად ბერიას მხარეს გადახარეს და ამით აგნეს ბანს.

ეს გაბნაკუთრებით გამომეღავნდა აკ-ის არჩევნების დროს. ახალმა ხელმძღვანელობამ აკ-ის საპატიო წევრობის კანდიდატებად წამოაყენა ხტალინი და ბერია, მაგრამ ფარულ არჩევნებში „ერთხმად" გავიდა მხოლოდ ბერია, ხოლო ხტალინზე ბევრმა თავი შეიკავა. მდგომარეობდან გამოსასვლელად ყრილობის კომისიამ გამოაქვეყნა ცნობა აკ-ის წევრებად ხტალინისა და ბერიას არჩევის შესახებ, მაგრამ ამ ცნობაში არ იყო სიტყვა „ერთხმად."

ბერიას მოწაფეთა ეს გაუგნარნი თავხედობა ბისაბა „ეროვდის" ფურცლებზეც (1949 წ. 30 იანვარი), სადაც დაიბეჭდა ინფორმაციები აზერბაიჯანისა და საკართველოს პარტიის ყრილობათა შესახებ. ბაქოდან მოსულ ცნობაში ნათქვამია იყო: „ოვაციით იქნა მიღებული ცნობა იმის შესახებ, რომ აზერბაიჯანის აკ-ის წევრად ერთხმად აირჩიეს ამხ. ი. ბ. ხტალინი". აქვე გვერდით გადმობეჭდილი იყო მეორე ცნობა თბილისიდან „ოვაციით შეხვდა ყრილობა კომისიის ცნობას იმის შესახებ, რომ საკართველოს აკ-ის წევრად აირჩეულია ამხ. ი. ბ. ხტალინი. საკართველოს აკ-ის წევრად აირჩეულია, აგრეთვე, ამხ. ლ. პ. ბერია". რადგან სიტყვა „ერთხმად" არ ახლდა ხტალინის სახელს, იგი ალარც ბერიასთან იხმარეს. ვინც იცოდა აკ-ის ოქმის შემდგენელთა და „ეროვდის" დოკუმენტოსა, სკრუპულოზულობა, მათ ამ ორი განსაზღვრებიდან ამოიკითხეს საუკეთესო საკართველოს კომპარტიისა და ბერიას მისამართით.

ხტალინმა იცოდა ყოველივე ეს, მაგრამ საოცარ მოთმინებას ამეღავნებდა, ეურჩადებით ალეკვნებდა თვალეურს მოკლენებს, აცლიდა მათ თავისით განვითარებულიყვნენ. ზოგჯერ უბიძგებდა კიდეც თავის ხასარგებლად და პოტენციური მოწინააღმდეგის დასალუპავად ჭარმართავდა. ხტალინი თავის თანამშრომლებს საშუალებას აძლევდა მათ შესახებ მისი კრიტიკული შეხედულებები ფაქტებით უარეყოთ. ფიცის მას არ სწამდა, პირიქით, უფრო მეტად ეუღვიებდა უნდობლობას. თვით ყველაზე უახლოესი ადამიანებისადმი ნისა ნდობის კოეფიციენტი ნულის ტოლი იყო, თუკი მათი მოკმედებები პირადად მისთვის არ იყო ხასარგებლო. ეი, ამ ხარგებლობას ვერ ხედავდა ხტალინი საკართველოში ბერიას მოკმედებაში და ამიტომ გადაწყვეტა, პირადად მოეკიდა ხელი ახალი წმენდისთვის. მან ეს წმენდა ბერიას გარეშე ჩაატარა, რადგან იგი უპირველესად ბერიას წინააღმდეგ იყო მიმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთული. ახე წარმოიშვა სტალინის ბოლო „ხალკრთველოს საკმე".

სტალინმა იცოდა, რომ ამ ოპერაციისათვის სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ამაუოფი არ გამოდგებოდა. ხრუშჩოვის ნაამბობით, ამაკუმოფი ნინოსმიერ ნაბიჯს, თვით სტალინის ბრძანებისაც კი, უსარველეს ყოველსა. ბერიას უთანხმებდა. ცხადია, იგი სტალინის გეგმებს ბერიას გააცნობდა. ამიტომ სტალინმა იგი შეცვალა ძველ პარტალარატის ხ. ტ. იგნატეევით, რომელიც გააგზავნა საკართველოში და გაიკოცა მთელი ეშელონი ჩეკისტებისა. მას უნდა დაეპატიმრებინა ბერიას ყველა მეგობარი რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში, ასევე ოლქებში და თურქეთის მოსაზღვრე რაიონებშიც კი.

საკართველოში 1951 წ. ნოემბერში ჩატარებულება ამ ახალმა წმენდამ 1937-38 წლების „დიდ წმენდასაც" გადააკარა. მოხსნეს და დაიპატიმრეს პარტიის საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტების 427 მდივანი, როგორც „ბურჟუაზიული ნაციონალისტები" (ეს ცოდნი დასახელებული იყო 1958 წლის 30 იანვარს გაზეთ „პრავდაში"). დაიპატიმრეს საკართველოს ცკ-ის და მთავრობის თითქმის მთელი შემადგენლობა; ცკ-ის მდივნები ბარამია, შადური... უმაღლესი სბპკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე გოგუა, რესპუბლიკის პროკურორი შონია, იუსტიციის მინისტრი ოყაფა, კომკავშირის ცკ-ის პირველი მდივანი ზოდელეკა. საკართველოს ცკ-ის მიუოოს 11 წევრიდან 7 დაიპატიმრეს. თვით ჩარკვიანი დაპატიმრებას გადაურჩა იმით, რომ ბერიას ულალატა და გადავიდა მათ მხარეზე, ვისაც სტალინმა წმენდა დაუკალა, ესენი იყვნენ, ა. მგელაძე, რომელმაც ჩარკვიანი შეცვალა ცკ-ის პირველი მდივნის თანამდებობაზე და საკართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი რუხაძე.

ამ „საკმეზე" დაიპატიმრეს არა მარტო ბერიას პირადი მეგობრები, არამედ პარტიის მთელი მეგრული ჯგუფი, რის გამოც პარტიულ დოკუმენტებში ამ „საკმეს" ეწოდეს, „მეგრული."

მასიური დაპატიმრებები მიმდინარეობდა ასევე რიგით პარტიულებსა და უპარტიოებს შორის, განსაკუთრებით, ინტელიგენციაში. მათ შორის რამდენი დაიღუპა — უცნობია, მაგრამ ხუკა XX ყრილობაზე ხრუშჩოვმა თქვა, რომ „ხიგიეეფ და უკანონობამ ათასობით უდანაშაულო ადამიანი იმსხვერპლა."

პარტიული გადადგომილების შემდეგ (1952 წ. სექტემბერს) მოიწვიეს XV ყრილობა, სადაც მოიწონეს აღნიშნული დაპატიმრებები და „არადამაკმაყოფილებლად" შეაუახეს ქალაქკომების, ოკრუგების სოლოქო კომიტეტის და სიმეგრელოს მუშაობა. წინა ყრილობისაგან განსხვავებით ამ ყრილობაზე არამცთუ აკენინ ბერიას, მის სახელზე სიტყვითიც ტაბუ ედო.

ა. მგელაძის მოხსენებაში მხოლოდ მინიშნებით თქვეს „ძველი ხელმძღვანელობის სერიოზული „შეცდომებისა" და ქართველი მეგრანთა შემოქმედებაში „ბურჟუაზიული ნაციონალიზმის" შესახებ. მაგრამ არაფერი თქმულა იმაზე, თუ რა „შეცდომების" გამო პატიმრებდნენ და გასამართლების გარეშე ხვრეტდნენ ათასობით ადამიანს. ამჯერად ყრილობის სტალინი ცკ-ის წევრად „ერთხმად" აირჩია (ბერიას გარეშე), რის გამოც „ხიდანს" ან შემწყდარა დელეგატთა ერისულოვანი ოვაციეა („პრავდა," 20 სექტემბერი 1952 წ.). ცკ-ის პირველ მდივნად დაამტკიცეს ა. მგელაძე (მანამდე იგი ოფუსუეთის ხალოქო კომიტეტის პირველი მდივანი იყო), მეორე მდივნად — ვ. ცხოვრებაშვილი, მესამე მდივნად — ვ. ბუკიაშვილი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ზ. კეკუტაელი, მაგრამ საკართველოს ფაქტიური განმგებელი გახდა ცკ-ის ბიუროს წევრი, საკართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი გენერალი რუხაძე.

საკართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსთან 30-ინა წლების მსგავსად შეიქმნა „საგანგებო სამეული" (შემადგენლობაში შეეყენენენ: თავმჯდომარე რუხაძე, წევრები — ცკ-ის პირველი მდივანი მგელაძე და რესპუბლიკის პროკურორი). მათ უფლება მქონდათ ან 20 წლით პატიმრობა მიესჯათ ბრალდებულთათვის, ან „სამეულის" შეზეციანთან დაილუპა ათასობით ადამიანი. მაგრამ წმენდა ამით არ დამთავრებულა, იგი მხოლოდ ახალ ეტაპში შეეიდა, რომელშიც თვით ბერიას ბედი უნდა გადაწყვეტილიყო. სტალინის პირადი მოლაციიდან მომგებრებული გენერლებით რუხაძეს უნდა მოეწყო პოლიტიკური პროცესი, სადაც ძველ ცენტრალურ კომიტეტს დადანაშაულებდნენენ „საქართველოში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციური ცენტრის შექმნაში." მისი რეფერირების მასალიკრით, ხაქმე ისე უნდა წარმოედგინათ, თითქოს ეს „ცენტრი" შეეკრა მუსაკეტელებს და ემიგრაციაში მყოფ ქართველ ნაციონალისტებს, რომლებსაც სურდათ საკართველო მოეწყვეტათ საბჭოთა კავშირისაგან და თურქეთისეის შეეერთებინათ.

რაკიმ დაკრძალა სტალინს, შეიქმნა საკართველოს თურქეთისაკენ სწრაფვის ლეგენდა, რაც საკართველო სწრაფედ თურქეთს გაეკეკა 1801 წელს რუსეთთან შეერთებით? რაკიმ დაკრძალა მამა ქართველი ნაციონალისტებსა და აზერბაიჯანელ მუსაკეტელებს შორის კავშირის გამოგონება, რაც ან მომზადარა ანა კავკასიაში რეფოლუციის დროს და ანა მის შემდეგ ემიგრაციაში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინი ხშირად იმეორებდა: „ავბმული ეეეეცხლოდ არ არსებობს.“ მოცემული შემოხვევაში სტალინმა გადაწყვიტა, ოფიციალურ კავშირ ორარსებული „ავბმული“ და მას საამისო საფუძველი გაანძრა: ბერიას ჯაშუშური „ნათლობა“ ჩრდ 1918 წელს სწორედ ბაქოში, მუსავატურ დაზვერვაში მოხდა.

ყოველისმცოდნე სტალინმა იცოდა ისიც კი, რაც ბერიას აზრით სტალინისთვის უცნობი იყო: კაცი, რომელმაც ბერია მუსავატურ დაზვერვას დაიკავშირა, ახლა თურქეთში ცხოვრობდა და ხელმძღვანელობდა მუსავატურ ცენტრს.

სტალინისთვის ცნობილი იყო ისიც, რასაც ბერია თავის უდიდეს საიდუმლოდ თვლიდა, კერძოდ, მუსავატთა ხელმძღვანელი თურქეთში მოხდა იმის წყალობით, რომ იგი თურქეთ-საქართველოს საზღვარზე ირაფეთგალეკრად გადაიყვანეს საქართველოს სახელმწიფო კოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარემ — ბერიამ.

თითქოს ბერიას წინააღმდეგ სტალინის „ბრალდებათა ჯაკეის“ შესაკრავად მოხდა ასეთი „ხასწეულიც“ — ბერიას „მუსავატელმა“ მეგობრებმა ქართველ ეროგრანტებთან მარილიც დაამყარეს კავშირი, რათა შეეკმნათ „ხაბეთა კავშირის შემსწავლელი მიეწყვნის ინსტიტუტი“ (1951 წ.), რომელიც, ეროგრანტის აზრით, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ფილიალი იყო და მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დივერსიას.

ამ „საკმეზე“ ხაუბრისას XX ეერილობაზე ბრაუშრავს არ ხუოდა და არც შეეძლო ბოლოშდეს გულახდილი ყოფილიყო, რადგან მაშინ მას მოუწევდა ეელიარებინა, რომ სტალინმა ეს „საკმე“ შეკმნა მხოლოდ იმიტომ, რომ საფუძველი ჩაეკარა ბერიას განადგურებისთვის. მოუხდავად ამისა, ასეთი დასკვნამდის მიგიდავართ ამ „საკმის“ ოფთ ბრაუშრავისეული დახასიათებიდან:

სამაგალითოა საკმე მეგრელთა ნაციონალისტური ორგანიზაციისა, რომელიც თითქოს არსებობდა საქართველოში. როგორც ცნობილია ხკკპ ცკ-მა 1951 წლის ნოემბერში და 1952 წლის მარტში ამ საკმესთან დაკავშირებით წარადგინა რეზოლუციები ისე, რომ მათ შინაარსი პოლიტბიუროს წინასწარ არ შეუსწავლია. ეს რეზოლუციები შეიკმნა სტალინის პირადი კარნახით და მათში იყო მძიმე ბრალდებები მრავალი თავდადებული კომუნისტის წინააღმდეგ. ეალნი დოკუმენტების საფუძველზე დაამტკიცეს, რომ საქართველოში არსებობდა ნაციონალისტური ორგანიზაცია, რომელის მიზანიც იყო იმპერიალისტური სახელმწიფოების დახმარებით საქართველოსა საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაცია. ამასთან დაკავშირებით, საქართველოში დაამაგრეს მრავალი პარტიული და საბჭოთა მუშაკი. მოგვიანებით დადასტურდა, რომ ეს ცილისწამება იყო... როგორც გაირკვა, საქართველოში არ არსებობდა არავითარი ნაციონალისტური ორგანიზაცია. ათასობით უდანაშაულო ადამიანი სიგიჟისა და უკანონობის მსხვერპლი გახდა. ყოველივე ეს „ქართველი ხალხის დიდი მამის,“ — როგორც ქართველებს უყვარო თქმა, სტალინის „გენიალურ“ ხელმძღვანელობით მოხდა (მოხსენება ხკკპ XX ყრილობის დახურულ სხდომაზე, გვ. 42-48).

მოგვიანებით ბრაუშრავმა მიიწვა ალიარა: „ჩემი ეკვი, რომ სტალინს ეშინოდა ბერიასი, დადასტურდა, როცა სტალინმა მეგრელი საკმე შეკმნა. მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ეს საკმე შეკოწიწებული იყო, რათა მოეცილებინათ ბერია, რომელიც თავადაც მეგრელი იყო“ (ბრაუშრავის მოგონებები, გვ. 388).

ეს „საკმე“ რომ ბერიას წინააღმდეგ იყო მიმართული, ამის დამამტკიცებელი საბუთი სხვაც არსებობს: 1953 წლის 5 მარტს სტალინი გარდაიცვალა, მაგრამ მის დასაფლავებამდე, ვ. გ. დეკანოზოვის ხელმძღვანელობით, თბილისში ჩამოვიდა ჩეკისტების ახალი ეშელონი (დეკანოზოვი ადრე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო), იგი თავის დროზე ბერიამ დაანიანურებინა, და აი, დეკანოზოვმა და მისმა თანაშემწეებმა დაიწყეს ახალი დაპატიმრებები.

ამგვარად საქართველოს ცკ-ის 11 წევრიდან დაიპატიმრეს 8 კაცი: საქართველოს ცკ-ის პირველი მდივანი მგელაძე (დაინიშნა მირცხულავა), მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კეცხოველი, სახელმწიფო უშიშროების მინისტრი გენერალი რუხაძე, დაპატიმრეს ცკ-ის ყოფილი პირველი მდივანი ჩარკვიანი (ალბათ, ბერიას დალეტისთვის). და ათობით სხვა პასუხისმგებელი პირი, რომელნიც ბერიას წინააღმდეგ საქმის შეკმნაში მონაწილეობდნენ. ამავე დროს, პატიმრობიდან თავისუფლებიან ცკ-ის და მთავრობის ძველი ხელმძღვანელები, რომლებიც სიკვდილს გადაურჩნენ.

მთავრობის ახალი შემადგენლობის დასამტკიცებლად აპრილში მოიწვიეს უმაღლესი საბჭოს სესია. ამ სესიაზე მინისტრთა საბჭოს ახალმა თავმჯდომარემ ბ. ბ. ბაკრაძემ თქვა:

„სამინისტროების ხელმძღვანელობისთვის ყველა აქ წარმოდგენილი კანდიდატი ჩვენი ძლიერი კომუნისტური პარტიის წევრია (დგვეთანებული პასუხი სტალინის კითხვაზე? — ა. ა.). ისინი ქართული პარტიული ორგანიზაციის აღზრდილები არიან, რომელსაც წლების მანძილზე მართავდა საქართველოს ღირსეული შვილი, დიდი საბჭოთა სახელმწიფოს გამორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილი ხელმძღვანელი ამხანაგი ლავრენტი პავლეს ძე ბერია" (ხანგრძლივი ტაში), (გაზეთი "ზარია ვოსტოკა", 1953 წ. 15 აპრილი).

ქმნიდა რა თავის ბიჯი „ქართველ ხალხს" სტალინმა, ცხადია, ბოლომდე ვერ შეიფასა ბერიას განსაკუთრებული შესაძლებლობები: მისი უსაზღვრო დიდებისმოყვარეობა, განუმეორებელი დაუნდობლობა, კიბინებური უსულობა, რომელიც სტალინისას არაფრით ჩამოუვარდებოდა. ამ თვისებებზე წერდა სვეტლანა ალლუევა:

„მე ვთვლი, რომ ბერია იყო უფრო ეშმაკი, უფრო მოღალატე, უფრო თავხედი, უფრო მაზასნრაფოული, უფრო მტაცეკი და, აქედან, უფრო ძლიერი, ვიდრე მამაჩემი..." (იგი წერილი მეგობარს, გვ. 130).

ახეთ მტაცეკებს, რა თქმა უნდა, ბევრი არ დაეთანხმება, მაგრამ მასში არის სიმართლის დიდი ნაწილი. სტალინმა გააცურა ყველა თავისი წინამორბედი და თანამებრძოლი, თვით სტალინი კი ერთადერთმა ბერიამ გააცურა. თუ როგორ, ამას შემდგომ თავებში ვნახავთ.

„ქართული ხალხის" შემდეგ ბერიამ იცოდა, სტალინი მას მეეჭისკის, იაგოდასა და ეფოვის ხვედრს უმზადებდა. სტალინის ოდესღაც გენიალურმა, მაგრამ ცხოვრების ბოლოს მოჩლუნგებულმა კრიმინალურმა გონებამ შეცდომების დაშვება დაწიეს: იგი იმეორებს ძველ, 31-იანი წლების დამნაშავეობრივ მეთოდებს, რომელიც ასე კარგად არის შესწავლილი და ზოგჯერ თვით ბერიას ნაკარნახევია. ჯერ კიდევ ჩერკასელებმ იცოდა, რომ შეუძლებელია ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ შესვლა. სტალინს სურდა დაემტკიცებინა, რომ ეს შესაძლებელია.

უთანხმოება კოლიტბიუროსა და სტალინს შორის

ხატოვნად რომ ვთქვათ, ბოლო წლებში სტალინი ჭეეუანს მართავდა, როგორც მესაკერძიშვილიან ამინდში გაბვერტიდან, ბომალდს, რომელსაც ანგარიშმიუცემლად ახეთქებდა ალელვებული ოკეანის შემხედარ, ჩრიხანე ტალღებს. ხომალდს მეზავერები — ცკ-ის წევრები — ხან განუწესებლივ ხაპადნენ ხომალდიდან წყალს, ხანაც ერთი თავიდან მეორეში ხახოწარეკვთილნი გარბი-გამორბოდნენ, რათა შეენარჩუნებინათ წონასწორობა, მაგრამ დაუნდობელი მეხაე წონასწორობას ინარჩუნებდა ამით, რომ ერთიმეორის მიყოლებით ისროდა მათ წყალში.

რამდენი გადავარეს ასე ბოლო სამი წლის მანძილზე „ლენინგრადის საქმეზე", „საქართველოს საქმეზე", „სიონისტების საქმეზე", უფრო გვიან „მოსკოვის საქმეზე", რომლითაც, ბელადის ჩანაფიქრით, გადაიყრებოდა სტალინურ ხომალდზე აქამდის გადარჩენილი ეროვნული მეზავერი!

მართალია, თვით მეზავერები კარნახობდნენ მეხაეზეს, თუ ვინ გადაეგდო პირველი, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ყველამ იცოდა: ამ მეხაეის ხელში, ადრე თუ გვიან, ყოველ მათგანს იგივე ბედი ელოდა. ბოლო უსაფრთხეა მაინც ის იყო, რომ ბერიამ და მალენკოვმა იარაღნეს: მათი ფრიც ბოსუელია.

ბოლო აქცია სტალინის „ძველი გვარდიის" წინააააღდეგ: მათი შხამიანი ისრები მართალია, ძმიმე ჭრილობებს აყენებენენ „ძველ-გვარდიელებს," მაგრამ ვაი, რომ ბუმერანგებით ისინი თვით მსროლელებსაც ანიანებდნენ. ჯერ ერთი, არც „ძველგვარდიელები" რჩებოდნენ ვალში და დამბეზღებელებს თვითონაც ანეზღებდნენ. მეორე — სტალინი მივიდა დასკვნამდე, რომ შეეშინა სიტუაციაში ყველაფერს ჭკნია განადგურდეს ყველა: „ძველ-გვარდიელებიც" და „ახალგაზრდა გვარდიელებიც." როგორც ეს ოციან წლებში ხდებოდა.

ბერიამ და მალენკოვმა მშვენივრად ისწავლეს სტალინის აზრების ამოკითხვა და ამოიცნეს მთელი მისი სტრატეგიული გეგმა. და მაშინ მოხდა ის, რასაც სტალინი სრულიად გამორიცხავდა: ბერიასა და მალენკოვის ინიციატივით პოლიტბიუროს წევრები საკუთარი თავის გადასარჩენად კომპრომისზე წავიდნენ და დაამყარეს მათთან თავდაცვითი კავშირი სტალინის ჩანაფიქრის წინააღმდეგ. ამ კავშირის შედეგი გახლდათ პოლიტბიუროს გადაწყვეტილება, მოიწვიოთ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი (1952 წ. ოქტომბერ და დეკნიშნათ პარტიის ულიანა.

ფორმალურად მოკმედი წესდების თანახმად, პარტიის ყრილობები უნდა მოწვეულიყო სამ წელიწადში ერთხელ. ბოლო ყრილობა ჩატარდა ომამდე — 1939 წ. მარტს. სტალინი დათანხმდა საბჭოთა კრებარლამენტის აკურატულად ჩატარებას, მაგრამ არაფრით თანხმდებოდა პარტიის მომავალ ყრილობაზე ახალი ცკ-ის არჩევაზე. ასე იქნა გამოტოვებული ყრილობის მოწვეევის ოთხი ვადა. ამ პერიოდში დაიწყო და დამთავრდა დიდი სამამული ომი, მიღებულ იქნა უამრავი საერთაშორისო და შიდა ხასიათის ისეთი გადაწყვეტილებანი, რომელიც ძხოლიდ პარტიის ყრილობის კომპეტენციაში შედიოდა. სტალინი კი არც ფიქრობდა ყრილობის მოწვევას. უფრო მეტიც, უკვე ბუთი წელი იყო, არ მოეწვიათ ომამდელი ცკ-ის პლენუმიც (ი წესდებით იგი სამ თვეში ერთხელ უნდა მოწვეულიყო). არადა, ომამდელი ცკ-ის წევრებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს როგორც ფრონტის პოლიტიკურ ორგანიზაციაში, ისე ქვეყნის ზურგში.

ძნელია იპოო ულიანობის მოოწვეულობის სხვა მიზეზი, გარდა იმისა, რომ სტალინს ეშინოდა, „მოწვეულები" წესდების ფარგლებში ლეგალურად შეზღუდადნენ მის ეროპირიანულ ხელისუფლებას. მისი შიში არ იყო ულაფუძველო.

„ლენინგრადის საქმის" შემდეგ იწუენა პარტიის აპარატსა და პოლიციაზე სტალინის კონტროლის შესუსტება. ამავე დროს, იზრდება ბერიასა და მალენკოვის შეგავლენა.

ის, რასაც ხრუშჩოვი ყვება თავის მოგონებებში (ტ. I) XIX ულიანობის მოწვევის ისტორიაზე (თუ ფაქტები სწორად არის გადმოცემული), სიმპოოლის კარიკატურაა, თანაც პარტიულ-პოლიციური მანქანის ფუნქციონირების თვალსაზრისით გაუუთლებელი კაცის გაკეთებული.

ხრუშჩოვი, რომელიც XX ულიანობაზე ჩიოდა, რომ სტალინი არ იწვევდა ულიანობას, ახლა ამბობდა, რომ სტალინმა თავისთან იხმო პოლიტბიუროს წევრები და შესთავაზა ულიანობის მოწვევა, მაგრამ არ გაიცნო დღის წესრიგი. რამდენიმე ხნის შემდეგ სტალინმა თქვა, რომ მოხსენებას გააკეთებენ მალენკოვი, ხრუშჩოვი და საბუროო. დღის წესრიგის შესახებ პოლიტბიუროს არ უმსჯელია.„

სინამდვილეში ასე არ ყოფილა.

დაგეგმილი მეორე „დიდი წმენდის" ჩატარებამდე სტალინს არ სურდა პარტიის არავითარი ულიანობა — ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია (XVIII ულიანობაც მოწვეული იყო მხოლოდ პირველი „დიდი წმენდის" შემდეგ, 1939 წ.). ამიტომ ულიანობის მოწვევის ინიციატორი სტალინი ვერ იქნებოდა, კიდევ უფრო უაზრობაა იმის განცხადება, რომ პოლიტბიუროს არ ამსჯელია და დეტალებში, ტაქტიკურულად არ დაუზუსტა მომავალი ულიანობის მოხსენებათა ყველა ტექსტი (ამ მტკიცების სიცარიელ იმითაც მტკიცდება, რომ წესდების შესახებ ხრუშჩოვის, ხოლო ხუთწლიდის შესახებ საბუროვის მოხსენებათა პროექტები ბეჭდვით ორგანოებში გამოაქვეყნებამდე და პარტიულ კონფერენციებზე მსჯელობისათვის რამდენიმე კვირით ადრე დაიბეჭდა „პრავდაში").

რა თქმა უნდა, ულიანობის მოწვევასა და დღის წესრიგის შესახებ განცხადებას ხელს აწერდა მხოლოდ ცკ-ის გენერალური მდივანი — სტალინი. მაგრამ ეს ყოველთვის ასე კეთდებოდა. ყველაზე გამოაგნებელი იყო უარრეცედენტო ფაქტი: სტალინური მმართველობის მანძილზე პირველად მოხდა, რომ ცკ-ის პოლიტიკური ანგარიშს აკეთებდა არა სტალინი, არამედ მალენკოვი.

ამან მაშინვე გაუგებრობა გამოიწვია: რა მოხდა: სტალინი ან ავადმყოფობს, ან შეგნებულად წამოაყენა პოლიტიკურ მომხსენებლად მის მიერ შერჩეული „ტახტის მემკვიდრე, პრინცი". მხოლოდ შემდეგ გაეგებო, რომ ორივე მოსაზრება მცდარი იყო. სტალინი არ ავადმყოფობდა, წერდა ვრცელ „სადისკუსიო" სტატიებს, ეხსრებოდა ულიანობა და ულიანობის დასასრულს გამოვიდა მოკლე სიტყვით (სიტყვა არ ეხებოდა ულიანობის მუშაობას, ეს იყო მიმართვა საზღვარგარეთის კომპარტიებისადმი, რასაც, როგორც შემდეგ ვნახავთ, თავისი მნიშვნელობა ჰქონდა). სტალინი არც „ტახტის მემკვიდრედ" აქცევდებდა ვინმეს, რადგან იცოდა, რომ ასეთი ღონისძიება ხახიფათო იყო.

აქედან დაიბადა ორი სხვა მოსაზრება: სტალინმა ან უარი თქვა მოხსენებით გამოსულიყო ულიანობაზე, რომელიც მისი ნების წინააღმდეგ იყო მოწვეული და ორგანიზებული, ან პოლიტბიუროს, რომელიც ალარ ეთანხმებოდა ბევრ მის პრაქტიკულ წინადადებას და ღონისძიებას, გადაწყვიტა მოხსენების გაკეთება დაევალებინა მალენკოვისთვის, ულიანობის გახსნა — მოლოტოვისთვის, დახურვა ვოროშილოვისთვის.

განრისხებული ხრუშჩოვი, რომელსაც პარტიული ინტერესები აიძულებდნენ გარკვეულ სქემას არ დასცილებოდა, სიმართლის ნაწილს მუდამ სიცრუის ნისლით ფარავდა. მას სურდა დავერწმუნებინეთ, რომ მოლოტოვიც და ვოროშილოვიც სტალინმა შეარჩია, მაგრამ ამით ის საკუთარ თავს ეწინააღმდეგებოდა.

XX ულიანობაზე იმავე ხრუშჩოვის გამოსვლებიდან ვიცით, რომ XIX ულიანობის შემდეგ ცკ-ის პირველ საორგანიზაციო პლენუმზე სტალინმა მოლოტოვი ამერიკის ჯაშუშობაში დაადანაშაულა, ხოლო ვოროშილოვი ინგლისის ჯაშუშად შერაცხა, მათი ებრალელი ცოლები კი, იმავე ბრალდებებით, ლუბიანკის სარდაფებში ჰყავდათ დამწყვდეული.

გაგრძელება იქნება

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲒᲐᲛᲑᲐᲛᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲘᲚᲘᲐᲡ ᲫᲔ ᲙᲝᲜᲐᲨᲘᲫᲔ

ღრმად პატივცემული ვლადიმერ ილიას ძეს! მოგვიტევეთ, რომ საჯაროდ — ღია მიმართვით გაწუხებთ, მაგრამ გვეარშეუნეთ, სხვა გზა არ გვქონდა:

ჯერ ერთი ამბოქმ, რომ ტელეფონი არა გვაქვს და ვერ გირეკავთ! მეორეც: ტელეფონს კი ვიშოვნიდით, ქვეყანა დიდია, მაგრამ ცალკე თქვენი მოგვერიდა და ცალკე ამ ხალხისა, ვისი ტელეფონებითაც და ვისი მეშვეობითაც ისედაც ბარე ხუთჯერ შეგაწუხეთ. თან ისიც ავწონ-დაეწონეთ, რომ ამ რეკვა-ეკეკვამდე წარილიც გაახლეთ მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ხელმოწერით და ვიფიქროთ, რამ ამბავია, ხომ არ დავაბრრიობთ ადამიანს-თქო.

როგორც მოგეხსენებათ, უკვე შეიდი თვეა, რაც „ცისკარი" ახალ ბინაზე გადავდა და უტელეფონოდ დარჩა. თქვენ როგორ შეგაწუხებდით, მაგრამ თქვენსამდე ქვეყანა შემოვიარეთ, ყველა თქვენს ქვეშდგომ ინსტანციებს კარი ავუღაღეთ, არც ჩვენი გამოძეკვილობა და მწერალთა კავშირი მოვასვენეთ, მაგრამ... ბოლოს, ამდენი სიბრძოლის შემდეგ, თქვენთან მოგვასწავლეს: ამ საქმეს მინისტრი ჭირდება, „კაბელი" არა გვაქვსო... მას აქეთია გაწუხებთ თქვენ და მას. აქეთია ველით თქვენგან დაპირებულ „კაბელს" ანუ ტელეფონს!.. თუმც საჭაარსთან კავშირგაწეულნელო, კავშირგამბმულობის სამინისტროს იმქცი თითქმის გადაგვეწურა!

რა გავიბარეთ, რომ იცოდეთ! ორის... ერთი ბრაბა-ბრუნი და სირბილი გრძელ კორიდორში და რედაქტორის კაბინეტში! ააშაქა... ლმერთმა! — რედაქტორიც დაეზარელი ეკიცი გამოგვდა, — ზარი გაიწკრიალეს! თუ არა, იმ წუთში გამოვარდება და გვეძახის. ეს კი არა, რომ მიდის ეარს ფოკუსს. იმ დასაკვნამ დე მივედით, კორიდორში სირბილით ხაჭეს რომ არ მოვაცდეთ, ავტორებსაც იქვე ვლაბუღობთ, — რედაქტორის კაბინეტშე. ეა მახალებსაც იქვე ვასწორებთ, ერთი ოხუთმეტიოცი კაცი, ერთად ხაჯარიდ... მარილი ხაკარი ოხინ პრინციპით ვმუშაობთ და დიდებულ-დაც!

ვნახოთო რა გამოგვივა ამ საკარიობაზე გადასულითო! თუ რამე სახიეთო იქნა, თქვენც გეთქმით მადლობა, თუ არა და ვანდაბის ჩვენი თავი, — თქვენ რა შუაში ხართ!

ᲣᲧᲠᲐᲚᲔ „ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘᲡ" ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

„ახლა ჩვენ გვეჭირდება საეუფვლოანი სამხედრო ლეფორტა. აქ უნდა გადაეწყოთ რიელ საკითხთა დიდი კაპპლექსი".

ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘ ᲑᲣᲠᲑᲐᲠᲘᲫᲔ
ᲡᲢᲠᲐ ᲞᲝᲡᲢᲘᲜᲘᲣᲢᲘ

„ცისკარში" წავიკითხეთ გიგი მაღლელარიას რომანი „ᲣᲧᲣᲤᲘᲪᲘᲐᲗ". რომანში რომ ამის აღწერილი, ამასთანა ამბები ადრეც გვსმენოდა. მაგრამ დაწერილმა და დაბეჭდილმა სულ სხვა შთაბეჭდილება დატოვა. გაკვირვებით კი ამოფრი გაგვკვირვება. რადგან ჩვენც ამისთანა მდგომარეობაში ვიმყოფებით. როცა რომანს ვკითხულობდით, პატიმრის და ხალდათის ცხოვრებას ვერაფრით ვანსხვავებდით. ჩვენი ბედი ისე მგავს ერთმანეთს, როგორც ტყეში ძმები. ჩვენს შორის მხოლოდ სახელწოდებაშია განსხვავება: ციხეში თუ ბრიგადაში, ჯარში. ოოგებად ვართ დაყოფილი. ეს თუ კარიერებზე ქვას ამბკრავენ, ჩვენ ტანკების ბოტორებს ვარეშინტებთ, თანაც გამორიცხელი არ არის, რომ ჩვენმა გამოშვებელმა ტანკებმა ლულა ჩვენვე მოგვშვინონ, როგორც ეს თბილისში მოხდა... ნეტავ როდის შეაღწევს დემოკრატია არმიაში?!

ᲔᲡᲣᲠᲘᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲐᲡᲣᲚᲐᲓ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲧᲐᲠᲘᲡᲮᲐᲪᲔᲑᲘ

ᲛᲘᲜᲐᲬᲔᲠᲘ:

ამ ბარათის მოწერას „ლიტერატურული საქართველოს" მეშვეობით ვაპირებდით, მაგრამ გადავიფიქრეთ, რადგან გაზეთის რედაქტორი, ვიღრე წერილს სტამბაში ჩაუშვებდა, თბილისს სატელეფონო ქსელის უფროსს პატივცემულ გურამ ზმალაძეს ესაუბრა და სასიბარულო დაპირება მივიღეთ. ხვალეე „ცისკარში" ეაქნებითოო...

უშველოს ღმერთმა გურამ ვლადიმერის ძეს! მეორე დღესვე ერთი ათი კაცი მოვარდა და ათი ტელეფონის მაგიერ ასე ბევრ ახალ მისაბარაზე გადასვლამდე და განაცხადა ასე გვაჯეს წარდგენილი საჭირო თანხითურთ! ერთი ნომერი დაგვიდგეს რედაქტორის კაბინეტში. გადასაყვანსაც გაგვიკეთებდნენ მდივანთან, მისალებში, საქმეში ისევ ეს წუეული „კაბელი" რომ არ ჩარეულიყო, არა გვაქვსო და რა ვქნათო. წავიდნენ. და დაგვიდეს ტელეფონი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ᲒᲐᲛᲔᲤᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ — ᲐᲛᲘᲡᲘᲡᲐᲔᲚᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲒᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲛᲣᲚᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲙᲚᲐᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲛᲣᲚᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲝᲗᲔ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲛᲣᲚᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲗᲠᲔᲛᲔ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲛᲣᲚᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲛᲣᲚᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲗᲠᲔᲛᲔ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲛᲣᲚᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲗᲠᲔᲛᲔ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲛᲣᲚᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲛᲣᲚᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲗᲠᲔᲛ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ხულანიშვილი

ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი უხუცესი ჭარმომადგენელია — 94 წლის გახლავთ. იგი ჯაჭუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი იყო და არა მარტო წევრი — მისი მარჯვენა ხელი გახლდათ, მისი მოადგილე და მეგობარი. 1924 წლიდან ემიგრაციაშია. ჯერ მუშად მუშაობდა საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქში. ერთხანს ტაქსისტად უმუშავია პარიზში. გერმანიაშიც უცხოერია, შვეიცარიაშიც, თითქმის 40 წელიწადია, ამერიკაში ცხოვრობს. აქტიურად თანამშრომლობს ქართულ ემიგრანტულ პრესაში. 1981 წელს სან-ფრანცისკოში გამოსცა წიგნი „ჩემი მოგონებანი". 1985-1987 წლებში იქვე გამოსცა სამი ბროშურა: „რა ხდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებს შორის 1923 და 1924 წლებში და ილიას მკვლელობის სინამდვილე", „ჩემი პასუხი ეორდანიას მემკვიდრეებს", და „შეფიცულთა რაზმის ცხოვრება საფრანგეთში 1924 წ. ნოემბრიდან".

გიორგი კეპაღლაძე

დაიბადა 1937 წელს. მახარაძის რაიონი, სოფელი ნალობილევი. 1962 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი — გერმანული ენის სპეციალისტია. ყოფილ ცოლ-შვილი. მწერალთა კავშირის წევრია 1980 წლიდან.

პირველი წიგნი გამოსცა გამომცემლობა „ნაკადულმა" „ცისფერყოდიანი რვეული", 1966 წელს მისი პირველი რომანი „მეთორმეტე ზარი", 1971 წელს კი რომანი „ჩემი პატარა ლანდი", რომელიც ითარგმნა და გამოიცა რუსულ და გერმანულ ენებზე.

მამუკა დოლიძე

დაიბადა 1948 წლის 27. ივნისს, ქ. ყუთაისში. 1972 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ფიზიკოსია. 1987 წლის ოქტომბერიდან მწერალთა კავშირის წევრია. ცოლშვილიანია. 1974 წელს დაიბეჭდა მისი პირველი მოთხრობა ჟურნალ „ცისკარში".

პირველი კრებული გამოსცა „მერანმა" 1985 წ. 1986 წ. მისი პიესა „მდგმურები" დადგა მეტეხის ახალგაზრდულ თეატრში.

67/49
X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76286